



Embassy
of the Republic of Poland
in Tbilisi

NATO
Contact Point Embassy



იკვლიე ნატო



იკვლიე ნატო

პუბლიკაცია შედგენილია პროექტის - „ისაუბრე, იკვლიე და აღმოაჩინე ნატო“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოს მიერ.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოს ან საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (GCSD) თვალსაზრისს.

GCSD-ის წერილობითი ნებართვის გარეშე დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

სარჩევი

ნატო ავღანეთის შემდეგ: ახლა საით?

შოთა ღვინერია

4

საქართველოსა და ნატოს პარტნიორობა ავღანეთის მისიის დასრულების შემდეგ და განევრიანების პერსპექტივები

ირაკლი მენაღარიშვილი

15

ნატო-ს როლი საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების პროცესში

ნათია გვენეტაძე

24

ნატოს და ჩინეთის ურთიერთობების პერსპექტივები ცვალებად გეოპოლიტიკურ გარემოში

გიორგი ბადრიძე

38

საქართველოსა და უკრაინის ნატოში განევრიანების შემაფერხებელი ფაქტორები და არსებული პერსპექტივა

ნიკა კრანაშვილი

49

საქართველოსა და უკრაინის ნატოში განევრიანების საერთაშორისო სამართლებრივი პერსპექტივები

გიორგი ჩაჩხიანი

66

ნატოს გამოცდილება ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ: გაკვეთილი საქართველოსთვის

ნუცა დანძავა

85

ევროკავშირის უსაფრთხოება: ნატოსთან ერთად თუ ნატოს გარეშე?

იაკობ ლაჩაშვილი

100

დანანევრებული ალიანსი: რამდენად ერთიანია ნატო დღეს?

ლელია ჩხეტიანი

118

თურქეთის საგარეო პოლიტიკა და ნატოს სიმტკიცის პრობლემა

ვასიკო ხორავა

134

ევროკავშირის უსაფრთხოება: ნატოსთან ერთად თუ ნატოს გარეშე?

სოსო ჩაჩანიძე

157



Embassy
of the Republic of Poland
in Tbilisi

NATO
Contact Point Embassy



ნატო ავღანეთის შემდეგ: ახლა საით?

შოთა ღვინერია



ნატო ავღანეთის შემდეგ: ახლა საით?

ნატოს თავდაცვისა და უსაფრთხოების მიზნები

ნატოს ისტორიის განმავლობაში რამდენჯერმე დაისვა შეკითხვა: ახლა საით? თავდაპირველად ევროატლანტიკურ სივრცეში საბჭოთა კავშირის ექსპანსიის შესაკავებლად შექმნილი სამხედრო პოლიტიკური ალიანსის მომავალზე საექსპერტო საზოგადოება ცივი ომის დასრულების შემდგომ პერიოდში ალაპარაკდა. 1995 წელს გაფორმდა ნატო-რუსეთის დამფუძნებელი აქტი, რომლის მიხედვითაც ნატოს მთავარი საფრთხე, რუსეთი, პარტნიორ სახელმწიფოდ უნდა გარდაქმნილიყო. ჰელსინკის ფინალურ აქტსა და გაეროს წესდებაში ასახული ისეთი ფუძემდებლური პრინციპები, როგორცაა საერთაშორისო სამართლის სუბიექტების თანასწორობა, სუვერენიტეტისა და საზღვრების ხელშეუხებლობა და ადამიანის უფლებათა უზენაესობა, ჩამოყალიბდა როგორც ევროატლანტიკურ სივრცეში საყოველთაოდ აღიარებული წესები. აღნიშნული პრინციპები გახდა არა მხოლოდ ევროატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურის, არამედ ეგრეთ წოდებული წესებზე დამყარებული ლიბერალური მსოფლიო წესრიგის ქვაკუთხედი. ევროატლანტიკურ სივრცეში შეიქმნა უსაფრთხოების და სტაბილურობის შეგრძნება. საფრთხის შეგრძნების კლების პარალელურად, ნატოს წევრების უმრავლესობამ თავდაცვასა და უსაფრთხოებაზე გამოყოფილი ხარჯების შემცირება დაიწყო. პოლიტიკურ წრეებში ნატოს საჭიროებაზე ხმამაღლა ალაპარაკდნენ.

ნატოს მომავალზე მიმდინარე განხილვების პარალელურად, ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების გარემოში პროცესები დინამიურად ვითარდებოდა. 1990-იან წლებში ბალკანეთში განვითარებულმა მოვლენებმა ნატოს კრიზისების მართვის მიმართულებით შესაძლებლობების განვითარებისკენ უბიძგა. მოგვიანებით, რელიგიური ფუნდამენტალიზმის აღზევებამ და საერთაშორისო ტერორიზმის გლობალურმა საფრთხემ ნატოს საქმიანობაში ანტიტერორისტული მიმართულების გაძლიერების საჭიროება გააჩინა. გეოპოლიტიკური გამოწვევების კვალდაკვალ ადაპტირება ნატოს, როგორც სამხედრო პოლიტიკური ბლოკის, იდენტობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი თავისებურება გახდა. შესაბამისად, კოლექტიური თავდაცვის ფუძემდებლურ პრინციპთან ერთად, ოცდამეერთე საუკუნეში ნატოს როლი მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილში კრიზისების მართვითა და საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლით განისაზღვრა.

ახალი საფრთხეები წარსულიდან

მეორე ათასწლეულმა ნატოს ახალი გამოწვევები მოუტანა. ავტორიტარული რეჟიმების აღზევებამ საფრთხის ქვეშ დააყენა საერთაშორისო წესრიგისა და ევროატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურის საფუძვლები. 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრესიას მოულოდნელი, შოკისმომგვრელი და ელვისებური ეფექტი ქონდა. მაშინ ალიანსმა ვერ შეძლო აღნიშნული მოვლენისთვის რუსეთის მხრიდან ევროპული არქიტექტურის ფუძემდებლური პრინციპების დარღვევის შეფასება მიეცა და აგვისტოს ომი რუსეთ-საქართველოს შორის მომხდარ ადგილობრივ ინციდენტად მიიჩნია. ნატოს მხრიდან განხორციელებულმა საპასუხო ქმედებებმა, რომლებიც ძირითადად ნატო-რუსეთის საბჭოს რამდენიმე თვით შეჩერებაში და საქართველოსთვის თანამშრომლობის ახალი მექანიზმების მინიჭებაში გამოიხატა, ვერ შეძლო რუსეთის მხრიდან უკრაინის წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის შეკავება. 2014 წელს ყირიმის უკანონო ანექსიამ და აღმოსავლეთ უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ ალიანსს თავის თავდაპირველი მისია შეახსენა. თუმცა, საგულისხმოა, რომ ჰიბრიდული საფრთხეებისა და ახალი ტექნოლოგიების ეპოქაში საფრთხეების მკაფიოდ განსაზღვრა და მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა ძალზე რთულია. სხვადასხვა მიმართულებიდან მომავალი თანამედროვე საფრთხეების მთელი წყება, როგორცაა რუსეთისგან მომავალი სამხედრო და ჰიბრიდული საფრთხეები, ჩინეთის ეკონომიკური ექსპანსია, კიბერ შეტევები, დეზინფორმაცია, ტერორიზმი, უკანონო მიგრაცია, კლიმატური ცვლილებები და სხვ., ალიანსის დღის წესრიგში 360 გრადუსით ჩართულობის აუცილებლობას აყენებს.

2020 წელს ნატოს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა, ექსპერტთა ჯგუფი შეკრიბა და მათ თანამედროვე უსაფრთხოების გარემოში ნატოს წინაშე არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების ანალიზი დაავალა.¹ ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნაზე დაყრდნობით, 2022 წლის ზაფხულში ნატო შეიმუშავებს სტრატეგიულ კონცეფციას, რომელიც მომდევნო 10 წლის განმავლობაში ალიანსის ხედვასა და განვითარების ძირითად მიმართულებებს მოიცავს. სტრატეგიული კონცეფციის შემუშავება ნატოში, ამგვარ სტანდარტულ პროცედურებზე დაყრდნობით, ყოველ ათ წელიწადში ერთხელ ხდება. ამჟამად მოქმედი დოკუმენტი 2010 წელს დამტკიცდა.² საგულისხმოა, რომ აღნიშნულ დოკუმენტში რუსეთი პარტნიორ სახელმწიფოდ არის მოხსენიებული, ხოლო ჩინეთი არცერთხელ არ არის ნახსენები. ამის საპირისპიროდ, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ავტორიტარული რუსეთის და ჩინეთის აგრესიული პოლიტიკა ალიანსისთვის

¹ NATO, NATO 2030: United for a New Era, Analysis and Recommendations of the Reflection Group Appointed by the NATO Secretary General. (2020). [Link](#).

² NATO, Active Engagement, Modern Defence: Strategic Concept for the Defence and Security of the Members of the North Atlantic Treaty Organisation adopted by Heads of State and Government in Lisbon (2012). [Link](#).

მთავარ საფრთხედ არის მიჩნეული. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ახალ კონცეფციაში ალიანსის ხედვები საფრთხეების შეფასებისა და მათზე საპასუხო ქმედებების შესახებ ძირეულად იქნება შეცვლილი.

დღეისათვის ალიანსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ევროატლანტიკურ სივრცეში არასტაბილური უსაფრთხოების გარემოს ჩამოყალიბებაში რევიზიონისტული რეჟიმების ჰიბრიდული ომის სტრატეგიები გადამწყვეტ როლს თამაშობს. ჩინეთის მხრიდან მომავალი გამოწვევები, რომლებიც ამ ეტაპზე ალიანსისთვის სამხედრო საფრთხეებს არ შეიცავს და ეკონომიკურ, საინფორმაციო და კიბერ სივრცეებში გავლენების მოპოვებას ისახავს მიზნად, უფრო გრძელვადიან და სტრატეგიულ ქრილში განიხილება. უშუალოდ ევროატლანტიკურ სივრცეში რუსეთის მილიტარისტული და უაღრესად აგრესიული პოლიტიკიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ ეტაპზე ალიანსის ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო ამოცანას წესებზე დაფუძნებული მსოფლიო წესრიგის შენარჩუნება და რუსეთის შეკავება წარმოადგენს.

დესტაბილიზაცია და ესკალაცია, როგორც რუსული რევიზიონიზმის იარაღი

რუსული რევიზიონიზმის მთავარი ამოცანა წესებზე დაფუძნებული ლიბერალური მსოფლიო წესრიგის მორღვევა (revise) და მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის დამყარებაა, რომლის ფარგლებშიც რეგიონის დიდ ქვეყნებს ექსკლუზიური გავლენის სფეროები ექნებათ და აღარ მოუწევთ რეგიონის უფრო სუსტ ქვეყნებთან ურთიერთობებში უნივერსალური პრინციპებითა და თამაშის წესებით თავის შეზღუდვა.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში რევიზიონიზმი რუსეთის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარ ხაზს წარმოადგენს, თუმცა ბოლო პერიოდში რუსეთმა ნატოს აღმოსავლეთ ფლანგზე გავლენების გასაძლიერებლად მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. სამეზობლოში სრული დომინაციის მისაღწევად რუსეთი მისივე შექმნილ კონფლიქტებსა და დესტაბილიზაციის კერებს ეფექტურად იყენებს საგარეო პოლიტიკის იარაღად. ამ დრომდე რუსეთი ახერხებს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის ხარჯზე უკრაინის, საქართველოს და მოლდავეთის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესების შენელებასა და შეფერხებას.

რუსეთმა რეგიონის იმ ქვეყნებზეც გააძლიერა ზეწოლა, რომლებიც პროდასავლურ საგარეო პოლიტიკას არ აწარმოებენ. 2020 წელს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ყარაბაღში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს, საერთაშორისო თანამეგობრობისა და ინსტრუმენტების პასიურობის ფონზე, რუსეთმა მოახერხა სამშვიდობო პროცესზე

სრული კონტროლის დამყარება და, შედეგად, აზერბაიჯანში ეგრეთ წოდებული სამშვიდობო სამხედრო შენაერთების შეყვანა.

რუსეთის გავლენები, ასევე, მნიშვნელოვნად გაძლიერდა ბელარუსში. დასავლეთის მხრიდან არალეგიტიმურად გამოცხადებულ ლუკაშენკოს უწევს კრემლთან ინტეგრაციის ინიციატივებზე და ბელარუსში რუსული სამხედრო ყოფნის ზრდაზე დათანხმება. შესაბამისად, რუსეთმა მოახერხა ნატოს აღმოსავლეთის ფლანგზე განლაგებულ ნატოს არანევრ ექვსივე სახელმწიფოში სამხედრო კონტიგენტის განთავსება და სამხედრო ძალთა ბალანსში მნიშვნელოვანი უპირატესობის მოპოვება. სამხედრო უპირატესობისა და კონფლიქტებზე სრული კონტროლის ხარჯზე, რუსეთს შეეძენა ხელსაყრელი პირობები შავი ზღვის რეგიონში საკუთარი დღის წესრიგის აგრესიულად განხორციელებისათვის.

2008 წელს ბუქარესტის სამიტზე ნატომ მიიღო ერთმნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც საქართველო და უკრაინა ალიანსის წევრები გახდებიან. მას შემდეგ, ყოველ მომდევნო სამიტზე, მკაფიოდ ხდება ბუქარესტის გადაწყვეტილების დადასტურება, თუმცა ცამეტი წლის განმავლობაში ჯერ ვერ მოხერხდა ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების შესრულებისკენ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. მათ შორის, ვერ ხერხდება საქართველოსა და უკრაინისთვის განწვერიანების სამოქმედო გეგმის (Membership Action Plan – MAP - მაპი) მინიჭება, რომლის მეშვეობითაც სხვა ასპირანტი წევრები ემზადებოდნენ განწვერიანებისთვის. საგულისხმოა, რომ ბუქარესტის სამიტამდე ნატოს არცერთ ასპირანტ სახელმწიფოს მაპის განხორციელების პროცესში განწვერიანების შესახებ წინასაწარი პირობა არ ჰქონია.

საქართველოსა და უკრაინის შემთხვევაში, ყველაფერი პირიქით ხდება - არსებობს განწვერიანების პირობა, მაგრამ არ არსებობს განწვერიანებისკენ მიმავალი მექანიზმი. ბუქარესტის სამიტის დეკლარაციის თანახმად, განწვერიანების გზაზე შემდგომი ნაბიჯი მაპის შესახებ პოლიტიკური გადაწყვეტილება უნდა იყოს. 2016 წელს კი გარკვეულ წილად წინააღმდეგობრივი განცხადება გააკეთა, რომლის თანახმადაც საქართველოს გააჩნია ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი წევრობისთვის მოსამზადებლად^{3,4}. ალიანსის წევრების აზრი გაყოფილია საქართველოსა და უკრაინის ნატოში მიწვევის ვადების, ფორმებისა და პერსპექტივების შესახებ, რაც პრობლემას წარმოადგენს როგორც საქართველოსა და უკრაინისათვის, ასევე, ალიანსის სიმტკიცისთვის და მისი გადაწყვეტილებების სანდოობისათვის. ცალსახაა, რომ ალიანსში არსებული გაურკვეველობა და ერთიანი მიდგომის არარსებობა რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას პროვოცირებას უწევს. რუსეთის სტრატეგიის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენადაა ნატოს წევრებს შორის

³ Agenda.ge. Stoltenberg: "Georgia has all practical tools to prepare for NATO membership". (2016). [Link](#).

⁴ NATO. NATO decisions on open-door policy. (2008). [Link](#).

კონსესუსის მიღწევა შესაძლებელი და რამდენად მზდაა ალიანსი ერთიანი პოზიციონირებისთვის. რუსეთის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე დასავლეთის საპასუხო რეაქცია, ხშირ შემთხვევაში, განსაზღვრავს რუსეთის შემდგომ ნაბიჯებს. ნატოს ფრთხილი და მოკრძალებული პოზიციონირება და საქართველოსა და უკრაინის მიმართ გაცემული პირობების შეუსრულებლობა წარმოადგენს რუსეთის დესტრუქციული პოლიტიკის შედეგიანობის დასტურს და მის შემდგომ აგრესიულ ქმედებებს ახალისებს.

2021 წლის მიწურულს რუსეთმა ნატოს აღმოსავლეთ ფლანგზე ვითარება უკიდურესად დაძაბა და ნატოს გაფართოება საკუთარ წითელ ხაზად ღიად გამოაცხადა. რუსეთის მრავალშრიანი ჰიბრიდული ომის კამპანია სექტემბრის თვეში ყოველწლიური ფართომასშტაბიანი წვრთნებით „დასავლეთი 2021“ (Zapad 2021) დაიწყო.⁵ ასეთი კალიბრის წვრთნები თავის თავში გულისხმობს არა მხოლოდ სამხედრო ძალის დემონსტრირებას და პოზიციონირებას, არამედ ასევე წარმოადგენს უსაფრთხოებისა და სამხედრო პოლიტიკის პრიორიტეტების გახმოვანების ბერკეტს. საგულისხმოა, რომ გასულ წლებთან შედარებით გაიზარდა წვრთნების მასშტაბიც და სცენარის აგრესიულობაც, რომელთა საწვრთნელი ამოცანები ნატოს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიების ოკუპაციასაც კი მოიცავდა. ასევე, საგრძნობლად გაიზარდა წვრთნებში ბელარუსის მონაწილეობის ხარისხი, რომელიც აქამდე ყოველთვის ფრთხილად ეკიდებოდა ნატო-ბელარუსის საზღვრებთან რუსეთის სამხედრო ძალების მანევრირების საკითხს.

იმავე პერიოდში ბელარუსმა და რუსეთმა ჰიბრიდული ომის კიდევ ერთი იარაღი გაააქტიურეს და ნატოს საზღვრებთან ათასობით არალეგალი მიგრანტის მობილიზების კამპანია დაიწყო.⁶ ერაყიდან და აზია-აფრიკის სხვა ქვეყნებიდან ადამიანების ჯგუფების მინსკში ჩამოყვანა, მოსკოვის გავლით, მოტყუებითა და კორუფციული სქემების მეშვეობით ხდებოდა (სხვადასხვა არაოფიციალური წყაროს თანახმად, 3000-5000 ევროს გადახდის სანაცვლოდ). პოლონეთის, ლიეტუვისა და ლატვიის საზღვრების გადასაკვეთად მიგრანტთა ჯგუფები ბელარუსის სპეცსამსახურის თანამშრომლების ხელმძღვანელობით აგრძელებენ სასაზღვრო ზოლზე ზეწოლასა და თავდასხმებს. დამატებით, რუსეთის ფედერაციამ დაიწყო უკრაინის საზღვრებთან უპრეცედენტო რაოდენობის სამხედრო კონტიგენტისა და ტექნიკის მობილიზება.⁷ ესკალაციისკენ გადადგმული ნაბიჯებისა და დაძაბულობის ტემპერატურის მნიშვნელოვანი ზრდის პარალელურად, რუსეთმა დაიწყო ულტიმატუმების გაუღერება. დეესკალაციის სანა-ცვლოდ, რუსული მხარე უკვე ღიად მოითხოვს საკუთარი რევიზიონისტული ინტერესების დაკანონებას, რაც გამოიხატება ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების გაუქმების სურვილითა და ნატოს მხრიდან რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებში შეიარაღების განლაგების შეზღუდვის შესახებ შეთანხმე-

⁵ Martin Hurt. Is Zapad 2021 Any Different from Zapad 2017? (2021). [Link](#).

⁶ BBC. Belarus border crisis: How are migrants getting there? (2021). [Link](#).

⁷ Alberto Nardelli and Jennifer Jacobs. U.S. Intel Shows Russia Plans for Potential Ukraine Invasion. (2021). [Link](#).

ბის ხელმოწერაში.⁸ აღნიშნულ პროვოკაციულ ქმედებებსა და მოთხოვნებზე ნატოს საპასუხო რეაქცია დიდწილად განაპირობებს არა მხოლოდ საქართველოს, უკრაინისა და ზოგადად შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებას, არამედ წესებზე დამყარებული მსოფლიო წესრიგის მომავალს.

ნატოს ადაპტაციისა და ტრანსფორმაციის ტესტი

ნატომ რამდენჯერმე შეძლო ტრანსფორმაციის პროცესის წარმატებით წარმართვა და თანამედროვე საფრთხეებთან გამკლავებისთვის საჭირო ცვლილებების განხორციელება. დღეს გარედან მომავალი და ალიანსის შიგნით არსებული საფრთხეების ერთობლიობა, ნატოს უპრეცედენტო გამოცდის წინაშე აყენებს. ნატოს ქმედუნარიანობისა და ეფექტიანობის გაძლიერების მიზნით, სტოლტენბერგის მიერ მოწვეული ექსპერტების დასკვნა ალიანსის პოლიტიკური სიმტკიცისა და ერთიანობის გაძლიერების აუცილებლობაზე ამახვილებს ყურადღებას. არსებობს მოსაზრება, რომ ნატოს ყოველი გაფართოების და ახალი წევრების მიღების შემდეგ ნატოში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი ჭიანურდება და კონსესუსის მიღწევა სულ უფრო ძნელდება. ამის ძირითადი მიზეზი საფრთხეების და, შესაბამისად, თავდაცვის პრიორიტეტების შესახებ ოცდაათი სხვადასხვა გეოგრაფიული, პოლიტიკური და ეკონომიკური კონტექსტის მქონე მოკავშირის ხედვებს შორის არსებული განსხვავებებია. მაგალითად, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნები რუსეთს ეგზისტენციალურ და მყისიერ სამხედრო საფრთხედ აღიქვამენ მაშინ, როცა სამხრეთ ევროპის ქვეყნებს რუსეთისგან მომავალი საფრთხის ამგვარი შეფასება გადაჭარბებულად ეჩვენებათ და ახლო აღმოსავლეთიდან მომავალი ტერორიზმისა და არალეგალური მიგრაციის საფრთხეებზე აკეთებენ აქცენტს. ამერიკისთვის ჩინეთის მზარდი საფრთხე გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო საგანგაშოა, ვიდრე სხვა დანარჩენი გამოწვევები, ხოლო დასავლეთ ევროპის ქვეყნები ყველა ჩამოთვლილ საფრთხეთა დაბალანსებულ მიდგომას ლობიობენ და რუსეთთან თამშრომლობისა და საერთო ენის გამონახვის უალტერნატივობაზე აკეთებენ აქცენტს. აღნიშნული მაგალითებიდანაც ადვილი წარმოსადგენია, თუ რამხელა ძალისხმევა სჭირდება ალიანსში მნიშველოვანი გადაწყვეტილებების მიღებას რომელიმე მიმართულებით. უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევებთან ნატოს წარმატებით ადაპტაციის პროცესში გადამწყვეტია ალიანსის შიგნით არსებული სისუსტეების აღმოფხვრა და ნატოს წინაშე მდგარი საფრთხეების სათანადოდ შეფასება.

⁸ The Ministry of Foreign Affairs of the Russian Federation. Foreign Ministry statement on dialogue with the United States and other Western countries regarding security guarantees. (2021). [Link](#).

მოსალოდნელია, რომ რუსეთის მხრიდან ყოველგვარ ზღვარს გადასულმა აგრესიულმა ესკალაციამ ხელი უნდა შეუწყოს ალიანსის მხრიდან რუსეთის შეკავების შესახებ ერთიანი ხედვის, პოლიტიკისა და სტრატეგიის ჩამოყალიბებას. ასევე, რუსეთისა და ბელორუსის თანამშრომლობით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საზღვრებთან ნატოსა და ევროკავშირის მასშტაბით შექმნილმა მწვავე კრიზისის შედეგებმა, შესაძლოა, დადებითი როლი ითამაშოს საფრთხეების ერთიანი აღქმის ჩამოყალიბებაში.

თამამი ნაბიჯები ნატოს ერთიანობისა და ეფექტურობისკენ

ნატოს შიგნით ერთიანობის განმტკიცების მიმართულებით ერთ-ერთი ნაბიჯი შეიძლება იყოს ნატოში საფრთხეების შეფასების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, რომლის ფარგლებშიც, ალიანსის წევრი ქვეყნების უსაფრთხოების და სადაზვერვო სტრუქტურების ჩართულობით, ნატოს სამდივნო საფრთხეების შეფასების ერთობლივ დოკუმენტს შეიმუშავებს (NATO threat assessment document). პრაქტიკული შედეგების მიღწევისთვის აუცილებელია, რომ პროცესი წარიმართოს არა პოლიტიკურ, არამედ საექსპერტო დონეზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, დოკუმენტის შეიმუშავების პროცესი იმავე პოლიტიკური სირთულეების წინაშე დადგება, რომელიც ზოგადად ნატოში გადანყვეტილებების მიღების პროცესს ახლავს. ექსპერტთა მიერ შეთანხმებული დოკუმენტი პოლიტიკურ დონეზე უნდა დამტკიცდეს, ხოლო მისი საჯარო ვერსიის შინაარსზე დისკუსია წარიმართოს.

ნატოს ეფექტიანი ტრანსფორმაციის კონტექსტში, გადანყვეტილების მიღების პროცესის მოქნილი სისტემის ჩამოყალიბება ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პრობლემაა. ერთი მხრივ, კონსენსუსი ალიანსის ერთ-ერთი მთავარი ფუძემდებლური პრინციპია და ნატოში წევრი ქვეყნების თანასწორუფლებიანობის სიმბოლოს წარმოადგენს. მეორე მხრივ, ყველა დონეზე ნებისმიერი გადანყვეტილების მისაღებად ალიანსის უმაღლეს სათათბირო სტრუქტურაში (ჩრდილოატლანტიკური საბჭო; North Atlantic Council - NAC) კონსენსუსის მიღწევა უზარმაზარ ძალისხმევას მოითხოვს და ალიანსის ერთიანობასა და ეფექტურობას უქმნის საფრთხეს. შესაბამისად, შესაძლებელია განხილულ იქნას გარკვეული ტიპის გადანყვეტილებებზე კონსენსუსის ნაცვლად კვალიფიციური უმრავლესობის პრინციპით გადანყვეტილებების მიღების შესაძლებლობა.

ასევე, შესაძლებელია გენერალური მდივნისთვის და მის დაქვემდებარებაში არსებული საერთაშორისო სამდივნოსთვის მოხდეს უფლებამოსილების გაფართოება. ამ გზით შესაძლებელია რუტინულ და მიმდინარე საკითხებზე გადანყვეტილებების მიღების

პროცესზე პოლიტიკური გავლენების შემცირება და მისი ინსტიტუციონალურ ჩარჩოებში მოქცევა. დამატებით, აგრეთვე, შეიძლება გაიზარდოს ნატოს მთავარი ოპერატიული შტაბბინისა და ევროპის გაერთიანებული ძალების სარდლის უფლებამოსილება, მათ შორის ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაზე. აღნიშნული ნატოს მხრიდან კრიზისულ სიტუაციებზე სწრაფად და ეფექტიანად რეაგირების შესაძლებლობებს გააძლიერებს.

ნატოს მიერ თანამედროვე უსაფრთხოების გარემოს განახლებული ხედვის ერთ-ერთი საფუძველი ალიანის არაწევრ ქვეყნებთან პარტნიორობის და ინტეგრაციის ფორმატების ოპტიმიზაცია უნდა გახდეს. ევროატლანტიკური სივრცის ქვეყნებთან ნატოს თანამშრომლობის ძირითადი ფორმატი - ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო (Euro-Atlantic Partnership Council - EAPC) - აერთიანებს მთელ რიგ ქვეყნებს რომელთაც ნატოსთან თანამშრომლობის რადიკალურად განსხვავებული დინამიკა, ამბიციები და შესაძლებლობები გააჩნიათ. მაგალითად, EAPC-ის შემადგენლობაში შედიან ასპირანტი ქვეყნები - უკრაინა და საქართველო; ნეიტრალური ქვეყნები - შვეიცარია და ავსტრია; ნეიტრალური, თუმცა ტაქტიკურ და ოპერატიულ დონეზე ალიანსის ძალზე ახლო პარტნიორები - შვედეთი და ფინეთი; ნატოსთან თანამშრომლობით ნაკლებად დაინტერესებული აზერბაიჯანი, სომხეთი და ყაზახეთი. მეტიც, რუსეთის ფედერაცია, რომელიც ალიანსისთვის არა პარტნიორი, არამედ აღიარებული საფრთხეა, ასევე არის EAPC-ის წევრი. აღნიშნული ფორმატის არაეფექტურობის კარგი მაგალითია ნატოს კლასიფიცირებული ინფორმაციის გაცვლის სისტემა, რომლის მიხედვითაც EAPC-ს წევრი ქვეყნებისთვის დაწესებული დაშვების დონე (EAPC unclassified) ფორმალურად ხელმისაწვდომია რუსეთისთვისაც. EAPC-ის ფორმატის შეუსაბამობების და ასპირანტი ქვეყნებისთვის განვერიანების ინსტიტუციონალიზებული მკაფიო პროცესის არარსებობის გამო, ნატო იძულებული გახდა ახალი, ნახევრადფორმალური მექანიზმები შეექმნა. პარტნიორ ქვეყნებს შორის ლოგიკური დიფერენციაციის მიღწევას ალიანსი ისეთი დამატებითი ფორმატების მეშვეობით ცდილობს, როგორცაა, მაგალითად, ინტენსიური დიალოგი (Intensified Dialogue - ID) ან გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორობა (Enhanced Opportunity Partnership - EOP). უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული ტიპის არაფორმალური ფორმატები ვერ მოდის თანხვედრაში პარტნიორთა ამბიციებთან და მათთან თანამშრომლობის შესაძლებლობების სრულად რეალიზებას ვერ ახდენს. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ EAPC-ის ბაზაზე შეიქმნას პლატფორმა, რომლის ფარგლებშიც შესაბამის ქვეყნებთან მოხდება, ერთი მხრივ, პრაქტიკული თანამშრომლობის გაღრმავება და, მეორე მხრივ, ინტეგრაციის პროცესის დაგეგმვა და განხორციელება.

უფრო ფართო, სტრატეგიულ კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ ნატომ შეიმუშაოს პროექტიული პოლიტიკა აღმოსავლეთ ფლანგზე უსაფრთხოების განმტკიცების მიმართულე-

ბით. მუდმივად რუსეთის აგრესიულ პოლიტიკაზე რეაგირების რეჟიმში ყოფნა ალიანსის ინტერესების დაცვასა და უსაფრთხოების განმტკიცებას სულ უფრო და უფრო ართულებს. ერთი მხრივ, ამის მკაფიო დასტურია 2021 წლის ბოლოს რუსეთის მიერ შექმნილი მწვავე კრიზისი და უკიდურესად გამწვავებული ვითარება. მეორე მხრივ, არსებული კრიზისი ქმნის შეკავების პოლიტიკის მიმართ ახალი მიდგომის ჩამოყალიბების ლოგიკურ კონტექსტს, შესაძლებლობასა და აუცილებლობასაც კი. შეკავების პოლიტიკის გადახედვის ფარგლებში ნატომ რუსეთს უნდა შესთავაზოს საკუთარი დღის წესრიგი. ალიანსმა უნდა დაარწმუნოს რუსეთი, რომ მის აგრესიულ პოლიტიკას, შავი ზღვის რეგიონში მის მიერ შექმნილ შანტაჟის ბერკეტებსა და ნატოს არგაფართოების შესახებ კრემლის ულტიმატუმებს კონტრპროდუქტიული შედეგი მოაქვს. უკრაინისა და საქართველოს ნატოში განწევრიანების შესახებ ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების ნაცვლად, ნატომ ქმედითად უნდა დაადასტუროს ამ ქვეყნების ალიანსში განწევრიანების შეუქცევადობა. უკრაინისა და საქართველოსთვის მაკ-ის მინიჭება ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების აღსრულებისკენ ყველაზე ლოგიკური ნაბიჯია. ასევე, განწევრიანების სამოქმედო გეგმის ფარგლებში ორივე ასპირანტ ქვეყანას გაუჩნდება რეფორმების განხორციელების დამატებითი ვალდებულებაც, რაც, თავის მხრივ, ალიანსის ხელში დემოკრატიული განვითარების პროცესის ხელშეწყობის მძლავრი ბერკეტი იქნება.

ცალსახაა, რომ რუსეთს მიზნად აქვს დასახული, მეზობელ ქვეყნებზე ძალადობის გზით, წესებზე დამყარებული მსოფლიო წესრიგი ჩამოშალოს. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ უკრაინასა და საქართველოში დღეს ფართო ევროპული და ევროატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურის მომავლის საკითხი წყდება. ფაქტია, რომ აღმოსავლეთის ფლანგის ქვეყნებისთვის რუსეთის მზარდ ზენოლასთან გამკლავება დროთა განმავლობაში კიდევ უფრო რთულდება. შესაბამისად, არსებობს ორი სავარაუდო სცენარი: ერთ შემთხვევაში, ნატო გააგრძელებს ამბივალენტურ პოლიტიკას, რაც კიდევ უფრო წაახალისებს რუსეთის აგრესიას და გაართულებს აღმოსავლეთ ფლანგზე უსაფრთხოების გარემოს; ან მეორე შემთხვევაში, ნატო რეგიონის ქვეყნების მიმართულებით მკაფიო ხედვას შეიმუშავებს და როგორც საკუთარი, ასევე პარტნიორი ქვეყნების ინტერესების დასაცავად მკაფიო ნაბიჯებს გადადგამს, რაც რუსეთის შეკავებას გამოიწვევს.

ბიბლიოგრაფია

- Agenda.ge. Stoltenberg: “Georgia has all practical tools to prepare for NATO membership”. September 7, 2016. [Link](#). (17.12.2021);
- BBC. Belarus border crisis: How are migrants getting there? November 26, 2021. [Link](#). (17.12.2021);
- Hurt, Martin. Is Zapad 2021 Any Different from Zapad 2017? September 14, 2021. [Link](#). (17.12.2021);
- Nardelli, Alberto, and Jennifer Jacobs. U.S. Intel Shows Russia Plans for Potential Ukraine Invasion. November 22, 2021. [Link](#). (17.12.2021);
- NATO, Active Engagement, Modern Defence: Strategic Concept for the Defence and Security of the Members of the North Atlantic Treaty Organisation adopted by Heads of State and Government in Lisbon. May 23, 2012. [Link](#). (17.12.2021);
- NATO, NATO 2030: United for a New Era, Analysis and Recommendations of the Reflection Group Appointed by the NATO Secretary General. November 25, 2020. [Link](#). (17.12.2021);
- NATO. NATO decisions on open-door policy. April 4, 2008. [Link](#). (17.12.2021);
- The Ministry of Foreign Affairs of the Russian Federation. Foreign Ministry statement on dialogue with the United States and other Western countries regarding security guarantees. December 10, 2021. [Link](#). (17.12.2021).



Embassy
of the Republic of Poland
in Tbilisi

NATO
Contact Point Embassy



საქართველოსა და ნატოს პარტნიორობა ავღანეთის მისიის დასრულების შემდეგ და განვრცობის პერსპექტივები

ირაკლი მენაღარიშვილი



საქართველოსა და ნატოს პარტნიორობა ავღანეთის მისიის დასრულების შემდეგ და განვითარების პერსპექტივები

ქაბულის ოპერაცია ავღანეთში საქართველოს შეიარაღებული ძალების მისიის ბოლო აკორდი გახდა. ამ განცხადებას რამდენიმე მნიშვნელოვანი აქვს. ერთი მხრივ, დასრულდა ავღანეთში ნატოსა და საერთაშორისო თანამეგობრობის 20-წლიანი ანტიტერორისტული ოპერაცია და, შესაბამისად, ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა საქმიანობა ამ ქვეყანაში. მეორე მხრივ, 2021 წლის აგვისტოს დასასრულს ქაბულის საერთაშორისო აეროპორტიდან მოკავშირეთა და მათი პარტნიორი ავღანელებისა და მათი ოჯახის წევრების ევაკუაცია კიდევ ერთი გამოცდა აღმოჩნდა სხვებთან ერთად საქართველოდან წარგზავნილებისთვისაც.

ხსენებული ოპერაციის დროს თბილისის საერთაშორისო აეროპორტი ერთ-ერთი სატრანზიტო აეროპორტის როლს ასრულებდა. მისი გავლით 40-ზე მეტი რეისი შესრულდა ავღანეთიდან ევაკუირებული 5000-ზე მეტი სამხედრო თუ ლტოლვილის დანიშნულების ადგილებზე გადასაცემად. ასე დასრულდა კიდევ ერთი ეტაპი საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის თანამშრომლობისა - ეტაპი, რომლის განმავლობაშიც ქართველმა სამხედროებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავისი პროფესიონალიზმი და ერთგულება.

საქართველო მეხუთე უმსხვილესი კონტრიბუტორი იყო ნატოს ხელმძღვანელობით მოქმედ „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“. მისიის ფარგლებში ალიანსის ძალები მონაწილეობდნენ ავღანეთის უსაფრთხოების ძალების წვრთნაში, უწევდნენ მათ დახმარებას დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში. ამ საქმიანობაში მონაწილეობას იღებდა 870 ქართველი სამხედროც, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ ქაბულში, ბაგრამსა და მაზარი-შარიფში.

საქართველო ნატოს არაწევრი სახელმწიფოებიდან სამხედროების ყველაზე დიდ კონტრიბუტორს წარმოადგენდა „საერთაშორისო უსაფრთხოების დამხმარე ძალებშიც“, რომელიც გაეროს ეგიდით ტარდებოდა ავღანეთში და რომელიც 2014 წლის დეკემბერში დასრულდა.

2004 წლიდან დღემდე, სხვადასხვა დონეზე ჩატარებული 107 როტაციის ფარგლებში (ISAF, RSM), ავღანეთში განხორციელებულ საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა 20 ათასზე მეტმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო.

საქართველომ, ასევე, მხარი დაუჭირა ოპერაცია „აქტიურ ძალისხმევას“, ნატოს საზღვაო კონტრ-ტერორისტულ პროგრამას ხმელთაშუა ზღვაში. 2016 წლიდან კი საქართველო მონაწილეობს ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებშიც.

ნატო-საქართველოს ურთიერთობების მოკლე მიმოხილვა

ნატო-საქართველოს ურთიერთობები 1992 წლიდან იწყება, როდესაც საქართველო შეუერთდა ნატოს ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს, რომელიც 1997 წელს ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოთი შეიცვალა. აღნიშნულ ფორმატში, რომელშიც პარტნიორი და წევრი ქვეყნები სხვადასხვა აქტუალურ საკითხს განიხილავენ, საქართველო დღემდე აქტიურად არის ჩართული.

1994 წელს საქართველო გახდა ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის თანამონაწილე. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ალიანსის წევრ და პარტნიორ ქვეყნებში ერთობლივად იმართება სამხედრო წვრთნები და სამეთაურო-საშტაბო სწავლებები. საქართველო, ასევე, აქტიურად მონაწილეობს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში თანამედროვე უსაფრთხოების გამოწვევებთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის სემინარსა და კონფერენციაში.

2002 წელს ნატოს პრალის სამიტზე საქართველომ გააკეთა ოფიციალური განაცხადი ქვეყნის ალიანსში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, სწორედ ამ დროიდან იწყება საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესი.

2004 წლიდან ნატო-საქართველოს თანამშრომლობა უფრო ინტენსიური გახდა. კერძოდ, 2004 წლის 29 ოქტომბერს, ნატოს სტანდარტებთან დაახლოების და ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების წარმატებით განხორციელების მიზნით, საქართველო გახდა პირველი პარტნიორი სახელმწიფო, რომელთანაც ალიანსმა დაიწყო ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) ფორმატში თანამშრომლობა.

2006 წლის 21 სექტემბერს ნიუ იორკში გამართულ ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალურ შეხვედრაზე ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოსთან დაეწყო „ინტენსიური დიალოგი გაწევრიანების საკითხებზე“. აღნიშნული გადაწყვეტილების შედეგად, საქართველო ფორმალურად გადავიდა პარტნიორობის ფორმატიდან ალიანსის წევრობის კანდიდატობის, ასპირანტის, ფორმატზე.

საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების წარმატებით განხორციელებისა და, ინტენსიური დიალოგის ფარგლებში, თანამშრომლობის პროცესში მიღწეული პროგრესის საფუძველზე, 2008 წლის 3 აპრილს ბუქარესტის სამიტზე ალიანსმა მიიღო გადაწყვეტი-

ლება, რომ „საქართველო გახდება ნატოს წევრი ქვეყანა“. აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ გზავნილს საქართველოს ნატოში გაწევრიანების გზაზე.

ნატო-საქართველოს კომისია

ნატო-საქართველოს ურთიერთობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალიანსის მხრიდან გაცხადებული ერთმნიშვნელოვანი პოლიტიკური მხარდაჭერა, რომელიც მოჰყვა რუსეთის ფედერაციის მხრიდან 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო აგრესიას.

2008 წლის 19 აგვისტოს ბრიუსელში გაიმართა ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე საგანგებო შეხვედრა, რომელზეც ერთმნიშვნელოვნად იქნა დაგმოხილი რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები. სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება ნატო-საქართველოს კომისიის შექმნისა და 2008 წლის 15-16 სექტემბერს საქართველოში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტის შესახებ.

2008 წლის 15-16 სექტემბერს, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს საქართველოში გასვლითი ვიზიტის ფარგლებში, ნატო-საქართველოს კომისიის დამფუძნებელი სხდომა გაიმართა. 2008 წლის 2-3 დეკემბერს ბრიუსელში საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე გამართულ სხდომაზე მოკავშირეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ნატო-საქართველოს კომისია განახორციელებდა ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების იმპლემენტაციის მონიტორინგს, წარმართავდა საქართველოსა და ნატოს შორის პოლიტიკურ დიალოგს სხვადასხვა დონეზე და გამოყენებული იქნებოდა, როგორც პრაქტიკული თანამშრომლობის კოორდინაციის მექანიზმი.

ყოველწლიურად ნატო-საქართველოს კომისიის 20-მდე სხდომა იმართება ისეთ საკითხებზე, როგორცაა თავდაცვის, უსაფრთხოების, მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებების სფეროებში მიმდინარე რეფორმები, ასევე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება.

წლიური ეროვნული პროგრამა

2008 წლის 2-3 დეკემბერს გამართული ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრიალის უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო საქართველოსთან წლიური ეროვნული პროგრამის

ფარგლებში თანამშრომლობის დაწყებაც. წლიური ეროვნული პროგრამა წარმოადგენს განვრიანების სამოქმედო გეგმის ფაზაზე მყოფი ქვეყნებისა და ალიანსის პრაქტიკული თანამშრომლობის მექანიზმს, შესაბამისად, საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი იყო პრაქტიკული თანამშრომლობის ამ ინსტრუმენტის მიღება. შეიძლება ითქვას, რომ MAP-ზე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების გარეშე, საქართველომ მიიღო ამ ფორმატით გათვალისწინებული განვრიანებისთვის აუცილებელი პრაქტიკული ინსტრუმენტი. წლიური ეროვნული პროგრამა წარმოადგენს ერთი წლის განმავლობაში ქართული მხარის მიერ დაგეგმილი რეფორმებისა და სხვადასხვა ღონისძიებების დეტალურ ჩამონათვალს, რომელთა ძირითადი მიზანია ქვეყნის ევროატლანტიკურ სტანდარტებთან მიახლოება. ალიანსი ყოველწლიურად ახორციელებს პროგრამის იმპლემენტაციის შეფასებას და შედეგებს ქართულ მხარესთან ერთად განიხილავს.

გარდა ამისა, საქართველო ერთადერთი ასპირანტი ქვეყანაა, რომელსაც ინტეგრაციის კიდევ ორი მექანიზმი აქვს: ნატო-საქართველოს კომისია (NGC) და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP). ნატო-საქართველოს კომისია არის პოლიტიკური დიალოგის სპეციალური ინსტრუმენტი, რომელიც ჩამოყალიბდა 2008 წლის რუსული აგრესიის შემდეგ საქართველოში ბუქარესტში დაწყებული პროცესის ზედამხედველობის მიზნით.

ამ პერიოდში საქართველომ ნატოში განვრიანების დღეისათვის არსებული პრაქტიკულად ყველა ინსტრუმენტი გამოსცადა. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP), პირველად სწორედ საქართველოზე იქნა აპრობირებული. დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა ეს გამოცდა საქართველომ წარმატებით ჩააბარა და ეს მხოლოდ ჩვენი, ქართული მხარის, დასკვნა როდია. ასეთია პროცესზე ყველა მიუკერძოებელი დამკვირვებლის საყოველთაო შეფასება. ამიტომაც, გასაგებია კითხვაც, რომელიც საზოგადოებაში ბუნებრივად ისმის - როგორია სწავლისა და გამოცდის ამ პროცესის დასრულების, აგრეთვე, ალიანსში საქართველოს განვრიანების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების საკითხის პრაქტიკულად განხილვაზე გადასვლის პერსპექტივა.

აქ დღის წესრიგში ორი კითხვა დგება: ერთი მხრივ, როგორია საქართველოს მზაობა ალიანსის წევრობისათვის? მეორე მხრივ, როგორია ალიანსის წევრი ქვეყნების მზაობა მიიღონ საქართველო ალიანსში?

პირველ კითხვაზე პასუხი შედარებით ადვილია. საქართველომ უკვე წარმატებით განახორციელა არაერთი ციკლი წლიური ეროვნული პროგრამისა (ANP), რომელიც MAP-ის ქვეყნების წევრობისთვის მოსამზადებლად ერთადერთი პრაქტიკული ინსტრუმენტია. დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს რეფორმების დღის წესრიგის ყოვლისმომცველ გზამკვლევს სახელმწიფოებრიობის ძირითად სფეროებში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ყველა წლიური შეფასების დოკუმენტი ANP-ზე პოზიტიურია. ამგვარად, MAP-ზე საქართველოს მოწვევაზე პოლიტიკური გადაწყვეტილების გაჭიანურებას აქცენტი დამატებით გადააქვს ჩვენ მიერ დასმულ მეორე კითხვაზე და აქ პასუხი, სამწუხაროდ, ისეთივე ნათელი და მკაფიო როდია, როგორც პირველი საკითხის შემთხვევაში.

2008 წლის ბუქარესტის სამიტზე საქართველოსა და უკრაინისათვის განვრიანების სამოქმედო გეგმის დამუშავების გადაწყვეტილებას ე.წ. სკეპტიკოს ევროპულ სახელმწიფოთა ჯგუფი (გერმანია, საფრანგეთი) აღუდგა წინ. მათი პოზიცია მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოებისადმი რუსეთის მწვავედ უარყოფითი დამოკიდებულებით.

იგივე ოპონენტი ყავს ნატოს გაფართოებას დღესაც. რუსეთისათვის საქართველოსა და უკრაინის ნატოში განვრიანება ისეთი წითელი ხაზია, რომლის გადაკვეთას იგი ვერ შეეგუება. თუმცა ის, რითაც რუსეთის ფედერაცია ამგვარ შეურიგებელ პოზიციას ამართლებს, სრულიადაა მოკლებული საფუძველს. რუსეთის უსაფრთხოებას ალიანსთან მეზობლობა არაფრით არ ემუქრება.

პირიქით კი, დიახაც, შესაძლებელია მოვლენათა განვითარება. რუსეთის მტრული დამოკიდებულება მეზობლებთან და მისი მზაობა დაუფიქრებლად გამოიყენოს შეიარაღებული ძალა, თუ ამას თვითონ მიზანშეწონილად ჩათვლის, არავისში ეჭვს აღარ იწვევს და ამით იგი ხშირად აფრთხობს როგორც პარტნიორებს, ისე ოპონენტებსაც.

ცივი ომის დასრულების შემდეგ რუსეთსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შორის ურთიერთობა დათბა და რუსეთმა ისევე დაიწყო თანამშრომლობა ნატოსთან, როგორც სხვა პოსტკომუნისტურმა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა. რუსეთის ფედერაცია მონაწილეობდა როგორც „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ პროგრამაში, ისე ალიანსის სამშვიდობო ოპერაციებშიც. ბუნებრივია, რუსეთს ოფიციალურად თავისი უარყოფითი დამოკიდებულება არც ნატოს „ღია კარის“ პოლიტიკისადმი არ გამოუხატავს. კრიტიკული რეპლიკები მხოლოდ ე.წ. „ნაციონალისტურად“ განწყობილი და პროკომუნისტური ოპოზიციის მხრიდან ისმოდა.

პირველი ბზარი მათ ურთიერთობაში ნატოს მიერ კოსოვოს მოვლენების შედეგად სერბეთის წინააღმდეგ ავიაციის გამოყენების შემდეგ გაჩნდა. რუსეთმა მისი „მოდემ“ სერბების წინააღმდეგ ძალის გამოყენება მიუღებლად მიიჩნია და „პროტესტის“ ნიშნად რამდენიმე „ექსტრავაგანტური“ ნაბიჯიც კი გადადგა. მკითხველს ალბათ ახსოვს მოულოდნელად, მოკავშირეებთან შეუთანხმებლად ბოსნიაში განლაგებული რუსული სამშვიდობო ბატალიონის დისლოკაციის ადგილიდან თვითნებურად მოხსნა და მისი ე.წ. „გმირული რეიდი“ კოსოვოსკენ, პრიშტინის აეროპორტში ადგილის დასაკავებლად.

რუსული დიპლომატიის ანალებში აუცილებლად აღინიშნება რუსეთის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის, ევგენი პრიმაკოვის, დემარშიც. მან ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმავალი თავისი თვითმფრინავი ატლანტის ოკეანის თავზე უკან მოაბრუნებინა და ამერიკაში თავისი ვიზიტი დემონსტრაციულად გააუქმა.

თუმცა მაშინ ამ ინციდენტების მოგვარება მოხერხდა და მათ ნატო-რუსეთის ურთიერთობები სერიოზულად არ დაუზიანებია. უფრო მეტიც, თანამშრომლობის განვითარებისათვის დამატებითი ნაბიჯებიც კი გადაიდგა. კერძოდ, შემუშავდა ნატო-რუსეთის თანამშრომლობის ფუძემდებლური აქტი და შეიქმნა ნატო-რუსეთის საბჭო.

რუსეთს წინააღმდეგობა არც ალიანსის გაფართოების მეორე ტალღისათვის არ გაუწევია. თუმცა, ამ ტალღის ფარგლებში, ალიანსის წევრად სამი პოსტსაბჭოთა ქვეყანა, ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი, იქნა მიღებული. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტალღა ყველაზე მასშტაბური გახლდათ - ალიანსს სულ 7 ახალი წევრი შეემატა.

სერიოზული ცვლილება რუსეთის რიტორიკაში 2007 წლიდან იწყება. ამის უშუალო მიზეზი დღემდე კამათის საგანია. თუმცა დამკვირვებელთა უმრავლესობა რუსეთის პოლიტიკაში ამგვარ ზიგზაგს მაინც ეკონომიკური კონიუნქტურის ცვლილებას უკავშირებს. ამ დროისათვის მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის სერიოზულმა მატებამ რუსეთის სახელმწიფო მონოპოლიების შემოსავლები მნიშვნელოვნად გაზარდა და ქვეყნის მმართველ ელიტას საშუალება მისცა თავი უფრო თვითდაჯერებულად, უცხოეთის დახმარებისაგან დამოუკიდებლად ეგრძნო.

ამგვარი პოზიცია პირველად რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 2007 წელს მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე გამოსვლისას განაცხადა. ეს გამოსვლა დასავლეთისათვის ცივ შხაპად იქცა.

პრეტენზიები უამრავ საკითხს შეეხო. ჩვენ მხოლოდ ერთზე შევჩერდებით. საქმე ეხებოდა, ვლადიმერ პუტინის მტკიცებით, დასავლეთის მხრიდან შეუსრულებელ დაპირებას, რომ ნატო აღმოსავლეთით არ გაფართოვდებოდა. ამის გამო, რუსეთის პრეზიდენტი ნატოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს ვერაგობასა და სიტყვის გატეხვაში სდებდა ბრალს.

ცალკე განხილვის საგანია ამგვარი დაპირების არსებობა-არარსებობის თემა. ცნობილია, რომ ამგვარ შეთანხმებას რაიმე დოკუმენტის სახით არასოდეს უარსებია, ხოლო რუსეთის წარმომადგენლები გერმანიის გაერთიანების საკითხზე საბჭოთა ლიდერის, მიხეილ გორბაჩოვის, დასავლეთის ხელმძღვანელებთან საუბრების დროს ნატოს გაფართოების შეზღუდვის შესახებ შესაძლო შეთანხმების ხსენების ფაქტს ასახელებენ. თუმცა ზემოთაღნიშნული იდეა მაშინ მხოლოდ იდეად დარჩა.

ამგვარად, ბერლინის კედლის დანგრევის მე-17 წლისთავზე რუსეთის პრეზიდენტმა ნატოს გაფართოების წინააღმდეგ ლაშქრობა გამოაცხადა.

პირველი შეტევა 2008 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტზე განხორციელდა, რის თაობაზეც ზევით უკვე ვისაუბრეთ. თუმცა ეს ლაშქრობა მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით როდი შემოიფარგლა. რუსეთი რეალურ საომარ მოქმედებასაც არ მორიდებია. თვით რუსეთის ლიდერებსაც კი არ დაუმაღავთ, რომ საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის აგრესიული შეტევა სწორედ საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების დათრგუნვას ისახავდა მიზნად. ამ გეგმის ორგანული ნაწილი იყო ქართული სახელმწიფოს ტერიტორიების ოკუპაცია და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადებაც.

შემდეგი აგრესიული ნაბიჯი რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ მიმართა. უკრაინისადმი პრეტენზიები მხოლოდ ნატოს გაფართოების თემას როდი ეხებოდა. რუსეთს უკრაინასთან როგორც ტერიტორიული პრეტენზიები (ყირიმი), ისე უფრო ფართო, სტრატეგიული მნიშვნელობის პრობლემაც ჰქონდა - პროდასავლური უკრაინა სერიოზული მუხრუჭი ხდებოდა რუსეთის მმართველი კლანის „დიდი გეგმისა“ ევრაზიული კავშირის სახით პოსტსაბჭოთა სივრცის კონსოლიდაციის გეგმის რეალიზაციის გზაზე. ეს მიზები საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ რუსეთს არაფრად ჩაეგდო საერთაშორისო საზოგადოების შესაძლო მძაფრი ნეგატიური რეაქციის პერსპექტივა და სუვერენული ევროპული სახელმწიფოს წინააღმდეგ წამოეწყო პირდაპირი აგრესია, რომელიც ჰიბრიდული ომის ლეღვის ფოთლით ოდნავ იყო შეფუთული.

ახლა რუსეთის გაშმაგებული დაპირისპირება ალიანსის გაფართოების პერსპექტივასთან უკვე არათუ დიპლომატიის, უბრალო კეთილგონიერების ფარგლებსაც კი სცდება. ვლადიმერ პუტინმა ევროპის შუაგულში ნამდვილი სამხედრო შანტაჟის დემონსტრირება მოაწყო. რუსეთის არმიის 100 ათასიანი კონტინგენტი და უამრავი სამხედრო ტექნიკა უკრაინის საზღვართან არის კონცენტრირებული, ხოლო დასავლეთის გაფრთხილების, უკრაინის საზღვარი არ გადალახოს, პასუხად რუსეთმა ნატოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს ულტიმატუმის ტონით შედგენილი ხელშეკრულების პროექტი გაუგზავნა. რუსული მოთხოვნის ძირითადი აზრი ისტორიის ჩარხის უკან დაბრუნება, ევროპიდან აშშ-ის გაძევება და ნატოს გაფართოების სამუდამოდ აღკვეთაა. ბუნებრივია აქ პოლიტიკასა და სტრატეგიულ გათვლებზე საუბარი უბრალოდ უხერხულია.

ამგვარ პათოლოგიურ გარემოში პრინციპული მნიშვნელობა აქვს დასავლეთის მიერ სიმტკიცის გამოჩენას და მოვლენათა ასეთ არარაციონალურ განვითარების პროცესში რაციონალური ელემენტის შეტანას. სამწუხაროდ, სხვაგვარი შეფასება ჯერ-ჯერობით არარელევანტური იქნებოდა.

არის თუ არა ნატო ერთგული იმ დემოკრატიული პროექტის, რომელიც განისაზღვრა, როგორც ევროპის დასავლური ხედვის საფუძველი 1990 წლის შემდეგ? რჩება თუ არა დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოება დასავლური სტრატეგიის ბირთვად, თუ რუსეთთან დიპლომატიური თანამშრომლობის ურთიერთობების აღდგენა ახლა საერთა-შორისო თანამეგობრობის პირველი მიზანია?

ეს კითხვები არასოდეს ყოფილა რიტორიკული, განსაკუთრებით ახლა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დემოკრატიული სამყარო კვლავაც დარჩება თავისი ისტორიული მისიის ერთგული.



Embassy
of the Republic of Poland
in Tbilisi

NATO
Contact Point Embassy



ნატო-ს როლი საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების პროცესში

ნათია გვენეტაძე



ნატო-ს როლი საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების პროცესში

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო ცდილობს, ჩამოშორდეს რუსეთის გავლენის სფეროს და ევროატლანტიკური უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ გაერთიანდეს. მოსკოვის მხრიდან მუდმივი ზეწოლის მიუხედავად, ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით საქართველოს საგარეო პოლიტიკა თანმიმდევრულია და უწყევად მიიწვევს აღნიშნული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად. ამასთანავე, საქართველოს ნატოსთან ხანგრძლივი და მზარდი თანამშრომლობის დინამიკა აკავშირებს. ნატო-საქართველოს თანამშრომლობას საფუძველი 1991 წლიდან ჩაეყარა და საქართველომ ჯერ კიდევ 2002 წელს პრალაში გამართულ სამიტზე ალიანსში განწევრიანების სურვილი გამოთქვა, რის შემდეგაც ინტეგრაციის გამოწვევებითა და შესაძლებლობებით სავსე პროცესი დაიწყო.

თავის მხრივ, ალიანსმა საქართველოს მიერ ტრანსფორმაციის წარმატებული პროცესისა და საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაში შეტანილი მასშტაბური წვლილის საპასუხოდ, პოლიტიკური მხარდაჭერა და პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინა. 2008 წელს ნატოს ბუქარესტის სამიტზე, მოკავშირეებმა განაცხადეს და შემდგომი სამიტების გადამწყვეტილებებსა და ნატოს სტრატეგიულ კონცეფციაში არაერთხელ დაადასტურეს, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი. 2011 წლიდან საქართველო ოფიციალურად ნატოს ასპირანტ სახელმწიფოდ არის მოხსენიებული, ხოლო 2014 წელს უელსის სამიტზე ქვეყანა ნატოს ერთ-ერთ ყველაზე თავსებად სახელმწიფოდ აღიარეს და „გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორის“ (EOP) სტატუსი მიანიჭეს. დღეს საქართველო ნატოს სანდო და საიმედო პარტნიორია და მას ალიანსში განწევრიანების ყველა პრაქტიკული მექანიზმი აქვს.

ნატოში განწევრიანება ქართველი ხალხის ღირებულებებზე დაფუძნებული ისტორიული არჩევანია, რომელიც საერთო დემოკრატიულ ფასეულობებს და პრინციპებს ეფუძნება. საყურადღებოა, რომ 2021 წლის აშშ-ის ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიხედვით, ნატოში განწევრიანებას მოსახლეობის 74% ემხრობა.⁹ ამასთან, ალიანსში განწევრიანება სახელმწიფოს უზენაეს კანონში, საქართვე-

⁹ Civil.ge. საზოგადოებრივი განწყობები NDI-ის კვლევაში. (2021). [ბმული](#).

ლოს კონსტიტუციაში არის ასახული, რაც ქვეყნის მიერ არჩეულ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ნათელი დემონსტრირებაა.

აღსანიშნავია, რომ ნატო წარმოადგენს არა მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსს, არამედ დემოკრატიულ ღირებულებების გარშემო გაერთიანებული სახელმწიფოების ერთობას. როგორც აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის ინსტიტუტის მკვლევარი, ლუკ კოფი, აღნიშნავს, 1991 წლიდან პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვების შემდეგ, საქართველო უწყევად მიიწევს დემოკრატიისკენ. მისი განმარტებით, წლებია საქართველოში მიმდინარეობს ეკონომიკის ლიბერალიზაციის პროცესი და კორუფციის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა. უფრო მეტიც, ავტორის მოსაზრებით, საქართველო ტრანსატლანტიკური გაერთიანების ერთგული პარტნიორია და ქვეყნის დემოკრატიისკენ სვლა რეგიონის სხვა ქვეყნებისთვის მაგალითს წარმოადგენს.¹⁰

საქართველო ნატოში გაწევრიანებას ეროვნული უსაფრთხოების ქვაკუთხედად მიიჩნევს, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის თანახმად, ალიანსში გაწევრიანება ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მყარ გარანტიებს შექმნის და რეგიონული სტაბილურობის განმტკიცებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.¹¹

ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია და შეძლო, უსაფრთხოების მიმღები სახელმწიფოდან უსაფრთხოების უზრუნველყოფელ სახელმწიფოდ გარდაქმნა.

I - ნატო-საქართველოს თანამშრომლობის საკვანძო ასპექტები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ნატო-საქართველოს თანამშრომლობა მრავალწლიან და პროდუქტიულ ციკლს მოიცავს, თუმცა განსაკუთრებით საყურადღებოა ის საკვანძო ფორმატები, რომელთა გამოყენების შედეგადაც, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა განსაკუთრებით განმტკიცდა და ალიანსთან თავსებადობის დონე ამაღლდა.

2004 წელს საქართველო გახდა ალიანსის პირველი პარტნიორი ქვეყანა, რომელთანაც ნატომ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) ფორმატში თანამშრომლობა დაიწყო. IPAP-ის ფარგლებში, ქვეყანამ ალიანსის წინაშე აიღო კონკრეტული ვალდებულებები და წარმატებით ასრულებდა რეფორმირების პროცესს, რამაც განაპირობა 2006 წლის ნატოს საგარეო საქმეთა მინისტერიალზე საქართველოსთან

¹⁰ ლუკ კოფი. საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ინტერესებშია. The Heritage Foundation. სპეციალური მოხსენება. (2018).

¹¹ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. (2011). [ბმული](#).

ინტენსიური დიალოგის (ID) ფორმატში თანამშრომლობის დაწყება. ინტენსიური დიალოგის ფარგლებში იმართებოდა კონსულტაციები პოლიტიკურ, უსაფრთხოების, კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების, თავდაცვის, სამოქალაქო საგანგებო დაგეგმვის, ეკონომიკურ, მეცნიერების, განათლების და სხვა საკითხებზე.

2008 წელს ნატომ საქართველოსთან განსაკუთრებული თანამშრომლობის ფორმატის, ნატო-საქართველოს კომისიის (NGC) შექმნის გადაწყვეტილება მიიღო და ინდივიდუალური თანამშრომლობის სამოქმედო გეგმა ყოველწლიური სამოქმედო პროგრამით (ANP) ჩაანაცვლა. პროგრამა წარმოადგენს საქართველოსა და ალიანსს შორის პრაქტიკული თანამშრომლობის მექანიზმს და ხელს უწყობს საქართველოს ნატოსთან თავსებადობის ამაღლებას. აღსანიშნავია, რომ წლიდან წლამდე საქართველოს მიერ წლიური ეროვნული პროგრამით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დადებითად ფასდება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, 2014 წელს ნატოს თავდაცვის შესაძლებლობების აღმშენებლობის ინიციატივის (DCB) ფარგლებში, საქართველოსთვის ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) მინიჭება. პაკეტის მიზანია, დაეხმაროს საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებაში, ნატოსთან თავსებადობის ამაღლებასა და რაც მთავარია, ნატო-ში განვერიანების პროცესის ხელშეწყობაში. ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ისტორიაში, არსებითი პაკეტი წარმოადგენს ყველაზე კომპლექსურ და ამასთანავე მოქნილ პრაქტიკულ მექანიზმს, რომელიც მორგებულია ეროვნულ საჭიროებებზე და გულისხმობს „მეტ ნატოს საქართველოში და მეტ საქართველოს ნატოში“.

II - თავდაცვის ტრანსფორმაცია ნატოს მოთხოვნების შესაბამისად

ნატოში ინტეგრაციის გზაზე საქართველომ ალიანსის მხარდაჭერით დემოკრატიის, თავდაცვისუნარიანობის და უსაფრთხოების გაძლიერების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა განახორციელა. ქვეყანამ თავდაცვის სფეროში ინსტიტუციური რეფორმების გატარება წლების წინ დაიწყო და დღესაც მათი განხორციელება პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ნატოს მოთხოვნების შესაბამისად, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის დამყარება, სამართლებრივი და კონცეპტუალური ბაზის შექმნა, ინსტიტუციური განვითარება, თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერება, წვრთნებისა და სამხედრო განათლების სისტემის ჩამოყალიბება. თავდაცვის რეფორმირების პროცესი გამჭვირვალობის, ანგარიშ-

ვალდებულებისა და გენდერული თანასწორობის პრინციპებს ეფუძნება და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ყურადღება საერთაშორისო თანამშრომლობას ენიჭება.

საქართველომ დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად, სამოქალაქო კონტროლი დაამყარა შეიარაღებულ ძალებზე და 2004 წლიდან თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო პირი ხელმძღვანელობს. თავდაცვის მართვის ეფექტური სისტემის შესაქმნელად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, კერძოდ, თავდაცვის სამინისტროს და გენერალური შტაბის ფუნქცია-მოვალეობები გაიმიჯნა და სამხედრო-სამოქალაქო პერსონალის მართვის, რესურსების მართვის, განათლებისა და პროფესიული განვითარების სისტემები ნატოს სტანდარტების შესაბამისად ჩამოყალიბდა და დაინერგა.

ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის პროცესის ფარგლებში, ეტაპობრივად დაიწყო ეროვნული დონის კონცეპტუალური და უწყებრივი დოკუმენტების შემუშავება. ნატოს შესაბამისი სამსახურების რეკომენდაციებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, უწყებათაშორისი თანამშრომლობის ფორმატის აქტიური გამოყენებით, დაინერგა მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი დაგეგმვის ციკლი. 2005 წელს საქართველომ პირველად შეიმუშავა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც ეროვნული დონის ფუნდამენტურ და ფუძემდებლურ დოკუმენტად განისაზღვრა. ამასთანავე, საშუალო და გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტებად გაიწერა საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი, ეროვნული სამხედრო სტრატეგია და თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა.

ეროვნული, რეგიონული და გლობალური გამოწვევებისა და საფრთხეების გათვალისწინებით, პერიოდულად გადაიხედება და განახლდება ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტები. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის კოორდინაციით, მიმდინარეობს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის (2011 წელი), ეროვნული თავდაცვის სტრატეგიისა და საფრთხეების შეფასების დოკუმენტების განახლება, რაც მედეგი საზოგადოებისა და მედეგი სახელმწიფოს მშენებლობის საფუძველია. აღნიშნულის მისაღწევად, საქართველომ თავდაცვის დაგეგმვა ტოტალური თავდაცვის მიდგომის გამოყენებით დაიწყო. ტოტალური თავდაცვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირება სახელმწიფოს მდგრადობას უზრუნველყოფს, რაც თავის მხრივ, კრიზისული ვითარების დაძლევისა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფუნქციებისა და სერვისების უწყვეტობის შენარჩუნებას და ეფექტიან უწყებათაშორის თანამშრომლობას გულისხმობს. სამხედრო თავდაცვასა და სამოქალაქო თავდაცვასთან ერთად, ქვეყნის მდგრადობის აუცილებელ ელემენტს გაძლიერებული საერთაშორისო თანამშრომლობა წარმოადგენს.¹²

¹² საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. მინისტრის დირექტივები. (2019). [ბმული](#).

ნატოს მოთხოვნების შესაბამისად, ქვეყნამ თავდაცვისუნარიანობის ერთ-ერთი საკვანძო კომპონენტის, თავდაცვის სექტორის ინსტიტუციური განვითარების, კუთხით მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა. ინსტიტუციური რეფორმები მიზნად ისახავს თავდაცვის სექტორში ერთიანი დაგეგმვის, მართვისა და გადაწყვეტილების მიღების ეფექტიანი მექანიზმების დანერგვას, უწყებათაშორისი კოორდინაციის ხელშეწყობას, ანტი-კორუფციული გარემოს შექმნას, მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების გაუმჯობესებას და ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დანერგვას. ამ მხრივ, წლების განმავლობაში ნატოს მიერ განეული დახმარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, რომ საქართველო ნატოს გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების ინიციატივაში (BI Initiative) მონაწილეობს. ქართულმა მხარემ ჯერ კიდევ 2013 წელს შეავსო თვითშეფასების კითხვარი, რომლის საფუძველზეც ალიანსის ექსპერტთა ჯგუფმა შეფასების დოკუმენტი (Peer Review Report) შეიმუშავა. უფრო მეტიც, ნატოს რეკომენდაციების გათვალისწინებით, ქართველი ექსპერტები კეთილსინდისიერების ამაღლების კუთხით, მიღებულ გამოცდილებასა და საუკეთესო პრაქტიკას წარმატებით უზიარებენ პარტნიორ სახელმწიფოებს.

ამასთანავე, თავდაცვის სფეროში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა ანგარიშვალდებულების განმტკიცების თვალსაზრისით. თავდაცვის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტთან, მედიასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ღია მმართველობისა და უსაფრთხოებისადმი ერთიანი და ყოვლისმომცველი მიდგომის დანერგვას.

ბოლო წლების განმავლობაში აქტიური ძალისხმევა იყო მიმართული გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დანერგვა-განვითარებისკენ. საქართველოს სრულად იზიარებს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ დამტკიცებული რეზოლუციების მოთხოვნებს. ქვეყანა, ნატოსთან პარტნიორობის ფარგლებში და გაეროს ფორმატებით აღებული ვალდებულებების შესაბამისად, ახორციელებს გენდერული პერსპექტივების ინტეგრირებას თავდაცვის პოლიტიკასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ საწვრთნელ პროექტში.

სწორედ ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, ეტაპობრივად დაიხვეწა სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის მართვის სისტემა, ვინაიდან პროფესიონალი, ერთგული და მოტივირებული სამხედრო მოსამსახურეებისა და სამოქალაქო პირების მოზიდვა-შენარჩუნება თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების საკვანძო ასპექტია.

ინსტიტუციური განვითარების კონტექსტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კიბერ-უსაფრთხოებისა და სტრატეგიული კომუნიკაციების შესაძლებლობების განვითარებას. ზემოხსნებული მიმართულებების განვითარების პროცესში, კერძოდ, კონცეპტუალური,

სტრუქტურული და პროფესიული განათლების თვალსაზრისით, ნატომ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აღმოუჩინა საქართველოს.

ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში, სხვა მიმართულებებთან ერთად, კიბერთავდაცვა და სტრატეგიული კომუნიკაციები ცალკე ინიციატივებად განისაზღვრა და ნატოს კიბერთავდაცვისა და სტრატეგიული კომუნიკაციების დახელოვნების ცენტრებთან მჭიდრო და პროდუქტიული თანამშრომლობა განვითარდა.

შედეგად, თავდაცვის სამინისტროს ფარგლებში არსებული კიბერუსაფრთხოების ბიუროს შესაძლებლობები განვითარდა, რომელიც მიზნად ისახავს ინფორმაციული უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული ქმედებების, კიბერშეტევებისა და კომპიუტერული უსაფრთხოების ინციდენტების პრევენციულ და რეაქციულ მართვას. ამასთანავე, ქვეყანამ 2021-2024 წლების საქართველოს კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია შეიმუშავა და დაამტკიცა.

არსებითი პაკეტის ინიციატივის შესაბამისად, თავდაცვის სამინისტროში პირველად შეიქმნა სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი და გაიწერა სტრატეგიული კომუნიკაციების სტრატეგია. შემდგომ ეტაპზე ნატოს სტრატეგიული კომუნიკაციების დახელოვნების ცენტრის ექსპერტების აქტიური ჩართულობით, საქართველო გახდა პირველი ქვეყანა ალიანსის პარტნიორ ქვეყნებს შორის, რომელმაც ნატოს მიერ სერტიფიცირებული სტრატეგიული კომუნიკაციების კურსი განავითარა.

საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების ეტაპობრივი განვითარება და რეფორმების შეუქცევადობა ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფის აუცილებელი წინაპირობაა. შესაბამისად, რეფორმირების პროცესი ემსახურება ქვეყნის თავდაცვის-უნარიანობის განმტკიცებას, ნატოსთან თავსებადობის ამაღლებას და ალიანსში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობას. თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებისთვის, საქართველო ნატოს სტანდარტების შესაბამისად, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მინიმუმ 2%-ით განსაზღვრავს თავდაცვით ხარჯებზე და შეიარაღების შესყიდვაზე საერთო თავდაცვის ბიუჯეტის არანაკლებ 20%-ს გამოყოფს.

ამ ეტაპზე, საქართველოს თავდაცვის ძალების ერთ-ერთ გამოწვევასა და, შესაბამისად, პრიორიტეტებს წარმოადგენს ტერიტორიული თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება, რაც სხვა კომპონენტებთან ერთად, მოიცავს ჯავშანსატანკო, საინჟინრო, საჰაერო თავდაცვის, სადაზვერვო-სათვალთვალო და საარტილერიო მიმართულებების გაძლიერებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, დღეს ნატოსა და კონკრეტული მოკავშირეების დახმარება ორიენტირებულია ტერიტორიული თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე. ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი, თავის მხრივ, ეხმარება

საქართველოს თავდაცვის ძალებს შესაბამისი პრიორიტეტული მიმართულებების განვითარებაში.

ამასთან, სამხედრო შესაძლებლობების განვითარების მხრივ, ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP), რომელიც წვრთნისა და ინსტიტუციური განვითარების კომპონენტებს აერთიანებს. პროგრამის წარმატებით განხორციელება საქართველოს საშუალებას აძლევს, დამოუკიდებლად დააკომპლექტოს, განვრთნას, აღჭურვოს და შეინარჩუნოს ძალები. GDRP-ის დახმარებით, საქართველოს თავდაცვის ძალებს შესწევს უნარი, რომ უხელმძღვანელოს გადასროლისწინა მოსამზადებელ სწავლებებს და აშშ-სთან თანამშრომლობის ფარგლებში, საკუთარი წვლილი შეიტანონ კოალიციური ძალების მიერ ორგანიზებულ ოპერაციებსა და ნატოს მისიებში.

საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამას, რომლის ფარგლებშიც 9 ქვეითი ბატალიონი გაიწვრთნა და აღიჭურვა, 2021 წლის ბოლოს საქართველოსა და აშშ-ის შორის 2021 წლის ოქტომბერს გაფორმებული თანამშრომლობის ახალი მემორანდუმის საფუძველზე საქართველოს თავდაცვისა და შეკავების გაძლიერების ინიციატივა (Georgia Defense and Deterrence Enhancement Initiative) ჩაანაცვლებს. ინიციატივა ორიენტირებული იქნება ორგანიზაციული ცვლილებების ხელშეწყობასა, რაც საქართველოს თავდაცვის სისტემის ინსტიტუციური შესაძლებლობებს განამტკიცებს, და თავდაცვის ძალების შესაძლებლობების განვითარებაზე, ტერიტორიული თავდაცვის გასაძლიერებლად და ნატოსთან თავსებადობის ასამაღლებლად.¹³

თავდაცვის ძალების ორგანიზაციული მართვის გასაძლიერებლად, საქართველოს თავდაცვის ძალებში ეტაპობრივად დაიწყო ამოცანით მართვის მიდგომის დანერგვა, რომელიც კომპლექსური და ხანგრძლივი პროცესია. ამოცანით მართვა მიზნად ისახავს გადანყვეტილებების მიღების პროცესის დეცენტრალიზებას და ხელს უწყობს თავდაცვის ძალებს, იმოქმედონ სწრაფად, მოქნილად და თავდაჯერებულად. კერძოდ, ამოცანით მართვა გულისხმობს მეთაურებსა და მათ დაქვემდებარებულებს შორის ნდობის ისეთი მაჩვენებლის მიღწევას, რაც ქვედა რგოლის სამხედრო მოსამსახურეებს მშვიდობიანი თუ საომარი მდგომარეობისას მეთაურის ჩანაფიქრის ფარგლებში გონივრული რისკის აღებისა და დროული გადანყვეტილების მიღების უნარის განვითარებაში დაეხმარება.¹⁴ აღნიშნული პროექტი ალიანსის ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით ხორციელდება.

¹³ Jim Garamone. U.S., Georgia Defense Leaders Sign Memo to Continue Training Effort. U.S. Department of Defense. (2021). [Link](#).

¹⁴ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. მინისტრის დირექტივები. (2019). [ბმული](#).

ამოცანით მართვა თავდაცვის ძალების განვითარების ყველა დონეზე უნდა დაინერგოს, რაც, თავის მხრივ, ორგანიზაციული კულტურის ცვლილებას და ნატოს წევრ ქვეყნებთან თავსებადობის ამაღლებას ითვალისწინებს. ამოცანით მართვის წარმატებით განხორციელებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შესაბამისი წვრთნებისა და განათლების სისტემის განვითარება.

ნატოსთან მჭიდრო თანამშრომლობით და მოკავშირეების აქტიური დახმარებით, საქართველომ თანამედროვე და ნატოსთან თავსებადი სამხედრო განათლებისა და წვრთნების სისტემა დაწერა და მისი განვითარება დღესაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

სამხედრო განათლების რეფორმირების შედეგად, ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ჩამოყალიბდა და განვითარდა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, შეიქმნა სერჟანტთა აკადემია და საერთო საჯარისო მომზადების ცენტრი, რომელიც აერთიანებს სამხედრო საკარიერო სკოლებს. აღნიშნულ საგანმანათლებლო და სწავრთვით ინსტიტუტებში სასწავლო პროგრამების ხარისხის ასამაღლებლად და თანამედროვე სწავლების მეთოდების დასაწერად, ნატოს განათლების განვითარების პროგრამის (DEEP) ფარგლებში ინტენსიურად ხორციელდება ქართველი ინსტრუქტორების გადამზადება და გამოცდილების გაზიარება სასწავლო კურსების და სწავლებების საშუალებით.

განსაკუთრებით მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს საჩხერის სამთო მომზადების სკოლას, რომელმაც 2010 წელს ნატოს პარტნიორობა მშვიდობისათვის წვრთნისა და განათლების ცენტრის სტატუსი მიიღო. სკოლა ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეებს ზამთრის და ზაფხულის სამთო მომზადების საბაზისო და შუალედურ კურსებსა და მაღალი მთის ლიდერის კურსს სთავაზობს.

აღიანის მხარდაჭერა აღსანიშნავია, ასევე, პროფესიული განვითარების თვალსაზრისითაც. საქართველოს სახელმწიფო უწყებების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალი ნატო-ს ინდივიდუალური პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად 200-მდე ღონისძიებაში მონაწილეობს. ამასთან, 2009 წლიდან საქართველოში ნატოს ეგიდით პროფესიული განვითარების პროგრამა (PDP) დაიწყო, რომელიც ქვეყანას თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმების წარმატებით გატარებაში ეხმარება და სხვადასხვა კურსის, ტრენინგის, სამუშაო შეხვედრისა და სტაჟირების უზრუნველყოფით, უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლების პროფესიულ განვითარებას უწყობს ხელს.

საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუციური განვითარების მხარდასაჭერად, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში მნიშვნელოვან

ინიციატივად თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის (DIBS) განვითარება განისაზღვრა. სკოლა უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლებს 2016 წლიდან სწავლებისა და განვითარების ნატოს ხარისხის მართვის სისტემის შესაბამისი პროფესიული განვითარების სხვადასხვა პროგრამას სთავაზობს და დღემდე ჯამში 6000-ზე მეტი პირი გადაამზადა. სკოლის მიერ შემუშავებული რეგიონული და საერთაშორისო სასწავლო პროგრამების საშუალებით, საქართველო დაგროვილ გამოცდილებას და ცოდნას ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებსაც უზიარებს. 2021 წლის ნოემბერში ნატოს აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტით, საქართველოს ეძლევა შესაძლებლობა, თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის სახით მიიღოს პირველი სასწავლო დაწესებულება ნატოს ხარისხის მართვის ნიშნით.¹⁵ აღნიშნული, ალიანსის მხრიდან, სკოლის ორგანიზაციული, სასწავლო და ხარისხის მართვის ციკლის ნატოს სტანდარტებთან სრული თავსებადობის დადასტურება იქნება.

საქართველოს თავდაცვის ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამალღებისა და საერთაშორისო მისიებში ეფექტურად მონაწილეობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო წვრთნებში აქტიური ჩართულობა.

უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევების დასაძლევად, სამხედრო შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად და ნატოსთან თავსებადობის გასაზრდელად, საქართველო ინტენსიურად მონაწილეობს როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში დაგეგმილ სამხედრო სწავლებებში. რეგიონული თანამშრომლობისა და ურთიერთობების გაღრმავების მიზნით აღსანიშნავია, თურქეთ-საქართველო-აზერბაიჯანის სამხმრივი სამხედრო სწავლება.

საქართველო არა მხოლოდ მონაწილეობს საერთაშორისო სწავლებებში, არამედ თავადაც მასპინძლობს სამხედრო წვრთნებს. ამ მხრივ, აღსანიშნავია ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) მიერ განვითარებული შესაძლებლობები, რაც საქართველოს საშუალებას აძლევს სხვადასხვა მასშტაბის საერთაშორისო სწავლებებთან ერთად, 3 წელიწადში ერთხელ უმასპინძლოს ნატო-საქართველოს ერთობლივ სწავლებებს. 2016 წელს საქართველომ პირველად ჩაატარა ნატო-საქართველოს სწავლება, რომელშიც ალიანსის 11 წევრი და 2 პარტნიორი ქვეყნის 250 მონაწილე იყო ჩართული, ხოლო 2019 წელს საქართველო ნატოს არაწევრ სახელმწიფოებს შორის იყო პირველი ქვეყანა, რომელსაც ნატოს ერთობლივი სწავლების ჩატარების მართვის და

¹⁵ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. თავდაცვის ინსტიტუციურ აღმშენებლობის სკოლას ნატოს აკრედიტაციის ექსპერტთა გუნდი ეწვია. (2021). [ბმული](#).

ხელმძღვანელის როლი დაეკისრა, სადაც 24 ქვეყნის 300-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა.

III- საქართველო, როგორც „უსაფრთხოების ექსპორტიორი“ ქვეყანა

ეროვნულ დონეზე არსებული უსაფრთხოების გამოწვევების მიუხედავად, საქართველო წლების განმავლობაში აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ოპერაციებში და საკუთარი წვლილი შეაქვს გლობალური მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებაში. 2015 წელს ნატოს გენერალური მდივნის მოადგილის, ალექსანდრე ვერშბოუს განცხადებით, საქართველო რეგიონში სამაგალითო ქვეყანა და გლობალური „უსაფრთხოების ექსპორტიორია“.¹⁶

1999 წლიდან მოყოლებული, საერთაშორისო მისიების შესრულებისას, ქართველმა სამხედრო მოსამსახურეებმა მაღალი საბრძოლო მომზადების დონე და ურთულესი ამოცანების შესრულების უნარი არაერთხელ დაადასტურეს, რითაც საქართველოს გლობალური უსაფრთხოების სფეროში საიმედო მოკავშირე ქვეყნის სახელი დაუმკვიდრეს. საქართველო წლების მანძილზე განეკუთვნებოდა ნატოს მისიების ერთ-ერთ უმსხვილეს კონტრიბუტორ სახელმწიფოს როგორც ნატოს წევრებს შორის ერთ სულ მოსახლეზე, ისე ალიანსის არაწევრ ქვეყნებს შორის.

ქართველი ჯარისკაცების მომზადების მაღალი დონე, პროფესიონალიზმი და თავდადება არაერთხელ დაფიქსირდა უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე როგორც ნატოს ოფიციალური პირების, ისე ალიანსის წევრი ქვეყნების წარმომადგენლების მიერ. ვლადიმერ სოკორის თქმით, ნატოს პოლიტიკური განცხადებები და ოფიციალური დოკუმენტები ადასტურებენ, რომ საქართველომ ბევრად მეტი წვლილი შეიტანა მოკავშირეთა ოპერაციებში, ვიდრე ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში მიწვეულმა რომელიმე ქვეყანამ ან თუნდაც ნატოს სხვა წევრი ქვეყნების უმეტესობამ.¹⁷

საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში საქართველოს თავდაცვის ძალების 25 000-ზე მეტმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო მონაწილეობა, რამაც მიღებული გამოცდილების საფუძველზე, მაღალი საბრძოლო მზადყოფნის დონის შენარჩუნება და შესაბამისი

¹⁶ NATO. Deputy Secretary General Vershbow in Tbilisi: implementation of the Wales Summit decisions on Georgia is on track. (2015). [Link](#).

¹⁷ Vladimir Socor. NATO Aspirant Georgia Still Defenseless After All These Years. The Jamestown Foundation. Eurasia Daily Monitor. Volume: 13. Issue: 138. (2016). [Link](#).

შესაძლებლობების განვითარება განაპირობა. საერთაშორისო ოპერაციებში ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე და ნატოსთან თავსებადობის ამალღების თვალსაზრისით.

ნატოსა და ევროკავშირის მისიებსა და ოპერაციებში მონაწილეობით, საქართველომ დაამტკიცა, რომ ქვეყანას შესწევს უნარი, განამტკიცოს ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოება და ეფექტიანად იტვირთოს კოლექტიური თავდაცვის პასუხისმგებლობა. ქვეყანამ ერაყსა და ავღანეთში ათასობით, ხოლო ბალკანეთსა და აფრიკაში ასობით სამხედრო მოსამსახურე გაგზავნა. საქართველოს ერთდროულად 2000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე ჰყოლია გადასროლილი მსოფლიოს ყველაზე ცხელ წერტილებში - ჰელმანდსა და ყანდაღარში.¹⁸

ნატოს ეგიდით მიმდინარე საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობის პარალელურად, საქართველოს თავდაცვის ძალების ორი ქვეითი ასეული შესაბამისი მომზადების გავლის შედეგად, ნატოს საპასუხო ძალებს (NRF) შეუერთდა. გლობალური უსაფრთხოების გამოწვევების წინააღმდეგ გამკლავების საპასუხოდ შექმნილი ძალები წარმოადგენს მაღალი მზადყოფნის, მობილობისა და მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობის მქონე მრავალეროვნულ შენაერთს. NRF-ში მონაწილეობის მიღების მიზნით, თავდაცვის ძალებმა

ოპერატიული შესაძლებლობების კონცეფციის შეფასებისა და უკუკავშირის პროგრამის (OCC E&F) ფარგლებში შეფასების კომპლექსური ციკლი გაიარა.

დასკვნა

ქვეყნისა და რეგიონის წინაშე არსებული რთული გამოწვევებისა და საფრთხეების გათვალისწინებით, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება და ეროვნული და რეგიონული უსაფრთხოების განმტკიცებისთვის პარტნიორების მხრიდან პოლიტიკური მხარდაჭერა.

ნატოში განვერიანების მიზნით გატარებული რეფორმები აძლიერებს ქვეყნის თავდაცვის-უნარიანობას, ხელს უწყობს ინსტიტუციურ განვითარებას და ამალღებს ალიანსთან ურთიერთთავსებადობის დონეს. ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე, რეფორმირებისა და მოდერნიზების პროცესი საქართველოს ეხმარება არა მხოლოდ ქვეყნის უსაფრთხოება უზრუნველყოს, არამედ რეგიონის და საერთაშორისო უსაფრთხოებასა და სტაბილურობაში შეიტანოს წვლილი. საქართველომ მნიშვნელოვან

¹⁸ Luke Coffey. NATO Summit 2021: Time to Support Loyal Ally Georgia. The Heritage Foundation. (2021). [Link](#).

პროგრესს მიაღწია თავდაცვის ტრანსფორმაციის კუთხით, სამხედრო მოსამსახურეების პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, გენდერთან დაკავშირებულ საკითხებში, თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში გამჭვირვალობისა და ინსტიტუციონალურ მშენებლობაში. ლუკ კოფის თანახმად, საქართველოს თავდაცვის ტრანსფორმაცია სამაგალითოა ნატოს წევრი ყველა სახელმწიფოსთვის.¹⁹

თავდაცვის რეფორმირების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ტერიტორიული თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებას, ვინაიდან თავდაცვის ძალების უმთავრეს ამოცანას, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და მისი სუვერენიტეტის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) ფარგლებში არსებული ინიციატივები ქვეყანას სწორედ ისეთი შესაძლებლობების განვითარებას სთავაზობს, რაც თავდაცვის ძალების გაძლიერებას, მედეგი სახელმწიფოს მშენებლობას და ალიანსთან თავსებადობას გაზრდას ითვალისწინებს. რაც, თავის მხრივ, რეგიონული სტაბილურობის და უსაფრთხოების ხელშეწყობას და ქვეყნის ალიანსში გაწევრიანების მომზადებას ითვალისწინებს.

აღსანიშნავია, რომ ნატოს ცივი ომის შემდგომი პერიოდის ტრანსფორმაციის ყველაზე თვალსაჩინო ასპექტს ალიანსის ღია კარის პოლიტიკა წარმოადგენს.²⁰ ნატოს დეკლარაციების თანახმად, გაფართოების შესახებ გადაწყვეტილებებმა თავად მოკავშირე სახელმწიფოების უსაფრთხოება და სტაბილურობა განამტკიცა.²¹ საქართველო აღმოსავლეთ ფლანგზე ალიანსის სანდო და პასუხისმგებლიანი პარტნიორია და გამოხატავს მზადყოფნას, რომ გაზარდოს საკუთარი წვლილი რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

¹⁹ Luke Coffey, NATO Summit 2021: Time to Support Loyal Ally Georgia, The Heritage Foundation. (2021). [Link](#).

²⁰ Tracey German. Heading West? Georgia's Euro-Atlantic Path. International Affairs 91: 3. (2015).

²¹ NATO. Wales Summit Declaration. (2014). [Link](#).

ბიბლიოგრაფია:

- კოფი, ლუკ. საქართველოს ნატოში განევრიანება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ინტერესებშია. The Heritage Foundation. 2018;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. 2011. [ბმული](#). (09.12.2021);
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2021-2025. 2021. [ბმული](#). (09.12.2021);
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. თანამშრომლობა ნატოსთან. 2021. [ბმული](#). (09.12.2021);
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. მინისტრის დირექტივები. 2018. [ბმული](#). (09.12.2021);
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. მინისტრის დირექტივები. 2019. [ბმული](#). (09.12.2021);
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. მინისტრის ხედვა. 2020. [ბმული](#). (09.12.2021);
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. საერთაშორისო მისიები. 2021. [ბმული](#). (09.12.2021);
- Coffey, Luke. NATO Summit 2021: Time to Support Loyal Ally Georgia. The Heritage Foundation. June 11, 2021. [Link](#). (09.12.2021);
- Garamone, Jim. U.S., Georgia Defense Leaders Sign Memo to Continue Training Effort. U.S. Department of Defense. (2021). [Link](#). (09.12.2021);
- German, Tracey. Heading West? Georgia's Euro-Atlantic Path. International Affairs 91:3. 2015;
- Hamilton, Robert E. Georgia's NATO Aspirations: Rhetoric and Reality. Foreign Policy Research Institute. July, 2016;
- Hamilton, Robert E., and Luke Coffey, What the Afghanistan Withdrawal Means for Georgia's NATO Dreams. Defence One. July 17, 2021. [Link](#). (09.12.2021);
- Joja, Iulia-Sabina. Roadmap for a strengthened NATO-Georgia partnership. Middle East Institute. January 11, 2021;
- NATO. Wales Summit Declaration. September 5, 2014. [Link](#). (09.12.2021);
- Socor, Vladimir. NATO Aspirant Georgia Still Defenseless After All These Years. The Jamestown Foundation. Eurasia Daily Monitor. Volume: 13. Issue: 138. July 29, 2016. [Link](#). (09.12.2021).



Embassy
of the Republic of Poland
in Tbilisi

NATO
Contact Point Embassy



ნატოს და ჩინეთის ურთიერთობების პერსპექტივები ცვალებად გეოპოლიტიკურ გარემოში

გიორგი ბადრიძე



ნატოს და ჩინეთის ურთიერთობების პერსპექტივები ცვალებად გეოპოლიტიკურ გარემოში

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციამ დიდი ხანია დაამტკიცა, რომ ის მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე წარმატებული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსია. მას გადამწყვეტი როლი მიუძღვის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა საფრთხისგან ევროპის დემოკრატიული ქვეყნების თავისუფლების, უსაფრთხოების და კეთილდღეობის დაცვაში. ამავე დროს, ძნელად მოიძებნება სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია თუ ალიანსი, რომლის წარმატება მისივე კრიზისის საფუძვლად იქცა. ცივი ომის დასრულების შემდეგ ნატოს წევრ არაერთ ქვეყანაში გაჩნდა კითხვა, თუ რა აზრი ჰქონდა სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის შენარჩუნებას, რომელიც 40 წლით ადრე საბჭოთა კავშირიდან მომავალი საფრთხისგან ევროატლანტიკური სივრცის ქვეყნების დასაცავად შეიქმნა. ისმოდა მოწოდებები, რომ კომუნიზმის, როგორც დასავლეთსა და საბჭოთა ბლოკს შორის დაპირისპირების მთავარი წყაროს, მარცხის და თავად საჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღარ იარსებებდა არც ნატოს, როგორც ორგანიზაციის, და არც ზოგადად თავდაცვის შესაძლებლობების იმ დონეზე შენარჩუნების აუცილებლობა, რომელიც წინა ათწლეულებში ალიანსის წევრი ქვეყნების გადასახადის გადამხდელებს სერიოზულ ხარჯად აწვა. მართალია, ნატოს დაშლაზე პოლიტიკურ ლიდერებს შორის ღიად არავინ საუბრობდა, მაგრამ სულ უფრო მეტი ევროპული ქვეყანა უარს ამბობდა ნატოს წევრობის ერთ-ერთი მოთხოვნის - თავდაცვაზე მშპ-ის 2%-ის ხარჯვის ვალდებულების შესრულებაზე.

დღევანდელი გადმოსახედიდან სრულიად გამართლებულნი აღმოჩნდნენ ის ლიდერები, რომელთა ძალისხმევითაც ნატომ მოახერხა ერთიანობის შენარჩუნება. თუკი 1990-იან წლებში ნატოს არსებობას დასაბუთება სჭირდება, ოცდამეერთე საუკუნეში აღმოცენებული ახალი საერთაშორისო გამოწვევების ფონზე ეს კითხვა წესით აღარავის უნდა უჩნდებოდეს. ოღონდ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახალი საფრთხეების გააზრება დასავლეთის ქვეყნებში საკმაოდ ნელა და თანდათანობით მოხდა. რუსეთს საკმაო ხნის განმავლობაში ჰქონდა დაწყებული ცივი ომის ლოგიკით ქცევა, როდესაც ნატოს წევრ მრავალ ქვეყანაში ან ვერ ამჩნევდნენ, ან თვალს ხუჭავდნენ კრემლის შეფარულ თუ ღია მტრულ ქმედებებზე, რომლებიც, საბოლოო ჯამში, საკუთარი მეზობლების და დასავლეთის წინააღმდეგ ჰიბრიდულ ომში გამოიხატა. თუმცა, 2014 წელს უკრაინის მიმართ განხორციელებული აგრესიისა და 2016 აშშ-ის არჩევნებში ჩარევის შემდეგ ამგვარი ქცევის იგნორირება შეუძლებელი გახდა.

მეორე რეალობა, რომელიც ნატო-ს ფუნქციას შეუცვლელს ხდის დასავლური დემოკრატიის და მისი ინტერესების დაცვის საქმეში, ჩინეთის ძალის და გავლენის სწრაფი აღმასვლაა. თუმცა, არც ეს მოვლენა უნდა ყოფილიყო მოულოდნელი დასავლეთისთვის, რადგან ჩინეთის გაძლიერების პროცესი რამდენიმე ათეული წელი სტაბილურად მიმდინარეობს.

ქვემოთ შევეცდებით განვიხილოთ საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარე ის პროცესები და რეალობები, რომელთაც ნატოს არსებობას ახლიდან გაუმყარეს საფუძველი და რომლებიც წამყვანი დემოკრატიული ქვეყნების ახალ კონსოლიდირებულ ძალისხმევას მოითხოვენ.

ჯერ ორიოდ სიტყვა მსოფლიო წესრიგზე ძალთა ბალანსის გავლენის შესახებ. ისტორიას არ ახსოვს რომელიმე დიდი საერთაშორისო მოთამაშის ძალის გაძლიერება ან დასუსტება ისე, რომ ამას მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ძვრები არ გამოეწვია. ცალკეული სახელმწიფოს გაძლიერება, იქნება ეს სწრაფი სამრეწველო და ტექნოლოგიური განვითარების შედეგად, თუ როგორც ეს მეცხრამეტე საუკუნეში გერმანიის გაერთიანებას მოჰყვა, გარდაუვლად იწვევს მანამდე არსებული ძალების წონასწორობის, როგორც სტაბილურობის საფუძვლის, რღვევას. ასეთ დროს გაძლიერებული მხარე უფრო ხშირად ცდილობს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს მოპოვებული უპირატესობა, რაც შედეგად ტერიტორიების, გავლენის სფეროების და რესურსებზე წვდომის კონტროლის გადანაწილებას იწვევს. ეს, შესაძლოა, მოხდეს ძალის გამოყენებით, ანუ ომის გზით, ან მეტ-ნაკლებად მშვიდობიანი გზით - გარკვეული შეთანხმების საფუძველზე, მაგრამ ძალთა ბალანსის ცვლილება ყოველთვის მასშტაბური გეოპოლიტიკური ცვლილებებით მთავრდება.

ასევე ხდება რომელიმე დიდი მოთამაშის დასუსტებისას, როგორც მომხდარა ომში მარცხის შედეგად (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ოსმალეთის იმპერია და ა.შ.) ან თუნდაც ეკონომიკური კრიზისის გამო (1980-იან წლებში საბჭოთა კავშირის მაგალითი). ყველა შემთხვევაში, ერთი სახელმწიფოს დასუსტებით წარმოქმნილი ძალის ვაკუუმი სხვა ძალების მიერ თითქმის მყისიერად ივსება.

იმის მიუხედავად, თუ რა იწვევს არსებული ბალანსის ცვლილებას - ვინმეს გაძლიერება თუ დასუსტება, ახალი წესრიგის დამკვიდრებამდე შექმნილი გარდამავალი პერიოდის გაჭიანურება ბიძგს აძლევს არასტაბილურობას და კონფლიქტებს.

თუმცა, დემოკრატიული დასავლეთის წარმომადგენლების რეაქცია ძირეულ ცვლილებებზე ყოველთვის თანმიმდევრული არ ყოფილა. როგორც უკვე ზემოთ იქნა აღნიშნული, როდესაც ოცდაათი წლის წინ ცივი ომი კომუნისტური ბლოკის მარცხით და საბჭოთა

კავშირის დაშლით დასრულდა, დასავლური სამყარო ეიფორიას იყო მიცემული ახალი, მშვიდობიანი, დემოკრატიული და მდგრადი მსოფლიოს მოლოდინში. ყველას გვახსოვს ცნობილი ამერიკელი მეცნიერის, ფრენსის ფუკუიამას, სენსაციური სათაურის მქონე სტატია - „ისტორიის დასასრული“. მისი აზრით, ცივ ომში დასავლეთის გამარჯვება ლიბერალური დემოკრატიის და საბაზრო ეკონომიკის უპირატესობამ განაპირობა. მართლაც, ყოფილი კომუნისტური ქვეყნები ერთი მეორის მიყოლებით დაადგნენ პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გზას და მალევე გაიზიარეს დასავლური ლიბერალური დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკის პრინციპები.

მაგრამ, სავარაუდოა, რომ მიზეზი, რის გამოც ამ ახალ ისტორიულ ხანას საკუთარი სახელი დღემდე არ გააჩნია და „მას ცივი ომის შემდგომ პერიოდად“ იხსენიებენ, ალბათ, ისაა, რომ ახალი მსოფლიო ან თუნდაც ევროპული წესრიგი ყველგან არ გავრცელებულა. თავად ევროპაშიც კი, სადაც ის მთავარი მოვლენები განვითარდა, რომლებმაც წერტილი დაუსვა წინა მსოფლიო წესრიგს, დაფუძნებულს ორი სუპერსახელმწიფოს ქიდილსა და მათ შორის ძალთა ბალანსზე, ახალი რეალობის სიკეთე ყველა ერს თანაბრად არ უგრძნია. დიახ, ცენტრალური ევროპის ქვეყნებმა დაიბრუნეს სუვერენიტეტი, საბჭოთა იმპერიის ნანგრევებზე დამოუკიდებლობა მოიპოვეს (ან აღიდგინეს) კომუნისტური რეჟიმის ყოფილმა ტყვე-ერებმა, მაგრამ ამ უკანასკნელთაგან მხოლოდ სამმა (ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი) შეძლო ესარგებლა ახალი ევროპული წესრიგის სიკეთეებით. ბალტიის ქვეყნები მალევე გაერთიანდნენ ნატოსა და ევროკავშირში, ანუ დაბრუნდნენ ევროპულ ოჯახში და მოიპოვეს ეკონომიკური კეთილდღეობა და უსაფრთხოების გარანტიები. დანარჩენები კი, განსაკუთრებით საქართველო, რომელიც დამოუკიდებლობის რეალური სუვერენიტეტით შევსებას შეეცადა, რუსეთის აგრესიის მსხვერპლად იქცა საბჭოთა კავშირის დაშლის პირველივე დღეებიდან. ბოლო წლებში რუსეთის მსხვერპლთა რიცხვს უკრაინა დაემატა.

რაც მთავარია, თუ წარსულში რუსეთი საქართველოს მიმართ თავისი იმპერიული ინსტინქტებით გამოწვეულ ქცევას სხვადასხვა ფორმით ფუთავდა და ამართლებდა, დემოკრატიული რეფორმების განხორციელების და დასავლეთთან კონსტრუქციული თანამშრომლობის იმიტაციას ახდენდა, ეს ყველაფერი დიდი ხანია შეიცვალა და დღეს ის სრულიად ღიად უპირისპირდება როგორც დასავლეთის კოლექტიურ ინტერესებს, ისე მის ფასეულობებს. მართალია, ამას დასავლეთი საკმაო ხანს ჭიუტად არ იმჩნევდა - ევროპულ და ამერიკულ პოლიტიკოსებს უკიდურესად აღიზიანებდათ ყოველგვარი მინიშნება იმის შესახებ, რომ რუსეთი ცივი ომის სულისკვეთებით მოქმედებდა, დღეს ძნელად თუ ვინმე მოიძებნება, ვისაც არ ესმის, რომ ის ნანატრი „ცივი ომის შემდგომი პერიოდი“ დასრულებულია, ოღონდ ისე, რომ დასავლეთმა ვერ ჩამოაყალიბა ერთიანი და მტკიცე

პოზიცია რუსეთის და მის მიერ წესებზე დაფუძნებული ევროპული წესრიგის საწინააღმდეგოდ მიმართული ქმედებების მიმართ.

ნატოს ქვეყნებს არც ჩინეთის, რუსეთზე უფრო დიდი მასშტაბის საერთაშორისო მოთამაშის მიმართ აქვს ჩამოყალიბებული ერთიანი მიდგომა. ეს აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონში ახალი თავდაცვითი პაქტის, AUKUS-ის, შემადგენლობაშიც გამოიხატა. მისი შექმნა მიმდინარე წლის სექტემბერში ავსტრალიამ, გაერთიანებულმა სამეფომ და შეერთებულმა შტატებმა გამოაცხადეს (აქედან გამომდინარეობს ორგანიზაციის სახელიც - "AUKUS" - Australia, United Kingdom, United States). თვალში საცემია, რომ პაქტში არ მონაწილეობენ ნატოს სხვა წევრი ქვეყნები; პირველ რიგში საფრანგეთი, რომელსაც აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონში მნიშვნელოვანი გავლენა გააჩნია, მათ შორის, ტერიტორიები და სამხედრო ბაზები.

დღეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესები, მათ შორის, AUKUS-ის შექმნა, მიუთითებს, რომ ჩინეთის ძალა და გავლენა იმდენად გაიზარდა, რომ უსაფრთხოების სფეროში მისი დაბალანსების გარეშე აქამდე მეტ-ნაკლები სტაბილურობით არსებული მსოფლიო წესრიგი, შესაძლოა, ძირფესვიანად შეიცვალოს. შეერთებული შტატების (აქამდე არსებული მსოფლიო წესრიგის დომინანტი ძალის) და მისი მოკავშირეების მთავარი ამოცანაა, არ დაუშვან შეუქცევადი ცვლილებები მსოფლიო წესრიგში, კერძოდ, ისეთი, როგორც აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონსა და მსოფლიოში ჩინეთის ჰეგემონიის დამყარებას დააჩქარებს.

ჩინეთი, დენ სიაო პინის რეფორმებიდან მოყოლებული, სტაბილურად ამტკიცებს თავის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო სიძლიერეს და სულ უფრო მნიშვნელოვან საერთაშორისო როლს ასრულებს. ფრენსის ფუკუიამას აზრით, სწორედ ჩინეთის სახელმწიფო კაპიტალიზმი წარმოადგენს ყველაზე დიდ გამოწვევას დასავლური განვითარების მოდელისთვის. რაც მთავარია, ჩინეთმა უკვე დაიწყო შედარებით ახალშეძენილი ძალის გამოყენება როგორც რეგიონული, ისე გლობალური მასშტაბით, რასაც სტრატეგიულად და მოთმინებით - ეკონომიკური და სამხედრო საშუალებების კომბინაციით ახორციელებს.

ამგვარად, AUKUS შეერთებული შტატების და მისი ორი უახლოესი მოკავშირის რეაქციაა ჩინეთის ძალის და გავლენის გაძლიერებაზე და მიზნად ისახავს შეაკავოს ამ ქვეყნის მიერ აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონში დომინანტობისკენ მიმართული ქმედებები და გლობალური გეოპოლიტიკური ექსპანსია. თავად პაქტის რეალური შინაარსი შედარებით შეზღუდულია. მისი მთავარი დებულება ითვალისწინებს ავსტრალიისთვის აშშ-ის და

გაერთიანებული სამეფოს ტექნოლოგიების გაზიარებას, რომლის საფუძველზეც ავსტრალია უახლოესი ორი ათწლეულის განმავლობაში თავის მოძველებულ „კოლინზის“ კლასის წყალქვეშა ფლოტს ატომური წყალქვეშა ნავებით ჩაანაცვლებს. პაქტი, ასევე, გულისხმობს თანამშრომლობას ხელოვნური ინტელექტის შემუშავებისა და სხვა ტექნოლოგიურ სფეროებში, რაც შედეგად ამ ქვეყნების ყველაზე ფართომასშტაბიანი თავდაცვითი თანამშრომლობის ჩარჩოს ქმნის.

არავის ეჭვს არ იწვევს და თავად ჩინეთის რეაქციითაც დასტურდება, რომ AUKUS სწორედ ჩინეთის შეკავების მიზნით ჩამოყალიბდა. აშშ-ის პრეზიდენტ ბაიდენის, გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრ ჯონსონის და ავსტრალიის პრემიერ-მინისტრ მორისონის ერთობლივ განცხადებას, რომელსაც ვიდეო კონფერენციის ფორმა ჰქონდა, ჩინეთმა დაუყოვნებლივ დაგმო, როგორც „უკიდურესად უპასუხისმგებლო“ ნაბიჯი, რომელიც „ძირს უთხრის რეგიონის მშვიდობას და სტაბილურობას და ხელს უწყობს გამაღებულ შეიარაღებას“.

სამი ქვეყნის მიერ ახალი პაქტის შექმნის შესახებ განცხადებას საფრანგეთის უმწვავესი რეაქციაც მოჰყვა, „ღალატად შეფასდა“ და ვაშინგტონიდან და კანბერიდან ელჩებიც გამოიწვიეს, რაც ამ ქვეყნების ურთიერთობების ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენაა. ამის მიზეზი ისაა, რომ აშშ-სა და ბრიტანეთთან თანამშრომლობის მიზნით, ავსტრალიამ გააუქმა საფრანგეთთან 2016 წელს დადებული შეთანხმება „ბარაკუდას“ კლასის 12 დიზელ-ელექტრო წყალქვეშა ნავის შექმნის შესახებ, რომლის ღირებულება თავდაპირველად დაახლოებით 40 მილიარდი აშშ დოლარი (34 მილიარდი ევრო) იყო. აღსანიშნავია, რომ ხსენებული გარიგების მიმართ კითხვები ავსტრალიაში თავიდანვე გაჩნდა, ასევე, იმის გამო, რომ კონტრაქტის საფასური მალევე 60 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა, რაც მიზეზი გახდა, რომ ავსტრალიის პარლამენტს გამოძიება დაეწყო. თანაც, შეთანხმება გათვლილი იყო სულ მცირე 25 წელიწადზე და გულისხმობდა წყალქვეშა ნავების აგებას იმგვარი ტექნოლოგიით, რომელიც უკვე დიდი ხანია მოძველებულად ითვლება, ხოლო 25 წლის შემდეგ ეს, შესაძლოა, კიდევ უფრო ნაკლებად ეფექტური ყოფილიყო.

მონაწილე ქვეყნების რა მოტივებზე მეტყველებს AUKUS-ის წევრობა? თუკი პაქტის დადებისთვის აშშ-ის მოტივაციას განსაკუთრებული დასაბუთება არ სჭირდება, ჩინეთის აღმასვლა, პირველ რიგში, მის გლობალურ პოზიციებს ავიწროებს, მასში გაერთიანებული სამეფოსა და ავსტრალიის მონაწილეობა საკმაოდ მრავლისმეტყველია. ასევე, საყურადღებოა მიზეზები, თუ რატომ არ ვიხილეთ ამ გაერთიანებაში აშშ-ის სხვა რეგიონული მოკავშირეები და, განსაკუთრებით, ნატოს ის წევრი სახელმწიფოები, რომლებსაც ოკეანეთთან მჭიდრო პოლიტიკური და სამხედრო კავშირები აქვთ

(მაგალითად, იგივე საფრანგეთი, რეგიონში თავისი 1.5 მილიონი მოქალაქით და 7 სამხედრო ბაზით).

რაც შეეხება პაქტის მონაწილეებს, ავსტრალიის შესახებ უკვე ითქვა, რომ მან თავისი გადაწყვეტილებით უკიდურესად გაიფუჭა ურთიერთობები საფრანგეთთან, რომელთანაც მრავალმილიარდიან კონტრაქტზე თქვა უარი. მაგრამ შესაძლოა ავსტრალიისთვის უფრო საზიანო იყოს ევროკავშირის გადაწყვეტილება მასთან მიმდინარე სავაჭრო მოლაპარაკებების შეჩერების თაობაზე, რომელიც ევროკავშირმა AUKUS-ის დაფუძნებიდან ორ კვირაში, 30 სექტემბერს, მიიღო. ეს უთუოდ უნდა იყოს საფრანგეთის მხრიდან შურისძიების გამოვლინება (და ასევე იმის ნიშანი, რომ საფრანგეთი მზადაა ბოროტად ისარგებლოს ევროკავშირში თავისი გავლენით).

უფრო მასშტაბიანია ავსტრალიის შესაძლო გართულებები ჩინეთთან ურთიერთობაში, რისი მუქარაც უკვე გაჟღერდა. ჩინეთი დღემდე რჩება ავსტრალიის ყველაზე დიდ სავაჭრო პარტნიორად და მისთვის სანქციებით დიდი ზიანის მიყენება შეუძლია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სავაჭრო სფეროში ჩინეთთან ავსტრალიის ურთიერთობები ჯერ კიდევ გასულ წელს გართულდა: 2020 წლის დასაწყისში ჩინეთთან სავაჭრო ბრუნვა ავსტრალიის საგარეო ვაჭრობის 31%-ს შეადგენდა, თუმცა ორ ქვეყანას შორის უთანხმოებების შედეგად, ერთი წლის განმავლობაში ვაჭრობის მოცულობა 3%-ით შემცირდა. დღევანდელი მდგომარეობით, ამ ვაჭრობის მოცულობა 245 მილიარდი აშშ დოლარის ბრუნვაა, ამრიგად, ჩინეთს კვლავაც შეუძლია მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი მიაყენოს ავსტრალიას. გარდა ამისა, ჩინეთმა მიანიშნა, რომ ავსტრალიას პოტენციურ სამიზნედ განიხილავს, მათ შორის, ბირთვული იარაღისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ატომური წყალქვეშა ნავების გამოყენება ავსტრალიას ავტომატურად ბირთვულ სახელმწიფოდ არ აქცევს (AUKUS არ ითვალისწინებს ავსტრალიისთვის ბირთვული იარაღის გადაცემას).

AUKUS-ში მონაწილეობა შესაძლოა გაერთიანებულ სამეფოსაც საკმაოდ ძვირი დაუჯდეს. გარდა ჩინეთის მხრიდან გარდაუვალი ნეგატიური რეაქციისა, რომელთანაც სარფიანი სავაჭრო გარიგება ბრექსიტის ნეგატიური შედეგების აღმოფხვრის ერთ-ერთი შესაძლებლობაა, იმავე საფრანგეთს ყველა ბერკეტი აქვს, რომ გაართულოს ბრიტანეთის ურთიერთობა ევროკავშირთან, რომელიც ბრექსიტის შემდეგაც მის უდიდეს სავაჭრო პარტნიორად რჩება.

მაშ რატომ არჩია ავსტრალიამ და გაერთიანებულმა სამეფომ ამხელა რისკზე და გარდაუვალ დანაკარგებზე წასვლა AUKUS-ში განეწიანებით? პასუხი პირდაპირ უკავშირდება ამ ქვეყნების წარმოდგენას მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებების და საკუთარი უსაფრთხოების პრიორიტეტების შესახებ. მათთვის სხვა ნებისმიერ ქვეყანაზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის შენარჩუნებას და

მისი უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ დარჩენას, ამდენად, მისაღებ საფასურად მიიჩნევენ იმ ეკონომიკურ დანაკარგებს, რომლებიც ამგვარ პოზიციას მოჰყვება.

AUKUS არ წარმოადგენს ოკეანეთის ნატოს. როგორც ზემოთ ითქვა, შექმნილ ვითარებაზე თავისებურად მეტყველებს ის, რომ AUKUS-ში არ მონაწილეობენ ნატოს სხვა წევრი ქვეყნები და ასევე აზია-წყარი ოკეანეთის წარმომადგენელი სახელმწიფოები, მათ შორის ისინი, რომლებიც ბოლო წლებში (ზოგი კი ათწლეულების განმავლობაში) თანამშრომლობენ შეერთებულ შტატებთან უსაფრთხოების სფეროში. მაგალითად, ახალ პაქტში არ მონაწილეობს ე.წ. „ხუთი თვალის“ ალიანსის წევრი ახალი ზელანდია. „ხუთი თვალის“ ალიანსს საფუძველი ჯერ კიდევ 1940-იან წლებში ჩაეყარა და ცივი ომის პირობებში აშშ-ის, კანადის, ბრიტანეთის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის სადაზვერვო სამსახურების მჭიდრო თანამშრომლობას გულისხმობდა. თუკი კანადის არმონაწილეობა შეიძლება მისი აზია-წყარი ოკეანეთის რეგიონთან გეოგრაფიული კავშირის არქონით აიხსნას, ახალი ზელანდიის AUKUS-ის მიღმა დარჩენა საკმაოდ ნიშანდობლივია. ახალმა ზელანდიამ ჯერ კიდევ 2020 წელს თქვა უარი შეერთებოდა „ხუთი თვალის“ დანარჩენი ოთხი პარტნიორის განცხადებას, რომელშიც მხილებული და დაგმობილი იყო სინიანის პროვინციაში უიღურების მიმართ ჩინეთის მოპყრობა. სულ ცოტა ხნის წინ ახალი ზელანდიის მთავრობამ ხაზი გაუსვა, რომ ის არ გააგზავნის ოფიციალურ დელეგაციას ჩინეთში ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე პანდემიის გამო და არა ჩინეთის დიპლომატიური დემარშის ფარგლებში, რომელიც სხვა დასავლურმა ქვეყნებმა გამოაცადეს. უეჭველია, რომ ახალმა ზელანდიამ ამ ეტაპზე ადამიანის უფლებების საკითხსა და მოკავშირეებთან სოლიდარობაზე მაღლა ჩინეთთან ორმხრივი ვაჭრობის ინტერესები დააყენა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მაშინ, როცა ჩინეთმა პრაქტიკულად სავაჭრო ომი გამოუცხადა ავსტრალიას (მათ შორის, 96%-ით შეამცირა ავსტრალიიდან ღვინის იმპორტი), ახალ ზელანდიასთან სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა.

საფრანგეთზე ზემოთ უკვე ითქვა და იმის დამატება შეიძლება, რომ წყალქვეშა ნავების კონტრაქტთან დაკავშირებული წინააღმდეგობის გარეშეც მისი ხილვა AUKUS-ში არარეალური იქნებოდა. საფრანგეთს საკმაო ხანია განცხადებული აქვს ერთგვარი „შუა გზის“ პოლიტიკა, რომელიც ჩინეთთან სავაჭრო შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას და, შესაბამისად, მასთან კონფრონტაციაზე უარის თქმას გულისხმობს. გლობალური დაპირისპირების პირობებში ამგვარი პოლიტიკა უპრეცედენტო სულაც არაა: ცივი ომის დროს ეკონომიკურ სფეროში არაერთი ევროპული ქვეყანა თანამშრომლობდა საბჭოთა კავშირთან. გერმანია სწორედ ცივი ომის დროს გახდა საბჭოური ბუნებრივი გაზის მთავარი შემსყიდველი, რამაც რუსეთთან დღემდე არსებულ სტრატეგიულ

თანამშრომლობას ჩაუყარა საფუძველი. მართალია, გერმანია რეგულარულად უერთდება ჩინეთში არსებული ადამიანის უფლებების მდგომარეობის კრიტიკას, თუმცა ამ ქვეყანასთან ვაჭრობის შემდგომ განვითარებას სტრატეგიულად მნიშვნელოვნად მიიჩნევს და მისი მონაწილეობა რაიმე ანტი-ჩინურ კოალიციაში სულაც არაა გარანტირებული.

AUKUS-ში, ასევე, არ მონაწილეობს 2021 წლის დასაწყისში შექმნილი Quad-ის ოთხეულის ორი წევრი - იაპონია და ინდოეთი. Quad-იც ჩინეთის დამაბალანსებელ ალიანსად მოიაზრება და მიზნად ისახავს აზია-ოკეანეთის რეგიონში ნაოსნობის თავისუფლების უზრუნველყოფას, თუმცა AUKUS-ისგან განსხვავებით, ის მჭიდრო თავდაცვით ალიანსს არ წარმოადგენს. იაპონიის პოლიტიკური რეალობებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ძვრების გარეშე ნაკლებად მოსალოდნელია ამ ქვეყნის მონაწილეობა ნატო-ს მსგავს წმინდა სამხედრო ალიანსში. ამისთვის არც ინდოეთია მზად, მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთს ისიც მზარდ სტრატეგიულ საფრთხედ აღიქვამს. ინდოეთი ჯერაც მრავალვექტორულ საგარეო პოლიტიკას აწარმოებს და მჭიდრო თანამშრომლობა აქვს ისეთ ქვეყნებთან (მაგალითად, ირანთან), რომელთა გამოც მას არც აშშ მიიჩნევს ბოლომდე სანდო პარტნიორად.

ყოველივე ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ აზია-ოკეანეთის „ნატო“ არც მომავალში შეიქმნება. თუ არსებული ტენდენციები გაგრძელდა, „შუა გზის“ ან დღევანდელი მდგომარეობით ნათელი პოზიციის არმქონე ქვეყნებს მოუწევთ არჩევანის გაკეთება. როგორც 1940-იანი წლების მეორე ნახევარში თავისი აგრესიული ქმედებებით საბჭოთა კავშირმა გარდაუვალი გახადა დასავლეთ ევროპის ქვეყნების სწრაფვა, აშშ-ის ლიდერობით ჩამოყალიბებული უსაფრთხოების სისტემის დაცვის ქვეშ აღმოჩენილი-ყვნენ, ჩინეთის მომავალი ქცევა დიდწილად გადაწყვეტს ევროპის და აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონის ქვეყნების სტრატეგიულ არჩევანს. არჩევანის გაკეთების აუცილებლობის წინაშე კი დღეს მერყევი ქვეყნები შესაძლოა აშშ-მაც დააყენოს, რომელიც შექმნილ ვითარებას ძალიან სერიოზულად აღიქვამს.

ამრიგად, AUKUS ნამდვილად არ გახლავთ ნატო, მაგრამ მომავალში ნატოს მაგვარი ორგანიზაციის ჩამოყალიბება აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონში სავსებით შესაძლებელია.

დასავლეთმა ცივი ომის დასრულების შემდეგ ორჯერ დაუშვა შეცდომა. პირველად, როცა ჯერ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქმე ბოლომდე არ მიიყვანა და რუსული კონტროლის ზონიდან სრულად გამოსვლაში ყველა მსურველს არ დაეხმარა. შედეგად,

ცივი ომის დასრულების მთავარმა სიკეთემ - ევროპელი ერების რეალურმა დამოუკიდებლობამ და დემოკრატიულმა განვითარებამ სრულად ვერ მოიკიდა ფეხი ევროპისა და რუსეთის საერთო სამეზობლოში. მაშინ ეს თითქოსდა რუსეთში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესის ხელშესაწყობად და ახალი რუსეთის სახით დასავლეთის მოკავშირის ჩამოყალიბების სურვილით კეთდებოდა, რაც მალევე გამოაშკარავდა, რომ ილუზია იყო. დასავლელმა ლიდერებმა მაშინ ილუზია საღ აზრს არჩიეს. ჯერ კიდევ 1994 წელს ჰენრი კისინჯერი წერდა: „დასავლეთი რუსეთის რეფორმებს მხოლოდ შეაფერხებს და არა წაახალისებს, თუ თვალს დახუჭავს რუსეთის ისტორიული იმპერიული პრეტენზიების აღორძინებაზე. ახალი რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ხარისხი არ უნდა შეეწიროს მათ მიწაზე რუსეთის სამხედრო ქმედებებისთვის თავისუფლების მიცემას“.

მეორედ მაშინ იქნა დაშვებული შეცდომა, როცა რუსეთის ჰიბრიდულ ომად ჩამოყალიბებულ ქმედებებს დიდხანს არ იმჩნევდა ან არაფერს უპირისპირებდა. მეტიც, დასავლეთში ყველა დღესაც ვერ თანხმდება იმაზე, არის თუ არა რუსეთი მოწინააღმდეგე იმის მიუხედავად, რომ რუსეთმა უკვე ჩამოაყალიბა კომუნიზმის შემცვლელი ახალი ანტიდასავლური სახელმწიფო იდეოლოგია და აქტიურად ახორციელებს პოლიტიკას, რომლის მიზანი დემოკრატიული სახელმწიფოების და, განსაკუთრებით, მათი ალიანსების მდგრადობას უთხრის ძირს. რუსეთი თვითონაც აღარ მალავს, რომ ღიად უპირისპირდება წესებზე, მათ შორის საერთაშორისო საზღვრების ურღვეობის პრინციპზე დაფუძნებულ საერთაშორისო წესრიგს.

თუ რუსეთის აგრესიული ქმედებების იგნორირება რაღაც დროის განმავლობაში მართლდებოდა (თუნდაც მცდარად) იმ დებულებით, რომ რუსეთი, სურვილის შემთხვევაშიც, სერიოზულად ვერ დაუპირისპირდებოდა დასავლეთს თავისი სისუსტის გამო, ეს არგუმენტი ჩინეთთან დაკავშირებით თავში აღარავის მოუვა.

ჩინეთის შემთხვევაში შეკავების პოლიტიკის ნიშნების პირველი გამოვლინება იმაზე მეტყველებს, რომ შეერთებული შტატები ამჯერად, თუნდაც დაგვიანებით, სერიოზულად აღიქვამს ძალთა ბალანსში მიმდინარე ცვლილებებს და ცდილობს მიიღოს ზომები, რათა ჩინეთმა ვერ შეძლოს თავისი მზარდი ძალის გამოყენება შეუქცევადი გეოპოლიტიკური ცვლილებებისთვის. შეერთებული შტატების გვერდით დღეს მის ორ უახლეს მოკავშირეს ვხედავთ - დიდ ბრიტანეთს და ავსტრალიას, თუმცა რეგიონში (და თუ საქმე საქმეზე მიდგა - მსოფლიოში) აშშ-სთან ჩინეთის საწინააღმდეგო ალიანსის დამყარების პოტენციურ მსურველთა რიცხვი გაცილებით დიდია. გარდა აშშ-ის ტრადიციული მოკავშირეებისა, რომლებსაც ცივი ომის დროიდან აქვთ განსაკუთრებული ურთიერთობები შეერთებულ შტატებთან, პოტენციურ მოკავშირეებს შორის არიან ისეთი ქვეყნები, რომლებიც საკუთარ თავზე გრძნობენ ჩინეთის მზარდი ძალის ნეგატიურ გავლენას. პირველ რიგში, ესენია სამხრეთ ჩინეთის ზღვის აკვატორიის ქვეყნები, რომლებთანაც

ჩინეთი მრავალრიცხოვან ტერიტორიული დავებში უფრო აქტიურად იყენებს ძალოვან მეთოდებს.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ სტაბილურად მზარდი აზიური გიგანტი ყველას არ მიაჩნია საკუთარი ინტერესების საფრთხედ და შეერთებულ შტატებს არ თვლის იმდენად მნიშვნელოვან პარტნიორად, რომ მასთან ალიანსით ჩინეთთან თავის თანამშრომლობა რისკის წინაშე დააყენოს. ამის მიუხედავად, ჩინეთს და აშშ-ს შორის დაპირისპირების გამწვავების შემთხვევაში, სავარაუდოდ, ბევრს მოუწევს მხარის არჩევა. რაც მთავარია, ამ არჩევანს ყველაზე დიდწილად თავად ჩინეთის ქცევა განაპირობებს, კერძოდ ის, თუ რამდენად სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის ის თავისი ქცევით აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონის ქვეყნებს და წესებზე დამყარებულ საერთაშორისო წესრიგს.



Embassy
of the Republic of Poland
in Tbilisi

NATO
Contact Point Embassy



საქართველოსა და უკრაინის ნატოში განწევრიანების შემაფერხებელი ფაქტორები და არსებული პერსპექტივა

ნიკა კრანაშვილი



საქართველოსა და უკრაინის ნატოში განევრიანების შემაფერხებელი ფაქტორები და არსებული პერსპექტივა

შესავალი

ორი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის, საქართველოსა და უკრაინის, ნატოში ინტეგრაცია ორივე სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. საკმარისია ითქვას, რომ „ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში“ განევრიანებისკენ მისწრაფება როგორც საქართველოს კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციაში,²² ისე უკრაინის კონსტიტუციის 2019 წლის რედაქციაში²³ მკაფიოდაა გამოკვეთილი. ამასთანავე, NDI-ის 2021 წლის გამოკითხვის თანახმად, ნატოში ქვეყნის განევრიანებას საქართველოს მოსახლეობის 74% უჭერს მხარს. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი 2012 წლიდან დღემდე 62-81%-იან დიაპაზონში ხვდებოდა.²⁴ მეორე მხრივ, 2021 წლის IRI-ს გამოკითხვის მიხედვით, ქვეყნის ნატოში განევრიანებას უკრაინის მოსახლეობის 48%-იანი მხარდაჭერა აქვს. ეს ნიშნული 2014 წლიდან მოყოლებული 34-53%-ს შორის მერყეობდა. აქვე, მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ნატოში ინტეგრაციის მხარდაჭერა განსაკუთრებით მაღალია დასავლეთ და ცენტრალურ უკრაინაში, სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილში კი ნატოში განევრიანების არმოსურნეთა რაოდენობა ჭარბობს.²⁵ მიუხედავად ამისა, როგორც საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია,²⁶ ისე უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია²⁷ ნატოში ინტეგრაციას სახელმწიფოს ერთ-ერთ წამყვან საგარეოპოლიტიკურ მიზნად სახავს და ორივე ქვეყნის ხელისუფლების ძალისხმევა ალიანსში განევრიანებისკენაა მიმართული. თუმცა, საბოლოო წევრობის პერსპექტივა ჰორიზონტზე ჯერჯერობით არ გამოჩენილა. ორი ქვეყნის ნატოში ინტეგრაციის მრავალწლიანი მსვლელობის პროცესში შეკითხვა, რომელიც დღეს დაისმის, შემდეგია: რა უშლის ხელს საქართველოსა და უკრაინის ნატოში განევრიანებას და რა სახის პერსპექტივა აქვთ მათ სამომავლოდ?

აღნიშნულ კითხვაზე სათანადო პასუხის საპოვნელად მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, თუ საიდან და როდის დაიწყო საქართველოსა და უკრაინის ნატოში ინტეგრაციის პროცესი, რისთვისაც ისტორიული მიმოხილვა იქნება საჭირო. შემდგომ ამისა აუცილებელია იმის განხილვა, თუ რა პროგრამებსა და მისიებში იყვნენ და არიან ჩართულნი

²² საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კონსტიტუცია (1995). [ბმული](#)

²³ Верховна Рада України, Конституція України (1996). [Посилання](#)

²⁴ NDI, საზოგადოების განწყობა საქართველოში (2021): გვ. 45. [ბმული](#)

²⁵ IRI, Public Opinion Survey of Residents of Ukraine (2021): p. 56. [Link](#)

²⁶ თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია (2011): გვ. 16. [ბმული](#)

²⁷ Президент України, Стратегія національної безпеки України (2020). [Посилання](#)

საქართველო და უკრაინა, რაც გასცემს პასუხს კითხვაზე - რა ეტაპზე არიან ისინი დღეს? ბოლო და ყველაზე მნიშვნელოვანი კი იმის ანალიზია, თუ რა ფაქტორები აბრკოლებს ინტეგრაციას და რატომ ვერ მიდის პროცესი წინ პოლიტიკურ დონეზე? დასასრულს, გამოკვეთილი ასპექტები შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების საშუალებას მოგვცემს. კვლევის წარმართვისას პრიორიტეტი ისეთ პირველად და მეორეულ წყაროებს მიენიჭება, როგორცაა ორი ქვეყნისა და ნატოს ოფიციალური დოკუმენტები, თანამდებობის პირთა და ექსპერტთა განცხადებები, ისევე როგორც საკითხთან დაკავშირებული საინფორმაციო და ანალიტიკური სტატიები.

ისტორიული მიმოხილვა: პროგრამები და მისიები

ნატო-უკრაინისა²⁸ და ნატო-საქართველოს²⁹ ურთიერთობები, შესაბამისად, 1991 და 1992 წლიდან იწყება, როდესაც ახალდამოუკიდებლობამიღებული სახელმწიფოები ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოში (NACC, შემდგომში ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო - EAPC) გაწევრიანდნენ. 1994 წელს ორივე ქვეყანა შეუერთდა პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ (PfP). ნატოსთან ურთიერთობები საქართველოს შემთხვევაში 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ განსაკუთრებით მაღალ დონეზე ავიდა. 1997 წლის „გამორჩეული პარტნიორობის შესახებ ქარტიის“ ფარგლებში შეიქმნა ნატო-უკრაინის კომისია, 2008 წელს კი - ნატო-საქართველოს კომისია, რომლის მიზანსაც „მჭიდრო პოლიტიკური დიალოგის გამართვა, რეფორმების ძალისხმევითა და ევროატლანტიკური მისწრაფების მხარდაჭერისთვის თანამშრომლობა“ წარმოადგენს. ორი ქვეყნის წინგადადგმული ნაბიჯების შესაბამისი მოლოდინის მიუხედავად, ნატოს 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე საქართველოსა და უკრაინას გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (MAP) არ გადაეცათ. მიუხედავად ამისა, სამიტზე გადაწყდა, რომ ისინი ნატოს წევრები გახდებიან. ეს გადაწყვეტილება, რომელიც ინტეგრაციის პროცესში ერთ-ერთი მთავარი ხელჩასაჭიდი სიმბოლო გახდა, ნატოს მომდევნო სამიტებზეც დადასტურდა, თუმცა როდის მოიცავს ალიანსის გაფართოება საქართველოსა და უკრაინას, ოფიციალურად არასდროს დაკონკრეტებულა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის, 2014 წლის რუსეთ-უკრაინის ომისა და ორი ქვეყნის სუვერენული ტერიტორიების ოკუპაციის/ანექსიის შემდეგ ნატო ორივე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისა და უსაფრთხოების გაძლიერებისკენაა მიმართული. უკრაინის შემთხვევაში, ცხადია, ბოლო პერიოდში არსებული დაძაბულობებისა და რუსეთის არმიის მანევრირებების ფონზე, ალიანსი განსაკუთრებულ

²⁸ NATO, Relations with Ukraine (2021). [Link](#)

²⁹ NATO, Relations with Georgia (2021). [Link](#)

პრიორიტეტს ანიჭებს შავი ზღვის უსაფრთხოებისა და ორივე ქვეყანასთან საზღვაო თანამშრომლობის გაძლიერებას. საქართველო და უკრაინა 2008-2009 წლებიდან მოყოლებული დეკადაზე მეტია ყოველწლიურად ასრულებენ წლიურ ეროვნულ პროგრამას (ANP). ნატო-საქართველოს შემთხვევაში წლიურ ეროვნულ პროგრამასთან ერთად, განსაკუთრებული მიღწევები მოიცავს 2010 წელს თბილისში ნატოს სამეკავშირეო ოფისის (NATO Liaison Office) გახსნას, ისევე როგორც 2014 წელს უელსის სამიტზე ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) შემუშავებას, რომელიც მიზნად განწვიანებისთვის მომზადებასა და თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებას ისახავს. 2015 წელს ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC) გაიხსნა. 2020 წელს კი ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP) განახლდა და უფრო ამბიციური სახე მიიღო. უკრაინის შემთხვევაში 2016 წლის ვარშავის სამიტმა სათავე დაუდო ყოვლისმომცველი დახმარების პაკეტის (CAP) ჩამოყალიბებას, ისევე როგორც ჰიბრიდულ ომთან ბრძოლის ნატო-უკრაინის პლატფორმის შექმნას. შეიძლება ითქვას, რომ ნატო-საქართველოსა და ნატო-უკრაინის ურთიერთობები დინამიურად ვითარდება.

რაც შეეხება ნატოს მისიებსა და ოპერაციებში მონაწილეობას, აღსანიშნავია საქართველოს ჩართულობა კოსოვოს მისიაში 1999-2008 წლებში და ავღანეთში ჯერ საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების მისიაში (ISAF) 2004-2014 წლებში, შემდეგ კი მტკიცე მხარდაჭერის მისიაში (RSM) 2015-2021 წლებში. ამ უკანასკნელში საქართველო ნატოს არაწევრ სახელმწიფოებს შორის უმსხვილესი კონტრიბუტორი იყო.³⁰ გარდა ამისა, საქართველო შეუერთდა როგორც ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებს (NATO Response Force), ისე ხმელთაშუა ზღვაზე მიმდინარე ანტიტერორისტულ ოპერაცია აქტიურ ძალისხმევასაც (Active Endeavour), 2016 წლიდან კი საქართველო თანამონაწილეობს ოპერაციაში ზღვის მცველი (Operation Sea Guardian).³¹ თავის მხრივ, უკრაინა დღემდეა ჩართული ნატოს მისიაში კოსოვოში (KFOR), ისევე როგორც 2010 წლიდან სწრაფი რეაგირების ძალებში (NATO Response Force). ასევე, უკრაინა ჩართული იყო ავღანეთში ნატოს მტკიცე მხარდაჭერის მისიაში (RSM). უკრაინა ნატოს პოტენციური პარტნიორია, ერთი მხრივ, ერაყის მისიაში (NMI), მეორე მხრივ კი, ოპერაცია ზღვის მცველში (Operation Sea Guardian).³² ამგვარად, ორივე სახელმწიფო ადასტურებს, რომ ისინი არამხოლოდ „უსაფრთხოების მომხმარებლები“ არიან, არამედ თავად შეაქვთ წვლილი საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველო, როგორც ერთ-ერთი „ყველაზე თავსებადი პარტნიორი“, 2014 წლიდან, უკრაინა კი 2020 წლიდან ავსტრალიასთან, იორდანიასთან, ფინეთსა და შვედეთთან ერთად „გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორი“ (EOP)

³⁰ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საერთაშორისო მისიები. [ბმული](#)

³¹ NATO, Relations with Georgia (2021). [Link](#)

³² Mission of Ukraine to NATO, Ukraine's participation in Alliance-led operations (2021). [Link](#)

გახდა. შედეგად, ორივე ქვეყანამ ალიანსთან „თანამშრომლობის გაფართოებული შესაძლებლობების“ მიღება დაიწყო. 2020 წელს კი ნატოს გენერალური მდივნის მიერ შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა წარადგინა ანგარიში „ნატო 2030“, რომელიც ალიანსს „ღია კარის პოლიტიკის“ გაძლიერებისკენ მოუწოდებს.³³

ნატოს „ღია კარის პოლიტიკა“ და სტატუს-კვო

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-10 მუხლი ხაზს უსვამს, რომ ნატოს წევრებს „კონსენსუსის გზით შეუძლიათ მოიწვიონ ალიანსში ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელსაც შესწევს უნარი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელებას შეუწყოს ხელი და შეიტანოს წვლილი ჩრდილოატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში“.³⁴ სწორედ ამ მუხლს ეფუძნება ნატოს „ღია კარის პოლიტიკა“. ალიანსის დაარსებიდან, 1949 წლიდან მოყოლებული გაფართოების რვა რაუნდის შემდეგ ნატოს კონტინგენტი 12-დან 30 ქვეყნამდე გაიზარდა. 2017 წელს მონტენეგროს, 2020 წელს კი ჩრდილოეთ მაკედონიის მიღებით ნატოს ასპირანტ ქვეყნებად რჩებიან ბოსნია-ჰერცეგოვინა, საქართველო და უკრაინა. ბოსნია-ჰერცეგოვინამ განწვრიანების სამოქმედო გეგმა (MAP) 2010 წელს მიიღო, საქართველო და უკრაინა კი, როგორც ითქვა, კვლავ MAP-ის მოლოდინში არიან.³⁵ მართალია, MAP ნატოში ავტომატურად განწვრიანებას არ გულისხმობს, მაგრამ ესაა „კონსულტაციების, დახმარებისა და პრაქტიკული მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც მორგებულია ალიანსში განწვრების მსურველი ქვეყნის ინდივიდუალურ საჭიროებებზე“. შესაბამისად, MAP, პრაქტიკულად, ალიანსის წევრობის საგზურია.³⁶ უცნაური ისაა, რომ ნატო, ტრადიციულად, წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) შესრულების საშუალებას მხოლოდ MAP-ის მქონე სახელმწიფოებს აძლევს, თუმცა „MAP-ზე პოლიტიკური გადაწყვეტილების გარეშე“ მისი განხორციელების უფლება მიიღო როგორც საქართველომ, ისე უკრაინამ. წლიური ეროვნული პროგრამა მოიცავს ერთი წლის განმავლობაში შესასრულებელ ღონისძიებებს, რომლებიც პოლიტიკის, ეკონომიკის, თავდაცვის, რესურსების, უსაფრთხოებისა და სამართლებრივ საკითხებს ფარავს.³⁷ ნატოში განწვრიანების მსურველი ქვეყნებისთვის 1995 წელს გამოცემული კონკრეტული კრიტერიუმები (1995 Study on Enlargement) ასე გამოიყურება:

³³ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, თანამშრომლობა ნატოსთან (2021). [ბმული](#)

³⁴ ნატო, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება (1949). [ბმული](#)

³⁵ NATO, Enlargement (2020). [Link](#)

³⁶ NATO, Membership Action Plan (2020). [Link](#)

³⁷ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, წლიური ეროვნული პროგრამა (ANP). [ბმული](#)

- სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს „საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული მოქმედი დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა“;
- სახელმწიფო „სამართლიანად უნდა ეპყრობოდეს უმცირესობებს“;
- სახელმწიფო „მშვიდობიანად უნდა აგვარებდეს კონფლიქტებს“;
- სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს „ნატოს ოპერაციებში სამხედრო წვლილის შეტანის უნარი და სურვილი“;
- სახელმწიფო უნდა ინარჩუნებდეს „დემოკრატიულ სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობებსა და ინსტიტუციურ სტრუქტურებს“.

როგორც ალიანსი აღნიშნავს, ნატოში ქვეყნის მიწვევა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს პრეროგატივაა და მოკავშირეებს შორის „კონსენსუსს ეფუძნება“, რაშიც „არც ერთი მესამე ქვეყანა“ ჩარევის უფლებას არ ფლობს.³⁸ თუკი ნატოს 2021 წლის ბრიუსელის სამიტის კომუნიკეს გადავხედავთ, აქ კვლავ მეორდება 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებისადმი ერთგულება, რომ როგორც საქართველო, ისე უკრაინა „ალიანსის წევრი გახდება და ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია განვევრიანების სამოქმედო გეგმა (MAP)“. აქვე გამოხატულია, რომ წლიური ეროვნული პროგრამა (ANP) თანამშრომლობის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს და რომ ალიანსი აფასებს თითოეული ქვეყნის „არსებით კონტრიბუციას ნატოს ოპერაციებში“. საქართველოს შემთხვევაში, საინტერესოა, რომ ალიანსი ეხმაურება ევროპული საბჭოს ლიდერის მედიაციით მიღწეულ პოლიტიკურ შეთანხმებას პარტიებს შორის (Way Ahead for Georgia) და განვევრიანების პროცესში გასათარებელი რეფორმების მხრივ, მის შესრულებას საგულისხმო როლს აკისრებს. აქვე აღნიშნულია, რომ საქართველომ „მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა რეფორმების“ თვალსაზრისით, რამაც მისი „თავდაცვითი შესაძლებლობები და ალიანსთან ფუნქციური თავსებადობა გააძლიერა“. ნათქვამია ისიც, რომ საქართველოს „ურთიერთობა ალიანსთან საბოლოო განვევრიანებისთვის ყველა ინსტრუმენტს მოიცავს“, რაც, უნდა ითქვას, რომ უკრაინასთან დაკავშირებით არაა დაკონკრეტებული. უკრაინის შემთხვევაში გამოყოფილია რეფორმების საჭიროება ისეთ სფეროებში, როგორიცაა კორუფციასთან ბრძოლა, პოლიტიკური პროცესების ინკლუზიურობის გაზრდა, დეცენტრალიზაცია და უსაფრთხოების სამსახური. ნატო მიესალმება უკვე მიღწეულ პროგრესს და მზადაა, ყოვლისმომცველი დახმარების პაკეტის (CAP) ფარგლებში უკრაინის მხარდაჭერა გააგრძელოს. ალიანსი, ასევე, აღნიშნავს, რომ „რუსეთის დესტრუქციული ქმედებების პასუხად“ გრძელდება საქართველოსთან „თანამშრომლობა შავი ზღვის რეგიონში“ და მიესალმება ნატო-საქართველოს ახალი არსებითი პაკეტის შესრულებისკენ გადადგმულ ნაბიჯებს. ნატო მზაობას გამოთქვამს ორივე ქვეყნის

³⁸ NATO, Enlargement (2020). [Link](#)

მხარდაჭერისთვის „ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ“. ალიანსი, აგრეთვე, მიესალმება გასული წლიდან უკრაინის მიერ გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორის სტატუსის მიღებასა და თანამშრომლობას შავი ზღვის რეგიონში. ამასთანავე, ამ ყველაფრის ხელშემწყობადაა დასახული ლიეტუვურ-პოლონურ-უკრაინული ბრიგადა. რაც მთავარია, ნატო კვლავ მხარდაჭერას უცხადებს უკრაინისა და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.³⁹

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პროგრამასა თუ მისიაში მონაწილეობა, ისევე როგორც ალიანსის უახლესი სამიტის დეკლარაციის გზავნილები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოსა და უკრაინას ნატოში ინტეგრაციის გზაზე უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები აქვთ გადადგმული. ბრიუსელის სამიტის კომუნიკე, შესაძლებელია, ინოვაციურს არაფერს არ ამბობს და გარკვეულწილად წინამორბედი დეკლარაციების მსგავს გზავნილებსაც იმეორებს,⁴⁰ თუმცა იგი ცხადყოფს, რომ ალიანსი ორ ქვეყანასთან გამორჩეულ ურთიერთობას ინარჩუნებს და ინტეგრაციის პროცესში რეფორმებისა და თავდაცვის-უნარიანობის პროგრესი ცალსახაა. ეს მით უფრო შეიძლება ითქვას საქართველოზე, რომელიც, მიუხედავად უკრაინის შედარებით მსხვილი გეოპოლიტიკური წონისა, ალიანსთან თავსებადობის თვალსაზრისით, უფრო წინაა. ფაქტია, ნატოში განწევრიანების კრიტერიუმებს ორივე ქვეყანა მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებს და ორივე ძლიერ ცდილობს ინტეგრაციის მაღალ ნიშნულზე აყვანას, თუმცა ამ ძალისხმევისა და ნატოს „ღია კარის პოლიტიკის“ მიუხედავად, ალიანსში შესვლის საბოლოო ეტაპის ვადები კვლავ უცნობია. მაშ ასე, რა უშლის ხელს საქართველოსა და უკრაინის ნატოში განწევრიანებას?

ნატოს გაფართოება და რუსეთის ფაქტორი

როგორც ნატოს გაფართოების ისტორია გვიჩვენებს, ალიანსში შესვლამ XXI საუკუნეში განსაკუთრებით დროში გაწელილი ფორმა მიიღო. ამას მით უფრო შეუწყო ხელი 1999 წლის ვაშინგტონის სამიტზე განწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) შემოღებამ. ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად, ბალტიისპირეთის სახელმწიფოები, MAP-ის მიღებიდან სულ რაღაც ხუთ წელიწადში შეუერთდნენ ალიანსს. თუმცა, მაგალითად, ხორვატია, რომელიც ალიანსში 2009 წელს შევიდა, MAP-ში 2002 წელს ჩაერთო, ხოლო მონტენეგრო, რომელიც ნატო-ში 2017 წელს განწევრიანდა, MAP-ს 2009 წელს შეუერთდა. თავის მხრივ, ჩრდილოეთ მაკედონიამ MAP 1999 წელს მიიღო, თუმცა ალიანსის წევრი მხოლოდ 2020 წელს გახდა, დაგვიანების მიზეზი კი მისი სახელისა და კულტურული მემკვიდრეობის

³⁹ NATO, Brussels Summit Communiqué (2021). [Link](#)

⁴⁰ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, თანამშრომლობა ნატოსთან (2021). [ბმული](#)

თაობაზე საბერძნეთთან წლების განმავლობაში არსებული დავა იყო. ეს სახელწიფოები, ცხადია, MAP-ის მიღებამდეც ელოდნენ წევრობას. ბოსნია-ჰერცეგოვინა კი 2010 წელს MAP-ში ჩართვის შემდეგაც ასპირანტ ქვეყნად რჩება.⁴¹ ბოსნიაში ნატო პოლიტიკური, საარჩევნო, ეკონომიკური, თავდაცვითი რეფორმებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცების საჭიროებაზე აკეთებს აქცენტს.⁴² ყველაფერი კი იმაზე მიუთითებს, რომ ნატოში შესვლა, ერთი მხრივ, სათანადო რეფორმების გატარებას, გარკვეული გამონწვევების დაძლევისა და სტრატეგიულ მოთმინებას, მეორე მხრივ კი, შესაფერის დროს მოითხოვს. თუკი გაფართოების ბოლო ტალღებს გადავხედავთ, ცხადი გახდება, რომ აღმოსავლეთ ევროპის ბევრი სახელმწიფოს მიღება ორ გეოპოლიტიკურ ქართეხილს ემთხვევა. ესენია - საბჭოთა კავშირის დაშლა, რასაც ყოფილი სოციალისტური რესპუბლიკების პროდასავლური კურსის აღება მოჰყვა და 9/11-ის შემდგომი ანტიტერორისტული ძალისხმევის გააქტიურება, რაც, უდავოა, აშშ-ის გამორჩეული მხარდაჭერით ნატოს გაფართოების ხელშემწყობი აღმოჩნდა. ეს იყო ისტორიული შესაძლებლობის პერიოდი, რომელიც საქართველოსა და უკრაინის პროდასავლური ორიენტაციის ზრდას დაემთხვა და შესაძლოა, სათანადოდ ყოფილიყო გამოყენებული. მიუხედავად ამისა, 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე ეს შესაძლებლობა ჩაიშალა და წევრობის პერსპექტივა გაურკვეველი ვადით გადაინია. თუ როგორ და რატომ, ამის ახსნა რამდენიმე არგუმენტით შეიძლება.

ნატოში განწევრიანება, როგორც საქართველოს, ისე უკრაინის თავდაცვისუნარიანობის უმთავრესი გარანტი იყო როგორც 2008 წელს, ისე დღეს. სამყაროს უძლიერესი დემოკრატიული ბლოკის წევრობა სამუდამოდ „ჩააცემენტებდა“ ამ ორი ქვეყნის უსაფრთხოებას და მათ ნებისმიერი გარეშე საფრთხისგან დაიცავდა. ეს კარგად ესმოდათ როგორც საქართველოსა და უკრაინის იმდროინდელ ლიდერებს, ისე კრემლსაც და სწორედ აქ ჩნდებოდა წინააღმდეგობა. მოსკოვის გადმოსახედიდან ნატო როგორც მაშინ, ისე დღეს ისეთ მსხვილ და სახიფათო ოპონენტად აღიქმებოდა, რომელიც მას ყოფილ „გავლენის სფეროებს“ - აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებსა და პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს - „ხელიდან აცლიდა“. კრემლის პერსპექტივით, ნატოს გეოგრაფიული ექსპანსია, მიუხედავად ალიანსის გაცხადებული თავდაცვითი ხასიათისა, მას პირდაპირ საფრთხეს უქმნიდა. ამიტომაც იყო, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ დაწყებული ომიდან 2 წლის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა პირდაპირ მიმართა ვლადიკავკაზში მდგომ სამხედროებს: „2008 წელს რომ გვეორჭოფა, ახლა გეოპოლიტიკური განზომილებები განსხვავებული იქნებოდა და რამდენიმე ქვეყანა ... შესაძლოა, ნატოში ყოფილიყო“.⁴³

⁴¹ NATO, Enlargement (2020). [Link](#)

⁴² NATO, Brussels Summit Communiqué (2021). [Link](#)

⁴³ Allison, Russia, the West, and Military Intervention (2013): p. 167

2008 წლის აგვისტოს ომისა და 2014 წლის რუსეთ-უკრაინის ომის გამომწვევ უამრავ მიზეზს ასახელებენ, თუმცა ლოგიკურია, ერთ-ერთ მათგანს ცალსახად წარმოადგენდა საქართველოსა და უკრაინის ნატოსთან და ზოგადად, დასავლეთთან დაახლოება და მიზანი კი ამ გზის მოკვეთა იყო. რატომ იჩენს რუსეთი ხისტ ძალას საქართველოსა და უკრაინის მიმართ და რატომ არ ჩაუტარებია მსგავსი ოპერაციები მას ნატოს ასპირანტ სხვა სახელმწიფოებში? საქმე ისაა, რომ მიუხედავად კომუნისტური/სოციალისტური წარსულისა, არც აღმოსავლეთ ევროპის არამოსაზღვრე და დასავლეთ ბალკანეთის სახელმწიფოები მოსკოვის მიერ საკუთარ „უკანა ეზოდ“ იმდენად არ აღიქმებოდა, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა და სუსტ რუსეთს მათი განევრიანებისთვის წინააღმდეგობა გაეწია. შეიძლება ითქვას, ბალტიისპირეთის სახელმწიფოები, რომლებიც უშუალოდ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები იყვნენ, ალიანსის ქოლგის ქვეშ დროულად შევიდნენ, რამაც მათ, პირდაპირი სამხედრო საფრთხე, პრაქტიკულად, სამუდამოდ ააცილა. დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების ნატო-ში ინტეგრაციის პროცესს კი კრემლი უმეტესწილად დებინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობითა და გაღიზიანების გამოხატვით ეხმარება.

განსხვავებული სიტუაციაა მოსაზღვრე საქართველოსა და უკრაინასთან, რომლებიც რუსულ იმპერიალისტურ პრიზმაში კვლავ „გავლენის სფეროებად“ განიხილება, ნატოს პოზიციონირება რუსეთის საზღვრებთან კი საფრთხის წყაროდ მიიჩნევა. სწორედ ამ აზრს იმეორებს რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, რომლის თანახმადაც, „რუსეთის ფედერაციისთვის სამხედრო საფრთხისა და სამხედრო მუქარის გაძლიერებას ხელს უწყობს რუსეთზე, მის მოკავშირეებსა და პარტნიორებზე ზეწოლის მცდელობები, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სამხედრო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რუსეთის საზღვრებთან ახლოს, სადაზვერვო საქმიანობის გაძლიერება და დიდი სამხედრო ფორმირებებისა და ბირთვული იარაღის გამოყენების მომზადება რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“.⁴⁴

2008 წლის აპრილში ბუქარესტის სამიტამდე აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ იგი „მტკიცედ“ უჭერდა მხარს უკრაინისა და საქართველოსთვის MAP-ის მინიჭებას და რუსეთს ამ საკითხზე „ვეტოს“ უფლება არ ექნებოდა,⁴⁵ მაგრამ საფრანგეთისა და გერმანიის წინააღმდეგობამ თავისი გაიტანა.⁴⁶ აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და უკრაინას მხარდაჭერა ჰქონდათ არამხოლოდ აშშ-ის პრეზიდენტისგან, არამედ სენატისა და წარმომადგენელთა პალატისგანაც, რომელთაც შესაბამისი რეზოლუციებიც კი გაატარეს. განევრიანების სამოქმედო გეგმის გადაცემის მოწინააღმდეგეები რამდენიმე არგუმენტს ეყრდნობოდნენ: „სეპარატისტული კონფლიქტები საქართველოში,

⁴⁴ Законодательство России, Стратегия национальной безопасности российской федерации (2021): с. 35. [Ссылка](#)

⁴⁵ France24, Bush: Russia has no veto right over Ukraine (2008). [Link](#)

⁴⁶ Erlanger & Myers, New York Times, NATO Allies Oppose Bush on Georgia and Ukraine (2008). [Link](#)

განვერიანების მიმართ უკრაინის მოსახლეობის წინააღმდეგობა და რუსეთის ძლიერი წინააღმდეგობა ორი ქვეყნის მიღებაზე“. ჯერ კიდევ იმ პერიოდში გაუღერდა აზრი, რომ საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში განვერების მოკლევადიანი „პერსპექტივა 2008 წლის აგვისტოს ომმა გვერდზე გადადო“.⁴⁷

სამიტზე გერმანიისა და საფრანგეთის სახით რუსეთმა საქართველოსა და უკრაინისთვის MAP-ის მინიჭებას არაპირდაპირი ვეტო დაადო. გერმანიამ ჯერ კიდევ სამიტამდე ღიად განაცხადა, რომ იგი ამას რუსეთთან დაკავშირებული საკითხების გამო ეწინააღმდეგებოდა. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა, ფრანსუა ფილონმა, აღნიშნა, რომ საფრანგეთი „საქართველოსა და უკრაინისთვის MAP-ის გადაცემას ეწინააღმდეგებოდა“, რადგან ეს არ იყო „სწორი პასუხი ევროპაში და ევროპასა და რუსეთს შორის ბალანსის კუთხით“. ამ საკითხზე საფრანგეთს „რუსეთთან დიალოგი“ სურდა. საბოლოოდ გამოვიდა, რომ ნატოს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების პრინციპი დაირღვა და ზემოხსენებული „მესამე მხარე“ საკითხის განხილვის პროცესში ირიბად შემოვიდა. რუსეთის გაღიზიანებისგან თავის შორს დაჭერა, შესაძლოა, იმდროინდელი გარემოებებით აიხსნას: აშშ-ის მისიას პრობლემები ჰქონდა ერაყში, მსოფლიო ფინანსურ კრიზისს განიცდიდა, ევროპა უფრო დამოკიდებული ხდებოდა რუსეთის ენერგორესურსებზე და რაც მთავარია, რუსეთთან პირდაპირი კონფრონტაციის გარისკვა არავის სურდა. ამ პერიოდში გერმანია და საფრანგეთი რუსეთთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ, რომ მას ავღანეთში მისიისთვის სატრანზიტო სივრცე გაეხსნა, რათა მოკავშირეებს სამხედრო მარაგები ავღანეთში შეეტანათ. რუსეთი კი, ამის სანაცვლოდ, სულ მცირე, საქართველოსა და უკრაინის ნატოში განვერების პერსპექტივის შეჩერებას მოითხოვდა. რუსეთის სახელმწიფო მდივნის, გრიგორი კარასინის თანახმად, „უკრაინის ნატოში განვერება რუსულ-უკრაინულ ურთიერთობებში ღრმა კრიზისს გამოიწვევდა და ევროპის უსაფრთხოებაზე იქონიებდა გავლენას“, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის მიხედვით კი, „საქართველოს MAP-ისკენ სწრაფვას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ინციდენტების გამომწვევა“ შეეძლო.⁴⁸

რუსეთთან დათმობამ, შეიძლება ითქვას, კრემლი გაათამამა და აგრძნობინა, რომ მის პირისპირ ნატოს ასპირანტი ქვეყანა - საქართველო პრაქტიკულად მარტო იყო დარჩენილი. 2008 წლის ომის შედეგად, თუ რუსეთი თბილისის კონტროლს ვერ ჩაიგდებდა ხელში, სულ მცირე საქართველოს სუვერენული ტერიტორიების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადება „გაკვეთილი“ უნდა ყოფილიყო, რომ არც მის და არც უკრაინის დასავლურ ორიენტირსა და დემოკრატიულ განვითარებას რუსეთი არ

⁴⁷ Congressional Research Service, NATO Enlargement. [Link](#)

⁴⁸ Socor, NATO Opens a Crisis Summit in Bucharest (2008). [Link](#)

შეინყნარებდა. რუსეთი ამჯერად დასავლური წნეხისგან უფრო მალე განთავისუფლდა, ვიდრე უკრაინაზე თავდასხმის დაწყების შემდეგ. 2014 წლის მოვლენების ფონზე, უკვე დასავლეთიც დარწმუნდა, რომ რუსეთთან დათმობებს მხოლოდ უარესი შედეგი მოჰქონდა.

როგორც ზემოთ ითქვა, უცნაურია, რომ საქართველო და უკრაინა მიუხედავად MAP-ის არქონისა, ყოველწლიურ ეროვნულ პროგრამას (ANP) ასრულებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით, ისინი იმავე საფეხურზე არიან, რომელზედაც MAP-ის მქონე სახელმწიფო იქნებოდა. თუმცა, MAP-ის მინიჭება პოლიტიკური საკითხია. 2021 წლის ნატოს სამიტის შემდეგ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ იგი, ერთი მხრივ, მიესალმებოდა უკრაინის ნატოში განევრიანების გადაწყვეტილებისადმი ალიანსის ერთგულებას, თუმცა უკრაინა „ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში შეტანილი წვლილის სათანადოდ დაფასებას იმსახურებს“. ამავე დროს აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა, აღნიშნა, რომ უკრაინის განევრიანების საკითხი „ჯერ კიდევ გასარკვევია“. რუსეთი 2008 წელს უკვე დაემუქრა უკრაინას, რომ ნატოში შესვლისა და ამერიკული რაკეტების განთავსების შემთხვევაში, კრემლი რაკეტებს მისკენ მიმართავდა. უკრაინა მშპ-ის 5%-მდე ხარჯავს თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე და ეს ალიანსის ყველა წევრის პროცენტულ მაჩვენებელზე მაღალია. უკრაინა 7 წელია აქტიურად იბრძვის პრორუსული შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, რაც მისი არმიის დონეს მაღლა სწევს. ამასთანავე, უკრაინას აღმოსავლეთ ევროპასა და შავი ზღვისპირეთში მდებარეობის გამო, ალიანსისთვის დიდი წონის შეძენა შეუძლია ნატოს ჯარებისა და ტექნიკის განთავსების შემთხვევაში. გარდა ამისა, უკრაინის უმაღლესი მეთაურები, რომლებიც რუს მეთაურებთან ერთად ინვრთნებოდნენ, ალიანსისთვის რუსეთზე ინფორმაციის შესანიშნავ წყაროს წარმოადგენენ. უკრაინის ჩართულობა ნატოს მისიებში, ისევე როგორც მოსახლეობის მეტწილი დადებითი განწყობა ალიანსის მიმართ ქვეყნის ნატოში წევრობის მნიშვნელოვან არგუმენტებს ქმნის. რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის თანახმად, ჯერ კიდევ „მიხეილ გორბაჩოვმა მიიღო ვერბალური დაპირება, რომ ნატო აღმოსავლეთით არ გაფართოვდებოდა“, თუმცა ეს ფაქტი თავად გორბაჩოვმაც უარყო. ნატოს წევრები უკრაინის მიღებით რუსეთის აგრესიას უფრთხიან, ეს კი ერთ-ერთი „მთავარი მიზეზია“ იმისა, თუ რატომ არაა უკრაინა ბლოკის წევრი.⁴⁹ უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური პროგრესი აქვს საქართველოსაც, რაზეც ზემოთაც ვისაუბრეთ. საკმარისია ითქვას, რომ უკრაინასთან ერთად მშპ-ის მინიმუმ 2%-ის თავდაცვის შესაძლებლობებში დაბანდების კრიტერიუმს საქართველოც აკმაყოფილებს და მას საგრძნობი პროგრესი აქვს განცდილი რეფორმების თვალსაზრისით.⁵⁰

⁴⁹ TRT World, Why Ukraine's potential entry into NATO makes Russia vulnerable (2021). [Link](#)

⁵⁰ Paul and Maisuradze, NATO and Georgia 13 years on: So close, yet so far (2021). [Link](#)

საქართველოს წევრობა, თავის მხრივ, ალიანსს გეოსტრატეგიულ შენაძენს მისცემდა, იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანას შავ ზღვაზე აქვს გასასვლელი და სამხრეთ კავკასიაში ენერგეტიკულ და სატრანსპორტო დერეფანს ქმნის, თანაც ახლო აღმოსავლეთთანაა გეოგრაფიულად ახლოს. ნატოს მიმართ მოსახლეობის დადებითი განწყობა და მისიებში ჩართულობა კი, ასევე, მნიშვნელოვანი ფაქტორებია.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის, დმიტრო კულებას, თანახმად, მოსკოვი „კარგად ყიდის შიშს“, რომ თითქოს ნატოს გაფართოება მას თავდაცვისკენ უბიძგებს და ამიტომ იწყებს მეზობელი ქვეყნების ოკუპაციას. ამ ლოგიკაზე დაყრდნობით, ჩამოყალიბდა აზრი, რომ რუსეთის „პროვოცირება“ არ უნდა მოხდეს, თუმცა 2000-იანი და 2010-იანი წლები იმის დასტურია, რომ „იმაზე მეტად არაფერი იწვევს კრემლს აგრესიისკენ, ვიდრე მოწოდება, რომ ‘რუსეთის პროვოცირება’ არ მოხდეს“. კულება ბუქარესტის სამიტიდან მე-13 წელს უკრაინისა და საქართველოს ნატოს არწევრობას სწორედ რუსეთის ფაქტორით ხსნის, რომელიც „ოთახში სპილოს“ როლს ასრულებს. კულებას თანახმად, ნატოს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის, მიერ გაჟღერებული „ნატოს ღია კარის“ პრინციპის მიუხედავად, დროა, ნატოს წევრებმა უკრაინასა და საქართველოს MAP გადასცენ. „პარტნიორის სტატუსითაც“ კი უკრაინა და საქართველო „დე ფაქტო იცავენ ალიანსის აღმოსავლეთ ფლანგს და შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაში კრიტიკულ როლს თამაშობენ“. მართალია, MAP წევრობას არ უდრის, მაგრამ კულებას თანახმად, იგი „ნატოს სამომავლო წევრობის იდეის ნათელი გახმოვანება იქნებოდა“.⁵¹

ამ ეტაპზე ალიანსი აცხადებს, რომ მისი „ღია კარის პოლიტიკა“ კვლავ ძალაშია და რუსეთი „დე ფაქტო მესამე მხარის ვეტოს არ ფლობს“, რის დასადასტურებლადაც დასავლეთ ბალკანეთზე გაფართოების არგუმენტია მოყვანილი. თუმცა, აქ საქართველოსა და უკრაინის შემთხვევებისგან განსხვავება ისაა, რომ ახალმიღებული ქვეყნები ა) რუსეთს არ ესაზღვრებიან, ბ) აქ არც რუსული ჯარი დგას და გ) რეგიონში კონფლიქტის განახლების პრევენციისთვის ამ სახელმწიფოთა ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება თავიდანვე აუცილებელ მექანიზმად იყო დასახული. ალიანსს ჰქონია შემთხვევები, როცა სადავო ტერიტორიებით მიუღია ქვეყანა, მაგალითად, 1955 წელს დასავლეთ გერმანია, რომელსაც აღმოსავლეთ გერმანია 1990 წელს მიუერთდა ან ესპანეთი 1982 წელს. გაყოფილი გერმანიის მიღება განსაკუთრებით საინტერესო მოვლენა იყო. ცივი ომის პერიოდში ალიანსი აშშ-ის მტკიცე ლიდერობით უფრო მეტად იყო კონსოლიდირებული და შეთახმებული იმ ფაქტზე, რომ ისეთი ქვეყნების შემოერთება, როგორც იყო საბერძნეთი, თურქეთი და დასავლეთ გერმანია, მათ არამხოლოდ კომუნისტური საფრთხისგან დაიცავდა, არამედ მზარდი გეოპოლიტიკური საშიშროების წინაშე „დემოკრატიულ არსენალს“ გააფართოვებდა და რაც მთავარია, საბჭოთა

⁵¹ Kuleba, Why is Ukraine still not in NATO? (2021). [Link](#)

ექსპანსიის აღკვეთას უზრუნველყოფდა. შეიძლება ითქვას, ვაშინგტონის გადმოსახედიდან გერმანიის მიღება სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენდა, ხოლო აშშ-ის აზრი ამ პერიოდის ჯერ კიდევ სუსტ ევროპაში გადამწყვეტი იყო.⁵² ბუქარესტის სამიტმა კი აჩვენა, რომ მართალია, ვაშინგტონის ხედვა მნიშვნელოვანია, მაგრამ მას ევროპის ქვეყნების დაყოლიება, რიგ საკითხებში, არც ისე იოლად გამოსდის.

ნატოს თეორიულად შეუძლია მე-5 მუხლი საქართველოსა და უკრაინის არაკონტროლირებად ტერიტორიებზე დროებით არ გაავრცელოს, რაც მოკლევადიან პერსპექტივაში წევრობას გააადვილებდა და ნატოსაც, უსაფრთხოების თვალსაზრისით, ზედმეტ თავის ტკივილს აარიდებდა. დეოკუპაციის შემდეგ კი ეს ტერიტორიები ჩვეულებისამებრ მოექცეოდა ნატოს ქოლგის ქვეშ. სტოლტენბერგის თანახმად, ეს აჩვენებდა რუსეთს, რომ გაყინული კონფლიქტის ზონების შექმნა სამუდამოდ ვერ გაყინავს საქართველოს“ და ცხადია, ვერც უკრაინის „მომავალს“.⁵³

დასკვნა

ნატოში ინტეგრაციის გზაზე საქართველომ და უკრაინამ ხანგრძლივი და რთული გზა განვლეს. ორივე ქვეყანა ეტაპობრივად აძლიერებდა და დღემდე აძლიერებს ძალისხმევას ალიანსის საბოლოო წევრობამდე მისასვლელად. ამ გზაზე მოხდა ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენა - 2008 წლისა და 2014 წლის ომები რუსეთთან, რომლებსაც ორი ქვეყნის სუვერენული ტერიტორიების ოკუპაცია/ანექსია მოჰყვა. მაშინ, როდესაც განვერიანების სამოქმედო გეგმის (MAP) მინიჭების მხრივ ალიანსის ზოგიერთი წევრი, გამორჩეულად კი მძიმეწონიანი ევროპული სახელმწიფოები - გერმანია და საფრანგეთი - წინააღმდეგობას ავლენდნენ ჯერ კიდევ 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე, რუსეთთან ღია კონფლიქტებისა და საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის გამო, მათი სკეპტიკური დამოკიდებულება კვლავ გამოწვევას წარმოადგენს.⁵⁴ თუმცა, ნატოს შეუძლია „კრეატიული“ გამოსავლის პოვნა და ალიანსის ხელშეკრულების ოკუპირებულ ტერიტორიებზე დროებით გაუვრცელებლობა, თუმცა ამას, პირველ ყოვლისა, წევრი სახელმწიფოების პოლიტიკური ნება სჭირდება. ნატოს წევრები და მით უფრო, გერმანია, რომელსაც აღმოსავლეთ ევროპაში უფრო მეტი სიტყვა ეთქმის, იმის ფონზე, რომ საფრანგეთი ევროპის სამხრეთ ფლანგზე დომინირებს, უფრო და უფრო ხდებიან რუსეთსა და მის ენერგორესურსებზე დამოკიდებულნი, რისი დასტურიცაა „ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის“ გაყვანაც. რუსეთი კი კვლავ განაგრძობს „გავლენის სფეროების“ პოლიტიკას. კრემლი,

⁵² History, West Germany joins NATO (2009). [Link](#)

⁵³ Paul and Maisuradze, NATO and Georgia 13 years on: So close, yet so far (2021). [Link](#)

⁵⁴ Ibid.

მისი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ადვილად არ შეეღვევა საქართველოსა და უკრაინის „ნატოს ორბიტაზე შესვლას“ და მაქსიმალურ წნეხს - იქნება ეს „რბილი“ თუ „ხისტი“ ძალა, ისევე როგორც „ჰიბრიდული ომის“ საშუალებები - მიმართავს ამის პრევენციისთვის. ნატოს შიდა დანაწევრებულობა და ერთიანი პოზიციის არარსებობა საქართველოსა და უკრაინის მიღების თაობაზე, რუსული ირიბი ვეტოს არსებობაზე მიუთითებს. საქართველოსა და უკრაინის ნატოში ინტეგრაციის პროცესში პრობლემა არა იმდენად დემოკრატიული რეფორმების ან სამხედრო თავსებადობის ნაკლებობაა, არამედ გეოგრაფიული მდებარეობა და რუსეთის ფაქტორი, რაც კრემლის წინააღმდეგობასა და საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიების მიტაცებით ვლინდება. სხვა შემთხვევაში რთულია აიხსნას, თუ რატომ არიან ნატოს წევრები დემოკრატიისა და სამხედრო მომზადების მხრივ უფრო დაბალი დონის მქონე სახელმწიფოები მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფლანგზე. ცხადია, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთი რეგიონში გავლენიან მოთამაშედ რჩება და ნატოს წამყვანი ქვეყნების ნაწილი მის გაღიზიანებას კვლავ ერიდება, რაც კრემლის მხრიდან მხოლოდ და მხოლოდ მეტი აგრესიის წყარო ხდება.

მიუხედავად ყველაფრისა, გაურკვეველ პერიოდში, თუმცა აუცილებლად გამოჩნდება შესაძლებლობის ფანჯარა, რომელიც საქართველომ და უკრაინამ პრაგმატულად უნდა გამოიყენონ. თუკი 2000-იან წლებში კონტრტერორისტულმა მობილიზაციამ ალიანსის კარი ფართოდ გახსნა, მსგავსი გეოპოლიტიკური შანსი კვლავ გამოჩნდება. რთულია განისაზღვროს, რა სცენარი შეიძლება წარმოდგეს ამ მხრივ, თუმცა, შესაძლოა, ეს იყოს რუსეთის დასუსტება ან საერთო გლობალური პრობლემის წარმოშობა, რომელიც ნატოს შავი ზღვის რეგიონის პირდაპირ პლაცდარმად გამოყენების საჭიროებას შეუქმნის. მსგავსი სცენარი შეიძლება ახლო აღმოსავლეთიდან მომდინარე მზარდ ტერორისტულ საფრთხეს ან ჩინეთის ეკონომიკური გაძლიერების ფონზე, პეკინის სამხედრო-პოლიტიკური ამბიციების ზრდას დაუკავშირდეს.

ნებისმიერ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, საქართველომ და უკრაინამ განაგრძონ და გააძლიერონ რეფორმები და სწრაფი ტემპით შეძლონ ყველა იმ დარჩენილი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო თუ ტექნოლოგიური კრიტერიუმის დაკმაყოფილება, რომელიც ალიანსის რომელიმე წევრმა, შესაძლოა, ვეტოთი მანიპულაციის საბაბად გამოიყენოს. საქართველომ და უკრაინამ უნდა განაგრძონ ნატოს მისიებსა და ოპერაციებში მონაწილეობა, რათა მუდმივად ჩანდნენ ალიანსის რადარზე. ამავდროულად, ალიანსმა უნდა განაგრძოს საქართველოსა და უკრაინის განვითარების მხარდაჭერა და დაფინანსება, ასევე, გააძლიეროს ზეწოლა რუსეთზე და მაქსიმალურ წნეხში ამყოფოს იგი საქართველოსა და უკრაინაში კონფლიქტების მშვიდობიანად გადაწყვეტის დაწყებამდე. საქართველომ და უკრაინამ, თავის მხრივ, ოკუპი-

რებულ/ანექსირებულ ტერიტორიებზე უფრო მეტად უნდა გაააქტიურონ სახალხო დიპლომატია გრძელვადიან პერსპექტივაში მათი რეინტეგრაციის მოტივით. ბოლო-დროინდელი შავი ზღვის სივრცის მნიშვნელობის გაზრდის ფონზე კი, აუცილებელია ნატომ, საქართველოსა და უკრაინასთან ერთად, დროულად შეიმუშავოს შავი ზღვის სტრატეგია და, რაც მთავარია, უშუალოდ საქართველომ და უკრაინამ შეიმუშავონ ამ მიმართულებით ინიციატივები. ორივე ქვეყანამ, ასევე, ინტენსიური დიპლომატიური ძალისხმევა უნდა მიმართოს ნატოში განწევრიანების საკითხზე ბერლინისა და პარიზის დასარწმუნებლად, რადგან მათი თანხმობა, პრაქტიკულად, განწევრიანების ტოლფასი იქნება. ამავე დროს მოლაპარაკებები უნდა გაგრძელდეს ნატოს წევრ ყველა სახელმწიფოსთან, მათ შორის, შეერთებულ შტატებთან, რათა მათი მხარდაჭერა შენარჩუნდეს და გაძლიერდეს. დასასრულს, საქართველოსა და უკრაინის ნატოში ინტეგრაციის პროცესში მრავალწლიანი პროგრესის დაფასებისა და რეფორმებში მიღწეული წარმატების ნიშნად, ალიასნმა რეალურად უნდა უერთგულოს „ღია კარის პოლიტიკას“ და მათ MAP რაც შეიძლება მალე გადასცეს.

ბიბლიოგრაფია

- ნატო. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება. 4 აპრილი, 1949. [ბმული \(14.11.2021\)](#);
- საქართველოს პარლამენტი. საქართველოს კონსტიტუცია. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 1995. [ბმული \(07.11.2021\)](#);
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. თანამშრომლობა ნატოსთან. 2021. [ბმული \(14.11.2021\)](#);
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. საერთაშორისო მისიები. [ბმული \(13.11.2021\)](#);
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. 2011. [ბმული \(07.11.2021\)](#);
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. წლიური ეროვნული პროგრამა (ANP). [ბმული \(16.11.2021\)](#);
- NDI. საზოგადოების განწყობა საქართველოში. ივლისი, 2021. [ბმული \(07.11.2021\)](#);
- Верховна Рада України. Конституція України. 1996. [Посилання \(07.11.2021\)](#);
- Президент України. Стратегія національної безпеки України. 14 вересня 2020. [Посилання \(07.11.2021\)](#);
- Законодательство России. Стратегия национальной безопасности российской федерации. Официальный интернет-портал правовой информации. 2 июля 2021. [Ссылка \(17.11.2021\)](#);
- Allison, Roy. Russia, the West, and Military Intervention. 2013. Oxford University Press;
- Congressional Research Service. NATO Enlargement: Albania, Croatia, and Possible Future Candidates. April 14, 2009. [Link \(17.11.2021\)](#);
- Erlanger, Steven, and Myers, Steven Lee. NATO Allies Oppose Bush on Georgia and Ukraine. New York Times. April 3, 2008. [Link \(11.11.2021\)](#);
- France24. Bush: Russia has no veto right over Ukraine. April 1, 2008. [Link \(11.11.2021\)](#);
- History. West Germany joins NATO. May 7, 2020. [Link \(22.11.2021\)](#);
- IRI. Public Opinion Survey of Residents of Ukraine. March 2021. [Link \(07.11.2021\)](#);
- Kuleba, Dmytro. Why is Ukraine still not in NATO? Atlantic Council. February 16, 2021. [Link \(21.11.2021\)](#);
- Mission of Ukraine to NATO. Ukraine's participation in Alliance-led operations, missions, NATO Response Force and exercises. June 16, 2021. [Link \(13.11.2021\)](#);
- NATO. Brussels Summit Communiqué. June 14, 2021. [Link \(14.11.2021\)](#);

- NATO. Enlargement. May 5, 2020. [Link \(14.11.2021\)](#);
- NATO. Membership Action Plan (MAP). Mar 23, 2020. [Link \(11.11.2021\)](#);
- NATO. Relations with Georgia. August 25, 2021. [Link \(10.11.2021\)](#);
- NATO. Relations with Ukraine. August 27, 2021. [Link \(10.11.2021\)](#);
- Paul, Amanda, and Maisuradze, Iana. NATO and Georgia 13 years on: So close, yet so far. European Policy Centre. May 31, 2021. [Link \(21.11.2021\)](#);
- Socor, Vladimir. NATO Opens a Crisis Summit in Bucharest. The Jamestown Foundation. April 2, 2008. [Link \(17.11.2021\)](#);
- TRT World. Why Ukraine's potential entry into NATO makes Russia vulnerable. June 15, 2021. [Link \(21.11.2021\)](#).



Embassy
of the Republic of Poland
in Tbilisi

NATO
Contact Point Embassy



საქართველოსა და უკრაინის ნატოში განწევრიანების საერთაშორისო სამართლებრივი პერსპექტივები

გიორგი ჩაჩხიანი



საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანების საერთაშორისო სამართლებრივი პერსპექტივები

შესავალი

საქართველოსა და უკრაინასთან მიმართებაში, ნატოს ურთიერთობების ერთ-ერთ უმთავრეს ქვაკუთხედს 2008 წლის ბუქარესტის სამიტის დეკლარაცია წარმოადგენს. 2008 წლის 3 აპრილის დეკლარაციაში ვკითხულობთ: „ნატო მიესალმება უკრაინისა და საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს ნატოში გაწევრიანებისკენ. ჩვენ დღეს შევთანხმდით, რომ ეს ქვეყნები გახდებიან ნატოს წევრები. ორივე ქვეყანამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ალიანსის ოპერაციებში. მივსალმებით უკრაინასა და საქართველოში დემოკრატიულ რეფორმებს“.⁵⁵

ბუქარესტის სამიტზე მიღებული შეთანხმების მიუხედავად, ძალიან ბევრი ეჭვობს, თუ რამდენად დამარწმუნებელია ეს გადაწყვეტილება 13 წლის შემდეგ. ბევრს მიაჩნია, რომ საქართველოს ტერიტორიების რუსეთის სამხედრო ოკუპაცია და ყირიმის ანექსია ამ ორი სახელმწიფოს ნატოში ინტეგრაციას ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის. 2019 წლის 10 სექტემბერს ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა, ანდერს ფოგ რასმუსენმა, განაცხადა, რომ საქართველომ უნდა დაიწყოს დისკუსია ნატოში შესვლის თაობაზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მე-5 მუხლის გავრცელების გარეშე, რითიც რუსეთი დაინახავდა, რომ გაყინული კონფლიქტების შექმნით, ვერ შეძლებდა საქართველოს მომავლის გაყინვას.⁵⁶

2020 წლის 24 აგვისტო ნატოს ყოფილი მეთაურის, ჯეიმს სტავრიდისის, განცხადების მიხედვით, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტები დროის სვლასთან ერთად, გაყინული კონფლიქტები გახდა, რაც საქართველოს ნატოში ინტეგრაციის შანსებს ზრდის. სტავრიდისი იმავს ფიქრობს უკრაინასთან მიმართებაშიც. „ნაკლებად სავარაუდოა, რომ ყირიმი უკრაინას მალე დაუბრუნდეს, ან სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი მალე დაუბრუნდეს საქართველოს, მაგრამ თუ ვივარაუდებთ, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი გაყინული კონფლიქტებია, რომ ეს ფაქტია, რომელსაც ჩვენ ვერ შევცვლით, ვფიქრობ, გაიღება კარი საქართველოსთვის, რათა გახდეს ნატოს სრულუფლებიანი წევრი და, შესაძლოა, დროთა

⁵⁵ NATO. Bucharest Summit Declaration. (2008). [Link](#).

⁵⁶ Anders Fogh Rasmussen. Tweet. (2019). [Link](#).

განმავლობაში, უკრაინისთვისაც^{.57} რა სამართლებრივი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს საქართველოსა და უკრაინის კონფლიქტების გაყინულ კონფლიქტებად აღქმას, რამდენად უშვებს საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი და 1969 წლის ვენის კონვენციის მე-19 მუხლი საქართველოს მიერ დათქმის გაკეთებას 1949 წლის ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლზე და აბრკოლებს თუ არა ოკუპირებული და ანექსირებული ტერიტორიების არსებობა ნატოში ინტეგრაციის სამართლებრივ ასპექტებს?

ნაშრომის მიზანია, შეაფასოს ნატოში განვვრიანების საერთაშორისო სამართლებრივი პერსპექტივები საქართველოსა და უკრაინისთვის და იმსჯელოს, რამდენად აბრკოლებს რუსეთის მოქმედებები ნატოში ინტეგრაციას; რა სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს ალიანსის სამხედრო-სამშვიდობო სწავლებებში საქართველოს მიერ შეტანილ წვლილს; რამდენად აკმაყოფილებენ საქართველო და უკრაინა განვვრიანების კრიტერიუმებს და საქართველოს ნატოში სრული ინტეგრაცია გამოიწვევს თუ არა ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლის საფუძველზე ალიანსის რუსეთთან ომში ჩაბმას.

ნატოში განვვრიანების კრიტერიუმები

ვინაიდან მოცემული ნაშრომის მიზანია, გაანალიზოს ინტეგრაციის საერთაშორისო სამართლებრივი საკითხები და არა პოლიტიკური თვალსაზრისი, მოცემულ თავში განხილული იქნება ნატოს სადამფუძნებლო ხელშეკრულებით დადგენილი წინაპირობები, ვინაიდან ნატო, როგორც საერთაშორისო ორგანიზაცია, დაფუძნებულია 1949 წლის 4 აპრილის საერთაშორისო ხელშეკრულებით. ვაშინგტონის ხელშეკრულება კი ექვემდებარება საერთაშორისო სამართლის მართლწესრიგს და რეგულირდება ამავე ნორმებით.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-10 მუხლი ადგენს იმ ძირითად მახასიათებლებს, რომელიც ნატოს წევრობისთვისაა აუცილებელი. დებულების მიხედვით, „მხარეებს შეუძლიათ, ერთსულოვანი შეთანხმებით, მოიწვიონ ნებისმიერი სხვა ევროპული სახელმწიფო, რომელიც იზიარებს ამ ხელშეკრულების პრინციპებს და შეუძლია, შეიტანოს კონტრიბუცია ჩრდილო ატლანტიკური ზონის უსაფრთხოებაში, შეუერთდეს ამ ხელშეკრულებას. ნებისმიერი მონვეული სახელმწიფო შეიძლება გახდეს ხელშეკრულების მონაწილე შეერთების დოკუმენტის ამერიკის შეერთებული შტატების

⁵⁷ Agenda.ge. Former NATO Commander: if Abkhazia, South Ossetia viewed as frozen conflicts, the door to NATO could open for Georgia. (2020). [Link](#).

მთავრობისთვის დაპონირებით. აშშ-ის მთავრობა აცნობებს თითოეულ მხარეს ყოველი ასეთი დოკუმენტის დეპონირების შესახებ“.⁵⁸

აღსანიშნავია ისიც, რომ ხელშეკრულებაში არსად ფიგურირებს წევრობის სხვა რაიმე დამატარებელი ან გამომრიცხავი გარემოება, შესაბამისად, ხელშეკრულების მე-10 მუხლი არის ის ერთადერთი დებულება, რომლის ანალიზი რელევანტურია მოცემული თავის კონტექსტში. კერძოდ, ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-10 მუხლიდან გამომდინარეობს რამდენიმე წინაპირობა: აუცილებელია ერთსულოვანი შეთანხმება, ანუ კონსენსუსი, რაც გულისხმობს იმას, რომ ნატოს არსებული ყველა წევრი თანახმა უნდა იყოს ორგანიზაციაში ახალი წევრის მისაღების თაობაზე; სხვა ევროპული სახელმწიფო - ხელშეკრულების მე-10 მუხლი ჩაკეტილია ტერიტორიული საზღვრებით, რამეთუ პოტენციური წევრი უნდა იყოს ევროპული სახელმწიფო. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ უკრაინა და საქართველო აკმაყოფილებენ მოცემულ წინაპირობას; შემდეგი კრიტერიუმია ხელშეკრულების პრინციპების გაძლიერება და ჩრდილოატლანტიკური ზონის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მოცემულ კრიტერიუმთან მიმართებაში, შესაძლოა, გაჩნდეს კითხვა, თუ რამდენად შესწევს საქართველოს უნარი, უზრუნველყოს საყოველთაო უსაფრთხოება. მოცემულთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი დატვირთვა გააჩნია საქართველოს მიერ ნატოს მისიებში მონაწილეობას. საქართველო იყო მეხუთე უმსხვილესი კონტრიბუტორი ნატოს „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში, ავღანეთში; საქართველომ, ასევე, ნატოს არანევრ სახელმწიფოთა შორის ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა „საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერა და დაცვის ოპერაციაში“ (ISAF), რომელიც 2014 წლის დეკემბერში დასრულდა. საქართველო, აგრეთვე, მხარს უჭერდა ნატოს ანტიტერორისტული მონიტორინგის ოპერაციას ხმელთაშუა ზღვაში. საქართველოს წვლილი ჩანს ნატოს „სწრაფი რეაგირების ძალებში“ ჩართულობაშიც (NRF).⁵⁹

ის ფაქტორი, რომ ქართული შეიარაღებული ძალები მომზადებული არიან ნატოს სტანდარტების შესაბამისად და საქართველოს წვლილი ნატოს სამშვიდობო მისიებში აშკარა და შესამჩნევია, წარმოადგენს ჩრდილოატლანტიკური ზონის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივი კრიტერიუმის დაკმაყოფილების წინაპირობას. ამასთანავე, ქვეყნებს, რომლებიც მიწვეულნი იქნებიან ნატოში გასაწევრიანებლად, მოეთხოვებათ გარკვეული პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მზაობა, რათა იყვნენ ალიანსის უსაფრთხოების არა მხოლოდ ბენეფიციარები, არამედ საკუთარი წვლილის შეტანის შესაძლებლობაც შესწევდეთ ამ უკანასკნელის უზრუნველსაყოფად.⁶⁰

⁵⁸ NATO. The North Atlantic Treaty. (1949). [Link](#).

⁵⁹ NATO. NATO - Georgia relations. (2019). [Link](#).

⁶⁰ NATO. Frequently Asked Questions. (2017) [Link](#).

მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-10 მუხლი სხვა რაიმე წინაპირობას არ ადგენს, აშშ-ს შემუშავებული აქვს საკუთარი დამატებითი კრიტერიუმები ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 1997 წლის 30 ივნისით დათარიღებულ დოკუმენტში „მინიმალური მოთხოვნები ნატო-ს წევრობისთვის“ გაცხადებულია, რომ ახალი წევრები მხარს უნდა უჭერდნენ დემოკრატიას, იყვნენ ტოლერანტულები მრავალფეროვნების მიმართ; განიცდიდნენ პროგრესს საბაზრო ეკონომიკაში; ჰყავდეთ სამხედრო ძალები მტკიცე სამოქალაქო კონტროლის ქვეშ; იყვნენ კარგი მეზობლები და პატივი სცენ სხვა ქვეყნების სუვერენიტეტს და იყვნენ თავსებადი ნატოს შეიარაღებულ ძალებთან.⁶¹ აშშ-ის პოლიტიკის მიხედვით, ახალი წევრების მოწვევის მთავარი განმსაზღვრელია, გააძლიერებს თუ არა მათი მიღება ნატოში ალიანსს და გააგრძელებს ნატოს გაფართოების ძირითად მიზანს, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ზრდას ევროპაში.⁶²

როგორც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დოკუმენტის ანალიზის შედეგად ვადგენთ, ტერიტორიული პრობლემები არც ამ შემთხვევაში წარმოადგენს ნატოში ინტეგრაციის სამართლებრივ დაბრკოლებას. თუმცა, ვინაიდან ნატო თავისი არსით სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელშიც გადაწყვეტილებები კონსენსუსით მიიღება, მნიშვნელოვანია პოლიტიკური ფაქტორის გათვალისწინება. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, ოკუპირებული ან ანექსირებული ტერიტორიები არ წარმოადგენს ნატოში ინტეგრაციისთვის დაბრკოლებას, ასე არ ფიქრობენ პოლიტიკურ ეშელონებში. ამის კარგი მაგალითია სახელმწიფო მდივნად ნომინირებული ენტონი ბლინკენის 2021 წლის 19 იანვრის ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის მოსმენების ჩანაწერები, რომლის დროსაც ყურადღება ნატოში საქართველოსა და უკრაინის ინტეგრაციასაც დაეთმო. აშშ-ის მოქმედი სახელმწიფო მდივნის განცხადებით, თუკი საქართველოს მსგავსი ქვეყანა შეძლებდა, დაეკმაყოფილებინა წევრობის კრიტერიუმები და შეეძლო კოლექტიური უსაფრთხოებაში კონტრიბუციის შეტანა, ნატოს კარი ღია უნდა დარჩენილიყო. განსაკუთრებით საინტერესოა სენატორი რენდ პოლის პოზიცია, რომელმაც ბლინკენის პასუხზე კომენტირებისას განაცხადა: „ეს იქნებოდა ოკუპირებული საქართველოს ნატოში ინტეგრაცია. ამ შემთხვევაში, მეხუთე მუხლის მიხედვით, ჩვენ უნდა წავიდეთ ომში... რუსეთი ახდენს საქართველოს ოკუპირებას. რუსეთი ან მარიონეტული ჯარები ახდენენ უკრაინის ნაწილის ოკუპაციას. ასე რომ, ჩემი აზრით, ნებისმიერი ამ ქვეყნის ნატოში ინტეგრაცია არა მხოლოდ პროვოკაციულია, არამედ უნდა იფიქროთ, რა იქნება შემდეგ, თუკი ჩვენ ვართ ვალდებული დავიცვათ ნატოს მოკავშირეები, ჩვენ ხმას მივცემდით ომს. ამიტომ მე ვერ დავუჭერ მხარს

⁶¹ U.S. Department of State. Minimum Requirements for NATO Membership. (1997). [Link](#).

⁶² Ibid.

საქართველოს ნატოში დამატებას, თუ არ ვიქნები მზად, რომ გავგზავნო ჩემი და თქვენი შვილები საქართველოში საბრძოლველად. გართულებული ბრძოლები, ომები და ოკუპაცია - მე ვფიქრობ, რომ გვჭირდება ეს საკითხები კარგად მოვიფიქროთ და ვფიქრობ, რომ ყველა პროვოკაციისთვის არსებობს პასუხი“,⁶³ - აღნიშნა მოსმენისას აშშ-ის სენატორმა.

მოცემული განცხადებაც ცხადყოფს, რომ აშშ-ის სენატშიც საქართველოსა და უკრაინის ნატოში ინტეგრაციას მოკავშირეების ომში ჩაბმის საშიშროებად განიხილავენ. სწორედ ამ პრობლემის პოლიტიკური გადაწყვეტის მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს ანდერს ფოგ რასმუსენის 2019 წლის 10 სექტემბერს გაკეთებული განცხადება. მიუხედავად ამისა, რჩება სამართლებრივი კითხვა: რას მოიცავს ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი, შეიძლება თუ არა მასზე დათქმის გაკეთება და გამოიწვევს თუ არა საქართველოსა და უკრაინის ნატოში ინტეგრაცია მოკავშირეების რუსეთთან ავტომატურად ომში ჩაბმას?

ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი და კოლექტიური თავდაცვა

დოქტრინაში ხშირად გვესმის, რომ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლი კოლექტიური თავდაცვის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია, მაგრამ რას ნიშნავს თავად კოლექტიური თავდაცვა?

ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლის მიხედვით: „მხარეები თანხმდებიან, რომ შეიარაღებული თავდასხმა ერთ ან მეტ წევრ სახელმწიფოზე ევროპაში ან ჩრდილოეთ ამერიკაში მიიჩნევა ყველა წევრ სახელმწიფოზე თავდასხმად და, შესაბამისად, თანხმდებიან, რომ ასეთი თავდასხმის არსებობის შემთხვევაში, თითოეული მათგანი ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის განხორციელებით, რომელიც აღიარებულია გაერთიანებული ერების წესდების 51-ე მუხლით, დაეხმარება წევრ სახელმწიფოს ან სახელმწიფოებს, ინდივიდუალურად და სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებით. ასეთი ქმედებები, თუ მიიჩნევა აუცილებლად, მოიცავს შეიარაღებული ძალის გამოყენებას ჩრდილოატლანტიკურ სივრცეში უსაფრთხოების აღსადგენად და შესანარჩუნებლად. ნებისმიერი ასეთი შეიარაღებული თავდასხმისა და მიღებული ზომების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უშიშროების საბჭოს. ასეთი ზომები უნდა შეწყდეს მას

⁶³ U.S. Government Publishing Office. Hearings Before the Committee on Foreign Relations, United States Senate, One Hundred Seventeenth Congress, First Session. (2021). [Link](#).

შემდეგ, რაც უშიშროების საბჭო მიიღებს შესაბამის ზომებს, რომლებიც აუცილებელია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღსადგენად და შესანარჩუნებლად“.⁶⁴

მუხლის დეტალური ანალიზის შედეგად დგინდება, რომ ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი არ ადგენს რაიმე ახალ და განსხვავებულ რეჟიმს. დებულებაში არეკლილი თავდაცვის უფლება უნდა გავიგოთ გაეროს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად და მასზე უნდა გავრცელდეს ის რეჟიმი, რომელიც ვრცელდება თავდაცვის თანდაყოლილ უფლებაზე, რომელიც ასევე საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში აირეკლება. გაეროს წესდების 51-ე მუხლის თანახმად: „წინამდებარე წესდება არანაირად არ აკნინებს ინდივიდუალური თუ კოლექტიური თანდაყოლილი თავდაცვის უფლებას, როდესაც შეიარაღებული თავდასხმა ხდება ორგანიზაციის წევრზე, ვიდრე უშიშროების საბჭო არ მიიღებს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისთვის საჭირო ზომებს...“⁶⁵ 51-ე მუხლის ქვეშ მოიაზრება როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური თავდაცვა და აღნიშნული მუხლი გულისხმობს თავდაცვის ხელშეუვალი უფლების გამოყენებას შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში.⁶⁶ ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ თავად ტერმინი “შეიარაღებული თავდასხმა” განსაზღვრული არ არის, აღნიშნული მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ საქმეზე - ნიკარაგუა შეერთებული შტატების წინააღმდეგ - იქნა დადგენილი. შეიარაღებული თავდასხმა გულისხმობს „არა მხოლოდ რეგულარული სამხედრო ძალების მოქმედებას საზღვრებს მიღმა, არამედ სახელმწიფოების მიერ ან მისი სახელით შეიარაღებული ბანდების, ჯგუფების, არარეგულარული შენაერთების ან დაქირავებულების გაგზავნას, რომლებიც შეიარაღებულ მოქმედებებს ახორციელებენ სხვა სახელმწიფოს მიმართ ისეთი სიმძიმით, რომელიც ტოლფასია რეგულარული შეიარაღებული ძალების მიერ განხორციელებული რეალური შეიარაღებული თავდასხმისა“.⁶⁷ მოცემულის საფუძველზე, სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული ან დაფინანსებული სისტემატური ტერორისტული თავდასხმები შესაძლოა თავსდებოდეს შეიარაღებული თავდასხმის კონცეფციაში, რომელსაც დაბარალებულმა სახელმწიფომ შეიძლება თავდაცვის უფლებით უპასუხოს, თუმცა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს განმარტებით, მსგავსი ქმედებები შეიარაღებული თავდასხმის ტოლფასი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ოპერაციების მასშტაბები და შედეგები ისეთია, რომ ისინი „შეიძლება დაკვალიფიცირდეს შეიარაღებულ თავდასხმად და არა უბრალო სასაზღვრო ინციდენტად, თუკი ის რეგულარული სამხედრო ძალების მიერ იქნება განხორციელებული“.⁶⁸

⁶⁴ NATO. The North Atlantic Treaty. (1949). [Link](#).

⁶⁵ Charter of the United Nations. United Nations Treaty Series No. I-XVI. Art. 51. (1945).

⁶⁶ ხათუნა ბურკაძე. ძალის გამოყენების სამართლებრივი ასპექტები საერთაშორისო სამართალში. საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 2 (2010): 8.

⁶⁷ Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. United States of America) (merits). (1986) Judgment. ICJ. Rep 1986, p. 103, par. 195.

⁶⁸ Ibid.

51-ე მუხლი ასამოქმედებლად საჭიროებს შეიარაღებულ თავდასხმას და ამასთანავე უნდა აკმაყოფილებდეს აუცილებლობისა და პროპორციულობის კრიტერიუმებს, ვინაიდან აუცილებლობისა და პროპორციულობის კონცეფცია საერთაშორისო სამართალში თავდაცვის ქვაკუთხედს წარმოადგენს.⁶⁹ კოლექტიურ თავდაცვასთან მიმართებაში, დამატებითი კრიტერიუმები დაადგინა გაეროს მართლმსაჯულების სასამართლომ ნიკარაგუისა და ამერიკის შეერთებული შტატების საქმეზე. სასამართლომ კოლექტიურ თავდაცვაზე მსჯელობისას განაცხადა, რომ იმ სახელმწიფომ, რომლის წინააღმდეგაც იქნა განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა, საკუთარი თავი შეიარაღებული თავდასხმის მსხვერპლ სახელმწიფოდ უნდა გამოაცხადოს და მეორე სახელმწიფოსგან დახმარება მოითხოვოს.⁷⁰ „საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში არ არსებობს წესი, რომელიც სახელმწიფოს სიტუაციის თავისი სურვილისამებრ შეფასების შედეგად კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენების ნებას დართავდა“.⁷¹ მაშასადამე, კოლექტიური თავდაცვა არ ნიშნავს ინდივიდუალური უფლების ერთად გამოყენებას, არამედ აღნიშნული მოიცავს განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის საპასუხოდ კოლექტიურ ქმედებას, რომლის აუცილებელი ელემენტია ის, რომ დახმარება ოფიციალურად იყოს მოთხოვნილი.⁷²

გამომდინარე იქიდან, რომ ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი აკეთებს რეფერირებას გაეროს წესდების 51-ე მუხლზე, მასზე უნდა გავრცელდეს კოლექტიური თავდაცვის ის რეჟიმი და არსებული წინაპირობები, რომლებიც ზემოთ იქნა განხილული. განსახილველია საკითხი, რამდენად შეიძლება მე-5 მუხლზე დათქმის გაკეთება და თავდაცვის უფლების ამ რეჟიმის უგულებელყოფა.

ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლზე დათქმის გაკეთების სამართლებრივი ასპექტები

გამომდინარე იქიდან, რომ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება წარმოადგენს საერთაშორისო სამართალს დაქვემდებარებულ ხელშეკრულებას, მასზე ვრცელდება სახელშეკრულებო სამართლის შესახებ 1969 წლის ვენის კონვენციით დადგენილი რეჟიმი. კონვენციის მე-19 მუხლის მიხედვით, დათქმის გაკეთება დასაშვებია გარდა იმ

⁶⁹ Malcolm Shaw. *International law* (6th edition, New York: Cambridge University Press, 2008). 1140.

⁷⁰ *Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua*, 105, par. 199.

⁷¹ Christine Gray, *International Law and the Use of Force* (Oxford University Press, 2008). 169. მითითებულია ზურაბ სანიკიძე, თავდაცვის, როგორც ძალის გამოყენების კანონიერი უფლების, განმარტების პრობლემები. *საერთაშორისო სამართლის ჟურნალი*. 2 (2010): 43.

⁷² ზურაბ სანიკიძე. თავდაცვის, როგორც ძალის გამოყენების კანონიერი უფლების, განმარტების პრობლემები. *საერთაშორისო სამართლის ჟურნალი*. 2 (2010): 44.

შემთხვევებისა, (ა) როცა დათქმის გაკეთება აკრძალულია თავად ამ ხელშეკრულებით; (ბ) ხელშეკრულება თავად ითვალისწინებს მხოლოდ გარკვეული სახის დათქმებს, რომელთა რიცხვში ეს დათქმა არ შედის; ან იმ შემთხვევაში, როდესაც დათქმებზე არ ვრცელდება (ა) და (ბ) ქვეპუნქტების მოქმედება, დათქმა შეუთავსებელია ხელშეკრულების ობიექტთან და მიზანთან.⁷³ ვენის კონვენციის მე-19 მუხლის (გ) ქვეპუნქტით დადგენილი რეჟიმი ამოქმედდება მაშინ, როდესაც სახეზე არ გვაქვს (ა) და (ბ) ქვეპუნქტებთან დაკავშირებული შემთხვევა, რაც რელევანტურია ვაშინგტონის ხელშეკრულებასთან მიმართებაში, რადგან ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებაში არაფერი წერია დათქმებთან მიმართებაში.⁷⁴

საერთაშორისო სამართლის კომისიის (ILC) მიერ 2011 წელს მიღებულ იქნა ხელშეკრულებებზე დათქმების პრაქტიკის სახელმძღვანელო,⁷⁵ რომლის მიხედვითაც „დათქმა შეუთავსებელია ხელშეკრულების ობიექტსა და მიზანთან, თუ ის გავლენას ახდენს ხელშეკრულების არსებით ელემენტზე, რომელიც აუცილებელია მისი ზოგადი მიზნისთვის ისე, რომ დათქმა აზიანებს ხელშეკრულების არსებობის უმთავრეს მიზეზს“,⁷⁶ „ხელშეკრულების ობიექტი და მიზანი უნდა განისაზღვროს კეთილსინდისიერად, ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, კონტექსტურად, კერძოდ, ხელშეკრულების სათაურისა და პრეამბულის [გამოყენებით]“.⁷⁷ შესაბამისად, ხელშეკრულებაზე დათქმის დასაშვებობა უნდა განისაზღვროს მთლიანი ხელშეკრულების პირობების ანალიზის შედეგად. როგორც წესი, შესაძლებელია ხელშეკრულების არსებით მუხლებსა და ნაკლებად მნიშვნელოვან მუხლებს შორის საზღვრის გავლება: პირველი მათგანი არ იძლევა დათქმების გაკეთების შესაძლებლობა, მეორისთვის კი შესაძლებელია.

თუკი მოცემული სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით მოვახდენთ ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლის ანალიზს, დავადგენთ, რომ ამ ხელშეკრულების მიზანს კოლექტიური უსაფრთხოება, ხოლო ობიექტს კი წევრი ქვეყნების ტერიტორიები წარმოადგენენ. თავად ვაშინგტონის ხელშეკრულების პრეამბულაში მითითებულია, რომ ხელშეკრულების მონაწილეებმა გადაწყვიტეს, რომ „გააერთიანონ თავიანთი ძალისხმევა კოლექტიური თავდაცვისა და მშვიდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად“⁷⁸. შესაბამისად, დათქმის გაკეთება იმ მუხლზე, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოადგენს ერთგვარ პრევენციულ ბერკეტს ნატოს წევრ ქვეყნებზე თავდასხმის განსახორციელებლად, ხოლო, მეორე მხრივ, პრევენციულად უზრუნველყოფს კოლექტიური თავდაცვისა

⁷³ Vienna Convention on the Law of Treaties. United Nations Treaty Series No. I-18232, Vol. 1155. Art 19. (1969). [Link](#).

⁷⁴ დეტალურად იხ. Oliver Dörr, Kirsten Schmalenbach (eds.) Vienna Convention on the Law of Treaties: A Commentary, (2nd edition, BerlinL Springer, 2018). 287.

⁷⁵ ILC, Guide to Practice on Reservations to Treaties. (2011). [Link](#).

⁷⁶ Ibid, 32.

⁷⁷ Ibid.

⁷⁸ იხ. ნატოს ხელშეკრულების პრეამბულა.

და მშვიდობის შენარჩუნებას, საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის გადმოსახედიდან არ იქნება მართლზომიერი.

ამასთანავე, რადგანაც ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი არ ადგენს რაიმე ახალ რეჟიმს, არამედ რეფერირებას აკეთებს გაეროს წესდების 51-ე მუხლთან, დათქმის გაკეთების შემთხვევაში მაინც ღიად რჩება კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენების შესაძლებლობა უკვე არა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების საფუძველზე, არამედ გაეროს წესდებისა და ჩვეულებითი ნორმების დაყრდნობის შედეგად. შესაბამისად, ჩნდება რამდენიმე საკითხი. პირველი, თუკი არ არის გამართლებული ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლზე დათქმის გაკეთება, ნიშნავს თუ არა საქართველოსა სრული ინტეგრაცია ნატოში აპრიორი რუსეთთან ომში ჩაბმას და მეორე, თუკი არა სამართლებრივი, მაგრამ პოლიტიკური მიზეზებით გადაწყვეტდა საქართველო მე-5 მუხლზე დათქმის გაკეთებას, რამდენად მოვიდოდა აღნიშნული წინააღმდეგობაში არალიარების პოლიტიკასთან?

თავდაპირველად შევეხოთ მეორე საკითხს, ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში ფუნდამენტურ საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებზე დათქმის გაკეთება ქართული პრაქტიკისთვის უცხო არ არის. მაგალითისთვის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 ოქმის მიმართ საქართველოს გაკეთებული აქვს ტერიტორიული დათქმა, რომლის თანახმადაც, „აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში საქართველოს იურისდიქციის სრულ აღდგენამდე საქართველო იხსნის პასუხისმგებლობას აღნიშნულ ტერიტორიებზე „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე.⁷⁹ მსგავსი დათქმები იკითხება საქართველოს მიერ რატიფიცირებულ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიმართებითაც.⁸⁰ ვინაიდან მოცემული ნაშრომის მიზანი არ არის, იმსჯელოს ამ დათქმების სამართლებრივ ვალიდურობაზე,⁸¹ დეტალურად აღარ შევჩერდებით, უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ ტერიტორიული დათქმების გაკეთება ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში არ ნიშნავს მათ აღიარებას და, შესაბამისად, არც არალიარების პოლიტიკას უქმნის საფრთხეს.

ამასთანავე, ნატოს პრაქტიკაში არსებობს მაგალითები, როცა წევრი ქვეყნების მთელი ტერიტორია არ არის მოქცეული მე-5 მუხლის ქვეშ, მათ შორის, აშშ გუამისა და ჰავაის

⁷⁹ Ineta Ziemele (ed). Reservations to Human Rights Treaties and the Vienna Convention Regime: Conflict, Harmony or Reconciliation. (Springer science+Business Media Dordecht, 2004). 123.

⁸⁰ იხ მავ, ექსტრადიქციაზე ევროპულ კონვენციასთან მიმართებით Reservations and Declarations contained in the instrument of ratification deposited on 15 June 2001. [Link](#).

⁸¹ დათქმების, მათ შორის ევროპული კონვენციის მიმართ იხ. Konstantin Korkelia. New Challenges to the Regime of Reservations under the International Covenant on Civil and Political Rights. European Journal of International Law. vol. 13, N2. (2002): 437-477.

კონტექსტში წყნარ ოკეანეში, გაერთიანებული სამეფო ფოლკლენდის კუნძულების შემთხვევაში სამხრეთ ატლანტიკის ოკეანეში და საფრანგეთი კუნძული რეუნიონის შემთხვევაში ინდოეთის ოკეანეში.⁸² მოცემული შემთხვევების ასახსნელად ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-6 მუხლის ანალიზია საჭირო.

საკუთრივ ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლის სამოქმედო გეოგრაფიულ არეალს ამავე ხელშეკრულების მე-6 მუხლი განსაზღვრავს, რომლის თანახმადაც: „ხელშეკრულების მე-5 მუხლის მიზნებისთვის, მხარეზე ან მხარეებზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა ჩაითვლება ასეთად, თუ იგი განხორციელდა: ხელშეკრულების მონაწილე მხარის ტერიტორიაზე ევროპაში ან ჩრდილოეთ ამერიკაში, საფრანგეთის ალჟირის დეპარტამენტებზე,⁸³ და მონაწილე მხარის იურისდიქციის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე ან კუნძულებზე, რომლებიც არიან ჩრდილოატლანტიკური სივრცის კირჩხიბის ტროპიკის ჩრდილოეთით. ხელშეკრულებაში მონაწილე მხარის შეიარაღებულ ძალებზე, გემებსა და ავიაციაზე, რომლებიც განლაგებულია ხსენებულ ტერიტორიებზე ან ევროპის ნებისმიერ სხვა ნაწილში, სადაც ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღეს რომელიმე მხარის საოკუპაციო ძალები იმყოფებოდნენ, ან ხმელთაშუა ზღვის, ან ჩრდილოატლანტიკურ რეგიონში კირჩხიბის ტროპიკის ჩრდილოეთით ტერიტორიებზე“.⁸⁴

შესაბამისად, ხელშეკრულების მე-5 მუხლის გეოგრაფიული მასშტაბი ვრცელდება მონაწილე მხარის ევროპის ან ჩრ. ამერიკის ტერიტორიაზე ან მათ იურისდიქციას დაქვემდებარებულ კუნძულებზე, რომლებიც ჩრდილოატლანტიკური სივრცის კირჩხიბის ტროპიკის ჩრდილოეთით მდებარეობს. ფოლკლენდის კუნძულები, რეუნიონი, ჰავაისა და გუამის ტერიტორიები ექვემდებარება არა სახელმწიფოების გაკეთებულ დათქმებს ვაშინგტონის მე-5 მუხლზე, არამედ უბრალოდ არ თავსდება ხელშეკრულების მე-6 მუხლის არეალში და ამიტომაც არ არის დაფარული ნატოს ხელშეკრულების მე-5 მუხლით. ფოლკლენდის კუნძულები მდებარეობს სამხრეთ ჰემისფეროში, შესაბამისად, ალიანსი არ ყოფილა ჩართული 1982 წლის ფოლკლენდის ომში ბრიტანეთსა და არგენტინას შორის.⁸⁵ თუმცა, საპირისპირო შემთხვევაშიც, ბრიტანეთის მოთხოვნის გარეშე, კოლექტიური თავდაცვა ავტომატურად მაინც არ იმოქმედებდა. მე-6 მუხლთან მიმართებაში იგივე ითქმის გუამისა და ჰავაის ტერიტორიებზე, მეტიც, 1965 წელს სახელმწიფო დეპარტამენტმა დაასკვნა, რომ ჰავაის ტერიტორია არ თავსდება მე-6 მუხლის ფარგლებში. „სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა, 1949 წელს ნატოს ხელშეკრულების დამტკიცების რეკომენდაციით, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელშეკრულების სავალდებულო კოლექტიური თავდაცვის დებულება „არ გავრცელდება

⁸² Luke Coffey and Alexis Mrachek. End the Russian veto on Georgian accession. The Atlantic Council. (2020). [Link](#).

⁸³ 1963 წლის 16 იანვარს ჩრდილო ატლანტიკურმა საბჭომ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების ის პუნქტები, რომლებიც ეხებოდა საფრანგეთის ყოფილ ალჟირის დეპარტამენტებს, გახდა არარელევანტური 1962 წლის 3 ივლისიდან.

⁸⁴ NATO. The North Atlantic Treaty. (1949). [Link](#).

⁸⁵ Richard Connor. NATO in a Nutshell: What You Need to Know. Deutsche Welle. (2017). [Link](#).

ჩრდილოატლანტიკური ტერიტორიის გარეთ არსებულ არცერთ საზღვარზე, როგორც ეს აღწერილია მე-6 მუხლში“.⁸⁶

შესაბამისად, ფაქტი, რომ მოცემულ ტერიტორიებზე არ ვრცელდება კოლექტიური თავდაცვის მუხლი აიხსნება არა ამ ტერიტორიებზე გაკეთებული დათქმებით, არამედ ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლის მოქმედების გეოგრაფიული საზღვრებით, რომლებიც თავად ამავე ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული.

საქართველოს კონტექსტში, თუკი ალიანსი მივა იმ გადანაცვლებამდე, რომ ხელშეკრულება არ გავრცელდეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, საქართველომ დათქმა კი არ უნდა გააკეთოს მე-5 მუხლზე, არამედ ნატომ უნდა შეცვალოს 1949 წლის ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების მე-6 მუხლი, რომელიც განსაზღვრავდა, რომ მე-5 მუხლის მოქმედებიდან დროებით გამოირიცხებოდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონები. აღნიშნული ცვლილება შეიძლება განხორციელდეს საქართველოს მიერთების პროტოკოლით. მიერთების პროტოკოლი არსებითად წარმოადგენს „შესწორებებს ან დამატებებს ხელშეკრულებაში, რომელიც მოკავშირეების მიერ ხელმოწერისა და რატიფიცირების შემდეგ, ხდება თავად ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და საშუალებას აძლევს მოწვეულ ქვეყნებს, გახდნენ ხელშეკრულების მხარეები“.⁸⁷ მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას, რომ აღნიშნული დროებითი ხასიათის ღონისძიება უნდა იყოს და გაგრძელდეს მხოლოდ იქამდე, სანამ საქართველო საერთაშორისოდ ცნობილ ტერიტორიებზე მშვიდობიანი საშუალებებით არ აღადგენს სრულ იურისდიქციას.⁸⁸

აღსანიშნავია ისიც, რომ ნატოს გაფართოების ისტორიაში ყოფილა მე-6 მუხლის ცვლილების პრეცედენტები. კერძოდ, 1951 წელს საბერძნეთისა და თურქეთის ალიანსში გაწევრიანების დროს და, აგრეთვე, 1963 წელს, როდესაც ალჟირის დამოუკიდებლობის გამო, მე-6 მუხლის დებულება აღარ ვრცელდებოდა საფრანგეთის ალჟირის დეპარტამენტზე.⁸⁹

მიუხედავად ამისა, მთავარ პრობლემად რჩება შემდეგი საკითხი: თუკი მოხდება საქართველოს სრული ინტეგრაცია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში, რამდენად ჩაებმება ნატო, მე-5 მუხლის გამო, ომში რუსეთთან? თავისი არსით, მე-5 მუხლი, რომელიც ემყარება გაეროს წესდების 51-ე მუხლით დადგენილ უფლებას, მოიცავს თავდაცვას და არა თავდასხმას, შესაბამისად, მის ასამოქმედებლად გარკვეული წინაპირობების არსებობაა საჭირო, მათ შორის, შეიარაღებული თავდასხმისა. შესაბამისად,

⁸⁶ John Hall. Hawaii Lacks NATO Coverage if Attacked. Chicago Tribune. August 8, 1965, p. 28. [Link](#).

⁸⁷ NATO. NATO Enlargement. (2009), [Link](#).

⁸⁸ Luke Coffey. How to Admit Georgia to NATO - Without Triggering a War. The Heritage Foundation. (2018). [Link](#).

⁸⁹ Antoaneta Boeva and Ivan Novotny. Scope and Historical Developments of Article 6. Emory International Law Review. 34 (2019): Rev. 121, [Link](#).

შესაფასებელია საკითხი: გაყინული კონფლიქტისა და განგრძობადი ოკუპაციის დროს, რამდენად არის სახეზე შეიარაღებული თავდასხმა და რამდენად შეიძლება გაეროს წესდების 51-ე მუხლის გამოყენება?

გამოიწვევს თუ არა ოკუპირებული ტერიტორიებით ნატოში ინტეგრაცია ორგანიზაციის ომში ჩაბმას?

მოცემულ თავში რამდენიმე საკითხზე უნდა შევჩერდეთ. პირველი, რამდენად შეიძლება გაყინული კონფლიქტისა და განგრძობადი ოკუპაციის დროს თავდაცვის უფლების გამოყენება და ხომ არ არსებობს გარკვეული შემთხვევები, რაც აღნიშნულს ხელს შეუშლის. თუკი დავასკვნიდით, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა მშვიდობიანი ოკუპაცია და ოკუპანტი ძალა არ ახორციელებს შეიარაღებულ თავდასხმებს გაეროს წესდების 51-ე მუხლის გაგებით, არ იარსებებს თავდაცვის უფლების გამოყენების მართლზომიერი საფუძველი, ამ შემთხვევაში არ იქნება ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლის ამოქმედების საშიშროებაც. მოცემულთან დაკავშირებით სამეცნიერო წრეებში აზრთა სხვადასხვაობაა.

რამდენად მოიცავს უკანონო ოკუპაცია განგრძობად შეიარაღებულ თავდასხმას? საკითხი ჯერ კიდევ საერთაშორისო სამართლის რუხ ზონად რჩება. ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორების, აკანდესა და ტზანაკოპულუსის, მოსაზრებით, ოკუპაცია, რომელიც შეიარაღებული თავდასხმის პირდაპირ შედეგს წარმოადგენს, ასევე, წარმოადგენს განგრძობად შეიარაღებულ თავდასხმას და თავდასხმის ობიექტი სახელმწიფო დროის გასვლის შემდეგაც არ კარგავს თავდაცვის უფლებას.⁹⁰ მათი მოსაზრება მეტწილად დაფუძნებულია ფაქტს, რომ ოკუპაცია, რომელიც მყარდება შემოჭრის ან თავდასხმის შედეგად, წარმოადგენს აგრესიას და უნდა ჰქონდეს განგრძობადი ხასიათი, ხოლო თუკი შეიარაღებული თავდასხმა უძღვის ოკუპაციას, ის არის განგრძობადი მანამ, სანამ ტერიტორია ოკუპირებულია, ხოლო თავად წლების გასვლა საწყის თავდასხმასა და თავდაცვის უფლების გამოყენებას შორის, შეიძლება ნიშნავდეს, რომ ძალის გამოყენება არის აუცილებელი, რადგან სახელმწიფოს არ რჩება სხვა საშუალება, რომ შეიარაღებული თავდასხმა და ოკუპაცია დაასრულოს. შესაბამისად, მათი მოსაზრებით, დროის გასვლა წარმოადგენს სხვა გონივრული საშუალებების არარსებობის ინდიკატორს და *ultima ratio*, რაც აუცილებლობის მოთხოვნაა.⁹¹

⁹⁰ Dapo Akande and Antonios Tzanakopoulos. Use of Force in Self-Defence to Recover Occupied Territory: When Is It Permissible?. EJIL:Talk! (2020). [Link](#).

⁹¹ Ibid.

აკანდესა და ტზანაკოპულუსის შეხედულებას არ ეთანხმებიან გენტის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის (GRILI) მკვლევარები, ტომ რუისი და როდრიგო სილვესტერი. მათი შეხედულებით, თავდაცვის უფლება წყდება დროის გარკვეულ მომენტში, როცა სტატუს ქვო დამყარებულია, ანუ როცა ტერიტორია ოკუპირებული და ადმინისტრირებულია მშვიდობიანად და სახეზე გვაქვს ბრძოლის არარსებობის ხანგრძლივი პერიოდი. „კითხვა მდგომარეობს შემდეგში: როცა სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებულია სხვა სახელმწიფოს მიერ ხანგრძლივი დროით, შეუძლია თუ არა სახელმწიფომ გამოიყენოს თავდაცვის უფლება იმ სამხედრო ოპერაციების გასამართლებლად, რომლებიც მიმართულია ტერიტორიის დასაბრუნებლად? სხვაგვარად რომ ვთქვათ: შეიძლება თუ არა, უკანონო ოკუპაცია მიჩნეულ იქნეს „განგრძობად“ შეიარაღებულ თავდასხმად, რაც ნებისმიერ დროს იძლევა თავდაცვის უფლებას, თუნდაც ოკუპაციის დაწყებიდან წლების შემდეგ?“⁹²

თავისი არსით ოკუპაციის არსებობა უნევის კონვენციების საერთო მუხლი 2-ის მიხედვით⁹³ იწვევს კონფლიქტის საერთაშორისო ხასიათის კონფლიქტად კვალიფიცირებას, მაგრამ შეხედულება, რომ, ფორმალური სამშვიდობო შეთანხმების გარეშე, ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეტაკებების გაგრძელება დროის ნებისმიერ მონაკვეთში ძალის გამოყენების გამართლების საჭიროების გარეშე, წარმოადგენს უმცირესობათა პოზიციას და არ აქვს სახელმწიფოებრივი პრაქტიკის მხარდაჭერა.⁹⁴

თავდაცვის უფლებით გამართლებულ პასუხსა და თავდასხმას შორის უნდა არსებობდეს გარკვეული სიახლოვე. „გაეროს წესდების 51-ე მუხლი რეფერირებას აკეთებს სცენარზე, როცა შეიარაღებული თავდასხმა მოხდება (occurs), რაც ვარაუდობს მოვლენის დადგომას დროის კონკრეტულ მომენტში“.⁹⁵

განგრძობადი ოკუპაცია არ შეიძლება გაიგივდეს განგრძობად თავდასხმასთან, რომელიც ნებას დართავდა გაეროს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად თავდაცვაზე მიმართვას, ბერლინის ჰერტის სკოლის პროფესორის, კნოლლ-ტუდორისა, და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წინაშე საკონსულტაციო სამართალწარმოებისას კოსოვოს მრჩევლისა და პროფესორის, დენიელ მიულერის, მოსაზრებითაც.⁹⁶

⁹² Tom Ruys and Felipe Rodríguez Silvestre. The Nagorno-Karabakh Conflict and the Exercise of “Self-Defense” to Recover Occupied Land. *Just Security*. (2020). [Link](#).

⁹³ „...კონვენცია აგრეთვე გამოიყენება მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიის ნაწილობრივი ან მთლიანი ოკუპაციის ყველა შემთხვევაში, მაშინაც კი, როცა აღნიშნულ ოკუპაციას შეიარაღებულ წინააღმდეგობას არ უწევს“, - უნევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციების საერთო მუხლი 2.

⁹⁴ Tom Ruys and Felipe Rodríguez Silvestre. The Nagorno-Karabakh Conflict and the Exercise of “Self-Defense” to Recover Occupied Land. *Just Security*. (2020). [Link](#).

⁹⁵ *Ibid*.

⁹⁶ Bernhard Knoll-Tudor and Daniel Mueller. At Daggers Drawn: International Legal Issues Surrounding the Conflict in and around Nagorno-Karabakh. *EJIL:Talk!*. (2020). [Link](#).

Ethiopia-Eritrea Claims Commission-ის თანახმად, ასევე გაუმართლებელია ძალისთვის მიმართვა იმ საფუძველზე, რომ ტერიტორიაზე გაგაჩნია ნამდვილი მოთხოვნა, რადგან სახელმწიფოებრივი პრაქტიკა და სამართლებრივი დოქტრინა ადასტურებს, რომ „თავდაცვა არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ტერიტორიული დავების მოსაგვარებლად. ნებისმიერი გამონაკლისი ძალის გამოყენებისა და დამუქრების აკრძალვისგან ტერიტორიისთვის, რომელიც, სავარაუდოდ, უკანონოდ არის ოკუპირებული, შექმნიდა დიდ და საშიშ ხვრელებს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ წესში“.⁹⁷

იმის გადასაწყვეტად, გამოიწვევს თუ არა საქართველოს ნატოში სრული ინტეგრაცია რუსეთთან ალიანსის ომში ჩაბმას, შესაფასებელია ზემოხსენებული დოქტრინის საქართველოს მაგალითზე მორგება. რამდენად სახიფათო შეიძლება იყოს იმ პოზიციის საქართველოზე გავრცელება, როცა განგრძობადი და ხანგრძლივად ადმინისტრირებული უკანონო ოკუპაცია არ იძლევა თავდაცვის უფლების გამართლების საფუძველს? ვფიქრობთ, რომ არა. პირველი, რადგან საქართველოს ისედაც აქვს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე ძალის გამოყენებლობაზე უნილატერალური დეკლარაცია.⁹⁸ თუკი გავყვებით იმ მოსაზრებას, რომ საერთაშორისო ხასიათის კონფლიქტში ყოფნა ნებისმიერ დროს იძლევა ძალის გამოყენების უფლებას, საქართველოს, ასევე, გაფორმებული აქვს 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, რომლის პირველი პუნქტიც კრძალავს ძალის გამოყენებას.

მეტიც, მოცემული პოზიცია ცხადყოფს იმას, რომ ნატოში ინტეგრაციის შემთხვევაში თუკი არსებული რეალობით არ იარსებებს თავდაცვის უფლების გამამართლებელი საფუძველი (საუბარი აქ არ არის სამომავლო შესაძლო ინციდენტებსა და ახალ შეიარაღებულ თავდასხმებზე), არ იქნება მე-5 მუხლის ამოქმედების საფუძველიც და, მაშასადამე, აზრს მოკლებულია ნატოს ომში ჩაბმის საშიშროებაც. რადგანაც მე-5 მუხლი ეფუძნება გაეროს წესდების 51-ე მუხლს, მას ასამოქმედებლად ასევე სჭირდება კოლექტიური თავდაცვისთვის დაწესებული მოთხოვნები, მათ შორის, როგორცაა საქართველოს მიერ დახმარების მოთხოვნა. ამასთანავე, თავდაცვის უფლება არ იქნება რეალიზებადი დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის პრინციპითაც. გაეროს წესდების მე-2(3) მუხლის ფუნდამენტური პრინციპია, რომ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ ტერიტორიული დავების სამხედრო საშუალებებით მოგვარება.⁹⁹ ნაშრომში განვითარებული პოზიციის კიდევ ერთი მხარდამჭერია თავდაცვის უფლებისა და მე-5 მუხლის აუცილებლობის კრიტერიუმი, რისი ნაწილიცაა დაუყოვნებლობის მოთხოვნა. როდესაც 2008 წლის მოვლენებიდან ცამეტი წელია გასული, რამდენად აუცილებელია ნატოში ინტეგრაციის შემთხვევაში რუსეთთან

⁹⁷ Eritrea-Ethiopia Claims Commission. Partial Award: Jus Ad Bellum - Ethiopia's Claims 1-8. Reports of International Arbitral Awards. Vol. XXVI. (2005). 457-469, par. 10, [Link](#).

⁹⁸ Civil.ge. Georgia Makes 'Unilateral Pledge' of Non-Use of Force. (2010) [Link](#).

⁹⁹ Charter of the United Nations (1945), Art. 2(3).

ომის დაწყება ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად? ამ შემთხვევაში მე-5 მუხლის გამოყენება არ იქნება გამართლებული აუცილებლობის კრიტერიუმის საფუძვლითაც და ბოლო არგუმენტი იმისა, რომ საქართველოს სრული ინტეგრაცია ავტომატურად არ გამოიწვევს ნატოს ომში ჩაბმას არის ის, რომ ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი არათუ ოკუპაციის, არამედ თავდასხმის შემთხვევაშიც არ მოიცავს ავტომატურ, იმნუთიერ ამოქმედებას, ვინაიდან ნატო გადაწყვეტილებებს იღებს კონსენსუსით და საჭიროა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს თანხმობა.

განსაკუთრებით საინტერესოა, ამ მხრივ, ნატოს პრაქტიკა თურქეთისა და სირიის შემთხვევასთან დაკავშირებით, 2012 წლის 3 ოქტომბრის სირიის მიერ თურქეთზე განხორციელებული თავდასხმა ნატოს მხრიდან შეფასდა, როგორც საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა, რომელიც წარმოადგენდა აშკარა და არსებულ საფრთხეს ერთ-ერთი მოკავშირის უსაფრთხოებისთვის.¹⁰⁰ მიუხედავად ამისა, 9 ოქტომბერს ნატოს გენერალური მდივნის, ანდერს ფოგ რასმუსენის, განცხადებით, სირიაში არსებული კონფლიქტის გადაწყვეტის გზად პოლიტიკური გადაწყვეტა ისახებოდა და, ნატოს გენერალური მდივნის აზრით, საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან გაძლიერებული ზეწოლა იყო გზა ასეთი პოლიტიკური გადაწყვეტის ფასილიტაციისთვის.¹⁰¹ მოცემული შემთხვევა არის იმის მაგალითი, რომ შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაც არ იწვევს ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლის ავტომატურ ამოქმედებას და ნატოს ომში ჩაბმას.

დასკვნა

როგორც ნაშრომიდან ჩანს, ოკუპირებული ტერიტორიების არსებობა და ზოგადად ტერიტორიული დავები არ წარმოადგენს ნატოში ინტეგრაციის გამომრიცხავ გარემოებას არც ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-10 მუხლის და არც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სახელმძღვანელო დოკუმენტის მიხედვით. მეტიც, ნატოს პრაქტიკაში არსებობს პრეცედენტი, როდესაც ახალი წევრი ტერიტორიული დავების არსებობისას იქნა მიღებული. როცა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა 1955 წელს გახდა ნატოს წევრი, გერმანიის ტერიტორიის დაახლოებით მესამედი საბჭოთა ოკუპაციის ქვეშ იყო და მოიხსენიებოდა, როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.¹⁰² მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის მაგალითი საქართველოსა და უკრაინის მაგალითისგან განსხვავებულია

¹⁰⁰ NATO. North Atlantic Council Statement on Developments on the Turkish-Syrian border. (2012). [Link](#).

¹⁰¹ NATO. Press conference by NATO Secretary General Anders Fogh Rasmussen following the first meeting of Ministers of Defence. (2012). [Link](#).

¹⁰² Robert E. Hamilton, Georgia's NATO Aspirations: Rhetoric and Reality. The Foreign Policy Research Institute. (2016). [Link](#).

და ამკარა პარალელების გავლენა არ იქნება აბსოლუტურად გამართლებული, აღნიშნული წარმოადგენს ერთ-ერთ ინდიკატორს ტერიტორიული დავებისა და ინტეგრაციის მიმართებით.

სტატიაში წარმოჩნდა, რომ, მეორე მხრივ, საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის გადმოსახედიდან, ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი არ ითვალისწინებს მასზე დათქმის გაკეთების შესაძლებლობას, რადგან დათქმა იმ მუხლზე, რომელიც აფუძნებს კოლექტიურ თავდაცვას, ეწინააღმდეგება თავად ხელშეკრულების პრეამბულას, მის მიზანსა და ობიექტს. პრაქტიკაში კონკრეტულ ტერიტორიაზე მე-5 მუხლის მოქმედების გამოსარიცხად თავად ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-6 მუხლის ცვლილებაა საჭირო, რისი პრეცედენტებიც ნატოს ისტორიაში შეინიშნება. მიუხედავად ამისა, ოკუპირებული ქვეყნის ნატოში სრული ინტეგრაცია არ გამოიწვევს ავტომატურად ხელშეკრულების მე-5 მუხლის ამოქმედებას და ალიანსის ომში ჩაბმას. თუმცა ნატოს გაფართოების პოლიტიკა აცხადებს, რომ ქვეყნებს, რომელთაც აქვთ „ეთნიკური ან გარე ტერიტორიული დავები, მათ შორის, ირიდენტისტული მოთხოვნები, ან შიდა იურისდიქცია, აღნიშნული დავები უნდა მოაგვარონ მშვიდობიანი საშუალებებით ეუთოს პრინციპების შესაბამისად. ასეთი დავების გადაწყვეტა იქნება ფაქტორი იმის განსასაზღვრად, უნდა იქნეს თუ არა სახელმწიფო მოწვეული ალიანსში გასაწევრიანებლად“.¹⁰³ ხშირად ნატოს აღნიშნული განცხადება არასწორადაა ციტირებული ინტეგრაციის მოწინააღმდეგეების მიერ, რადგან პოლიტიკა ცხადყოფს, რომ ტერიტორიული დავების გადაწყვეტა არის ფაქტორი იმის შესაფასებლად, ახალი წევრი რამდენად თავსებადია ალიანსის წევრობისთვის და არ წარმოადგენს თავად ალიანსის წევრობის წინაპირობას.¹⁰⁴

საქართველო სრულად აკმაყოფილებს წევრობისთვის დადგენილ აუცილებელ კრიტერიუმებს, მას აქვს ფუნქციონირებადი დემოკრატიული სისტემა, თავდაცვის სამინისტრო სრულად ექვემდებარება სამოქალაქო კონტროლს, ბაზარზე დაფუძნებული ეკონომიკა და ნატოს სამხედრო ოპერაციებში შეტანილი აქტიური კონტრიბუცია წარმოადგენს ყოველივე ზემოხსენებულის ინდიკატორებს. შესაბამისად, სამართლებრივი გაგებით შესაძლებელია მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება, რომ არ არსებობს არანაირი დაბრკოლება საქართველოს ნატოში ინტეგრაციისთვის, არამედ ამისთვის საჭიროა მხოლოდ პოლიტიკური ნების გამოვლენა და ალიანსის კონსენსუსი.

¹⁰³ NATO, Study on NATO Enlargement (September 3, 1995), [ბმული](#). (19/11/2021).

¹⁰⁴ Hamilton, “Georgia’s NATO Aspirations: Rhetoric and Reality”.

ბიბლიოგრაფია:

- ბურკაძე, ხათუნა. 2010. ძალის გამოყენების სამართლებრივი ასპექტები საერთაშორისო სამართალში. საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 2;
- სანიკიძე, ზურაბ. 2010. თავდაცვის, როგორც ძალის გამოყენების კანონიერი უფლების, განმარტების პრობლემები. საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 2;
- Agenda.ge. 2020. Former NATO Commander: if Abkhazia, South Ossetia viewed as frozen conflicts, the door to NATO could open for Georgia. [Link](#). (19/11/2021);
- Akande, Dapo, and Antonios Tzanakopoulos. 2020. Use of Force in Self-Defence to Recover Occupied Territory: When Is It Permissible?. EJIL:Talk!. [Link](#). (19/11/2021);
- Boeva, Antoaneta, and Novotny Ivan. 2019. Scope and Historical Developments of Article 6. Emory International Law Review, 34: Rev. 121, [Link](#). (28/11/2021);
- Charter of the United Nations (1945) United Nations Treaty Series No. I-XVI;
- Civil.ge. 2010. Georgia Makes 'Unilateral Pledge' of Non-Use of Force. [Link](#). (19/11/2021);
- Coffey, Luke, and Alexis Mrachek. 2020. End the Russian veto on Georgian accession. The Atlantic Council. [Link](#). (28/11/2021);
- Coffey, Luke. 2018. How to Admit Georgia to NATO - Without Triggering a War. The Heritage Foundation. [Link](#) (28/11/2021);
- Connor, Richard. 2017. NATO in a Nutshell: What You Need to Know. Deutsche Welle (DW). [Link](#). (28/11/2021);
- Dörr, Oliver, and Kirsten Schmalenbach (eds.). 2018. Vienna Convention on the Law of Treaties: A Commentary (2nd edition, BerlinL Springer);
- Eritrea-Ethiopia Claims Commission. 2005. Partial Award: Jus Ad Bellum - Ethiopia's Claims 1-8. Reports of International Arbitral Awards. Vol. XXVI. 457-469. [Link](#). (19/11/2021);
- Gray, Christine. 2008. International Law and the Use of Force. (Oxford University Press);
- Hall, John. 1965. Hawaii Lacks NATO Coverage if Attacked. Chicago Tribune. [Link](#). (19/11/2021);
- Hamilton, Robert E. 2016. Georgia's NATO Aspirations: Rhetoric and Reality. The Foreign Policy Research Institute. [Link](#). (19/11/2021);
- ICJ. Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. United States of America) (merits). 1986. Judgment;

- ILC. 2011. Guide to Practice on Reservations to Treaties. [Link](#). (19/11/2021);
- Knoll-Tudor, Bernhard, and Daniel Mueller. 2020. At Daggers Drawn: International Legal Issues Surrounding the Conflict in and around Nagorno-Karabakh. EJIL:Talk!. [Link](#). (19/11/2021);
- Korkelia, Konstantin. 2002. New Challenges to the Regime of Reservations under the International Covenant on Civil and Political Rights. European Journal of International Law. Vol. 13. N2;
- NATO. 1949. The North Atlantic Treaty. [Link](#). (19/11/2021);
- NATO. 1995. Study on NATO Enlargement. [Link](#). (19/11/2021);
- NATO. 2008. Bucharest Summit Declaration. [Link](#). (19/11/2021);
- NATO. 2009. NATO Enlargement. [Link](#). (28/11/2021);
- NATO. 2012. North Atlantic Council Statement on Developments on the Turkish-Syrian Border. [Link](#). (19/11/2021);
- NATO. 2012. Press conference by NATO Secretary General Anders Fogh Rasmussen following the first meeting of Ministers of Defence. [Link](#). (19/11/2021);
- NATO. 2017. Frequently Asked Questions. [Link](#). (19/11/2021);
- NATO. 2019. NATO - Georgia relations. [Link](#). (19/11/2021);
- Ruys, Tom, and Felipe Rodríguez Silvestre. 2020. The Nagorno-Karabakh Conflict and the Exercise of “Self-Defense” to Recover Occupied Land. Just Security. [Link](#). (19/11/2021);
- Shaw, Malcolm. 2008. International law (6th edition, New York: Cambridge University Press);
- U.S. Department of State. 1997. Minimum Requirements for NATO Membership. [Link](#). (19/11/2021);
- U.S. Government Publishing Office. 2021. Hearings Before the Committee on Foreign Relations, United States Senate, One Hundred Seventeenth Congress, First Session. [Link](#). (19/11/2021);
- Vienna Convention on the Law of Treaties. 1969. United Nations Treaty Series No. I-18232, Vol. 1155. [Link](#). (19/11/2021);
- Ziemele, Ineta (ed). 2004. Reservations to Human Rights Treaties and the Vienna Convention Regime: Conflict, Harmony or Reconciliation. (Springer science+Business Media Dordecht).



Embassy
of the Republic of Poland
in Tbilisi

NATO
Contact Point Embassy



ნატოს გამოცდილება ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ: გაკვეთილი საქართველოსთვის

ნუცა ძანძავა



ნატოს გამოცდილება ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ: გაკვეთილი საქართველოსთვის

„ყველა ეპოქას თავისებური ომი გააჩნია, თავისი შემზღვეველი გარემოებები, საკუთარი სირთულეები“.

- *კარლ ფონ კლაუზევიცი*

თანამედროვე მსოფლიოში ტექნოლოგიების განვითარების დონემ, მათმა ხელმისაწვდომობამ და გლობალიზაციის მასშტაბებმა გავლენა მოახდინა ადამიანური ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტზე, მათ შორის ომზეც. ამ კონტექსტში, განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა „ჰიბრიდული ომის“ ცნებამ. დღესდღეობით, ამ ფრაზის მრავალგვარი განმარტება არსებობს. ერთ-ერთი ასეთი განმარტებით, ჰიბრიდული ომი თავის თავში აერთიანებს ომის ტრადიციულ, ობიექტურ გაგებასა და ცვალებად, სუბიექტურ მახასიათებლებს. ეს უკანასკნელი კი მოიცავს ომის თანამედროვე დოქტრინებს, ტაქტიკებს, საინფორმაციო და ელექტრონულ ინსტრუმენტებსა და სამოქმედო კიბერ სივრცეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ომის არსი და მიზანი იგივე დარჩა, თუმცა ჰიბრიდულმა ომმა შეცვალა მისი წარმოების საშუალებები და ამ პროცესში ისეთი არატრადიციული ხერხები ჩართო, როგორცაა ეკონომიკური ზეწოლა, დეზინფორმაცია, კიბერ შეტევები და სხვ.¹⁰⁵ ომის ტრადიციული და არატრადიციული მეთოდების მსგავსი შერწყმა ძლიერი მოწინააღმდეგისთვის ნაკლები დანახარჯებით უდიდესი ზიანის მიყენების საშუალებას იძლევა. მეტიც, ჰიბრიდული ომი სახელმწიფოებისთვის ერთი-ორად ზრდის საფრთხეების რისკს, რადგან მისი მთავარი სამიზნე სამოქალაქო საზოგადოებაა, რომელშიც დეზინფორმაცია და პროპაგანდა ძალიან სწრაფად ვრცელდება, ძირს უთხრის დემოკრატიულ პროცესებს, ამცირებს სახელმწიფო სტრუქტურებისადმი მოსახლეობის ნდობას, თესავს შიშსა და პანიკას, აჩენს დაუცველობის შეგრძნებას და ა.შ. ჰიბრიდულ ომში სახელმწიფოები, თავიანთი მიზნების მისაღწევად, ხშირად იყენებენ სხვადასხვა არასახელმწიფო აქტორებს, რათა თავიდან აირიდონ პასუხისმგებლობა. ეს კი ართულებს თავდამსხმელის იდენტიფიცირებისა და მასთან ბრძოლის პროცესს.

ჰიბრიდული ომი, როგორც გამონვევა, ყველა სახელმწიფოს თანაბრად ემუქრება, მათ შორის (და იქნებ, განსაკუთრებითაც), ისეთ საერთაშორისო პოლიტიკურ აქტორებს, როგორცაა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია. დღესდღეობით, როცა

¹⁰⁵ გიორგი ანთაძე, ჰიბრიდული ომის გააზრებისთვის, ჯეოქეისი, 11 თებერვალი, 2020.

ტექნოლოგიების განვითარებამ ინფორმაციის გავრცელება თუ კიბერთავდასხმების განხორციელება დროის მცირე მონაკვეთში გახადა შესაძლებელი, ჰიბრიდულ გამოწვევებთან გასამკლავებლად სწრაფი საპასუხო მოქმედება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ჰიბრიდული ომის ამ თავისებურებიდან გამომდინარე, მსგავს საფრთხეებთან გამკლავება ნატოსა და ევროკავშირის მსგავსი ორგანიზაციებისთვის ბევრად უფრო დიდი გამოწვევაა, რადგან აღნიშნულ აქტორებში გადაწყვეტილების მიღების პროცესი დროში განელილი და მრავალშრიანია, შეთანხმების სწრაფად მიღწევა კი - განსაკუთრებით რთული. ნატოს შემთხვევაში, ჰიბრიდული ომის მეთოდების გამოყენება იმ მონინააღმდეგეების ნაცადი პრაქტიკაა, რომლებსაც ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წინააღმდეგ კონვენციური ომის წარმოება ან მისთვის პირდაპირი პოლიტიკურ-ეკონომიკური კონკურენციის განწევა არ შეუძლიათ. მიმანია, რომ მის წინაშე მდგარი გამოწვევების მასშტაბებითა და ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის მის ხელთ არსებული მექანიზმების გათვალისწინებით, ნატო მეტად საინტერესო აქტორია. აქედან გამომდინარე, ნაშრომის მიზანია შეისწავლოს ორგანიზაციის გამოცდილება ჰიბრიდული ომის გამოწვევებთან ბრძოლაში, შეაფასოს ნატოს მიერ გამოყენებული მეთოდების ეფექტურობა და პასუხი გასცეს საკვლევ კითხვას: როგორ უმკლავდება ნატო ჰიბრიდული ომის საფრთხეებს? ამასთან, ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დაახლოების გზაზე, დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჰიბრიდული ომის საფრთხეებთან გამკლავების ნატოსეული პრაქტიკის შესწავლა და შემდგომი იმპლემენტაცია. ამიტომაც, ასევე, საინტერესოა, თუ რისი სწავლა შეუძლია საქართველოს ამ გამოცდილებიდან.

წარსული გამოცდილება: გაკვეთილი ნატოსთვის

უკანასკნელ წლებში ჰიბრიდული საფრთხეები ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უსაფრთხოებისთვის ბევრად უფრო კომპლექსურ და დესტრუქციულ გამოწვევად იქცა. დღესდღეობით, მსოფლიოს მასშტაბით, ყოველდღიურად 100,000-მდე ადამიანი იყენებს ნატოს IT ინფრასტრუქტურას.¹⁰⁶ შესაბამისად, ალიანსი კიბერ თავდასხმებისთვის საკმაოდ მოზრდილ სამიზნეს წარმოადგენს. ამის დასადასტურებლად შეგვიძლია გავიხსენოთ რამდენიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შემთხვევა, რომლებმაც ალიანსის კოლექტიური თავდაცვის პოლიტიკაში არსებული ჩავარდნები გამოააშკარავა

¹⁰⁶ NATO, Factsheet - NATO Cyber Defense, February 2019, [Link](#).

და ორგანიზაციას ჰიბრიდული ომის საფრთხეებისგან თავის დასაცავად უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა აიძულა.

2007 წლის გაზაფხულზე ჰაკერული თავდასხმა განხორციელდა ათობით ესტონურ სამთავრობო თუ კერძო საიტზე. თავდასხმას წინ უძღვოდა ესტონეთის მთავრობის გადაწყვეტილება მეორე მსოფლიო ომის საბჭოთა მემორიალის ტალინიდან გადატანის შესახებ, რამაც რუსეთის უკმაყოფილება გამოიწვია. ესტონეთის სახელმწიფო სტრუქტურების განცხადებით, თავდასხმის კვალი კრემლთან მიდიოდა, თუმცა ამ უკანასკნელმა, რა თქმა უნდა, ყველაფერი უარყო. ამ კონკრეტულ ინციდენტს მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა, რადგან სწორედ ესტონეთზე თავდასხმამ უბიძგა ნატოს, გაეუმჯობესებინა ჰიბრიდული ომის მექანიზმები. შედეგად, 2008 წელს ტალინში დაფუძნდა ნატოს კიბერ თავდაცვის კვლევითი ცენტრი.¹⁰⁷

2014 წელს გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვები დიდ ბრიტანეთში ჩატარებულ შოტლანდიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმსა და 2016 წელს „ბრექსიტის“ რეფერენდუმში რუსულ ჩარევასთან დაკავშირებითაც. ამ საკითხზე 2020 წელს დასრულებული გამოძიების დასკვნით, არ დადასტურდა „ბრექსიტის“ რეფერენდუმში გარე ძალების ჩარევა, თუმცა, გამოძიების ცნობით, არსებობს სანდო წყაროები, რომლებიც, შოტლანდიელი ერის არჩევანზე გავლენის მოხდენის მიზნით, რეფერენდუმში რუსულ ჩარევას ადასტურებს.¹⁰⁸

2016 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის მიმდინარეობისას, ჰაკერული თავდასხმა განხორციელდა დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის (DNC) სერვერზე, რის შემდეგაც „ვიკილიქსმა“ 20,000-მდე მეილი გაასაჯაროვა, რომლებიც მოიცავდა პარტიის დონორთა საბანკო ანგარიშებს, საკრედიტო ბარათებისა და სოციალური უსაფრთხოების ნომრებს. თავდასხმა მიზნად ისახავდა ბერნი სანდერსის კამპანიის წინააღმდეგ DNC-ის ქმედებების გავრცელებას და შედეგად ჰილარი კლინტონის პოლიტიკური ფიგურისთვის ზიანის მიყენებას. თავდასხმის კვალს, აშშ-ს სადაზვერვო და კიბერუსაფრთხოების ორგანიზაციების ცნობით, კვლავ რუსეთთან მივყავართ.¹⁰⁹

2017 წელს რუსულ მედიაში გაჩაღდა დებინფორმაციის კამპანია კანადის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ოჯახის ნაცისტებთან კავშირის შესახებ. ამავე წელს, საფრანგეთის საპრეზიდენტო კამპანიის მიმდინარეობისას, იმ დროს პრეზიდენტობის

¹⁰⁷ NBC News. A look at Estonia's cyber attack in 2007. July 8, 2009. [Link](#).

¹⁰⁸ Rachel Mackie. Scottish Independence: 'Russia attempted to influence 2014 referendum' reveals report, The Scotsman, July 21, 2020. [Link](#).

¹⁰⁹ ხათუნა ქარსელაძე, რუსეთის ჰიბრიდული ომი აშშ-ს წინააღმდეგ - 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევის გეოპოლიტიკური ასპექტები ახალი „ცივი ომის“ პირობებში. სამაგისტრო ნაშრომი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. თბილისი, 2020. [ბმული](#).

კანდიდატი ემანუელ მაკრონიც მსგავსი დეზინფორმაციის სამიზნე გახდა. რადიკალი მემარჯვენე იდეოლოგიის ვებგვერდები, რუსულ მედიასაშუალებებზე დაყრდნობით, მუდმივად ავრცელებდნენ ინფორმაციას მაკრონის სექსუალურ ორიენტაციაზე და მას კორუფციაშიც ადანაშაულებდნენ.¹¹⁰

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევა ცხადს ხდის, რომ ჰიბრიდული ომის მეთოდები ბევრად ღრმად აღწევს სუვერენული სახელმწიფოს უსაფრთხოების ბარიერებში, ვიდრე მის საზღვრებთან წამოწყებული სამხედრო კონფლიქტი. გასულ წლებში რუსეთიდან მომავალი ჰიბრიდული საფრთხეები როგორც ევროპის კონტინენტზე, ისე ოკეანის გადაღმა მყოფ ალიანსის წევრ სახელმწიფოებსაც შეეხო. ამ თავდასხმების ხასიათი ერთნაირია - ქვეყნის შიდა საქმეებში უხეში ჩარევით ისინი მიზნად ისახავენ მნიშვნელოვან დემოკრატიულ პროცესებზე გავლენის მოხდენას, საზოგადოებაში დაუცველობისა და უნდობლობის შეგრძნების დათესვას.

უშუალოდ ალიანსის წევრ სახელმწიფოებთან ერთად, ნატოს წინაშე არსებული ჰიბრიდული გამოწვევების სიცხადე უკრაინის მოვლენებაც გამოააშკარავა. 2014 წლის თებერვალსა და მარტში რუსეთის ფედერაციამ დაარღვია უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა და, ყირიმის ოკუპაციის შემდეგ, ნახევარკუნძული დე-ფაქტო შეუერთა თავის ტერიტორიას. „ყირიმის ანექსიის“ სახელით ცნობილი მოვლენები იყო ერთ-ერთი პირველი და ყველაზე მასშტაბური შემთხვევა, როდესაც რუსეთის ფედერაციამ საომარ მოქმედებებში მსგავსად კოორდინირებული, სინქრონული და კომპლექსური კიბერ, დიპლომატიური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ტაქტიკები გამოიყენა. ნატო-უკრაინის სტრატეგიული პარტნიორობის გათვალისწინებით, ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ დაანახა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ სისტემური და მეთოდური პოლიტიკის შემუშავების მნიშვნელობა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში აშკარა გახადა ჰიბრიდული ომის გამოწვევებთან დაპირისპირებისთვის ნატოს სისტემური მოუმზადებლობა. უფრო კონკრეტულად, გამოჩნდა, რომ ვაშინგტონის ხელშეკრულების მეხუთე და მეექვსე მუხლები, რომლებიც მოიაზრებდა ნატოს ტერიტორიის ფარგლებში კოლექტიურ თავდაცვას, ნაკლებად მუშაობდა ჰიბრიდულ საფრთხეებთან მიმართებაში. ეს კი განპირობებული იყო თავად ჰიბრიდული ომის თავისებურებებით, რომელიც უფრო მეტად ფარულ, არასამხედრო და არაძალადობრივ ბრძოლის სტრატეგიებს იყენებს და ხშირად სხვადასხვა არასახელმწიფო აქტორების საშუალებით ხორციელდება, რომელთა იდენტიფიცირებაც ძალიან რთულია. ჰიბრიდული ომი არ ექცევა სახელმწიფოთა საზღვრების ჩარჩოებში და ზიანის

¹¹⁰ Oren Dorell. Alleged Russian political meddling documented in 27 countries since 2004, USA TODAY, September 7, 2017. [Link](#).

მისაყენებლად სულაც არ საჭიროებს უშუალო საბრძოლო მოქმედებების დაწყებას. აქედან გამომდინარე, მის წინააღმდეგ ნატოს კოლექტიური სამხედრო ან თავდაცვის მექანიზმების ამოქმედება ფაქტობრივად შეუძლებელი ხდებოდა.¹¹¹

ამასთან, ნატოს გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურა მეტისმეტად მოუქნელი გახლდათ ჰიბრიდული ომის მსგავს გამოწვევებთან შესაჭიდებლად. ცნობილია, რომ ეს უკანასკნელი გამოირჩევა თავდასხმის მოულოდნელი და სწრაფი მეთოდებით, რომლის წინააღმდეგაც დაუყოვნებლივი პასუხია საჭირო. ნატო კი სისტემურად მოუმზადებელი აღმოჩნდა მსგავსი ტიპის მოქმედებებისთვის - ჩრდილოატლანტიკური საბჭო, რომელიც 30 წევრი სახელმწიფოსგან შედგება და გადაწყვეტილების მიმღები მთავარი ორგანოა, მეოთხე და მეხუთე მუხლების ამოქმედებისთვის ერთსულოვან თანხმობას მოითხოვს. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს წევრი სახელმწიფოების პოლიტიკური დღის წესრიგი და მათი გავლენა გადაწყვეტილების მიღების რეალურ პროცესზე. ალიანსის წევრებს ხშირად განსხვავებული პრიორიტეტები და შეხედულებები ჰქონდათ ჰიბრიდულ ომსა თუ რუსეთიდან მომავალი საფრთხის რეალურობასთან დაკავშირებით. ამის გათვალისწინებით, ერთსულოვანი თანხმობის მიღწევა განსაკუთრებით რთულდებოდა. თავის მხრივ, ნატოს ბიუროკრატიული და ინსტიტუციური მოუქნელობა კიდევ უფრო აფერხებდა გადაწყვეტილების სწრაფად მიღების შესაძლებლობას.¹¹²

შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, როგორც სამხედრო-პოლიტიკური ტიპის წარმონაქმნი, არ აღმოჩნდა მზად ჰიბრიდულ გამოწვევებთან საბრძოლველად, რომელიც მიზნის მისაღწევად სამხედრო და არატრადიციულ მეთოდებს ერთდროულად იყენებს. ეს დაუცველობა კარგად გამოჩნდა როგორც უშუალოდ ალიანსის წევრი სახელმწიფოების, ისე ნატოს პარტნიორი ქვეყნების წინააღმდეგ წარმოებულ ჰიბრიდულ თავდასხმებში. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მაგალითის შემთხვევაში, აშკრად გამოიკვეთა რუსეთის ფედერაციის ინტერესები. ეს უკანასკნელი თავის პოლიტიკური მიზნების მისაღწევად უპრეცედენტო მასშტაბის სამხედრო და არასამხედრო მეთოდებს იყენებს: „გაურკვეველი წარმოშობის“ „პატარა მწვანე კაცუნები“ უკრაინაში, დეზინფორმაცია და კიბერშეტევები ნატოს წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგ, არჩევნებსა და რეფერენდუმებში უხეში ჩარევა და სხვ. აშკარაა, რომ ალიანსს ამ ძირითადი საფრთხისადმი კოორდინირებული მიდგომა

¹¹¹ Bruss Ostreni, Understanding Hybrid Warfare Constructivism and Ontological (in) Security, (Master Thesis, Charles University, Prague 2021).

¹¹² Katie Abbott, Understanding and Countering Hybrid Warfare: Next Steps for the North Atlantic Treaty Organization, (Major Research Paper, University of Ottawa, 2016).

ესაჭიროებოდა. ნატოს შექმნისა და ჩამოყალიბებისას სახელმწიფოები ერთმანეთისგან მხოლოდ ტრადიციული ტიპის საფრთხეებს მოელოდნენ, შესაბამისად, ნატოს ინსტიტუციური სტრუქტურაც მათგან თავდაცვაზე გახლდათ მორგებული. ჰიბრიდულმა გამოწვევებმა კი ჰიბრიდული გადაჭრის გზების საჭიროება გააჩინა. ნატოს ახალ რეალობასთან ადაპტაცია გარდაუვალი იყო.

„[ნატოს] ერთ-ერთი უძლიერესი მხარე მისი ადაპტაციის უნარია“

- იანს სტოლტენბერგი

ცივი ომის დასრულების შემდეგ, საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტთა წრეებში არსებობდა გარკვეული კითხვები ნატოს, როგორც ორგანიზაციის, მომავალთან დაკავშირებით. ბევრი მიიჩნევდა, რომ 1991 წლის 1 ივლისს, ვარშავის პაქტის დაშლის შემდეგ, დასავლური სახელმწიფოების წინაშე აღარ იდგა აშკარა საფრთხე, რომელიც განეიტრალებას მოითხოვდა, შესაბამისად, აღარც ნატოს გააჩნდა არსებობის საფუძველი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცივი ომის დასასრულს ორგანიზაციის წინაშე დიდი გამოწვევა იდგა, რაც მისგან მოითხოვდა არსებულ რეალობასთან ადაპტაციას. საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი თეორია - კონსტრუქტივიზმი, ამას ნატოს „ეგზისტენციალურ კრიზისს“ უწოდებს, რომლის გადასალახადაც ორგანიზაციას ტრანსფორმაციული ცვლილებების განხორციელება დასჭირდა.¹¹³ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნატომ ეს ბარიერი წარმატებით გადალახა, მოერგო თანამედროვე რეალობას და კიდევ უფრო გაზარდა თავისი გავლენები საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე.

ეს მაგალითი კარგად წარმოაჩენს ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის შესანიშნავ უნარს, ადაპტირდეს არსებულ რეალობასა და გამოწვევებთან მიმართებაში. ვფიქრობ, სწორედ ამის მცდელობა იყო შემდეგ ნატოს მიერ წარმონწყობილი ინიციატივების მთელი რიგი, რომელსაც ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ.

2008 წლიდან დღემდე ჩრდილოატლანტიკურმა ორგანიზაციამ კიბერ-უსაფრთხოების გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. 2010 წლის ნატოს სტრატეგიულ კონცეფციაში საფუძველი ჩაეყარა ორგანიზაციის ხედვას კიბერ თავდაცვის მიმართულებით.

2014 წლის სექტემბრის ნატოს უელსის სამიტზე განისაზღვრა ჰიბრიდული საფრთხეების მიმართ ალიანსის შემდგომი პოლიტიკა და მოხდა ახალი ინიციატივების წარდგენა. მათ

¹¹³ თრანს ფლოქჰარტი, კონსტრუქტივიზმი და საგარეო პოლიტიკა, საგარეო პოლიტიკა - თეორიები აქტორები ქეისები, რედ. სმიტი, სტივ & სხვ. (Oxford University Press, UK, 2012), 79-93.

შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია “Readiness Action Plan” (RAP)-ის შექმნა, რომელსაც, დღესდღეობით, ნატო აფასებს, როგორც „საკვანძო მოვლენას შეცვლილ უსაფრთხოების გარემოსთან ნატოს სამხედრო ადაპტაციის პროცესში“.¹¹⁴

2016 წელს ვარშავის სამიტზე ვაშინგტონის ხელშეკრულების მეხუთე მუხლთან დაკავშირებით გაკეთდა მნიშვნელოვანი განცხადებები. უფრო კონკრეტულად, ნევრმა სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ კოლექტიურ თავდაცვის მექანიზმების ამოქმედება ნევრ სახელმწიფოებზე, სამხედროს გარდა, უკვე ჰიბრიდულმა თავდასხმამაც შეიძლება განაპირობოს. შესაბამისად, უკვე არსებობს თეორიული შესაძლებლობა, რომ ალიანსის წევრებმა ჰიბრიდული საფრთხეების კონტექსტშიც მიმართონ ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს მეხუთე მუხლის გააქტიურების საკითხზე. ამ ზღურბლს ქვევითაც ალიანსის წევრი სახელმწიფოები გამოიყენებენ მოქმედების ისეთ მექანიზმებს, როგორცაა ეკონომიკური სანქციები, დიპლომატიების გაძევება და სხვ. ასევე, 2016 წელს, ნატოს ნევრმა სახელმწიფოებმა აიღეს „კიბერ თავდაცვის ვალდებულება“, რომელიც კიბერ საფრთხეებისგან თავდასაცავად სახელმწიფო ინფრასტრუქტურების გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად.¹¹⁵

2017 წელს დაფუძნდა JISD - Joint Intelligence and Security Division, რომლის მიზანიც გახლდათ კონკრეტულად ჰიბრიდული საფრთხეების მონიტორინგი, ანალიზი და სადაზვერვო ინფორმაციის სწრაფად მოპოვება. ამ მიზნით შექმნილი JISD იყო პირველი შემთხვევა ნატოში, როცა დაზვერვის სამოქალაქო და სამხედრო ნაწილებმა ძალები გააერთიანეს. ჰიბრიდული ომის თავისებურებების გათვალისწინებით, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ, რამაც ნატოს კომპლექსური საინფორმაციო, კიბერ და ტერორისტული საფრთხეების წინაშე ეფექტურად ბრძოლის საშუალება მისცა.¹¹⁶

ჰიბრიდული ომის თავისებურებებიდან გამომდინარე, მასთან ბრძოლისთვის მხოლოდ შიდაორგანიზაციული მექანიზმები არ კმარა, საჭიროა სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობების გაღრმავება და საფრთხეებთან გამკლავების საერთო გეგმის დასახვა. ამ კუთხით, ნატოს ყველაზე აშკარა და ბუნებრივი პარტნიორი, მათ წინაშე არსებული საერთო საფრთხის გათვალისწინებით, ევროკავშირია. უკანასკნელ წლებში, მართლაც, გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები ამ კავშირის გასაღრმავებლად. კერძოდ, 2016 წელს ფინეთის ინიციატივით დაფუძნებული Hybrid CoE-ს მთავარი მიზანი ნატოსა და

¹¹⁴ NATO, Readiness Action Plan, 2021. [Link](#).

¹¹⁵ Michael Rühle and Roberts, Clare, Enlarging NATO's toolbox to counter hybrid threats, NATO Review, 19 March, 2021. [Link](#).

¹¹⁶ Arndt Loringhoven, A new era for NATO intelligence, NATO Review, October 29, 2019. [Link](#).

ევროკავშირის შორის ჰიბრიდული გამოწვევების საკითხებზე კოოპერაციის ხელშეწყობა და სტრატეგიული დიალოგისთვის შესაფერისი პლატფორმის შექმნა.

2021 წლის ივნისის ნატოს სამიტზე ქვეყნების ლიდერებმა განაცხადეს, რომ წევრ სახელმწიფოთა მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურებზე თავდასხმა ორგანიზაციის კოლექტიური თავდაცვის მექანიზმების ამოქმედებას გამოიწვევდა. უფრო კონკრეტულად, ონლაინ სივრცეში განხორციელებულ შეტევას უკვე შეუძლია ალიანსის ისეთივე საპასუხო რეაქციის გამოწვევა, როგორც ფიზიკურად მიყენებულ ზიანის შემთხვევაში იქნებოდა. ამ გადაწყვეტილებას კი ალიანსი კონკრეტული ქეისების მიხედვით, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მიიღებს. ეს ცვლილებები ჰიბრიდული თავდასხმების ახალი, მოდიფიცირებული გზების გაჩენამ გამოიწვია. „პროგრამა-გამომძალველებისა“ (ransomware) და ზოგადად, მავნე პროგრამული უზრუნველყოფის (malware) გამოყენებამ ისეთ მნიშვნელოვან სახელმწიფო ინფრასტრუქტურებზე, როგორც ამერიკული მილსადენის კომპანია, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ჰიბრიდული საფრთხეების მასშტაბებს.¹¹⁷

უკანასკნელ წლებში, ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ნატოს მიერ შემუშავებული მექანიზმების განვითარება ცხადყოფს, რომ ორგანიზაცია სერიოზულად ეკიდება ამ საკითხს და არსებული გამოწვევების საპასუხოდ კონკრეტულ ნაბიჯებსაც დგამს. თუმცა, კვლავ შეუძლებელია თქმა, თუ რამდენად დაიცავს ეს მექანიზმები ორგანიზაციას მომავალი თავდასხმებისგან. ერთი მხრივ, მათ შიდა პოლიტიკაში რუსეთის ჩარევით ალიანსის წევრ სახელმწიფოებს უკვე მიაღდათ სერიოზული ზიანი. საზოგადოებაში დათესილი უნდობლობისა და დაუცველობის განცდა ნატოს წევრებს უკვე არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს. მეორე მხრივ, ჰიბრიდული საფრთხეების თავისებურებებიდან გამომდინარე, „თავდაცვის მდგომარეობაში“ მყოფი ალიანსი მუდმივად „ერთი ნაბიჯით ჩამორჩება“ თავდამსხმელებს, რასაც სულ რამდენიმე თვის წინ, ჩეხეთში სამთავრობო საიტებზე განხორციელებული კიბერთავდასხმაც ცხადყოფს. აშკარაა, რომ ალიანსის მიერ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, ჰიბრიდული ომის მეთოდები მუდმივად ვითარდება, „იხვეწება“ და სულ უფრო მეტი საფრთხის შემცველი ხდება - „პროგრამა-გამომძალველები“ ამის საუკეთეს მაგალითია.

საბოლოო ჯამში, ფაქტი ფაქტად რჩება - ნატოს არ აქვს გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღების შესაძლებლობა. შესაბამისად, კიბერთავდასხმის შემთხვევაში, მეხუთე მუხლის ამოქმედება რთულად მისაღწევი მიზანია. კონკრეტული ქეისებისთვის კიბერთავდასხმის კლასიფიკაციის მინიჭება ისევ დამოკიდებულია წევრ სახელმწიფოთა შორის მიღწეულ კონსენსუსზე. შედეგად, ნატოს საპასუხო ქმედებას კვლავ განსაზღვრავს

¹¹⁷ Dann Lohrmann, NATO Adds Cyber Commitments, Potential Ransomware Response, Government Technology, June 20, 2021. [Link](#).

კონკრეტული სახელმწიფოების შიდაპოლიტიკური დღის წესრიგი, მათი სტრატეგიული ინტერესები და დიპლომატიური კავშირები.¹¹⁸ ეს ყველაფერი კი გვაძლევს რეალობას, რომელშიც რუსეთს შეუძლია ცალკეული სახელმწიფოების წინააღმდეგ ერთიანი, კოორდინირებული თავდასხმები განახორციელოს ისე, რომ სასჯელის არ ეშინოდეს მაშინ, როცა ნატოს წევრი სახელმწიფოები დამოუკიდებლად ებრძვიან მუდმივად ცვალებად ჰიბრიდულ საფრთხეებს.

გაკვეთილი საქართველოსთვის

როგორც უკვე აღვნიშნე, ჰიბრიდული ომი ის გამოწვევაა, რომლის წინაშეც ყველა სახელმწიფო დგას. მათ შორის, გამონაკლისი არც საქართველოა. ამ კონტექსტში ცხადია, რომ ყველაზე დიდ საფრთხეს ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი, რუსეთის ფედერაცია, წარმოადგენს. ამ უკანასკნელის პოლიტიკურ დღის წესრიგში ჰიბრიდული და საინფორმაციო ომის ცნება განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. როგორც ზემოთ დავინახეთ, რუსეთის მხრიდან წარმოებული ჰიბრიდული ომი საფრთხეს არა მხოლოდ საქართველოს მსგავსი პატარა სახელმწიფოებისთვის, არამედ ნატოს მსგავსი ორგანიზაციებისთვისაც ქმნის. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დაახლოების გზაზე, დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჰიბრიდული ომის საფრთხეებთან გამკლავების ნატოსეული პრაქტიკის შესწავლა. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქართველოში პრორუსული პროპაგანდა მუდმივად ცდილობს ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური არჩევანის დისკრედიტაციას. ამის მაგალითებს კი ხშირად ვხვდებით პრორუსულად განწყობილ მედია საშუალებებში რომლებიც ნატოს წინააღმდეგ მიზანმიმართულ ნარატივებს ავრცელებენ.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, აშკარაა, რომ საქართველოს ნატოს გამოცდილებისგან ბევრის სწავლა შეუძლია. თუმცა, პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი: ერთი მხრივ, სუვერენულ სახელმწიფოს ბევრად უფრო სწრაფი და კოორდინირებული მოქმედების შესაძლებლობა აქვს, ვიდრე ნატოს მსგავს სამხედრო-პოლიტიკურ მთავრობათაშორის ორგანიზაციას; თუმცა, მეორე მხრივ, საქართველოს მსგავს სახელმწიფოს, ნატოსთან შედარებით, მოქმედების ბევრად მცირე არეალი და ნაკლები შესაძლებლობებიც გააჩნია. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთიდან მომავალ ჰიბრიდულ საფრთხეებთან გასამკლავებლად

¹¹⁸ Dephne Deschaux-Dutard, Is NATO ready for cyber war?, University Grenoble Alpes, CESICE. August 31, 2021. [Link](#).

აუცილებელია სახელმწიფო უწყებების ერთიანი და კოორდინირებული მიდგომის შემუშავება. ამის მაგალითს ნატო 2008 წლიდან აქტიურად გვიჩვენებს. სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით ჩვენ ქვეყანაზე - დღესდღეობით საქართველოში არ არსებობს სპეციალური, კონკრეტულად დებინფორმაციის პროფლით მომუშავე უწყება, რომელსაც მყისიერი რეაგირების ეფექტური მექანიზმები ექნება. ასევე, მნიშვნელოვანია, ჩვენი პარტნიორი და მეგობარი სახელმწიფოების უშუალო გამოცდილების გაზიარებაც - ნატოს წევრ ლიეტუვას, ლატვიასა და ესტონეთს რუსეთიდან მომავალ ჰიბრიდულ საფრთხეებთან გამკლავებაში უდიდესი გამოცდილება აქვთ. ამიტომაც, მათთან ამ კუთხით თანამშრომლობის გაღრმავება ნატოსგან ნასწავლი კიდევ ერთი გაკვეთილი უნდა იყოს. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ნატოს გამოცდილებამ საქართველოს უნდა ასწავლოს, ჰიბრიდული საფრთხეებისადმი სერიოზული, კომპლექსური და კოორდინირებული მიდგომის შემუშავების აუცილებლობაა. საქართველოში რუსეთის საინფორმაციო გავლენის ოფიციალურ საფრთხედ განსაზღვრის მიუხედავად, ამას ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ნაკლებად მოჰყვა. ამ შემთხვევაში, აშკარაა მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური ნების არარსებობა, რაც ხელს უშლის ჰიბრიდულ გამოწვევებთან სახელმწიფოს ეფექტიან ბრძოლას. ვფიქრობ, ქვეყანამ უნდა გაითავისოს ჰიბრიდული საფრთხეების რეალურობა და ის მასშტაბები, რომლითაც რუსეთი სამიზნე ქვეყნის შიდა პოლიტიკაში ერევა. ეს კი აუცილებელია, რათა საქართველომ მოახერხოს ჰიბრიდული ომის საფრთხეების წინააღმდეგ ერთიანი და მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელება.

დასკვნა

ჰიბრიდული ომი, როგორც ახალი დროის გამოწვევა, მეტად საინტერესო კონცეფციაა. თავისი არსით, ის ომის ტრადიციული ფორმებისგან არ განსხვავდება - მათ მსგავსად, მიზნად ისახავს მოწინააღმდეგის დემორალიზებას, დამარცხებასა და მცირე დანაკარგებით დიდი სარგებლის მიღებას. თუმცა, ჰიბრიდულ ომს განსაკუთრებით საშიშსა და საფრთხილოს მის მიერ გამოყენებული მექანიზმები ხდის - ტექნოლოგიების განვითარებამ გაანეიტრალა დრო, სივრცე და სხვა ტიპის ბუნებრივი ბარიერები. შესაბამისად, ჰიბრიდული მეთოდების გამოყენებით საკმარისი რესურსების მქონე აქტორს შეუძლია ოკეანის გადაღმა საარჩევნო პროცესებში ჩარევა, ათასობით კილომეტრის დაშორებით დებინფორმაციის კამპანიების წარმოება, სახელმწიფოების შიდა პოლიტიკურ პროცესებში ჩარევა და სხვ.

საფრთხის მასშტაბებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, დროა სახელმწიფოები, საერთაშორისო სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები „გადაეწყონ“ ჰიბრიდული საფრთხეების მიერ შექმნილ ახალ დღის წესრიგზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს დიდ ძალისხმევას და რესურსებს მოითხოვს. მიმაჩნია, რომ ნატო ამ ადაპტაციისა და მასთან დაკავშირებული გამოწვევების ძალიან კარგ მაგალითს გვთავაზობს.

აშკარაა, რომ თავდაპირველ ეტაპზე ალიანსის შიგნით, ისევე როგორც მის პარტნიორ ქვეყნებზე განხორციელებულმა თავდასხმებმა სააშკარაოზე გამოიტანა ნატოს ჩავარდნები ჰიბრიდული ომის მსგავს პრობლემასთან გამკლავებაში. ცხადი გახდა, რომ ორგანიზაციას სჭირდებოდა თანამედროვე რეალობასთან ადაპტაცია. ამ კუთხით, აღსანიშნავია, ერთი მხრივ, წევრი სახელმწიფოების რიტორიკის გამკაცრება ჰიბრიდულ თავდასხმებზე ორგანიზაციის საპასუხო ქმედებებთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე მხრივ, ნატოს მიერ შექმნილი მექანიზმების მთელი რიგი, რომლებმაც უფრო სწრაფი, მოქნილი და ეფექტიანი გახადა ნატო ნებისმიერი მხრიდან მომავალი საფრთხის განეიტრალებაში. ალიანსის ოფიციალური დოკუმენტები ღიად ასახელებენ ჰიბრიდული საფრთხეების უმთავრეს წყაროს - რუსეთის ფედერაციას. ამის აშკარა გამოხატულება კი ის სტრატეგიული ტერიტორიებია, რომელსაც ნატო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ჰიბრიდულ გამოწვევებთან ბრძოლაში. ესენია ბალტიის სახელმწიფოები (ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი) და პოლონეთი, რომელთათვისაც განსაკუთრებით მწვავედ დგას რუსეთიდან მომავალი დეზინფორმაციის საფრთხე.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ დროის სვლასთან ერთად, ნატოს მექანიზმები ჰიბრიდულ ომთან გამკლავების კუთხით ბევრად დახვეწილი, შედეგზე ორიენტირებული და ხისტი გახდა. ამის მიუხედავად, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ნატოს პოლიტიკაში არსებობს გარკვეული ასპექტები, რომლებიც ბუნებრივად უშლის ხელს ამ მექანიზმების სრულყოფას. მაგალითად, ნატოსთვის, როგორც მთავრობათაშორისი სამხედრო ორგანიზაციისთვის ჰიბრიდული ომის მსგავს საფრთხეებთან შეჭიდება ბუნებრივად რთულია - მის წევრებს შორის ერთსულოვნებისა და სიახლოვის მიუხედავად, სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებზე კონსენსუსის მიღწევა გარკვეულ გამოწვევებთანაა დაკავშირებული. სახელმწიფოების ეროვნული ინტერესები და აქედან გამომდინარე, მათი პოლიტიკური დღის წესრიგი ერთმანეთისგან განსხვავდება. შესაბამისად, ისინი განსხვავებულად აღიქვამენ ალიანსის წინაშე არსებული პრობლემების სიმწვავესაც. მაგალითად, რუსეთიდან მომავალ ჰიბრიდულ საფრთხეს განსხვავებულად აფასებენ ბალტიისპირეთის სახელმწიფოები და თუნდაც, გერმანია. ამასთან, ორგანიზაციის ბიუროკრატიული აპარატი ანელებს ალიანსის სასპასუხო რეაქციას, რაც, ჰიბრიდული გამოწვევების შემთხვევაში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. შეგვიძლია ვთქვათ, რომ

ჰიბრიდულ ომთან დაკავშირებით ნატოს ქმედებებს ყველაზე უკეთ მაინც „შეკავების პოლიტიკა“ ხსნის. თუმცა, აშკარაა, რომ დროთა განმავლობაში ეს პოლიტიკა უფრო მკაცრდება და „უარყოფის გზით შეკავებიდან“ (deterrence by denial) ნელ-ნელა გადადის „დასჯის გზით შეკავებისკენ“ (deterrence by punishment).

ნატოს საპასუხო რეაქციების გამკაცრება პასუხია მსოფლიოს ყველა წერტილიდან მომავალ მზარდ ჰიბრიდულ საფრთხეებზე. ამ პროცესში, საქართველოს განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა მართებს, რადგან ნატოს მიერ ღიად დასახელებული ჰიბრიდული საფრთხეების წყარო, რუსეთის ფედერაცია, ნაცად მექანიზმებს საქართველოში 2008 წლიდან წარმატებულად იყენებს. საქართველოს მისი დასავლელი პარტნიორისგან ბევრი გაკვეთილის სწავლა შეუძლია. თუმცა, მიმანია, რომ, ჰიბრიდული ომის კონტექსტში, ყველზე მნიშვნელოვანია საფრთხის რეალურად შეფასება, მისი წყაროს იდენტიფიცირება და მის გასანეიტრალებლად კოორდინირებული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება.

დარწმუნებით მომავალზე ლაპარაკი გამიჭირდება, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ დროის სვლასთან ერთად, მოსალოდნელია ჰიბრიდული ომის უფრო მწვავე და სახიფათო ფაზაში შესვლა - ტექნოლოგიების განვითარება, შეუჩერებელი გლობალიზაციის პროცესი, კოვიდ პანდემიის შედეგად დამდგარი ახალი რეალობა - ეს ფაქტორები კიდევ უფრო გაზრდიან ყოველდღიურ ცხოვრებაში ჰიბრიდული მეთოდების ხელმისაწვდომობასა და გამოყენების მასშტაბებს. შესაბამისად, სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო აქტორი მათ უფრო აქტიურად დანერგავს თავის სამხედრო თუ პოლიტიკურ დღის წესრიგში. კონვენციური ომისგან განსხვავებით, ჰიბრიდული ომის სამიზნე აქტორებს მუდმივად თავდაცვის პოზიციაში უნევთ ყოფნა, მუდმივად ერთი ნაბიჯით ჩამორჩებიან მოწინააღმდეგეს. ამის გათვალისწინებით, სამომავლოდ, ჰიბრიდულ გამოწვევებთან საბრძოლველად ნატოს ჰიბრიდული მეთოდების გამოყენება მოუწევს. მომავალში კი, გაზრდილი საფრთხეების საპასუხოდ, ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციის მხრიდან მეტი სიხისტის გამოჩენა იქნება საჭირო.

ბიბლიოგრაფია:

- ანთაძე, გიორგი, ჰიბრიდული ომის გააზრებისთვის, ჟოქეისი, 11 თებერვალი, 2020;
- ფლოქჰარტი, თრაინ, კონსტრუქტივიზმი და საგარეო პოლიტიკა, საგარეო პოლიტიკა - თეორიები აქტორები ქეისები, რედ. სმიტი, სტივ & სხვ. (Oxford University Press, UK, 2012), 79-93;
- ქარსელაძე, ხათუნა, რუსეთის ჰიბრიდული ომი აშშ-ს წინააღმდეგ - 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევის გეოპოლიტიკური ასპექტები ახალი „ცივი ომის“ პირობებში. სამაგისტრო ნაშრომი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. თბილისი, 2020. [ბმული](#). (21/12/2021);
- Abbott, Katie, Understanding and Countering Hybrid Warfare: Next Steps for the North Atlantic Treaty Organization, (Major Research Paper, University of Ottawa, 2016);
- Deschaux-Dutard, Dephne. Is NATO ready for cyber war?, University Grenoble Alpes, CESICE. August 31, 2021. [Link](#). (21/12/2021);
- Dorell, Oren. Alleged Russian political meddling documented in 27 countries since 2004, USA TODAY, September 7, 2017. [Link](#). (21/12/2021);
- Ellis, Joseph Thomas, NATO's Deterrence Strategy: Causes of Shortcomings When Facing Russian Hybrid Strategy, (Master's Thesis, Charles University, 2021), 43-47;
- Lasconjarias, Guillaume, and Andreas Jacobs, NATO's Hybrid Flanks: Handling Unconventional Warfare in the South and the East, in NATO's Response to Hybrid Threats, edited by Guillaume Lasconjarias & Jeffrey A. Larsen, 257-277. Rome: DeBooks Italia srl, 2015;
- Lohrmann, Dann. NATO Adds Cyber Commitments, Potential Ransomware Response, Government Technology. June 20, 2021. [Link](#). (21/12/2021);
- Mackie, Rachel. Scottish Independence: 'Russia attempted to influence 2014 referendum' reveals report, The Scotsman, July 21, 2020. [Link](#). (21/12/2021);
- NATO, Factcheet: Nato Cyber Defence, February 2019 [Link](#). (21/12/2021);
- NATO, Readiness Action Plan, 2021, [Link](#). (21/12/2021);
- NBC News. A look at Estonia's cyber attack in 2007. July 8, 2009. [Link](#). (21/12/2021);
- Ostreni, Bruss, Understanding Hybrid Warfare Constructivism and Ontological (in) Security, (Master Thesis, Charles University, Prague 2021);
- Rühle, Michael, and Clare Roberts, Enlarging NATO's toolbox to counter hybrid threats, NATO Review, 19 March, 2021. [Link](#). (21/12/2021);
- Loringhoven, Arndt, A new era for NATO intelligence, NATO Review, October 29, 2019. [Link](#). (21/12/2021);

- Loringhoven, Arndt, Adapting NATO intelligence in support of “One NATO”, NATO Review, September 8, 2017. [Link](#). (21/12/2021);
- Zarembo, Kateryna, and Sergiy Solodkyy. The Evolution of Russian Hybrid Warfare: Ukraine. CEPA. 2021. [Link](#). (21/12/2021).



Embassy
of the Republic of Poland
in Tbilisi

NATO
Contact Point Embassy



ევროკავშირის უსაფრთხოება: ნატოსთან ერთად თუ ნატოს გარეშე?

იაკობ ლაჩაშვილი



ევროკავშირის უსაფრთხოება: ნატოსთან ერთად თუ ნატოს გარეშე?

შესავალი

ევროკავშირი, დღეს არსებული ფორმით, ეკონომიკის სექტორში დაწყებული ინტეგრაციისა და თანამშრომლობის პირმშოა,¹¹⁹ თუმცა, შემდგომ, დროთა განმავლობაში ევროკავშირში პოლიტიკური ინტეგრაციის მიმართულებაც განვითარდა. თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის ჩამოყალიბების მცდელობა ევროპული ინტეგრაციის საწყის ეტაპზე იყო, თუმცა წევრი სახელმწიფოების მიერ, რატიფიცირების ჩავარდნის გამო, დასახული მიზანი ვერ განხორციელდა. მას შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში ცალკე მდგომი ევროპული უსაფრთხოების პროექტი მივიწყებული იყო და ცივი ომის რეალობაში ევროპული უსაფრთხოება ატლანტიკიზმის პარადიგმის¹²⁰ ქრილში, ნატოს ფარგლებში ვითარდებოდა. თუმცა ევროპულ თანამეგობრობაში/ევროკავშირში პოლიტიკური ინტეგრაციის განვითარება გარკვეულწილად საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში თანამშრომლობაშიც „გადაიღვარა“. ეს კი გარკვეულწილად ცივი ომის დასრულებას დაემთხვა და ახალ მსოფლიო წესრიგში ევროკავშირმა, უსაფრთხოების სფეროში დამოუკიდებელი მოქმედების მექანიზმების შექმნის კუთხით, 1990-იანი წლების ბოლოს და 2000-იანების დასაწყისში ამბიციური გეგმები დაისახა, რომელთა განხორციელებაც კვლავ ვერ მოხერხდა; მართალია, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში გარკვეული თანამშრომლობა ინსტიტუციონალურ დონეზე ჩამოყალიბდა, თუმცა ის სამთავრობოთა-შორისო და არა - სუპრანაციონალური საყრდენის ქვეშ მოექცა. ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკაში გადამწყვეტ სიტყვას დღემდე წევრი სახელმწიფოები ამბობენ და არა ზეეროვნული ინსტიტუტები, მაგრამ ცივი ომის დასრულებიდან დღემდე თანამშრომლობა ეტაპობრივად განვითარდა. მათ შორის, აღსანიშნავია, რომ 2003 წელს ევროკავშირმა უსაფრთხოების სტრატეგია გამოაქვეყნა.¹²¹ სწორედ ამ დაბალი ტემპით დღეისთვის მიღწეული გარკვეული პროგრესი არის ის საფუძველი, რომელზე დაშენებაც სურთ ევროკავშირის დამოუკიდებელი უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბების პროპონენტებს.

¹¹⁹ თუმცა ინტეგრაცია ქვანახშირისა და ფოლადის სექტორებში დაიწყო, რაც, მათ შორის, თავდაცვის ინდუსტრიასთან იყო დაკავშირებული.

¹²⁰ ხედვა ევროპული უსაფრთხოებისადმი (და არამხოლოდ), რომელიც აშშ-სა და ევროპის თანამშრომლობას ეფუძნება. ატლანტიკიზმის ხორცმესხმული მაგალითი არის ნატო, რომელიც აშშ-ს ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დიდ როლს ანიჭებს.

¹²¹ Council of the European Union. European Security Strategy: A secure Europe in a Better World. Brussels, 12 December 2003. [Link](#).

ევროკავშირის უსაფრთხოების სისტემის შესახებ აქტიური განხილვა და დებატი ჯერ კიდევ, დაახლოებით, 2017 წლიდან განახლდა, რამეთუ სწრაფად ცვალებად საერთაშორისო სისტემაში შექმნილმა ვითარებამ ევროპა უსაფრთხოების მრავალი გამოწვევის წინაშე დააყენა. ამასთან, დღის წესრიგში უფრო მეტი სიმწვავეთ დადგა უსაფრთხოების არატრადიციული, 21-ე საუკუნისთვის დამახასიათებელი თანამედროვე გამოწვევები. ხოლო 2020-2021 წლებში ევროპასა და მის სამეზობლოში უსაფრთხოების კუთხით განვითარებულმა მოვლენებმა, რომლებიც დეტალურად ნაშრომში იქნება განხილული, ევროკავშირში უსაფრთხოების სისტემის შესახებ განხილვები უფრო გაააქტიურა. ამავე დროს, რიგი წამყვანი ევროპელი ლიდერებისა და გადანყვეტილების მიმღების პირების თვალში ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის აშშ-ის მზაობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. აქედან გამომდინარე, ატლანტიციზმის პარადიგმისა და აშშ-სა და ნატოს, როგორც ევროკავშირის უსაფრთხოების გარანტისადმი, ნდობა შეირყა. სწორედ ამან გამოიწვია ევროკავშირის უსაფრთხოების შესახებ დებატების დაწყება - ტრადიციული ატლანტიციზმის პარადიგმის იდეების გარდა აქტუალური გახდა ევროკავშირის მიერ აშშ-სა და ნატოსგან დამოუკიდებელი უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბების იდეა, რომელიც სათავეს „გოლიზმიდან“¹²² იღებს. იდეის ამა თუ იმ ფორმით გამაჟღერებელი ფიგურებიდან ყველაზე აღსანიშნავია საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი და ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლეიენი.

განხილულიდან გამომდინარე, ევროკავშირის უსაფრთხოების სისტემის კვლევა საკმაოდ აქტუალური საკითხია, რამდენადაც ის უმაღლეს დონეზე ინტენსიური განხილვის თემაა. ეს განსახილველი თემა გამარტივებულად შემდეგნაირად დაისმის: ევროკავშირის უსაფრთხოება ნატოსთან ერთად თუ ნატოს გარეშე? მოცემულ სტატიაში სწორედ აღნიშნული საკითხი იქნება შესწავლილი: ევროკავშირის უსაფრთხოების შესახებ მცირე ისტორიული რაკურსის აღწერის შემდეგ განხილული იქნება ის გამოწვევები და მიზეზები, რომელთა გამოც ევროკავშირში ნატოსგან დამოუკიდებელი უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებას განიხილავენ. მიზეზების განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება უახლეს, 2020-2021 წლების, მოვლენებს მიექცევა. გარდა ევროკავშირის დამოუკიდებელი უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბების დღის წესრიგში დაყენების მიზეზების კვლევისა, სტატიაში ასევე განხილული იქნება გეგმის პერსპექტივები და მისდამი დამოკიდებულებები. ანალიზი თვისებრივი კვლევის მეთოდებს ეფუძნება. ხოლო ჩატარებულ ანალიზზე დაყრდნობით სტატიის ბოლოს, დასკვნის სახით, გამოთქმული

¹²² ევროპის უსაფრთხოების ატლანტიციზმის პარადიგმის საპირისპირო ხედვა, რომელიც საფრანგეთის პრეზიდენტ შარლ დე გოლიდან იღებს სათავეს და ევროპაში აშშ-ის გავლენის შემცირებას, ევროკავშირის მიერ საკუთარი უსაფრთხოების თავად უზრუნველყოფასა და ევროპის ცალკე ძალის პოლუსად ჩამოყალიბებას ესწრაფვის.

იქნება ავტორის მოსაზრება დასმული საკითხის - ევროკავშირის უსაფრთხოების სისტემის (ნატოსთან ერთად თუ ნატოს გარეშე) - შესახებ.

ევროკავშირის უსაფრთხოების სისტემის ისტორია

სტატიის ფორმატიდან გამომდინარე ევროკავშირის უსაფრთხოების სისტემის ფორმირების და მის შესახებ ორი განსხვავებული იდეის ჩამოყალიბების ისტორია მოკლედ იქნება მოცემული. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საბჭოთა კავშირის საფრთხის საპირისპიროდ დასავლეთ ევროპაში თავდაცვითი კავშირები ჩამოყალიბდა. პირველი - ეს იყო 1947 წელს საფრანგეთსა და ბრიტანეთს შორის ხელმოწერილი დიუნკერკის ხელშეკრულება; შემდეგ, 1948 წელს, საფრანგეთის, ბრიტანეთისა ბენელუქსის სამი ქვეყნის (ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი) მიერ დაარსდა დასავლეთის კავშირი (Western Union, ასევე ცნობილი, როგორც ბრიუსელის ხელშეკრულების ორგანიზაცია). მას 1954 წელს იტალია და დასავლეთ გერმანია შეუერთდნენ და ორგანიზაცია დასავლურ ევროპულ კავშირად (Western European Union) გადაკეთდა.¹²³ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1949 წელს ნატოს შექმნა, რომელმაც დასავლეთ ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მთავარი როლი იკისრა, ხოლო დასავლური ევროპული კავშირი დიდი ხნის განმავლობაში, ფაქტობრივად, უფუნქციო ორგანიზაცია იყო. დასავლური ევროპული კავშირის გარდა ევროპული უსაფრთხოების დამოუკიდებელი ხაზის ჩამოყალიბების მცდელობა იყო ევროინტეგრაციის პიონერ ექვს სახელმწიფოს შორისაც (საფრანგეთი, დასავლეთ გერმანია, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი). კერძოდ, 1951 წელს, ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის თანამეგობრობის დაარსებიდან მალევე, მათ გადანაცვლეს სექტორული ინტეგრაციის მოდელი სხვა სფეროებზეც გაეფრცვლებინათ. ხოლო ვინაიდან ამ დროს კორეის ომის გამო აშშ-ის ძირითადი ფოკუსი შორეულ აღმოსავლეთზე იყო მიმართული, დასავლეთ ევროპისთვის უსაფრთხოება სერიოზული გამოწვევა იყო. სწორედ ეს გახდა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის, რენე პლევენის, მიერ ევროპის თავდაცვის თანამეგობრობის ჩამოყალიბების გეგმის შეთავაზების საწინდარი. დასახელებული ექვსი სახელმწიფოს მიერ 1952 წელს ევროპის თავდაცვის თანამეგობრობის ჩამოყალიბებას ხელი მოეწერა (ასევე ევროპის პოლიტიკური თანამეგობრობის, როგორც თავდაცვის თანამეგობრობის შემავსებელი ინსტიტუტის),

¹²³ სერჯი კაპანაძე. ევროკავშირის პოლიტიკა. 2006. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი. გვ. 5-6; 65.

თუმცა 1954 წელს საფრანგეთის პარლამენტმა ხელშეკრულების რატიფიცირება ჩააგდო და ევროპული თავდაცვის თანამეგობრობის პროექტიც ჩაიშალა.¹²⁴

ევროინტეგრაციის საწყის ეტაპზე დამოუკიდებელი ევროპული უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბების არცთუ წარმატებული მცდელობების შემდეგ ეს საკითხი გარკვეულწილად მივიწყებული იყო. ის დღის წესრიგში 1990-იან წლებში დაბრუნდა. ცივი ომის დასრულების შემდეგ ევროპაში, ისევე როგორც მსოფლიოში, გეოპოლიტიკური რეალობა, ძალთა ბალანსი და საფრთხეები შეიცვალა და, შესაბამისად, უსაფრთხოებისადმი განსხვავებული მიდგომები გახდა საჭირო. ამას დაემატა იუგოსლავიის დაშლის შედეგად გამოწვეული სისხლისმღვრელი ომები, რომლებმაც ევროკავშირი, რომელიც ამ დროს აღმოსავლეთით გაფართოების გეგმებს სახავდა, მძიმე რეალობის წინაშე დააყენა. უფრო კონკრეტულად, ევროპამ მის კონტინენტზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად იხილა მსგავსი მასშტაბის სამხედრო დაპირისპირება. მეტიც, ეს კონფლიქტი ევროკავშირის საზღვრებთან საკმაოდ ახლოს ვითარდებოდა, რაც სერიოზულ უსაფრთხოების გამოწვევებს ჰქმნიდა და სტაბილურობას ეჭვქვეშ აყენებდა. ხოლო აღნიშნულ პრობლემასთან გასამკლავებლად და ადეკვატური რეაგირების მოსახდენად ევროკავშირი მზად არ აღმოჩნდა და კონფლიქტებში აშშ-ის ჩართვა გახდა საჭირო. შესაბამისად, ეს ევროკავშირისთვის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის ინსტრუმენტების შექმნის დამატებითი მოტივაცია გახდა, რათა არსებული სისუსტე აღმოეფხვრათ.

დასახელებული შეცვლილი გარემოებები პრაქტიკულ დონეზე გამოიხატა: ევროკავშირის სურვილი უსაფრთხოების პოლიტიკა გაეფართოებინა 1992 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულებაში აისახა. ხოლო 1997 წელს მიღწეული ამსტერდამის ხელშეკრულება დასავლურ ევროპული კავშირის ევროკავშირში გაერთიანებას ითვალისწინებდა, რომელიც ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის წარმოების როლს იტვირთავდა.¹²⁵ ამასთან, ევროკავშირს „პეტერსბერგის ამოცანების“ შესრულებაც ეკისრებოდა, რაც მოიცავდა ჰუმანიტარულ და სამაშველო ოპერაციებს, კრიზისის მენეჯმენტის დროს საბრძოლო ამოცანების განხორციელებასა და მშვიდობის უზრუნველყოფას (peacemaking). შესაბამისად, დასახული მიზნები ამბიციური უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა. მეტიც, იუგოსლავიის კრიზისით მიღებულმა გაკვეთილმა ევროპელ ლიდერებს ევროკავშირის უსაფრთხოების განვითარების საჭიროება დაანახა და 1998 წელს გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრმა, ტონი ბლერმა, და საფრანგეთის პრეზიდენტმა, ჟაკ შირაკმა, მიიღეს სან მალოს დეკლარაცია, რომელიც კიოლნისა და ჰელსინკის ევროპულ საბჭოებზე მეტად

¹²⁴ Michelle Cini and Nieves Pérez-Solórzano Borragnán. European Union politics. 6th edition. 2019. Oxford University Press. Oxford. pp. 14-15.

¹²⁵ გადაწყვეტილება შემდგომ წლებში მართლაც განხორციელდა.

განივრცო. ისინი ითვალისწინებდნენ ევროკავშირში უსაფრთხოების სფეროში ინტეგრაციის გაღრმავებას, „პეტერსბერგის ამოცანების“ შესასრულებლად 50-60-ათასიანი სწრაფი რეაგირების ძალების შექმნას და ა.შ.¹²⁶ ასევე, გაკეთდა დათქმა, რომ ინიციატივა ნატოს საწინააღმდეგო არ იყო. თუმცა ის ევროკავშირის მიერ დამოუკიდებელი უსაფრთხოების სისტემის შექმნისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო და ევროპის უსაფრთხოების პოლიტიკაზე მუშაობა აქტიურად სწორედ ამ პერიოდის დაიწყო. თუმცა გეგმა ზედმეტად ამბიციური გამოდგა და ვერ შესრულდა: დასახული მიზნის - ფაქტობრივად „ევროკავშირის არმიის“, ნაცვლად მხოლოდ მცირე საპოლიციო ძალების შექმნაზე შეთანხმდნენ.

აშშ-სა და ნატოსგან დამოუკიდებელი ევროპული უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებისკენ სწრაფვის პარალელურად, რაც „გოლიზმის“ პარადიგმის გამოვლინებას წარმოადგენდა, ამ პერიოდში ნატოს შიგნით ევროპული უსაფრთხოების მიმართულების გაძლიერების პროცესიც მიმდინარეობდა. კერძოდ, ნატოს ფარგლებში დაიწყო ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის იდენტობის (European Security and Defence Identity – ESDI) განვითარება, რაც 2002 წელს ე.წ. „ბერლინი +“ შეთანხმებაში (Berlin Plus Agreement) გამოიხატა. აღნიშნული გულისხმობს, რომ ევროკავშირს სამხედრო ოპერაციების განხორციელებისთვის ნატოს შესაძლებლობების გამოყენება შეუძლია.⁵ შედეგად, ევროპული უსაფრთხოება კვლავ, ატლანტიციზმის პარადიგმის მიხედვით, ნატოსთან ერთად ვითარდებოდა.

შემდგომ წლებში ევროკავშირის მიერ ნატოსგან დამოუკიდებელი უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბების ამბიციური გეგმები აღარ ყოფილა. მომევნო მნიშვნელოვანი ნაბიჯი 2017 წელს „მუდმივი სტრუქტურირებული თანამშრომლობის“ შესახებ ხელშეკრულების (Permanent Structured Cooperation – PESCO) მიღწევა იყო (თუმცა მას ხელი ევროკავშირის ყველა სახელმწიფომ არ მოეწერა, არამედ მხოლოდ 23-მა). მართალია, PESCO-ზე ზოგი დიდ იმედებს ამყარებდა¹²⁷ (მაგალითად, ევროკომისიის ყოფილი პრეზიდენტი ჟან კლოდ იუნკერი). თუმცა ის მეთად ადმინისტრაციული ხასიათისაა, ვიდრე სტრატეგიული და დამოუკიდებელი უსაფრთხოების სისტემის მსგავსი ამბიციური მიზნები ამ ეტაპზე არ აქვს.

¹²⁶ სერჯი კაპანაძე. ევროკავშირის პოლიტიკა. 2006. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი. გვ. 68-69, 72-73.

¹²⁷ Deutsche Welle. PESCO: EU army one step closer after defense pact agreement. 2017. [Link](#).

საკითხის რეაქტუალიზაცია

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად PESCO-ს მიერ დასახული მიზნების ნაკლები ამბიციურობისა, ის დროში დაემთხვა ევროკავშირის დამოუკიდებელი უსაფრთხოების სისტემისა და მექანიზმების ჩამოყალიბების იდეის დღის წესრიგში დაბრუნებას. მაგალითად, ევროკავშირის არმიისა და თავდაცვის კავშირის შექმნის შესახებ მოწოდებები გააჟღერეს ყოფილმა ევროკომისიის პრეზიდენტმა, ჟან კლოდ იუნკერმა,¹²⁸ და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჰეიკო მასამ.¹²⁹ თუმცა ყველაზე აღსანიშნავი საფრანგეთის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონისა, და გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის, განცხადებები იყო. კონკრეტულად, 2017 წლის გამოსვლაში მაკრონმა განაცხადა: „მომდევნო ათწლეულის დასაწყისისთვის ევროპამ უნდა შექმნას ერთიანი საინტერვენციო ძალა, ერთიანი თავდაცვის ბიუჯეტი და მოქმედების საერთო დოქტრინა“;¹³⁰ ხოლო მერკელმა ევროპარლამენტში განაცხადა, რომ „...საერთო ევროპული არმია მსოფლიოს აჩვენებს, რომ ევროპაში ომი აღარასდროს იქნება... ეს არ იქნება არმია ნატოს წინააღმდეგ, არამედ ნატოს კარგი შემავსებელი იქნება...“. ასევე, მერკელი თავდაცვითი ინტეგრაციის წინაშე არსებული დაბრკოლებების აღმოფხვრაზე, ევროპისთვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობაზე, ევროპელების მიერ საკუთარი ბედის თავად განსაზღვრასა და სხვა მსგავს თემებზე ამხავილებდა ყურადღებას.¹³¹ ევროკავშირის ორი ყველაზე გავლენიანი სახელმწიფოს ლიდერებისა და ევროკომისიის ყოფილი პრეზიდენტის გარდა პოსტზე იუნკერის შემდგომი ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლეიენიც ევროკავშირის მიერ საგარეო საფრთხეებთან გასამკლავებლად სამხედრო შესაძლებლობების ჩამოყალიბების მხარდამჭერ განცხადებებსა¹³² და მოწოდებებს¹³³ აკეთებდა (მათ შორის გამოაქვეყნა სტატია „ევროპა არმიას ქმნის“).¹³⁴

წამყვანი ევროპელი პოლიტიკოსების მიერ ევროპული არმიის შექმნის საკითხის დღის წესრიგში დაბრუნება, როგორც ეს წინა აბზაცშია აღწერილი, მოცემული სტატიის ავტორის თანაავტორობით გამოქვეყნებულ პუბლიკაციაშია შესწავლილი.¹³⁵ ჩატარებული კვლევის შედეგად საკითხის რეაქტუალიზაციის შემდეგი მიზეზებია გამოყოფილი: 1) რუსეთისგან

¹²⁸ Deutsche Welle. Juncker calls for an EU army. 2016. [Link](#).

¹²⁹ Deutsche Welle. Munich Security Conference: German foreign minister calls for European defense union within next 10 years. 2020. [Link](#).

¹³⁰ Ouest France. Sorbonne speech of Emanuel Macron - Full text/ English version. 2017. [Link](#).

¹³¹ M. Baume and D. M. Henszenhorn. Merkel joins Macron in calling for EU army to complement NATO. 2017. [Link](#).

¹³² Deutsche Welle. Von der Leyen: "Europe must learn the language of power". 2019. [Link](#).

¹³³ S. Brown and D. M. Henszenhorn. Von der Leyen: EU must develop "credible military capabilities". 2020. [Link](#).

¹³⁴ Handelsblatt Today. Ursula von de Leyen. Europe is forming an army. 2019. [Link](#).

¹³⁵ იაკობ ლაჩაშვილი და ანანო მუშკუდიანი. ევროკავშირის არმია - მისი შექმნის იდეის გააქტიურების მიზეზები და პერსპექტივები. 2020. სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში (თსუ) #12. თბილისი. [ბმული](#).

მომდინარე საფრთხე - რაც 2014 წელს ყირიმის ანექსიითა და დონბასში ომის გაჩაღებით გამოიხატა. ევროკავშირმა კი დიპლომატიური და ეკონომიკური სანქციების გამოყენებით კრემლის აგრესიის აღკვეთა ვერ შეძლო. შესაბამისად, აღმოსავლეთიდან რუსეთისგან მომდინარე საფრთხის საპირწონედ ევროკავშირის მიერ ხისტი ძალის შექმნა დღის წესრიგში გაჩნდა; 2) აშშ-ში დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის დამოკიდებულება ევროპის უსაფრთხოებისა და ნატოსადმი - კრიტიკული და მკაცრი რიტორიკა, მოწოდებები, რომ ევროპულმა სახელმწიფოებმა თავდაცვის ბიუჯეტები გაზარდონ და საკუთარი უსაფრთხოება თავად უზრუნველყონ (ეს ტრენდები ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაშიც აისახა). ტრამპმა ევროპული უსაფრთხოებისადმი ატლანტიკისტური მიდგომა და ნატო დააზიანა და ევროპული ლიდერების ნაწილი აშშ-ს სანდო უსაფრთხოების გარანტორად აღარ აღიქვამდა, რის გამოც ევროკავშირის არმიაზე ფიქრი დაიწყო; 3) მიგრანტების კრიზისი, რომელიც ევროკავშირის სამხრეთის საზღვრების უსაფრთხოებისთვის სერიოზული გამოწვევა იყო; 4) ტერორიზმის საფრთხე; 5) ბრექსიტი - გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირიდან გასვლით ბლოკი სამხედრო და დაზვერვის საშუალებებით ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს კარგავდა, რაც შესავსებელ ვაკუუმს აჩენდა. ასევე, მეორე მხრივ, ბრიტანეთი თავდაცვის სფეროში ინტეგრაციის მოწინააღმდეგე იყო და მას აბრკოლებდა, ხოლო მისი გასვლით ევროკავშირს ინტეგრაციის დაჩქარების შესაძლებლობა ეძლეოდა. გარდა ამისა სტატიაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ევროკავშირის არმია მოკლე და საშუალო პერსპექტივაში ვერ შეიქმნებოდა, რის მიზეზებადაც ნატოს დუბლირების პრობლემა, აშშ-სა და გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგობა, არმიის დაფინანსების პრობლემა, ევროკავშირში გადანაცვლებების მიღების პროცესი (ამ შემთხვევაში საჭირო ერთ-პიროვნული გადანაცვლებების აუცილებლობა) და წევრი სახელმწიფოების განსხვავებული დამოკიდებულებები და წინააღმდეგობები (წევრ ქვეყანათა ნაწილი აშშ-სა და ატლანტიკიზმის პარადიგმის ერთგულები რჩებოდნენ) იყო დასახელებული. განხილული კვლევა 2019 წლის ჩათვლით მომხდარ ფაქტებს განიხილავს და ბუნებრივია, მას შემდეგ განვითარებული მოვლენები ასახული არაა. მოცემული სტატიის შემდგომ თავში კი სწორედ მას შემდგომ, 2020-2021 წლებში შეცვლილი ვითარება იქნება გაანალიზებული.

2020-2021 წლები: გავლენა ევროკავშირის უსაფრთხოების მომავალზე

პირველ რიგში აუცილებლად გამოსაყოფია ავღანეთიდან აშშ-ისა და მოკავშირეების ქაოსური გასვლა. ნატოს წევრი ყველა ქვეყანა ავღანეთიდან გასვლის (ან მსგავსი ფორმით და გეგმით გასვლის) მომხრე არ იყო, თუმცა აშშ-ის გარეშე დამოუკიდებელი ქმედების შესაძლებლობა არ ჰქონდა. ამიტომ იძულებული იყვნენ, აშშ-ის გადაწყვეტილებას მიჰყოლოდნენ. შესაძლებლობების ნაკლებობა გამოიხატა იმაშიც, რომ ვერ შეძლეს ყველა მოქალაქის, მათ მისიებში მომუშავე თარჯიმნებისა და სხვა პერსონალის დროული და უსაფრთხო გაყვანის ორგანიზება. ავღანეთიდან აშშ-ის გასვლა ზოგის მიერ აშშ-ის მიერ ოკეანეების გადაღმა პასუხისმგებლობების შემცირებად ან აშშ-ის სამხედრო შესაძლებლობების დაკნინებად იყო აღქმული. ავღანეთიდან გასვლა მრავალი ექსპერტის მიერ მართლაც დიდ ჩავარდნად იყო მიჩნეული. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ აშშ-ის ავღანეთიდან გასვლა კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის ფონზე გარკვეულწილად მივიწყებული ევროკავშირის უსაფრთხოების საკითხის დღის წესრიგში დაბრუნების მიზეზი გახდა. აღნიშნულმა მოვლენამ ახალი ძალა შესძინა ევროკავშირის მიერ საკუთარი, აშშ-სა და ნატოსგან დამოუკიდებელი, შესაძლებლობების განვითარების მოწოდებებს. მაგალითად, გაჩნდა მოწოდებები, მათ შორის საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი კომისრის, ჯოზეფ ბორელისგან, რომ ევროპამ თავდაცვისთვის მეტი გააკეთოს. ხოლო სლოვენის (როტაციის პრინციპით, ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე) პრემიერ მინისტრმა განაცხადა, რომ არსებობს 5-დან 20 ათასამდე ჯარისკაცის ოდენობის სწრაფი რეაგირების ძალების ჩამოყალიბების გეგმა. გეგმას აქტიურად ლობირებენ ევროკავშირის მაღალჩინოსნები.¹³⁶ გეგმის პირველადი ვერსიის თანახმად, კრიზისების დროს ინტერვენციებისთვის და აშშ-ზე დამოკიდებულების გარეშე ინტერვენციებისთვის ევროკავშირი 2025 წლისთვის 5000-კაციანი სამხედრო ძალის შექმნას ისახავდა მიზნად. გეგმა ჯოზეფ ბორელის მიერ იყო წარდგენილი და საფრანგეთისა და იტალიის მხარდაჭერა ჰქონდა.¹³⁷ თუმცა გეგმა რევოლუციური არაა, რადგან ევროკავშირის უკვე ჰყავს საბრძოლო დანაყოფები 1500 კაცის შემადგენლობით, რომელიც არასდროს გამოუყენებია (გამოყენებისთვის საჭიროა წევრი სახელმწიფოების თანხმობა) და, ასევე, 2004 წელს ბოსნია-ჰერცეგოვინაში ოპერაცია Althea-ს დროს დაახლოებით 7 ათასი ჯარისკაცი იყო გამოყვანილი. ევროკავშირში ეს გეგმა აქამდეც განიხილებოდა, თუმცა აშშ-სგან დამოუკიდებელი სწრაფი რეაგირების შესაძლებლობის ჩამოყალიბება ავღანეთიდან ქაოსურმა გასვლამ გახადა განსაკუთრე-

¹³⁶ James Crisp. EU could create rapid reaction force for military interventions after fall of Afghanistan. 2021. [Link](#).

¹³⁷ Robin Emmott. EU to aim for rapid deployment force without U.S. help by 2025, document says. 2021. [Link](#).

ბით აქტუალური. შესაბამისად, გეგმა სრულფასოვანი ევროკავშირის არმიის შექმნას არ ითვალისწინებს და ამ მხრივ კომპრომისულია. დოკუმენტის საბოლოო სახით დამტკიცება 2022 წლის მარტისთვის (როტაციული პრინციპით, საფრანგეთის პრეზიდენტობის დროს) იგეგმება და მასში შესაძლოა ბევრი დამატება შევიდეს და ზოგი პუნქტი ამოღებულ იქნას.¹³⁸ აქედან გამომდინარე, ჯერჯერობით რთულია იმაზე საუბარი, თუ კონკრეტულად რაზე შეთანხმდებიან წევრი სახელმწიფოები და მოხვდება თუ არა შეთანხმებაში 5000-კაციანი სწრაფი რეაგირების დანაყოფის შექმნა.

ევროკავშირისათვის აღმოსავლეთიდან მომდინარე საფრთხე კიდევ უფრო გაიზარდა. უკრაინის საკითხის შემთხვევაში, რუსეთი განაგრძობს ყირიმის ანექსიას და დონბასში მცირე მასშტაბის შეტაკებები, რომლებიც პერიოდულად შედარებით მასშტაბური ცეცხლის გახსნის ინციდენტებითაც ხასიათდება, არ წყდება. ამასთან, 2021 წელს ორჯერ (გაზაფხულსა¹³⁹ და შემოდგომაზე¹⁴⁰) რუსეთმა უკრაინის საზღვართან არმიის მასობრივი მობილიზაცია მოახდინა, რამაც რუსეთის უკრაინაში შეჭრის საფრთხე რეალური გახადა. საპირისპიროდ კი ევროპას მსგავსი მასშტაბური სამხედრო მანევრებით ან სხვა გზებით რუსეთისთვის ეფექტიანი პასუხის გაცემის შესაძლებლობა, რომელიც რუსეთის აგრესიას დანამდვილებით შეაკავებს, არ აქვს. რუსეთისგან მომდინარე საფრთხე დამოუკიდებელი უსაფრთხოების მექანიზმების ჩამოყალიბების შექმნის იდეას ააქტიურებს.

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამეზობლოში დესტაბილიზაციას ჰქონდა ადგილი ბელარუსშიც, სადაც ლუკაშენკომ არჩევნების გაყალბებით და ოპონენტების დევნით/დაჭერით საკუთარი რეჟიმის შენარჩუნება შეძლო. აქვე აღსანიშნავია, რომ ლუკაშენკომ რეჟიმის შენარჩუნება რუსეთის დახმარებით შეძლო, რამაც ის რუსეთზე უკიდურესად დამოკიდებული გახადა. ბელარუსის შემთხვევა არის კლასიკური მაგალითი იმისა, თუ რა სერიოზული საფრთხეების გამოწვევა და ზარალის მოტანა შეუძლია მეზობელ სახელმწიფოში დესტაბილიზაციას. კონკრეტულად, ლუკაშენკომ ბელარუსი ჟურნალისტის დასაკავებლად „რანინარის“ სამოქალაქო თვითმფრინავი, რომელიც ფრენას ევროკავშირის წევრი საბერძნეთიდან ევროკავშირის წევრ ლიეტუვაში ასრულებდა, ჩამოგდებით დამუქრების შედეგად იძულებით დაასმევინა და მის მიმართ ჟურნალისტი დააკავა. ეს ფაქტი, თავის მხრივ, სერიოზულ ინციდენტს წარმოადგენდა, თუმცა მას უფრო დიდი გართულებები მოჰყვა. ევროკავშირის სანქციების პასუხად, ლუკაშენკოს რეჟიმმა ახლო აღმოსავლეთიდან ბელარუსში ათასობით მიგრანტები ჩაიყვანა, ისინი პოლონეთის, ლიეტუვისა და ლატვიის საზღვრებთან მიიყვანა და გადასვლისკენ მოუწოდა. სიტუცია განსაკუთრებით პოლონეთის საზღვართან დაიძაბა,

¹³⁸ Niklas Nováky. EU's draft defence strategy points to evolution, not revolution | View. 2021. [Link](#).

¹³⁹ Heather A. Conley, Matthew P. Funaiolo, and Joseph S. Bermudez Jr. Unpacking the Russian Troop Buildup along Ukraine's Border. Center for Strategic and International Studies. 2021. [Link](#).

¹⁴⁰ BBC. Russia-Ukraine border: NATO warning over military build-up. 2021. [Link](#).

სადაც ათასობით მიგრანტი ცდილობს ევროკავშირის ტერიტორიაზე შეღწევას. პრობლემასთან გასამკლავებლად პოლონეთს 10 ათასზე მეტი ჯარისკაცის მობილიზება დასჭირდა. ინციდენტები იყო ლიეტუვის საზღვართანაც. ეს კი ევროკავშირის საზღვარზე ჰიბრიდული საშუალებით - მიგრანტების არაადამიანური მოპყრობით - პირდაპირ თავდასხმას წარმოადგენს. შესაბამისად, მიგრანტების საკითხი აქტუალური გახდა ევროკავშირის აღმოსავლეთ საზღვრებზეც და რაც უფრო მნიშვნელოვანია, მის საზღვრებზე პირდაპირი თავდასხმა განხორციელდა. სიტუაცია ამ დრომდე გადაუჭრელია, რაც კიდევ ერთი მიზეზია, რაც ევროკავშირს ახალი უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებისკენ უბიძგებს, სადაც ევროპას ნატოსა და აშშ-სგან დამოუკიდებელი შესაძლებლობები ექნება.

ევროკავშირმა მისი შესაძლებლობების ნაკლებობა ასევე დაინახა აღმოსავლეთ პარტნიორობის ორ წევრ ქვეყანას, სომხეთსა და აზერბაიჯანს, შორის 2020 წელს განახლებული კონფლიქტის დროს. ევროკავშირმა კონფლიქტში ჩარევა და მისი მოგვარება ვერ შეძლო, ხოლო რუსეთმა კვლავ მედიატორის როლი ითამაშა და რეგიონში გავლენა გაზარდა. ეს ევროკავშირისთვის უსაფრთხოების პოლიტიკის გაძლიერებისთვის კიდევ ერთი მიზეზია.

აშშ-სა და ნატოსგან დამოუკიდებელი უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებისკენ ევროპას, და განსაკუთრებით საფრანგეთს, AUKUS-ის შეთანხმება უბიძგებს. 2021 წელს აშშ-ს, გაერთიანებულ სამეფოსა და ავსტრალიას შორის გაფორმებული თავდაცვითი ტიპის ხელშეკრულებამ საფრანგეთის უკიდურესი აღშფოთება და გაღიზიანება გამოიწვია, რადგან, მის მიხედვით, ავსტრალიამ აშშ-ისგან ბირთვული ძრავაზე მომუშავე წყალქვეშა ნავების მიღება გადაწყვიტა და საფრანგეთთან დადებული მრავალ-მილიარდიანი შეთანხმება დიზელზე მომუშავე წყალქვეშა ნავების შესყიდვის შესახებ გააუქმა. გარდა იმისა, რომ ეს საფრანგეთის თავდაცვის ინდუსტრიისთვის დიდ ზარალს წარმოადგენს, საფრანგეთი გაღიზიანდა აშშ-ისა და ბრიტანეთის მიერ საფრანგეთის გარეშე და კონსულტაციის გავლის გარეშე ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში ალიანსის შექმნის გამო (რომლის სავარაუდო მიზანიც რეგიონში ჩინეთის შეკავებაა). საფრანგეთი ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში აქტიურობდა და ევროკავშირის რეგიონში ჩართულობის გაზრდას ხელს უწყობდა და აქედან გამომდინარე, აშშ-სა და ბრიტანეთის მიერ მისი თამაშგარედ დატოვება საფრანგეთისთვის მეტად მტკივნეული იყო. თუმცა, ამავე დროულად, უბიძგა აშშ-ისა და ბრიტანეთის გარეშე რეგიონში ევროკავშირის მეტი გააქტიურებისთვის იმუშაოს. მართლაც, ის კვლავ ცდილობს რეგიონში თავის დამკვიდრებას, ძალის პროექციასა და მოკავშირეების გაჩენას. შედეგად, საფრანგეთს გაუჩნდა სერიოზული მიზეზი, რომ აქტიურად ეცადოს ევროკავშირის მიერ ნატოს გარეშე უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებას. საფრანგეთის გარდა AUKUS სხვა

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვისაც მსგავს კონოტაციას იძენს, რადგან ნატოს მოკავშირეებთან კონსულტაციის გარეშე თავდაცვითი ალიანსის ჩამოყალიბება მათთვის აშშ-ის სანდოობის შემცირებად აღიქმება.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები ევროკავშირს, და განსაკუთრებით საფრანგეთს, ნატოსგან დამოუკიდებელი უსაფრთხოების ინსტიტუტების შექმნისკენ უბიძგებს. ასევე, გერმანიის მომავალი კოალიციური მთავრობის სამივე პოტენციური წევრი პარტია (სოციალ-დემოკრატები, მწვანეები და თავისუფალი დემოკრატები) საარჩევნო პროგრამებში ღიად უჭერს მხარს ევროპული არმიის ჩამოყალიბების იდეას.¹⁴¹ თუმცა, საპირისპირო არგუმენტები და იდეის წინააღმდეგობები კვლავ ძლიერი რჩება.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ წევრ სახელმწიფოთა შორის საკითხზე კონსენსუსი კვლავ არ არსებობს, რაც გადანყვეტილების მიღებას შეუძლებელს გახდის. ატლანტიციზმის პარადიგმა და აშშ-ის უსაფრთხოების გარანტიები კვლავ უმნიშვნელოვანესი რჩება აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისთვის, რომლებიც აღმოსავლეთიდან (რუსეთიდან და ბელარუსიდან) მომდინარე საფრთხის წინა ხაზზე არიან. ამიტომ ისინი პოტენციურად ნატოს როლის შესუსტებისკენ მიმართულ ინიციატივებს არ ემხრობიან. მაგალითად, პოლონეთი ევროპული უსაფრთხოების მექანიზმებისადმი არცთუ კეთილგანწყობილია, რაც ბელარუსის საზღვართან Frontex-ის (ევროკავშირის სასაზღვრო სამსახურის) გაგზავნაზე უარს თქმაში გამოიხატა¹⁴² (ლიეტუვისგან განსხვავებით).¹⁴³ ხოლო პოლონეთის სხვა მოთხოვნებზე (მაგალითად, ბელარუსის საზღვარზე კედლის აშენება) ევროკავშირია წინააღმდეგი. აღმოსავლეთ ევროპის გარდა, 2021 წელს მაკრონის ევროპული არმიის იდეის წინააღმდეგ ღიად გამოვიდა დანიაც, რომლის პრემიერ-მინისტრმა, მეტე ფრედერიკსენმა განაცხადა, რომ ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის წინააღმდეგ მიმართულ ინიციატივებს შეუწინააღმდეგება.¹⁴⁴ ხოლო ევროკავშირის მიერ უსაფრთხოების სფეროში დიდი ინტეგრაციის წამოწყება იმ პირობით, რომ მოწინააღმდეგე ქვეყნები ე.წ. opt-out ფუნქციას გამოიყენებენ, საკმაოდ არასრულყოფილ მოდელს შექმნის და ევროკავშირს ორად გაყოფს.

ასევე, აღსანიშნავია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ბაიდენის გამარჯვების შემდეგ აშშ-მა ევროპის უსაფრთხოებისა და ნატოსადმი დონალდ ტრამპის დამოკიდებულება შეცვალა. შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტების ცვლილების მიუხედავად აშშ-მა მეტნაკლებად ნეოიზოლაციონისტური საგარეო პოლიტიკის კურსი აიღო, რაც ოკეანეების გადაღმა ჯარის შემცირებებშიც გამოიხატება - მაგალითად, ბაიდენმა მხარი დაუჭირა

¹⁴¹ Minna Ålander, Julina Mintel, and Dominik Rehbaum. How Germany's coalition negotiations could change the EU's political landscape. 2021. [Link](#).

¹⁴² Adam Bodnar and Agnieszka Grzelak. In Poland, where is Frontex?. 2021. [Link](#).

¹⁴³ Frontex. Frontex launches rapid intervention in Lithuania. 2021. [Link](#).

¹⁴⁴ Edward Malnick. Denmark vows to resist Emmanuel Macron's EU army plans. 2021. [Link](#).

ტრამპის გადაწყვეტილებას ავღანეთიდან ჯარის გაყვანის შესახებ. ასევე, თანდათანობით აშშ-ის პრიორიტეტი ევროპაზე მეტად აზია ხდება და რუსეთზე მეტად ჩინეთისგან მომდინარე საფრთხის შეკავებაზე არის კონცენტრირებული. ამ ტენდენციებზე პრეზიდენტების ცვლილება გავლენას ვერ ახდენს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ბაიდენის ადმინისტრაცია ტრანსატლანტიკური კავშირების აღდგენასა და ნატოსადმი აშშ-ის ერთგულების დამტკიცებას აქტიურად ცდილობს. ეს ყველაზე თვალსაჩინოდ გამოიხატა პრეზიდენტი ბაიდენის მიერ გერმანიიდან 12 ათასი ამერიკელი სამხედროს გამოყვანის შესახებ ტრამპის გადაწყვეტილების შეჩერება,¹⁴⁵ რასაც გერმანიისგან პოზიტიური დამოკიდებულება მოჰყვა.¹⁴⁶ ეს აშშ-ის მხრიდან ევროკავშირის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის ძალისხმევის გაღების განახლებულ მზაობაზე მიანიშნებს და სიგნალი ევროპაშიც, კერძოდ გერმანიაში, სწორად იქნა აღქმული. რასაკვირველია, ევროპასთან ნდობის აღდგენის საკითხში AUKUS-მა დადებითი როლი ვერ შეასრულა, მაგრამ AUKUS-ით გამოწვეული განხეთქილების შემდეგ აშშ-მა საფრანგეთთან ურთიერთობების აღდგენისთვის მუშაობა დაიწყო,¹⁴⁷ რაც ბაიდენის ადმინისტრაციის ევროპით კვლავ დაინტერესებაზე მიუთითებს.

ნატოს დუბლირების პრობლემა კვლავ რჩება მნიშვნელოვან ფაქტორად. მეტიც, 2021 წელს ნატოს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის, ევროკავშირის არმიის იდეის საწინააღმდეგო განცხადებამ ნატოს წინააღმდეგობის პრობლემა უფრო თვალსაჩინო და მწვავე გახადა. სტოლტენბერგმა ევროკავშირის მაღალჩინოსნების მიერ ავღანეთიდან ქაოსური გამოსვლის გამო აშშ-სგან დამოუკიდებლად ევროკავშირის მოქმედების შესაძლებლობების განვითარების მოწოდებებს უპასუხა. მან განაცხადა, რომ ავღანეთიდან გამოსვლის გამო ბრიუსელის მოწოდებები ევროკავშირის არმიის შექმნის შესახებ ტრანსატლანტიკურ კავშირებს შეასუსტებს, ევროპას გახლიჩავს და ევროკავშირის ისედაც მწირ რესურსებს ზედმეტად გადაჭიმავს. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ ნატოს თავდაცვის ხარჯების 80% ევროკავშირის არანევრი სახელმწიფოებისგან მოდიოდა და აღნიშნა, რომ მიესალმებოდა თავდაცვაზე ევროკავშირის გაზრდილ ძალისხმევას, თუმცა არა ნატოს ჩანაცვლების ხარჯზე.¹⁴⁸

სტოლტენბერგის მიერ დასახელებული რესურსების ნაკლებობა კიდევ ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. მაგალითად, უკრაინის გარშემო არსებულ კრიზისში ევროკავშირზე უფრო აქტიური აშშ და დიდი ბრიტანეთი არიან - აშშ აწარმოებს სადაზვერვო ფრენებს და ევროკავშირსაც ის აწვდის ინფორმაციას,¹⁴⁹ ასევე უკრაინას

¹⁴⁵ Helene Cooper. Biden Freezes Trump's Withdrawal of 12,000 Troops from Germany. 2021. [Link](#).

¹⁴⁶ Deutsche Welle. Germany welcomes Biden plan to halt US troop withdrawal. 2021. [Link](#).

¹⁴⁷ Firstpost. Antony Blinken in Paris: Top diplomat seeks to repair rift in US-France relations over AUKUS agreement. 2021. [Link](#).

¹⁴⁸ Edward Malnick. Proposed EU military force would 'divide Europe', warns Nato's secretary general. 2021. [Link](#).

¹⁴⁹ Alberto Nardelli and Jennifer Jacobs. U.S. Intel Shows Russian Plans for Potential Ukraine Invasion. 2021. Available at: [Link](#).

იარაღს აწვდის;¹⁵⁰ ხოლო ბრიტანეთის შემთხვევაში მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბრიტანეთი მზადაა 600 ჯარისკაცი უკრაინაში გაგზავნოს.¹⁵¹ უკრაინასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ საკითხში - შავი ზღვის უსაფრთხოებაში - წამყვან როლს ასევე აშშ და ბრიტანეთი თამაშობენ, რომლებიც ყველაზე აქტიურად გზავნიან სამხედრო გემებს; ხოლო ევროპული გემები შავ ზღვაში ძირითადად ნატოს ეგიდით შედიან. ასევე აღსანიშნავია, რომ ბელარუსის საზღვართან კრიზისის გამკლავებაში დასახმარებლად ბრიტანეთმა პოლონეთში ჯარისკაცები გაგზავნა.¹⁵² ეს ყველაფერი კი ევროკავშირის მწირ რესურსებსა და ევროკავშირის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ნატოს მნიშვნელოვან როლზე მიუთითებს. ევროკავშირის რესურსებზე საუბრისას აუცილებელია მისი ბიუჯეტის განხილვა. 2021-2027 წლების შეთავაზებული მრავალწლიანი ფინანსური ჩარჩოს თანახმად, თავდაცვასა და უსაფრთხოებაზე გათვალისწინებული ხარჯი 13,185 მილიარდი ევროა, რაც მთლიანი ბიუჯეტის (1074,3 მილიარდი ევრო),¹⁵³ მხოლოდ 1.2% შეადგენს. თუმცა ევროკავშირის ბიუჯეტის მრავალწლიანი ფინანსური ჩარჩოს გარდა შედგება 750 მილიარდის ევროს მოცულობის „შემდეგი თაობის ევროკავშირი: აღდგენის დაჩქარება და მედეგობა“ (Next Generation EU (NGEU): fueling recovery and resilience)¹⁵⁴ და ამის გათვალისწინებით თავდაცვასა და უსაფრთხოებაზე გამოყოფილი რესურსი პროცენტულად უფრო ნაკლები იქნება.¹⁵⁵ აშშ-ზე დამოკიდებულების გარეშე უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბება და დამოუკიდებელი რეაგირების შესაძლებლობების განვითარება მხოლოდ სურვილს არ მოითხოვს; არამედ აღნიშნულის მისაღწევად დიდი ძალისხმევის გაღებაა საჭირო. ეს კი, მათ შორის, საკმარისი რესურსების გამოყოფის პოლიტიკური ნების გაჩენასაც მოიცავს, რაც ბიუჯეტის პროექტებშიც უნდა აისახოს. დეკადების განმავლობაში ევროპული უსაფრთხოების სისტემა სწორედ აშშ-ზე იყო დამოკიდებული და ამ დამოკიდებულების შეცვლასა და ტვირთის სრულად საკუთარ თავზე გადატანას, ბუნებრივია, გაცილებით მეტი რესურსების გამოყოფა სჭირდება. შესაბამისად, ბიუჯეტში თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის ნაკლები პრიორიტეტის მინიჭება და ერთგვარი სიმწირე აშშ-სა და ნატოსგან დამოუკიდებელი უსაფრთხოების სისტემის (ინსტიტუტისა და შეიარაღებული ძალების) ჩამოყალიბებას ხელს უშლის. მიზნის მისაღწევად რესურსებისა და სახსრების საჭიროების გარდა, ბიუჯეტში თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის ნაკლები პრიორი-

¹⁵⁰ BNN. US sends Ukraine 80 tonnes of ammunition in defence cooperation. 2021. [Link](#).

¹⁵¹ Dan Warburton. EXCLUSIVE: British special forces ready to deploy 600 troops to Ukraine amid Russia invasion fears. 2021. [Link](#).

¹⁵² Nataliya Vasilyeva. Matthew Day. Nick Allen. Joe Barnes. British troops helping Poland to fortify border with Belarus. 2021. [Link](#).

¹⁵³ Council of the European Union. COUNCIL REGULATION laying down the multiannual financial framework for the years 2021 to 2027. 2020. [Link](#).

¹⁵⁴ European Council. Infographic - Multiannual financial framework 2021-2027 and Next Generation EU. 2020. [Link](#).

¹⁵⁵ თუმცა, ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მიგრაციისა და საზღვრების მენეჯმენტზე 22,671 მილიარდი და „სამეზობლოსა და მსოფლიოზე“ (Neighbourhood and the World) 98,419 მილიარდი ევროა გამოყოფილი და ამ ხარჯების ნაწილიც პირდაპირ თუ ირიბად შესაძლოა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე დაიხარჯოს.

ტეტების მინიჭება მეორე დაბრკოლებასაც წარმოქმნის. კერძოდ, ეს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, რომლებიც უპირატესობას ატლანტიციზმსა და აშშ-სა და ნატოსთან თანამშრომლობას ანიჭებენ (ბალტიისპირეთის ქვეყნები, პოლონეთი, რუმინეთი, დანია და ა.შ.), ვერ არწმუნებს და პირიქით, ეჭვებს უჩენს, თუ რამდენად შეძლებს ევროკავშირი მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში აშშ-სა და ნატოს როლის სრულად ჩანაცვლებას. გარდა ევროკავშირის ბიუჯეტის გეგმისა, წევრი სახელმწიფოების თავდაცვის ბიუჯეტების სტატისტიკა კიდევ ერთი ინდიკატორია: მართალია, 2015 წლიდან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ მშპ-სთან მიმართებით სამხედრო დანახარჯები იზრდება, თუმცა მსოფლიო ბანკის თანახმად, ის 2019 წელს ის 1.394% და 2020 წელს 1.563% იყო, რაც ნატოს მიერ გათვალისწინებულ 2%-იან ნიშნულზე კვლავ საგრძნობლად ნაკლებია. 2019 წლის მონაცემს ევროპის თავდაცვის სააგენტო მნიშვნელოვან მიღწევად მიიჩნევდა,¹⁵⁶ თუმცა ეს გაზრდილი რიცხვიც კი ნაკლებია აშშ-ის, გაერთიანებული სამეფოს, რუსეთისა და ჩინეთის ანალოგიურ მაჩვენებლებზე. ამასთან, ევროკავშირის შიგნითაც უფრო დიდი პროცენტებით გამოიჩნევიან ბალტიისპირეთის სახელმწიფოები, პოლონეთი და რუმინეთი (ასევე საბერძნეთი, კვიპროსი და საფრანგეთიც), ხოლო წევრების უმეტესობა 2%-იან ნიშნულს ვერ აღწევს.¹⁵⁷ ეს უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკისთვის რესურსების გამოყოფის პოლიტიკური ნების ნაკლებობის კიდევ ერთი მანიშნებელია, რის გარეშეც სერიოზული გარდაქმნები და აშშ-სა და ნატოსგან სრული ავტონომიის მიღწევა შეუძლებელია. ასევე, ბალტიისპირეთი, პოლონეთი და რუმინეთი, რომლებიც პროცენტულად მნიშვნელოვან სამხედრო ხარჯს სწევენ, ავტონომიური ევროპული უსაფრთხოების პროექტის სასარგებლოდ აშშ-ისა და ნატოს თავდაცვის გარანტიების მიტოვების ნაკლები სურვილი ექნებათ, რადგან დამოუკიდებელი შესაძლებლობების განვითარებისთვის სახსრების გამოყოფის ენთუზიაზმს წევრი სახელმწიფოების ბიუჯეტებშიც ვერ ხედავენ.

დასკვნა

მოცემული ანალიზიდან ჩანს, რომ ევროკავშირს ნატოსგან დამოუკიდებელი უსაფრთხოების სისტემის განვითარების მიზნები აქვს (ავღანეთიდან ქაოსური გასვლა, სამეზობლოში არსებული უსაფრთხოების გამოწვევები, AUKUS-ის ხელშეკრულებაში ევროკავშირის იგნორირება და ა.შ.) და ლოგიკურია, რომ ეს საკითხი დღის წესრიგშია და აქტიურად განიხილება. თუმცა, მეორე მხრივ, არსებული დაბრკოლებების (ნატოს

¹⁵⁶ European Defence Agency. 2021. European defence spending hit new high in 2019. [Link](#).

¹⁵⁷ The World Bank. Military expenditure (% of GDP) - European Union, United States, Russian Federation, China, United Kingdom. [Link](#).

დუბლირება, წევრი სახელმწიფოთა ნაწილის კატეგორიული წინააღმდეგობა) დაძლევის ფორმულა არც ერთ ლიდერს არ წარმოუდგენია. ამასთან, აშშ-მა ევროპის უსაფრთხოებისადმი დონალდ ტრამპის მიდგომა შეცვალა, გერმანიიდან ჯარისკაცები არ გაიყვანა და კვლავ ტრანსატლანტიკური კავშირების გაძლიერებას ცდილობს, რაც ნიშნავს, რომ ევროკავშირი ნატოსგან დამოუკიდებელი უსაფრთხოების სისტემის შექმნის ალტერნატივის გარეშე არაა. ხოლო ევროკავშირში თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში საკმარისი რესურსების გამოყოფის პოლიტიკური ნების არარსებობა, რაც თავდაცვის შესაძლებლობების ნაკლებობას იწვევს, ევროკავშირის დამოუკიდებელი უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებისთვის საჭირო ისეთი მასშტაბური პროექტების განსახორციელებლად, როგორცაა, მაგალითად, საერთო ევროპული არმია, სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს. თავდაცვისა და უსაფრთხოებისათვის გამოყოფილი მცირე რესურსებისა და ბიუჯეტიდან გამომდინარე, სხვა საკითხებთან შედარებით ნაკლები პრიორიტეტის მინიჭების გამო, მსგავსი მასშტაბური და ამბიციური პროექტები დგას რისკის წინაშე, რომ ევროინტეგრაციის გზაზე წარსულში დაგეგმილი პროექტების მსგავსი კრაზი განიცადოს. თუმცა ისიც აშკარაა, რომ ევროკავშირს მრავალი უსაფრთხოების გამოწვევა აქვს. ამიტომ უფრო მომგებიანი იქნება, თუ ევროკავშირი უსაფრთხოების განვითარებას ნატოსთან ერთად და ნატოს ფარგლებში შეეცდება. ეს შესაძლებელია ნატოში ევროპული მიმართულების, საყრდენის გაძლიერებითა და დახვეწით. ამ შემთხვევაში ევროკავშირი საკუთარ უსაფრთხოებას გაზრდის, აშშ-ს, ბრიტანეთსა და სხვა არაევროკავშირის წევრ ნატოს სახელმწიფოებთან თავდაცვით კავშირს შეინარჩუნებს და ნატოში ევროპული განზომილების განვითარებაში მათ სახსრებს დაიხმარს. ეს კონფიგურაცია სასარგებლო იქნება, როგორც ევროპისთვის, რომლის უსაფრთხოება და მოქმედების შესაძლებლობები გაიზრდება, ისე აშშ-სა და მთლიანად ნატოსთვის, რომლებიც ევროპას თავდაცვისადმი მეტი ძალისხმევის გაღებისკენ მოუწოდებენ; ასევე, დაკმაყოფილდება ევროკავშირის ატლანტიკისტი წევრების (აღმოსავლეთის ქვეყნები, დანია და ა.შ.) სურვილიც, რომ ტრანსატლანტიკურ ერთობას საფრთხე არ შეექმნას. მართალია, ბოლო დროს აშშ ძირითადად ჩინეთზე ფოკუსირდება, ხოლო ევროკავშირი რუსეთისგან გრძნობს საფრთხეს მის აღმოსავლეთ საზღვრებზე, მაგრამ, ამ მხრივ, მხარეებს კომპრომისი და ერთმანეთის მხარდაჭერა შეუძლიათ ჩინეთისა და რუსეთის შეკავებაში, მით უფრო როდესაც ჩინეთი და რუსეთი დემოკრატიული სამყაროს წინააღმდეგ ძალისხმევას აერთიანებენ.

ბიბლიოგრაფია

- კაპანაძე, სერგი. ევროკავშირის პოლიტიკა. 2006. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი. გვ. 5-6; 65; 68-69; 72-73;
- ლაჩაშვილი, იაკობი, და ანანო მუშკუდიანი. ევროკავშირის არმია - მისი შექმნის იდეის გააქტიურების მიზეზები და პერსპექტივები. 2020. სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში (ოსუ) #12. თბილისი. [ბმული](#);
- Ålander, Minna, Julina Mintel, and Dominik Rehbaum. How Germany's coalition negotiations could change the EU's political landscape. 2021. [Link](#). (21.11.2021);
- Baume, M., and D. M. Herszenhorn. Merkel joins Macron in calling for EU army to complement NATO. 2017. [Link](#). (21.11.2021);
- BBC. Russia-Ukraine border: NATO warning over military build-up. 2021. [Link](#). (21.11.2021);
- BNN. US sends Ukraine 80 tonnes of ammunition in defence cooperation. 2021. [Link](#). (21.11.2021);
- Bodnar, Adam, and Agnieszka Grzelak. In Poland, where is Frontex?. 2021. [Link](#). (21.11.2021);
- Brown, S., and D. M. Henszenhorn. Von der Leyen: EU must develop “credible military capabilities”. 2020. [Link](#). (14.06.2020);
- Cini, Michelle, and Nieves Pérez-Solórzano Borragañ. European Union politics. 6th edition. 2019. Oxford University Press. Oxford. pp. 14-15.;
- Conley, Heather A., Matthew P. Funaiole, Joseph S. Bermudez Jr. Unpacking the Russian Troop Buildup along Ukraine's Border. Center for Strategic and International Studies. 2021. [Link](#). (21.11.2021);
- Cooper, Helene. Biden Freezes Trump's Withdrawal of 12,000 Troops from Germany. 2021. [Link](#). (21.11.2021);
- Crisp, James. EU could create rapid reaction force for military interventions after fall of Afghanistan. 2021. [Link](#). (21.11.2021);
- Council of the European Union. COUNCIL REGULATION laying down the multiannual financial framework for the years 2021 to 2027. 2020. [Link](#);
- Council of the European Union. European Security Strategy: A secure Europe in a Better World. Brussels, 12 December 2003. [Link](#);
- Dan Warburton. EXCLUSIVE: British special forces ready to deploy 600 troops to Ukraine amid Russia invasion fears. 2021. [Link](#). (21.11.2021);

- Deutsche Welle. Germany welcomes Biden plan to halt US troop withdrawal. 2021. [Link](#). (21.11.2021);
- Deutsche Welle. Juncker calls for an EU army. 2016. [Link](#). (21.11.2021);
- Deutsche Welle. Munich Security Conference: German foreign minister calls for European defense union within next 10 years. 2020. [Link](#). (21.11.2021);
- Deutsche Welle. PESCO: EU army one step closer after defense pact agreement. 2017. [Link](#). (21.11.2021);
- Deutsche Welle. Von der Leyen: “Europe must learn the language of power”. 2019. [Link](#). (21.11.2021);
- Emmott, Robin. EU to aim for rapid deployment force without U.S. help by 2025, document says. 2021. [Link](#). (30.11.2021);
- European Council. Infographic - Multiannual financial framework 2021-2027 and Next Generation EU. 2020. [Link](#);
- European Defence Agency. European defence spending hit new high in 2019. 2021. [Link](#). (30.11.2021);
- Firstpost. Antony Blinken in Paris: Top diplomat seeks to repair rift in US-France relations over AUKUS agreement. 2021. [Link](#). (21.11.2021);
- Frontex. Frontex launches rapid intervention in Lithuania. 2021. [Link](#). (21.11.2021);
- Handelsblatt Today. Ursula von de Leyen: Europe is forming an army. 2019. [Link](#). (14.06.2020);
- Malnick, Edward. Denmark vows to resist Emmanuel Macron's EU army plans. 2021. [Link](#). (21.11.2021);
- Malnick, Edward. Proposed EU military force would ‘divide Europe’, warns NATO’s secretary general. 2021. [Link](#). (21.11.2021);
- Nardelli, Alberto, and Jennifer Jacobs. U.S. Intel Shows Russian Plans for Potential Ukraine Invasion. 2021. [ბმულო](#). (21.11.2021);
- Nováky, Niklas. EU's draft defence strategy points to evolution, not revolution | View. 2021. [Link](#). (30.11.2021);
- Ouest France. Sorbonne speech of Emanuel Macron - Full text/ English version. 2017. [Link](#). (15.05.2020);
- The World Bank. Military expenditure (% of GDP) - European Union, United States, Russian Federation, China, United Kingdom. [ბმულო](#). (30.11.2021);
- Vasilyeva, Nataliya, Matthew Day, Nick Allen, and Joe Barnes. British troops helping Poland to fortify border with Belarus. 2021. [Link](#). (21.11.2021).



Embassy
of the Republic of Poland
in Tbilisi

NATO
Contact Point Embassy



დანაწევრებული აღიანსი: რამდენად ერთიანია ნატო დღეს?

ლელია ჩხეტიანი



დანაწევრებული ალიანსი: რამდენად ერთიანია ნატო დღეს?

შესავალი

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია 72 წლის განმავლობაში უზრუნველყოფდა რეგიონულ და გლობალურ წესრიგსა და სტაბილურობას. ნატოში გადანაცვლები კონსენსუსის მეშვეობით მიიღება, შესაბამისად, ალიანსის შიგნით ინტერესთა თანხვედრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორგანიზაციისათვის.

დონალდ ტრამპის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ალიანსის ერთიანობა ეჭვქვეშ დადგა. აშშ-ის 45-ე პრეზიდენტი მწარედ აკრიტიკებდა ორგანიზაციის წევრებს იმისთვის, რომ ისინი საკმარისს არ ხარჯავდნენ თავიანთ თავდაცვაზე. გარკვეული სპეკულაციებიც კი არსებობდა იმის თაობაზე, რომ ტრამპი ორგანიზაციის დატოვებასაც კი გეგმავდა. ორგანიზაციის შიგნით გაუცხოება იმდენად დიდი იყო, რომ საფრანგეთის პრეზიდენტმა, ემანუელ მაკრონმა, ეჭვქვეშ დააყენა მე-5 მუხლის ქმედების რეალისტურობა და ნატოს „ტვინის სიკვდილის“ დიაგნოზიც კი დაუსვა.¹⁵⁸ პროევროპულად განწყობილი ჯო ბაიდენის გაპრეზიდენტების შემდეგ კი ყველა მოელოდა, რომ ტრამპის ხანაში გაჩენილი ბზარები გამთლიანდებოდა და ორგანიზაციაში დაძაბულობა ჩაცხრებოდა. ბაიდენმა აღიარა ნატოს მნიშვნელობა და დაადასტურა ამერიკის მზაობა მის მხარდაჭერაში. 2021 წლის ბრიუსელის სამიტზე მან განაცხადა, რომ ნატოს მე-5 მუხლი წმინდა ვალდებულებაა.¹⁵⁹

მაღალი მოლოდინების მიუხედავად, ბაიდენის პრეზიდენტობის ერთი წლის თავზე, ცხადია, რომ ნატოს ერთიანობა კვლავ ეჭვქვეშ დგას და ამაში წვლილი არა მხოლოდ ტრამპის ხანაში გაჩენილ ბზარებს, არამედ მრავალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპექტს შეაქვთ.

წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ რამდენად ერთიანია ნატო დღეს რუსეთისა და ჩინეთის ფაქტორის გათვალისწინებით. მანამდე კი გავიხსენებთ ნატოს ისტორიულ გამოცდილებას, როდესაც იგი დანაწევრების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

¹⁵⁸ BBC. NATO alliance experiencing brain death, says Macron. November 7, 2019. [Link](#).

¹⁵⁹ France 24. NATO is critically important for US interests, Biden tells alliance at first summit post-Trump. June 14, 2021. [Link](#).

ისტორიული გამოცდილება

ნატო, 72 წლიანი მოღვაწეობის განმავლობაში, რამდენჯერმე აღმოჩნდა კრიზისის წინაშე. მნიშვნელოვანია, განვიხილოთ წარსული ისტორიული გამოცდილება და დავადგინოთ გარკვეული ტენდენციები, რათა უკეთ შევძლოთ თანამედროვე სიტუაციის გაანალიზება.

დავინწყით ვიეტნამის ომით, რომლის მიმართაც ნატოს წევრებს განსხვავებული დამოკიდებულებები ჰქონდათ. თუ აშშ, კერძოდ პრეზიდენტ ჯონსონის ადმინისტრაცია, ემხრობოდა ომის გაგრძელებას და გაფართოებას, საპირისპირო სურდათ ისეთ მნიშვნელოვან აქტორებს, როგორებიც იყვნენ საფრანგეთი, დასავლეთ გერმანია და სხვანი. საფრანგეთის პრეზიდენტ დე გოლს მიაჩნდა, რომ აშშ-ის შენაერთები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან უნდა გამოეყვანა, დაპირისპირებულ მხარეებს შორის შეთანხმება უნდა მიღწეულიყო, რაც სამხრეთ ვიეტნამის ნეიტრალიზაციით დასრულდებოდა. ჯონსონის ადმინისტრაციამ ამ გეგმაზე უარი განაცხადა. არც დასავლეთ გერმანია ემხრობოდა დე გოლის გეგმას. კანცლერმა ლუდვიგ ერჰარდმა დე გოლს ოფიციალურად განუცხადა, რომ მსგავსი პოლიტიკა დასავლეთის ინტერესებისთვის საზიანო იქნებოდა. გარდა ამისა, დასავლეთ გერმანიასა და ნიდერლანდებს სურდათ გამარჯვების მოპოვება, თუმცა სამხედრო შეტაკებების სკალის გაზრდა მათ ინტერესებში არ შედიოდა, რაც განპირობებული იყო კომუნისტური ჩინეთის პოტენციური საფრთხით. პორტუგალია აშშ-ის გეგმას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელახლა კოლონიზაციად ნათლავდა და, შესაბამისად, ეწინააღმდეგებოდა მას. აღსანიშნავია, რომ გაერთიანებულმა სამეფომ ჯონსონის ადმინისტრაციას სრული თანხმობა განუცხადა გარკვეული დათმობის ხარჯზე. ხოლო საბერძნეთისა და თურქეთის მათი მთავარი საზრუნავი ამ დროს კვიპროსი იყო, ამიტომ მრავალი კილომეტრით მოშორებული კონფლიქტით არცერთი მხარე იყო დაინტერესებული.

კიდევ ერთი შემთხვევა, რომელმაც ალიანსი გამოწვევის წინაშე დააყენა, საფრანგეთის პოლიტიკა იყო, რომლის ნდობა ალიანსისადმი მას შემდეგ შესუსტდა, რაც აშშ სუეცის კრიზისში ჩაერთო. აშშ-მა აიძულა დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი შენაერთები გაეყვანათ ეგვიპტის ტერიტორიიდან. საფრანგეთის პრეზიდენტ შარლ დე გოლისთვის ამერიკული გავლენის ზრდა მიუღებელი იყო, რადგან ის ლახავდა საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს. შესაბამისად, დე გოლმა გადაწყვიტა, რომ საფრანგეთს მეტი პოლიტიკური წონა უნდა ჰქონოდა ნატოში. შედეგად, 1958 წელს მან მემორანდუმი გაუგზავნა აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს, რომელშიც საფრანგეთი ნატოს ზონის მიღმა ერთიანი პოლიტიკური კოორდინაციის არარსებობას აკრიტიკებდა და სამმხრივ დირექტორიატის შექმნას ითხოვდა, რაც საფრანგეთის გავლენის ზრდას გამოიწვევდა. შეთანხმება მხარეებს

შორის ვერ შედგა, რადგან ისინი ვერ შეთანხმდნენ ბირთვული იარაღის საკითხისა და სხვა განსხვავებული შეხედულებების თაობაზე. შედეგად, საფრანგეთმა დატოვა ნატოს იმჟამად არსებული ინტეგრირებული სამხედრო სისტემა, რადგან სურდა საფრანგეთს სრული კონტროლი ჰქონოდა საკუთარ თავდაცვაზე. მიუხედავად ამისა, საფრანგეთი ნატოს წევრად რჩებოდა, თუმცა ალიანსის სხვა წევრების წარმომადგენლებს საფრანგეთში განლაგებული ბაზებისა და სტრუქტურების დატოვება მოუწიათ, ფრანგული ფლოტი კი ნატოს გამოეყო. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 2009 წელს დაუბრუნდა საფრანგეთი ნატოს სამხედრო მმართველობის ინტეგრირებულ სტრუქტურას.

წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, ნატოს ისტორიაში ყოველთვის არსებობდა ტენდენცია დაქსაქსულობისა და გაყოფისაკენ. ჩვენ მიერ განხილული ორი შემთხვევის დროს, აშშ და საფრანგეთი განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობდნენ მიმდინარე პროცესებში. სახელმწიფოთა განსხვავებული აღქმები და პრიორიტეტები კი მაშინაც იწვევდა ინტერესთა დისბალანსს. თუმცა, წარსული გამოცდილებისგან განსხვავებით, დღეს ეკონომიკურ ურთიერთობებს უფრო დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია პოლიტიკის ფორმირებაზე ვიდრე მაშინ. გლობალიზაციისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების ხანაში ეკონომიკური კავშირები დიდ როლს თამაშობს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. სწორედ ეკონომიკის მძლავრი გავლენის შედეგია ჩინეთის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა ალიანსის შიგნით.

ჩინეთის ფაქტორი

2021 წლის ივნისის კომუნიკეს მიხედვით, ჩინეთი რუსეთთან ერთად ალიანსის მთავარი გამოწვევა და საერთაშორისო წესრიგის მთავარი საფრთხეა.¹⁶⁰ ნატოს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის, თქმით, „ჩვენ ვხედავთ, რომ ჩინეთი გვიახლოვდება, ჩვენ მას ვხედავთ კიბერსივრცეში, აფრიკაში, ვხედავთ მის ინვესტიციებს ჩვენს კრიტიკულ ინფრასტრუქტურაში, აუცილებელია, როგორც ალიანსმა მას პასუხი გავცეთ“.¹⁶¹

ორგანიზაციის შემფოთების მიზეზი ჩინეთის მილიტარისტული, ბირთვული, ეკონომიკური და ტექნოლოგიური გაძლიერებაა. ასევე, იგი განსაკუთრებით ძლიერდება ინდო-წყნარ ოკეანურ რეგიონში. დამატებით პრობლემას წარმოადგენს ჩინური დეზინფორმაციის პოლიტიკა და საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და ადამიანის უფლებათა უხეში

¹⁶⁰ NATO. Brussels Summit Communiqué Issued by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council in Brussels 14 June 2021. [Link](#).

¹⁶¹ Roula Khalaf and Henry Foy. 2021. Transcript: 'China Is Coming Closer to Us' — Jens Stoltenberg, Nato's Secretary-General. Financial Times, October 18, 2021. [Link](#).

დარღვევა. ჩინეთის რუსეთთან თანამშრომლობა კი არსებულ მოცემულობას კიდევ უფრო ამწვავებს.

მიუხედავად ჩინეთიდან მომავალი საფრთხისა, ალიანსის შიგნით არ შეინიშნება ერთსულოვნება არსებული გამოწვევის წინაშე. წევრ სახელმწიფოებს ურთიერთგამომრიცხავი და კონტროლერსული დამოკიდებულებები აქვთ აღნიშნული აქტორის მიმართ.

ალიანსის რიტორიკასთან თანხვედრაშია აშშ-ის პრიორიტეტები. ბაიდენის ადმინისტრაცია ჩინეთს მთავარ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სტრატეგიულ ოპონენტად მიიჩნევს. ბაიდენის ადმინისტრაცია არ გეგმავს ჩინეთისთვის დაწესებული სანქციებისა და ტარიფების გაუქმებას. მიუხედავად იმისა, რომ აშშ მზადაა დიალოგისთვის, მას ჩინეთთან მოლაპარაკებების გზით სიტუაციის განმუხტვის არ სწამს. პრეზიდენტის თქმით, აშშ არ დაუშვებს ჩინეთის ლიდერობას, რისთვისაც ბაიდენმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომელიც ითვალისწინებს ამერიკული ინფრასტრუქტურული წარმოების ზრდას, რაც მის ტექნოლოგიურ დამოუკიდებლობას შეუწყობს ხელს.¹⁶² ეკონომიკური კონფლიქტის გარდა, აშშ აკრიტიკებს უიღურების, ტაივანისა და ჰონგ-კონგისადმი ჩადენილ უსამართლობებს, ადამიანის უფლებათა უხემ დარღვევებსა და კიბერ-ტერორიზმს. მას შემდეგ, რაც „ამერიკა დაბრუნდა“, აშშ წყვეტს ტრამპის პერიოდში ჩამოყალიბებულ ანტიდემოკრატიულ კონფორმიზმს და ეწინააღმდეგება ჩინურ ავტორიტარიზმს, რითაც ხელს უწყობს გლობალური დემოკრატიის გაძლიერებას.

ტრამპისგან განსხვავებით, ახლანდელი პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ჩინეთის დამარცხება მულტილათერალურად, ევროპისა და ინდო-წყნაროკეანური რეგიონების დახმარებითაა შესაძლებელი.

ამის პარალელურად კი აშშ-ის ევროპელ პარტნიორებს მჭიდრო ეკონომიკური კავშირები აქვთ ჩინეთთან და მასთან აშკარა კონფრონტაცია არ მიაჩნიათ მომგებიან და პრაგმატულ სვლად. ევროკავშირი, რომელსაც ნატოსთან საერთო 21 წევრი სახელმწიფო ჰყავს, მჭიდრო ეკონომიკურ ურთიერთობებს ავითარებს ჩინეთთან. 2020 წლის მონაცემებით, ჩინეთი ევროკავშირის ყველაზე დიდი ეკონომიკური პარტნიორია და, შესაბამისად, მან აშშ ჩაანაცვლა. მათ შორის წლიური სავაჭრო ბრუნვა 709 მილიარდ დოლარს შეადგენდა, რაც ბევრად უსწრებს აშშ-ის მონაცემებს.¹⁶³ ამასთან, დაიდო ახალი ეკონომიკური ხელშეკრულება ჩინეთსა და ევროკავშირს შორის (CAI), რომელიც ეკონომიკური ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას ისახავს მიზნად.

¹⁶² Jenny Leonard and Justin Sink. 2021. Biden Says China Won't Be Most Powerful Country on His Watch. March 25, 2021. [Link](#).

¹⁶³ BBC News. China Overtakes US as EU's Biggest Trading Partner. February 17, 2021. [Link](#).

ევროპულ სახელმწიფოებს ჩინეთთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირები აქვთ და ისინი ხშირად არათუ კრიტიკულ პოზიციას იჭერენ ჩინეთის ნაბიჯებისადმი, არამედ რბილ რიტორიკას ავითარებენ მასთან ურთიერთობების გამწვავებისგან თავის არიდების მიზნით.

2021 წლის ბრიუსელის სამიტის შემდეგ ანგელა მერკელმა გაიმეორა ჩვეული რბილი პოზიცია და განაცხადა, რომ ალიანსის მთავარ გამოწვევად მაინც რუსეთი მიიჩნევა და, გარკვეული გამოწვევების მიუხედავად, ჩინეთი მათ მოკავშირედ რჩება. დიდი ბრიტანეთიც განაგრძობს ჩინეთთან ეკონომიკურ პარტნიორობას ჰონგ-კონგში ადამიანის უფლებათა დარღვევის მიუხედავად. მაკრონმა კი განაცხადა, რომ ჩინეთის საკითხი ნატოს პრეროგატივა ნაკლებადაა, ვინაიდან ალიანსი ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაა და მას ჩინეთთან არაფერი ესაქმება, მითუმეტეს, რომ ჩინეთი ევროპისთვის უფრო მეტია, ვიდრე სამხედრო გამოწვევა. რაც შეეხება კანადას, პრემიერ მინისტრმა ჯასტინ ტრუდომ განაცხადა, რომ ნატომ უნდა გაითვალისწინოს ჩინეთის გლობალური გავლენა და ძალდატანებამ შეიძლება ალიანსის შიგნითაც განხეთქილება გამოიწვიოს. ამასთან, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს, რომლებიც ასევე ჩინეთის ეკონომიკური პარტნიორები არიან, არ მიესალმებიან ალიანსის ორიენტაციის რუსეთიდან ჩინეთზე გადასვლას.

შეინიშნება ტენდენცია, რომ ნატოს ევროპული წევრების უმეტესობა ეკონომიკურ ურთიერთობებს პოლიტიკურზე მაღლა აყენებენ და ჩინეთთან მსუბუქ დამოკიდებულებას ავითარებენ. ისინი ერიდებიან ჩინეთის პირდაპირ კრიტიკას და, როგორც ცხადი გახდა, ზოგი მათგანი მას საფრთხედაც არ მიიჩნევს. ევროპის ღმობიერი პოლიტიკის კარგი მაგალითია ლიეტუვის ქეისი, როდესაც ჩინეთმა საკუთარი ელჩი გაიწვია ტაივანის წარმომადგენლობის აღიარების გამო. ლიეტუვას მხარი აშშ-მა დაუჭირა, ხოლო ევროკავშირის წამყვანმა სახელმწიფოებმა გაურკვეველი პოზიცია დაიკავეს და თავი აარიდეს ჩინეთის პირდაპირ კრიტიკას.

საბოლოოდ, კომუნიკეთი განსაზღვრული დამოკიდებულება ჩინეთისადმი შეიძლება შევადაროთ ცივი ომის დროს მოქმედ ჰარმელის ფორმულას, რომლის მიხედვითაც ალიანსს უნდა გაეძლიერებინა თავდაცვა და, ამავე დროს, ეზრუნა დაძაბულობის შენელებასა და დეტანტის გაძლიერებაზე. ისეთი გამოწვევის გადალახვა, როგორცაა კლიმატური პრობლემები, მხოლოდ ჩინეთთან თანამშრომლობით შეიძლება მოგვარდეს, თუმცა ჩინეთის გავლენის ზრდას ალიანსი, განსაკუთრებით აშშ, არ შეეგუება. იმის ფონზე, რომ აშშ-მა თავის კოლეგებს ჩინეთის ავტორიტარიზმსა და მილიტარიზმთან ბრძოლისკენ მოუწოდა, ევროპული სახელმწიფოები განაგრძობენ ჩინეთთან პარტნიორობას და აცხადებენ, რომ მათ არ სურთ ახალი ცივი ომი მასთან.

ბაიდენის თქმით, ჩინეთი და რუსეთი ცდილობენ ტრანსატლანტიკური ალიანსის გახლეჩას. შეიძლება ითქვას, რომ ჩინური ძალისხმევის მიუხედავად, ალიანსის წევრებს შორის უკვე არსებობს კონფლიქტი ჩინეთიდან მომავალი საფრთხის აღქმის თაობაზე. ნატოს გადანაცვეტილება დამყარებულია კონსენსუსზე და ალიანსის წევრები წერილობით თანხმდებიან კომუნიკეში, რომ ჩინეთი საფრთხის შემცველია, თუმცა კონსენსუსი არ შეინიშნება წევრების ქმედებასა და საგარეო პოლიტიკებს შორის.

რუსეთის ფაქტორი

ნატოს ბრიუსელის სამიტზე, ჩინეთთან ერთად, ალიანსის მთავარ გამონკვევად რუსეთი დასახელდა. 11 ოქტომბრის რეზოლუციის მიხედვით, ალიანსი გმობს რუსეთის ქმედებებსა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას უკრაინაში, საქართველოსა და მოლდოვაში, ასევე, კიბერშეტევებს, ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევას, თუმცა, ამავე დროს, აცხადებს მზაობას ღია დიალოგისათვის.¹⁶⁴ ჩინეთის მსგავსად, რუსულ საფრთხესთან საბრძოლველად მნიშვნელოვანია ძლიერი თავდაცვა და ასევე დიალოგისთვის მზაობა.

რუსეთთან ურთიერთობა განსაკუთრებით დაიძაბა ბოლო დროს, როდესაც ნატომ რუსეთის წარმომადგენლობის 8 წევრი გააძევა, ვინაიდან ისინი რუსეთის სადაზვერვოს წევრები აღმოჩნდნენ. შედეგად, ნატოს რუსეთის წარმომადგენლობა განახევრდა. აღნიშნული ქმედებები სიტუაციის რადიკალიზაციას ახდენს და მხარეთა შორის პოლარიზაციას იწვევს.

რუსეთის გაძლიერებული აქტიურობა ნატოს საზღვრებთან, ასევე, შეიარაღებული კონტროლის შესახებ დაკისრებული ვალდებულებების უგულებელყოფა საფრთხეს უქმნის ალიანსის უსაფრთხოებას და საერთაშორისო ასპარეზზე არასტაბილურობას აღვივებს. მიუხედავად აღნიშნულისა, რუსეთის შემთხვევაც ალიანსის შიგნით აზრთა სხვადასხვაობასა და ღირებულებათა კონფლიქტს იწვევს.

იმის ფონზე, რომ აშშ, აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოები რუსეთს უმნიშვნელოვანეს გამონკვევად მიიჩნევენ, შეინიშნება საფრანგეთის დაახლოება რუსეთთან.

მაკრონის გაპრეზიდენტების შემდეგ, საფრანგეთის ლიდერსა და რუსეთის ერთპიროვნულ მმართველ ვლადიმერ პუტინს შორის განსაკუთრებით იმატა დიპლომატიურმა

¹⁶⁴ NATO Parliamentary Assembly. Maintaining NATO's Focus on the Russian Challenge, Resolution 470. December 14, 2012. [Link](#).

შეხვედრებმა. მიუხედავად რუსეთსა და ევროატლანტიკურ ალიანსს შორის არსებული დაძაბულობისა, საფრანგეთი არ ემხრობა რუსეთთან დაპირისპირებას. მაკრონის ეკონომიკის მინისტრობის ხანაში იგი ემხრობოდა რუსეთისთვის სანქციების ჩამოწმებას. ამავე დროს, იგი ემხრობა თანამშრომლურ ტონს, მაგალითად, უკრაინის კონფლიქტის გადაჭრას იგი დიპლომატიური გზით, „ნორმანდიული ფორმატის“ ფარგლებში ცდილობს.¹⁶⁵

ზოგი მკვლევრის აზრით, ტრამპის პრეზიდენტობის ხანაში აშშ-მა დაკარგა ევროპის მთავარი პარტნიორის სტატუსი და დარჩენილი სივრცის შევსება ახალმა ძალამ, რუსეთმა იკისრა.¹⁶⁶

საფრანგეთს არ სურს ლეგიტიმურად მიიჩნიოს რუსეთის ქმედებანი და თვალი დახუჭოს ავტორიტარულ ძალადობრივ რეჟიმზე, ამავე დროს, იგი ვერ ეწინააღმდეგება რუსეთზე დამოკიდებულებას და სურს, თანამშრომლობითა და მოლაპარაკებებით შეამსუბუქოს არსებული დაძაბულობა.

ფრანგული რიტორიკა განსხვავდება ალიანსის სხვა წევრებისგან. როგორც აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნები განსაკუთრებით შფოთავენ ნატოს ფოკუსის რუსეთიდან ჩინეთზე გადატანას, რადგან, მათი აზრით, ეს გარემოება რუსეთის ძალადობრივ ქმედებებს წაახალისებს. აღნიშნული ქვეყნები განსაკუთრებით მგრძობიარედ აღიქვამენ რუსეთიდან მომავალ საფრთხეს როგორც ტერიტორიული სიახლოვის, ისე ისტორიული გამოცდილების საფუძველზე. მათი აზრით, ალიანსის მთავარი პრიორიტეტი რუსეთის ზეგავლენის შემცირება უნდა იყოს. რაც შეეხება აშშ-ის დამოკიდებულებას, რუსეთი მისთვის ჩინეთთან ერთად საუკუნის გამოწვევაა. ბაიდენმა დაადასტურა აშშ-ის მზაობა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

არ უნდა გამოგვრჩეს რუსო-ფრანგული ეკონომიკური კავშირები. 500-ზე მეტი მძლავრი რუსული კომპანია ფრანგული კაპიტალით საზრდოობს და საფრანგეთიც საკმაო ინვესტიციებს დებს რუსულ ბაზარზე. განსაკუთრებული დაახლოება შეინიშნება საავიაციო, ინფრასტრუქტურულ და ფარმაცევტულ ინდუსტრიებში.

საფრანგეთის რუსეთისადმი პოლიტიკა შეიძლება მოვიხსენიოთ, როგორც დიპლომატიური „ტაბულა რაზა“. იგი ივიწყებს წარსულ გამოცდილებას და თანამშრომლურ ურთიერთობებს ავითარებს მასთან.¹⁶⁷

¹⁶⁵ მოიცავს უკრაინის, რუსეთის, საფრანგეთისა და გერმანიის წარმომადგენლებს, რომელთა მიზანია ყირიმის კონფლიქტის გადაჭრა. ჩამოყალიბდა 2014 წელს.

¹⁶⁶ The Warsaw Institute Review. Emmanuel Macron and French-Russian Relations in Times of Crisis in International Alliances. 2020. May 18, 2020. [Link](#).

¹⁶⁷ Ibid.

ზოგადად, დიპლომატიური ურთიერთობები და თანამშრომლობა მნიშვნელოვანია თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში, თუმცა ბოლო 2 ათწლეულის განმავლობაში რუსეთის ძალადობრივმა ქმედებებმა გამოიწვია საქართველოსა და უკრაინის სუვერენიტეტის უხეში დარღვევა, რაც დღემდე გრძელდება. ფრანგული ტაბულა რაზას პრინციპის მიხედვით კი, რუსეთის ქმედებათა დავიწყება დაყვავების პოლიტიკას ემსგავსება.

უახლესი მონაცემებით, რუსეთმა ჯარის მობილიზება დაიწყო უკრაინის საზღვართან, რამაც კონფლიქტის გამწვავების საშიშროება გაზარდა. უკრაინას მხარი დაუჭირეს დასავლურმა სახელმწიფოებმა, მათ შორის საფრანგეთმა, რომელმაც დაადასტურა მზაობა უკრაინის მხარდაჭერაში.¹⁶⁸ აღნიშნული ქმედება პოზიტიურად ფასდება ალიანსის ერთიანობის თვალსაზრისით, თუმცა რთულია იმის პროგნოზირება, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნული ნაბიჯი საფრანგეთის არაკონფრონტაციულ რიტორიკაში გარდამტეხ მომენტად.

განსაკუთრებულ დიდ გამოწვევას წარმოადგენს ევროპული სახელმწიფოების რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება. რუსული ენერგორესურსებით მანიპულაციის მძიმე გამოცდილება ხელს უწყობს რუსეთისადმი რბილი პოლიტიკის გატარებას. ამის ერთ-ერთი მაგალითია გერმანია, რომელიც რუსეთის ყველაზე დიდი ეკონომიკური პარტნიორია ჩინეთის შემდეგ. თავის მხრივ, რუსეთი ენერგეტიკული რესურსების მნიშვნელოვანი მიმწოდებელია გერმანიისთვის.¹⁶⁹

ყირიმის ანექსიას დიდი კრიტიკა მოჰყვა გერმანიის მხრიდან, თუმცა მერკელს არ მოუხდენია რუსეთის იზოლირება და იგი წლების განმავლობაში დიალოგის რეჟიმშია რუსეთთან. პუტინის ხელისუფლების მიერ ოპოზიციონერი ალექსეი ნავალნის მოწამვლას ასევე დიდი კრიტიკა მოჰყვა და მერკელმა საჯაროდ დაუჭირა მხარი მას, როდესაც ბერლინის საავადმყოფოში ესტუმრა, თუმცა აღნიშნული საკმარისი არ აღმოჩნდა რუსულ-გერმანული ეკონომიკური კავშირების გასაწყვეტად. გერმანიასა და რუსეთს შორის მილსადენის, „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის, პროექტი კვლავ ძალაშია. ბაიდენმა კი, რომელმაც ხელი არ შეუშალა აღნიშნული პროექტის განხორციელებას, დიდი კრიტიკა დაიმსახურა, როგორც ამერიკულ საზოგადოებაში, ასევე ალიანსის იმ წევრებშიც, რომლებიც განსაკუთრებით შეშფოთებული არიან რუსეთიდან მომავალი საფრთხით.

გერმანია არ უარყოფს რუსულ გამოწვევას და სურს განახორციელოს ნატოს სამოქმედო გეგმა - ძლიერი თავდაცვა და დიალოგის რეჟიმი. მიუხედავად ამისა, გერმანიის

¹⁶⁸ Deutsche Welle. US, France discuss Russian military activity in Ukraine. November 15, 2021. [Link](#).

¹⁶⁹ German Federal Foreign Office. Germany and Russian Federation: Bilateral Relations. [Link](#).

თავდაცვითი დანახარჯი ვერ აღწევს სასურველ 2%-ს, რომლის გაზრდასაც ასე ძალიან ითხოვდა ტრამპი. ამასთან აშკარაა, რომ გერმანულ საზოგადოებაში თანამედროვე რუსეთი არ წარმოადგენს იმხელა საფრთხეს, როგორც წარსულში სსრკ წარმოადგენდა. 2017 წლის კვლევის მიხედვით, უფრო მეტი გერმანელი მიიჩნევს რუსეთს დასაყრდნობ პარტნიორად, ვიდრე აშშ-ს.¹⁷⁰

ბუნებრივია, აღნიშნული პათოსი ტრამპის პოლიტიკის დამსახურებაა, რომელიც განსაკუთრებული ანტიპათიით სარგებლობდა ევროპულ პარტნიორებში, თუმცა ფაქტი, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი რუსეთს უკეთეს პარტნიორად მიიჩნევს, ადასტურებს გაუცხოებას ალიანსის სხვა წევრების ინტერესებსა და რწმენებთან.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, თანამედროვე გერმანია ვილი ბრანდტის ოსტპოლიტიკას უბრუნდება. ამ უკანასკნელის დროს დასავლეთ გერმანიამ დიალოგი და დაძაბულობის შენელება დაიწყო სსრკ-სა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან. თანამედროვე გერმანიაც აღმოსავლეთ მეზობლებთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული, მათ შორის რუსეთთანაც, რომელთანაც განაგრძობს ეკონომიკურ პარტნიორობასა და დიალოგის პროცესს და ამავე დროს აკრიტიკებს მის ძალადობრივ პოლიტიკას. მით უმეტეს, რომ ზოგი გერმანელი პოლიტიკოსის აზრით, ევროპულ უსაფრთხოებაზე საუბარი რუსეთის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია.¹⁷¹

ექსპერტების თქმით, მერკელის შემცვლელი სავარაუდო კანდიდატები არ გეგმავენ მისი პოლიტიკური კურსიდან გადახვევას, შესაბამისად რუსეთისადმი პოლიტიკის ცვლილებაც არ იგეგმება.

მნიშვნელოვანია, განვიხილოთ „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ - ის მნიშვნელობა, რომელიც ბევრის აზრით, რუსეთისთვის ახალი გეოპოლიტიკური იარაღი იქნება ევროპის სტრატეგიულად გასაყოფად და პოლიტიკური მანიპულაციებისთვის. მილსადენის სავარაუდო მარშრუტი რუსეთიდან გერმანიამდე ბალტიის ზღვით გაზის მიწოდება იყო. აღნიშნული პროექტი განსაკუთრებით ბევრ კრიტიკას იწვევს. მისი განხორციელების შემთხვევაში კი გერმანიის რუსულ ენერგეტიკაზე დამოკიდებულება ორმაგად გაიზრდება. ევროპული სახელმწიფოების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის პროექტი კიდევ უფრო გაზრდის ისედაც უზარმაზარი გავლენის მქონე „გაზპრომის“ დომინაციას ევროპაში. უახლესი მონაცემებით, გერმანიამ ახლად გაყვანილი მილსადენის სერტიფიცირების პროცესი შეაჩერა, ვინაიდან იგი ვერ აკმაყოფილებდა გერმანიის სამართლებრივ მოთხოვნებს.¹⁷² აღნიშნული ფაქტი შეიძლება ალიანსის

¹⁷⁰ Deutsche Welle. Germans Say Russia Is More Reliable than the United States. 09.12.2017. [Link](#).

¹⁷¹ Dmitri Trenin. Russia and Germany: From Estranged Partners to Good Neighbors. Carnegie Moscow Center. [Link](#).

¹⁷² Deutsche Welle. German Agency Suspends Certification for Nord Stream 2 Pipeline. November 6, 2021. [Link](#).

ერთიანობის თვალსაზრისით დადებით მოვლენად მივიჩნით, ვინაიდან ნატოს წევრების გარკვეული ნაწილი ამ გეგმის მომხრენი არ იყვნენ.

ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გერმანია ლიბერალური დემოკრატიის მხარდამჭერია და, მისი ევროატლანტიკური მისწრაფებების გამო, არ არის მოსალოდნელი რუსეთთან არსებულზე უფრო მეტი დაახლოება. არც ის უნდა გამოგვრჩეს, რომ პარიზისა და ბერლინის პოლიტიკა არ არის ბოლომდე დამოუკიდებელი და განყენებული და მასზე გავლენას ახდენს ნატო და ევროკავშირი.

ამავე დროს, ცხადია, რომ გერმანიისა და საფრანგეთის ურთიერთობა არ არის ისეთი კონფრონტაციული, როგორც აშშ-ისა და რუსეთის. თუმცა აღნიშნული ორი ევროპული აქტორი არ დათმობს თავიანთ ლიბერალურ დემოკრატიებს ავტორიტარიზმის სასარგებლოდ.

რუსეთის როლის განხილვისას დამატებით პრობლემას წარმოადგენს თურქეთი, რომელიც ბოლო წლებში განსაკუთრებით დაუახლოვდა მას. აღნიშნული აქტორის ნატოში გაწევრიანების მთავარი მიზეზი მისი სსრკ-ის გავლენისგან დაცვა იყო, თუმცა თურქეთი სწორედ ნატოში ყოფნისას დაუახლოვდა რუსეთს თავდაცვის გაძლიერების მოტივით. სხვადასხვა იარაღის შესყიდვასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, თურქეთი რუსეთს დაუკავშირდა და შეისყიდა სასურველი იარაღი. მისი თქმით, საერთოდ არ ნანობს მსგავს ქმედებას, მიუხედავად აშშ-ისა და ალიანსის სხვა წევრების კრიტიკისა. ერდოღანის განცხადებით, ვერავინ ჩაერევა თურქეთის თავდაცვით პოლიტიკაში, რადგან მხოლოდ მათი გადასაწყვეტია როგორი თავდაცვითი სისტემით წარმართავენ მოღვაწეობას ან რომელ სახელმწიფოსთან დაიჭერენ თანამშრომლობას.¹⁷³ თურქეთის განსაკუთრებით აგრესიული ტონი ნატოს წევრებისადმი არახალია. უკანასკნელი ცნობებით, თურქეთმა აშშ-ისა და 9 დასავლური სახელმწიფოს ელჩები გაიწვია თურქეთის არადემოკრატიული პოლიტიკის კრიტიკის გამო, აქედან 7 - ნატოს წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელი.

თურქეთი რუსულ გაზს მოიხმარს და ასევე ყოველწლიურად უამრავ რუს ტურისტს იღებს. ერდოღანის რიტორიკის მიხედვით კი ნატოს წევრობა არ უშლის ხელს თურქეთს კავშირები დაამყაროს მოსკოვთან.

რუსეთსა და თურქეთს შორის გარკვეული კონფრონტაციული კერები არსებობს, ამიტომ ბევრ მკვლევარს მიაჩნია, რომ ბოლოდროინდელი დაახლოება დროებითია, თუმცა აღნიშნული ფაქტი ყურადსაღებია ალიანსისთვის, ვინაიდან აძლიერებს რუსეთისადმი დაახლოებების ტენდენციას. თურქეთს ალიანსში დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.

¹⁷³ David Cohen. Turkish President Defiant about Turning to Russia for Defense Needs. POLITICO. [Link](#).

მას აშშ-ის შემდეგ ყველაზე დიდი არმია ჰყავს და ხუთ უდიდეს კონტრიბუტორთა შორისაა. შესაბამისად, მასთან ურთიერთობების დამძიმება კიდევ უფრო ამწვავებს არსებულ სიტუაციას.¹⁷⁴

ამას ისიც ემატება, რომ რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით, ჯერ კიდევ არ არის ერთსულოვანი პოზიცია ალიანსში საქართველოსა და უკრაინის განევრინებაზე. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთისადმი განსხვავებული პოლიტიკისა და დამოკიდებულებების გამო, ორგანიზაციაში ინტერესთა და პრიორიტეტთა კონფლიქტი ყალიბდება, რაც ასუსტებს ორგანიზაციის ერთიანობას.

მიმაჩნია, რომ რუსეთის შემთხვევაში ბევრად მოსალოდნელია ალიანსის შიგნით ერთიანობის აღდგენა ვიდრე ჩინეთის ფაქტორის გათვალისწინებით. როგორც ზემოთ ვიხილეთ, საფრანგეთის, გერმანიისა და თურქეთის რუსეთთან დაახლოება განსაკუთრებით დიდ აღშფოთებას იწვევს. თუმცა ისიც აღინიშნა, რომ თურქეთისა და რუსეთის სამომავლოდ უფრო მეტად დაახლოება ნაკლებად მოსალოდნელია მათ შორის ფუნდამენტურ საკითხებზე უთანხობების გამო. საფრანგეთსა და გერმანიის შემთხვევაში კი ცხადია, რომ ისინი ნაკლებად ხისტი პოლიტიკით გამოირჩევიან რუსეთისადმი, თუმცა მათ შორის ურთიერთობათა გაუმჯობესება იმ დონემდე, რომ ალიანსის არსებობას საფრთხე შეექმნას ნაკლებად სავარაუდოა, ვინაიდან საფრანგეთიც და გერმანიაც ლიბერალური დემოკრატიები არიან და ისინი რუსეთის სასარგებლოდ საკუთარ იდენტობაზე უარს არ იტყვიან, ამას ადასტურებს ბოლო დროს განვითარებული მოვლენები („ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის შეჩერება და უკრაინისადმი მხარდაჭერის გამოცხადება). ჩინეთის შემთხვევაში კი საქმე ბევრად რთულადაა, ვინაიდან საქმე ეხება არა ევროპული სახელმწიფოების სუვერენიტეტის რღვევას ან რეგიონულ უსაფრთხოებას, არამედ მჭიდრო ეკონომიკურ კავშირებს, რაც იწვევს ჩინეთისადმი რბილი პოლიტიკის გატარებას.

დასკვნა

პოლიტიკის მეცნიერი სარა მოლერი აცხადებს, რომ 30 წევრიანი ალიანსი მალე რელევანტურობას დაკარგავს, ვინაიდან მას არ გააჩნია სტრატეგიული ფოკუსი. ერთობა, რომელიც ვერ თანხმდება თავად ერთობის მიზანზე, აშკარად საფრთხეშია.¹⁷⁵ ცივი ომის ხანაში ნატოს ერთი კონკრეტული და მძლავრი მოტივი ჰქონდა საბჭოთა კავშირის სახით. ცივი ომის შემდეგ კი იგი დაუსრულებელ ტრანსფორმაციებს განიცდის. ნატო დაკავდა

¹⁷⁴ Laura Pitel and Max Seddon. Turkey and Russia Could Deepen Defence and Security Ties, Says Erdogan. Financial Times, September 30, 2021. [Link](#).

¹⁷⁵ Atlantic Council. Will NATO Still Be Relevant in the Future?. 2020. July 24, 2020. [Link](#).

მრავალი ასპექტით: კონტრტერორიზმით, არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლით, უსაფრთხოების საკითხებით. შესაბამისად, წევრებსაც ალიანსისგან განსხვავებული მოლოდინები აქვთ.¹⁷⁶

ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის მიხედვით, ორგანიზაციები ხელს უწყობენ საერთაშორისო ანარქიის შერბილებასა და თანამშრომლობის გაღვივებას. თუმცა, რობერტ მაკკალას თქმით, ორგანიზაციების სიცოცხლისუნარიანობაზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ დონორი სახელმწიფოების ინტერესები, ვინაიდან სწორედ ისინი გამოყოფენ ფინანსებს ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის. შესაბამისად, თითოეულ მათგანს სურს სასურველი ორიენტაციით წაიყვანოს ორგანიზაციის სამოქმედო გეგმა. ადვილად ამოსაცნობი მტრის არარსებობის შემთხვევაში კი განსაკუთრებით სუსტდება ორგანიზაციის ერთიანობა.¹⁷⁷ აღნიშნული თეორიული ანალიზი დაგვეხმარება ნატოს კრიტიკული მდგომარეობის ახსნაში. ალიანსის 30 წევრს განსხვავებული დამოკიდებულება და აღქმები გააჩნიათ სხვადასხვა აქტორებისადმი, თუ ჩინეთი აშშ-ისთვის საუკუნის გამომწვევაა, ევროპული სახელმწიფოებისათვის იგი ეკონომიკური პარტნიორია. წევრებს შორის ღირებულებათა კონფლიქტი კი ორგანიზაციის დაქსაქსულობას იწვევს.

თანამედროვე პოლიტიკური ატმოსფეროს გათვალისწინებით, ნატოს ერთიანობა ეჭვქვეშ დგას. ალიანსის როლის შესუსტება გამოიწვევს როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ არასტაბილურობასა და დაძაბულობას. ნატო ათწლეულების განმავლობაში აბალანსებდა ბიპოლარულ თუ მულტიპოლარულ საერთაშორისო სისტემებს და უზრუნველყოფდა ევრო-ატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოებას. მისი დასუსტებით გზა გაუხსნებათ ისეთ ავტორიტარულ რეჟიმებს, როგორცაა რუსეთი და ჩინეთი, რაც გლობალური უწყნარობისა და კონფლიქტების წინაპირობა იქნება. არსებული სიტუაცია დიდ პრობლემას წარმოადგენს საქართველოსთვისაც, ვინაიდან არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობით საქართველოსთვის ევროატლანტიკური პარტნიორობის გარდა სხვა ალტერნატივა არ არსებობს. სწორედ ამიტომ, ევროინტეგრაცია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ნაწილად იქცა. ალიანსის დასუსტებით საფრთხე ემუქრება არა მხოლოდ საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას, არამედ ევზისტენციალური საფრთხის წინაშე დადგება იგი. ვინაიდან, აღნიშნული ორგანიზაცია რუსული ექსპანსიონიზმის მთავარი შემაკავებელია.

თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნატოს გააჩნია კრიტიკული სიტუაციებისადმი ადაპტაციის უნარი. ცივი ომის დასრულების შემდეგ ბევრი მკვლევარი ორგანიზაციის დაშლას წინასწარმეტყველებდა, მაგრამ ალიანსმა მოახერხა ტრანსფორმაცია და იმდროინდელ გამომწვევებს მოერგო, რამაც მას სიცოცხლე გაუხანგრძლივა. სელესტე

¹⁷⁶ Ibid.

¹⁷⁷ ეკა აკობია. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. 2006. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

ვოლანდერის თქმით, ნატომ განავითარა ისეთი მაღალფუნქციური ინსტიტუტები, როგორცაა საერთო ლოგისტიკა, ინტეგრირებული სარდლობის სტრუქტურა, სამხედრო ძალების სამოქალაქო კონტროლი, გამჭვირვალობა წევრებს შორის და სხვ.,¹⁷⁸ რაც წევრებს შორის კოორდინაციასა და თანამშრომლობას ამარტივებს. აღნიშნული ინსტიტუტების მდგრადობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასარგებლოა წევრი სახელმწიფოებისათვის.

ნატოს შიგნით ინტერესთა კონფლიქტი, ბუნებრივია, ხელს უშლის ალიანსის ეფექტურობასა და ერთიანობას. და მაინც, მიმაჩნია, რომ ნატო შეძლებს აღნიშნული გამოწვევის გადალახვას, როგორც ეს მოახერხა გასულ ათწლეულებში. სტრუქტურული უპირატესობანი ნატოს დაეხმარება ეგზისტენციალურ საფრთხესთან გამკლავებაში. ამასთან, ნატო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც აშშ-ისთვის, ისე ევროპისათვის, ვინაიდან კოლექტიური თავდაცვა მათი უსაფრთხოების გარანტიაა და წევრი სახელმწიფოები არ დაუშვებენ ალიანსის დაშლას და ყველა ხერხით შეეცდებიან მის შენარჩუნებას. როგორც იენს სტოლტენბერმა განაცხადა, „ჩვენ ყოველთვის გვექონდა უნარი შევთანხმებულიყავით ჩვენს ფუნდამენტურ საკითხებზე და დაგვეცვა ერთმანეთი.“¹⁷⁹

¹⁷⁸ Ibid.

¹⁷⁹ David Reid. Three Charts That Show Why Trump Thinks NATO Is a Bad Deal. CNBC. December 3, 2019. [Link](#).

ბიბლიოგრაფია:

- აკობია, ეკა. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. 2006. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი;
- BBC News. China Overtakes US as EU's Biggest Trading Partner. February 17, 2021. [Link](#). (28.11.2021);
- BBC. NATO alliance experiencing brain death, says Macron. 7 November, 2019. [Link](#). (28.11.2021).
- Cohen, David. n.d. Turkish President Defiant about Turning to Russia for Defense Needs. POLITICO. [Link](#). (28.11.2021);
- Deutsche Welle. n.d. German Agency Suspends Certification for Nord Stream 2 Pipeline. 2021. [Link](#). (28.11.2021);
- Deutsche Welle. Germans Say Russia Is More Reliable than the United States. 2017. DW.COM. [Link](#). (28.11.2021);
- Deutsche Welle. US, France discuss Russian military activity in Ukraine. November 15, 2021. [Link](#) (30.11.2021);
- France 24. NATO is critically important for US interests, Biden tells alliance at first summit post-Trump. June 14, 2021. [Link](#). (28.11.2021);
- German Federal Foreign Office. Germany and Russian Federation: Bilateral Relations. [Link](#). (28.11.2021);
- Khalaf, Roula, and Henry Foy. 2021. Transcript: 'China Is Coming Closer to Us' - Jens Stoltenberg, Nato's Secretary-General. Financial Times, October 18, 2021. [Link](#). (28.11.2021);
- Leonard, Jenny and Justin Sink. 2021. Biden Says China Won't Be Most Powerful Country on His Watch. March 25, 2021. [Link](#) (28.11.2021);
- Logevall, Fredrik. 1992. De Gaulle, Neutralization, and American Involvement in Vietnam, 1963-1964. Pacific Historical Review 61 (1): 69–102. [Link](#). (28.11.2021);
- Luxner, Larry. Will NATO Still Be Relevant in the Future?. Atlantic Council (blog). July 24, 2020. [Link](#). (28.11.2021);
- NATO. Brussels Summit Communiqué Issued by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council in Brussels 14 June 2021. [Link](#). (28.11.2021);
- NATO Parliamentary Assembly. Maintaining NATO's Focus on the Russian Challenge, Resolution 470. 14 December 2012. [Link](#). (28.11.2021);
- Olech, Aleksander Ksawery. Emmanuel Macron and French-Russian Relations in Times of Crisis in International Alliances. 2020. The Warsaw Institute Review (blog). May 18, 2020. [Link](#). (28.11.2021);
- Pitel, Laura, and Max Seddon. Turkey and Russia Could Deepen Defence and Security Ties, Says Erdogan. Financial Times. September 30, 2021. [Link](#) (28.11.2021);
- Reid, David. Three Charts That Show Why Trump Thinks NATO Is a Bad Deal. CNBC. December 3, 2019. [Link](#). (28.11.2021);

- The New York Times. NATO Allies Differ On Vietnam Policies. 1964. [Link](#). (28.11.2021);
- Trenin, Dmitri. n.d. Russia and Germany: From Estranged Partners to Good Neighbors. Carnegie Moscow Center. [Link](#). (28.11.2021);
- Vaïsse, Maurice, and Clémence Sebag. 2009. France and NATO: An History. *Politique Etrangere*, no. 5: 139–50.



Embassy
of the Republic of Poland
in Tbilisi

NATO
Contact Point Embassy



თურქეთის საგარეო პოლიტიკა და ნატოს სიმტკიცის პრობლემა

ვასიკო ხორავა



თურქეთის საგარეო პოლიტიკა და ნატოს სიმტკიცის პრობლემა

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. შექმნილია გარემო, სადაც მსოფლიო მშვიდობის უზრუნველყოფა და გლობალურ პრობლემებთან გამკლავება დამოკიდებულია სახელმწიფოების უნარზე განსხვავებული ინტერესების უგულბელებლო-ფით ითანამშრომლონ ერთმანეთთან. მრავალი თეორეტიკოსის მოსაზრებით, ამ მხრივ საკმაოდ ეფექტურია სახელმწიფოების საერთო ორგანიზაციაში გაერთიანება, რომელშიც საფუძველი ეყრება უთანხმოებების გადაჭრის „მოგება-მოგების“ სტრატეგიებს. ამის მიუხედავად, ყველა თეორიასა თუ ჰიპოთეზას აქვს გამონაკლისები.

ნატომ, როგორც ყველაზე წარმატებულმა სამხედრო ალიანსმა, შეძლო 90-იანებში გაჩენილი იდენტობის კრიზისის დაძლევა. თუმცა, იგი მრავალი წელია, რაც შიდა ერთობის პრობლემის წინაშე დგას. საქმე ეხება თურქეთის მიერ წარმოებულ დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს თურქეთის ტრანსფორმირებას მნიშვნელოვან რეგიონულ მოთამაშედ. „კეთილშობილური“ მიზნის მიუხედავად, ამ პროცესის თანმდევ ნაწილად იქცა ევროპული მოკავშირეების გეოპოლიტიკურ და ეროვნულ ინტერესებთან წინააღმდეგობაში მოსვლა, რაც ქმნის მოკავშირეებს შორის ურთიერთობების გაუარესებით ევროპული ალიანსის ქმედითუნარიანობის დაქვეითების მაღალ რისკებს საგარეო გამოწვევებთან გამლკავები-სას.

ამრიგად, ამ ნაშრომის მთავარი მიზანი იქნება განსაზღვროს თუ რა ზეგავლენას ახდენს ნატოს ერთობაზე თურქეთის მიერ წარმოებული დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, რამდენად დიდ საფრთხეს წარმოადგენს მოცემული გადანყვეტილება ევროპული უსაფრთხოებისთვის და რა როლს თამაშობს თურქეთი ალიანსის უსაფრთხოებისთვის?

თემის ფარგლებში გაანალიზდება ნატოს სიმტკიცის „ხარისხი“ და თურქეთის გარშემო არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევები: დაპირისპირება საბერძნეთ-კვიპროსთან (ყურადღება გამახვილებული იქნება აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში ხელმისაწვდომ რესურსებზე, თურქეთის ინტერესებზე, აკვატორიული წყლების გადანაწილების პრობლემებზე და ა.შ.), ლიბიის სამოქალაქო ომში ჩართვით გამოწვეული დაძაბულობა, გაუარესებული ურთიერთობები საფრანგეთთან (აქცენტი გამახვილებული

იქნება ფრანგულ ინტერესებზე ჩრდილოეთ აფრიკაში) და ზოგადი ტენდენციების მიმოხილვა თურქეთ-რუსეთისა და თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობებში.

ნატო ერთობის პრობლემის წინაშე

2021 წლის 5 ოქტომბერს იენს სტოლტენბერგმა განაცხადა:

„ჩვენ ყოველთვის დიდი სერიოზულობით უნდა მივუდგეთ ჩვენ შორის გაჩენილ უთანხმოებებს და ვისაუბროთ მათზე. მაგრამ ყოველივე ეს არ ცვლის ფართო სურათს: ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ნატოში ერთად დგომის მნიშვნელობას. მართლაც, ტრანს-ატლანტიკური ერთობის საჭიროება დღეს გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ცივი ომის ნებისმიერ მომენტში, რამეთუ ჩვენ ვიმყოფებით მნიშვნელოვან გზა-გასაყარზე, საიდანაც მეტად საშიშ და კონკურენტუნარიან გარემოს ვაკვირდებით.“¹⁸⁰

სტოლტენბერგის ამგვარი პოზიცია მიუთითებს ნატოს შიგნით არსებულ მნიშვნელოვან ღირებულებით პრობლემებზე, რომელთაგან დემოკრატიული პრინციპებისადმი წევრების სუსტი ლოიალობა მეტად გამოსარჩევია. ეს საკითხი მეტ ყურადღებას იპყრობს, თუ გავიაზრებთ, რომ ალიანსი დაფუძნებულია დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცების ვალდებულებაზე. შედეგად, ისეთი სახელმწიფოები, რომლებიც მიჰყვებიან ნაციონალიზმის გლობალური აღმასვლის ტენდენციას და ცდილობენ დემოკრატიული ინსტიტუტების შესუსტების ხარჯზე განამტკიცონ ავტორიტარული რეჟიმები, დიდ პრესტიჟულ ზიანს აყენებენ ტრანსატლანტიკურ ალიანსს. მეტიც, სხვა წევრების მხრიდან ასეთ სახელმწიფოებში „დემოკრატიისადმი პრინციპულობის“ აღდგენის მოთხოვნით დაწესებული სანქციები აღრმავებს ევროპული გაერთიანებების სიმტკიცის პრობლემას.

ღირებულებით პრობლემასთან ერთად უნდა აღინიშნოს 2014 წლის უელსის სამიტზე განახლებული ვალდებულება წევრი სახელმწიფოების მიერ თავიანთი მშპ-ის 2%-ის თავდაცვით სექტორზე გამოყოფისა, ანუ ისმევა საკითხი თუ რამდენის დასახარჯად არიან

¹⁸⁰ Jim Garamone. New Threats to NATO Demand Old Solution: Unity, Stoltenberg Says. U.S. Department of Defense. 2021, October 5. [Link](#).

მზად წევრები ერთობლივი თავდაცვის უზრუნველყოფისთვის. 2019 წელს ნატოს 29 წევრიდან ამ 2%-იან ზღვარს აკმაყოფილებდა მხოლოდ 8 სახელმწიფო.¹⁸¹

	2015	2016	2017	2018	2019	2020
2%-იანი ზღვრის „დამცველი“ წევრების რაოდენობა	5/28	5/28	4/29	6/29	8/29	12/30

მოცემულ ვითარებას დიდად აკრიტიკებდა დონალდ ტრამპი, რომელიც აქტიურად მოუწოდებდა წევრებს დაფინანსების 2%-მდე გაზრდას. მეტიც, ტრამპმა უპასუხოდ არ დატოვა 2019 წელს გერმანიის მიერ გამოყოფილი მშპ-ის 1.27% (\$ 49 მლრდ.) თავდაცვით სექტორზე და 2020 წლის ივლისს გასცა ბრძანება გერმანიაში წარმოდგენილი 36,000 ჯარისკაციანი ამერიკული სამხედრო კონტინგენტის მესამედის პოლონეთში გადაყვანისა. ამის მიუხედავად, მოცემულმა ქმედებამ ნათელი შეტყობინება და მოთხოვნა გაუგზავნა ნატოს ყოველ წევრ სახელმწიფოს.¹⁸²

ამ ორ ელემენტს ბოლოს აუცილებლად უნდა დავურთოთ წევრების უკმაყოფილება მოკავშირეების მიერ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოებით. ამ მხრივ, საინტერესოა თურქეთის სირიაში გააქტიურებითა და აშშ-ის სირიიდან გასვლით გამოწვეული ემანუელ მაკრონის უკმაყოფილება, რომელმაც არაკოორდინირებული, შეუთანხმებელი მოქმედებების სერიების გამო განაცხადა: „რასაც ჩვენ ახლა განვიცდით არის ნატოს ტვინის სიკვდილი“.¹⁸³ რაოდენ პრინციპულ განცხადებად არ უნდა მოგვეჩვენოს ეს, იგი ასუსტებს ურთიერთობებს ევროპულ პარტნიორებს შორის და ხისტ ხდის მათ შორის თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობას.


ამ პროცესმა დიდი ზეგავლენა მოახდინა საზოგადოების პოზიციაზე, რაც ნათლადაა ასახული საგარეო ურთიერთობების ევროპული საბჭოს მიერ ჩატარებულ კვლევაში.

¹⁸¹ იხილეთ შედგენილი ცხრილი ნატოს წევრი სახელმწიფოების პროცენტული და რაოდენობრივი ხარჯების გადანაწილებისა თავდაცვით სექტორზე 2015-2020 წლებს შორის: [ბმული](#).

¹⁸² Mikkel Runge Olesen. Donald Trump and the battle of the two percent. Danish Institute for International Studies. 2020, October 20. [Link](#).

¹⁸³ The Economist. Emmanuel Macron warns Europe: NATO is becoming brain-dead. 2019, November 7. [Link](#).

დიაგ. 1. აშშ-ჩინეთს შორის უთანხმოების შემთხვევაში, რა გსურთ თქვენმა სახელმწიფომ გააკეთოს? ¹⁸⁴



მოცემული კვლევით ვაკვირდებით სახელმწიფოებს შორის არსებული უთანხმოების პირდაპირ ტრანსლირებას მოსახლეობის საერთაშორისო პროცესების აღქმაზე, რაც მომავალი ლიბერალურ-დემოკრატიული საერთაშორისო სისტემისთვის საგანგაშოა, თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის აზრის დიდ წონას საგარეო პოლიტიკის ვექტორის განსაზღვრისას.

¹⁸⁴ Ivan Krastev and Mark Leonard. The Crisis of American Power: How Europeans see Biden's America. European Council on Foreign Relations. 2021, January. 18. [Link](#).

მოცემული თავი მნიშვნელოვანია, რამეთუ მის გარეშე ნატოს წინაშე არსებული პრობლემების კონტექსტში თურქეთისა და მისი საგარეო პოლიტიკის ანალიზი არ მოგვცემდა პრობლემის მასშტაბურობისა და მნიშვნელობის წარმოჩენის ადეკვატურ შესაძლებლობას.

თურქეთის საგარეო პოლიტიკა

თურქეთის საგარეო პოლიტიკამ ცვლილების დიდი გზა განვლო - 2000-იან წლებში მისი მთავარი დოქტრინიდან „ნეოლოვანი პრობლემები მეზობლებთან“, ახლო აღმოსავლეთის მნიშვნელოვან ძალად ჩამოყალიბების ამბიციამდე.

ჯეიმს ჯეფრის, 2008-2010 წლებში თურქეთში აშშ-ის ელჩის, თანახმად, თურქეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილება სამმა ფაქტორმა გამოიწვია:

1. ერდოღანის პიროვნულმა როლმა თურქეთში ავტორიტარული რეჟიმის განმტკიცებაში;
2. რეფორმების შედეგად, „სამართლიანობისა და აღორძინების პარტიის“ წინაშე გაჩენილმა ვალდებულებამ საპარლამენტო უმრავლესობის მოსაპოვებლად ჩამოყალიბებინა კოალიცია. შედეგად, მმართველი პარტია გაერთიანდა ულტრამემარჯვენე „ნაციონალური მოძრაობის პარტიასთან“, რამაც გამოიწვია თურქეთის ხელისუფლებაში ევრო-სკეპტიკური სენტიმენტების გაღვივება;
3. დასავლური სახელმწიფოებით იმედგაცრუებამ, რაც უპირველესად გულისხმობს დასავლური ძალების (ძირითადად საფრანგეთი და აშშ) გაერთიანებას ანკარის მიერ ტერორისტულ ორგანიზაციად შერაცხულ „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ სირიულ სატელიტთან ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ.¹⁸⁵

ნატოს წევრებს შორის არსებული დილემა იმასთან დაკავშირებით თუ როგორ გაუმკლავდნენ თურქეთის გეოსტრატეგიული ავტონომიისკენ სწრაფვას პირწმინდად უკავშირდება თურქეთის მიერ მიღებულ Mavi Vatan-ის („ლურჯი სამშობლო“) დოქტრინას, რომელიც მიზნად ისახავს თურქეთის საზღვაო რეგიონულ ძალად ჩამოყალიბებას მისი ტერიტორიული წყლების 462,000 კმ²-ით გაფართოების ხარჯზე (სამხედრო და დიპლომატიური შესაძლებლობებით).¹⁸⁶

¹⁸⁵ Jon Alterman. Erdogan's Middle East Policy, Guest: Ambassador James Jeffrey. Center for Strategic and International Studies. 2021, February 22. 2-3. [Link](#).

¹⁸⁶ Jana Jabbour. France vs. Turkey in the EastMed A Geopolitical Rivalry between a "Keeper" of the Old Order and a Challenging Emergent Power. Institut français des relations internationales. 2021, May 6. 3. [Link](#).

ამ მისწრაფების ნათელ გამოვლინებად შეგვიძლია დავასახელოთ 2019 წლის 13-25 მაისს სამივე ზღვაში ერთდროულად ორგანიზებული სამხედრო წვრთნები, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 20,000 ჯარისკაცი, 131 სამხედრო გემი, 57 საბრძოლო თვითმფრინავი და 33 ვერტმფრენი.¹⁸⁷



სურ. 1. თურქეთის „ლურჯი სამშობლო“¹⁸⁷

ხსენებულს ემატება თურქეთის მცდელობა

ხელი შეუშალოს „პარტნიორებს“ ხმელთაშუა ზღვის აუზში პოტენციურად არსებული ნახშირ-წყალბადოვანი რესურსების აღმოჩენა-ათვისებაში. მაგალითისთვის, 2018 წლის 11 თებერვალს კვიპროსის აკვატორიაში იტალიური საბურღი გემი თურქეთის რამდენიმე სამხედრო გემმა შეაჩერა და აუკრძალა დასახული მიმართულებით გადაადგილება.¹⁸⁸ მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა ისრაელთან მიმართებაშიც, რომლის გემსაც კვიპროსის აკვატორიაში კვლევების ჩატარებისას მოუწია ტერიტორიის დატოვება თურქული გემების მოახლოების შემდეგ.¹⁸⁹

აქედან გამომდინარე, აშკარა ხდება, რომ ევროპელი მოკავშირეების მიერ უპასუხოდ ამ მოვლენების დატოვებამ მეტად გაათამამა თურქეთი, რომელიც თავისთავად ამ მოქმედებებით ცდილობს გააღრმავოს საზოგადოების ნაციონალისტური სენტიმენტები (რთული ეკონომიკური მდგომარეობიდან ყურადღების გადმოსატანად) და, ტერიტორიული წყლების გაფართოებასთან ერთად, ხელში ჩაიგდოს რეგიონში არსებული „ძვირფასი“ რესურსები ენერგოდამოკიდებულების ხარისხის შესამცირებლად.

¹⁸⁷ TRTWorld. Turkey kicks off largest military exercise. 2019, May 13. [Link](#).

[Link](#).

¹⁸⁸ Michele Kambas. Standoff in high seas as Cyprus says Turkey blocks gas drill ship. Reuters. 2018, February 11.

¹⁸⁹ Al Jazeera. Turkish navy orders Israeli ship out of Cyprus's waters. 2019, December, 15. [Link](#).

თურქეთი ხმელთაშუა ზღვაში საბერძნეთ-კვიპროსის პირისპირ

უნდა გვახსოვდეს, რომ თურქეთ-საბერძნეთის დაპირისპირების საფუძველი ტერიტორიული წყლების პრობლემატური გადანაწილებაა. მხარეებს შორის უთანხმოება დაფუძნებულია სამ საკითხზე:

1. აკვატორიული საზღვრების შეუთანხმებლობა - საბერძნეთი ფლობს ისეთ კუნძულებს (კასტელორიცო და სხვა), რომლებიც თურქეთის კონტინენტურ ტერიტორიასთან მნიშვნელოვნად ახლოსაა (რითაც ანკარის 1982 წლის საერთაშორისო კონვენციით აღიარებული უფლების რეალიზება აითვისოს სანაპირო ზოლიდან 12 საზღვაო მილის მანძილზე არსებული ტერიტორია ქმნის დაძაბულობას). შესაბამისად, თურქეთი არსებულ მდგომარეობას თავისი უსაფრთხოებისთვის პრობლემატურად მიიჩნევს და პრეტენზიას აცხადებს მისთვის უსაფრთხოების უზრუნველყოფელ საზღვაო ტერიტორიაზე;

2. მხარეები ვერ თანხმდებიან განსახილველ საკითხებზე - საზღვრის დელიმიტაციის მიღმა თურქეთს სურს კონკრეტული ბერძნული კუნძულების დემილიტარიზაცია და იმ კუნძულების სტატუსის განხილვა, რომლებიც ეგეოსის ზღვის აკვატორიის გადანაწილებისთვის გამოყენებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებში არაა ნახსენები - 1914 წლის 13 თებერვალს დიდი ძალების მიერ საბერძნეთისთვის მიწერილ წერილში,¹⁹⁰ 1923 წლის ლოზანისა და 1947 წლის პარიზის საზავო ხელშეკრულებებში. საბერძნეთის ოფიციალური პოზიციით ამ კუნძულების ათვისება მისი სუვერენული უფლებაა (რომლის არ გამოყენებაც თურქეთის ხისტი საგარეო პოლიტიკის გათვალისწინებით, ასუსტებს საბერძნეთის უსაფრთხოებას), თუმცა ამ უფლების გამოყენება, ოფიციალური ანკარის ხედვით, ქმნის საფრთხეს საბერძნეთის გაფართოებისა და თურქეთთან დამაკავშირებელი საზღვაო სავაჭრო მარშრუტების შესაძლო ჩაკეტვისა;

3. ამავდროულად, მხარეები ვერ თანხმდებიან მოლაპარაკებების ფორმატზე - საბერძნეთი მოითხოვს ტერიტორიული წყლების დელიმიტაციისთვის გაეროს საერთაშორისო სასამართლოს ჩარევას. იმისდა მიუხედავად, რომ თურქეთი გაეროს სასამართლოს ჩართვას არ ეწინააღმდეგება, მისი მთავარი მიზანია ისეთი ფორმატის შექმნა, რომელიც მისცემს მხარეებს შესაძლებლობას განიხილონ სხვა საკითხებიც (ანუ მოცემული პრობლემა წინა დასახელებულთანაა გადაჯაჭვული).¹⁹¹


¹⁹⁰ 1914 წლის 13 თებერვალს რუსეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის გადაწყვეტილებით ეგეოსის ზღვის კუნძულები გადანაწილდა საბერძნეთსა და ოსმალეთის იმპერიას შორის. წერილში მითითებული იყო საბერძნეთის ვალდებულება კუნძულების დემილიტარიზებისა და მცხოვრები მუსლიმების უფლებების დაცვისა.

წერილი შეგიძლიათ იხილოთ: [ბმული](#)

¹⁹¹ International Crisis Group. Turkey-Greece: From Maritime Brinkmanship to Dialogue. Europe Report N°263. Brussels. 2021, May 31. 11-13, 45. [Link](#).

ეს დაპირისპირება (და მისი მასშტაბურობა) მეტად გამწვავდა რეგიონში გაზის საბადოების აღმოჩენის შემდეგ - 2009 და 2010 წლებში ისრაელში, 2011 წელს კვიპროსში და 2015 წელს ეგვიპტეში. ამ აღმოჩენებმა შექმნა დამატებითი საბადოების აღმოჩენის მოლოდინი, რაც თურქეთის შემთხვევაში წარმოადგენს გზას ენერგო სექტორის მოწყვლადობის ხარისხის შემცირებისკენ.

დიაგ. 2. თურქეთის ენერგოდამოკიდებულება იმპორტირებულ ენერგორესურსებზე 2008-2017 წწ. ¹⁹²



დიაგრამა ნათელ წარმოადგენებს ქმნის იმ პოტენციურ რისკებთან დაკავშირებით, რომელთა წინაშეც დგას თურქეთი. აქედან გამომდინარე, ერდოღანის ადმინისტრაციის მიზანია აეციოს თურქეთის ენერგო სექტორი ნაკლებად დამოკიდებული საგარეო ფაქტორებზე (საიმპორტო წყაროების დივერსიფიკაციითა და თავის აკვატორიაში საბადოების აღმოჩენით).

2018 წლის მონაცემებით, ენერგო-რესურსებზე მოთხოვნის 28% ბუნებრივ აირზე მოვიდა,¹⁹³ რომლის 99.16%-იც იყო იმპორტირებული სხვადასხვა ქვეყნიდან (ძირითადად, რუსეთიდან, ირანიდან და აზერბაიჯანიდან).¹⁹⁴


¹⁹² მონაცემები შეგიძლიათ იხილოთ: [ბმული](#)

¹⁹³ Richard Kraemer. Diversify and expand: Turkey's drive towards natural gas security. MEI. 2020 April 16. [Link](#).

¹⁹⁴ Energy Market Regulatory Authority. Natural Gas Market 2018 Sector Report. Ankara. 2019. 35. [Link](#).

დიაგ. 3. თურქეთში იმპორტირებული ბუნებრივი აირი ქვეყნების მიხედვით ¹⁹⁵

მლრდ. მ³



თუ დავუკვირდებით დიაგრამას, დავინახავთ, რომ 2017 წლიდან თურქეთი ამცირებს რუსეთიდან და ირანიდან იმპორტირებული გაზის რაოდენობას (აშკარა გეოპოლიტიკური დაპირისპირების მიზეზით) და ალტერნატიული მიწოდების წყაროებად სახავს კატარს, ალჟირს, ნიგერიას (რომელთაგან თხევად გაზს იღებს), აზერბაიჯანს (რომლიდანაც იმპორტი 2015 წლიდან 87.2%-ით გაიზარდა) და ა.შ.

ეს მონაცემები და ზემოხსენებული საზღვაო ინციდენტები მიუთითებენ თურქეთის უკმაყოფილებას ხმელთაშუა ზღვისპირეთში არსებული მდგომარეობით, რასაც იგი პასუხობს სამხედრო სექტორში მზარდი დაფინანსებითა და აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოებით.

¹⁹⁵ მონაცემები შეგიძლიათ იხილოთ: [ბმული](#)

უკმაყოფილება (ტერიტორიული წყლების პრობლემური გადანაწილების მიღმა), უპირველეს ყოვლისა, შეეხება ჩრდილოეთ კვიპროსის რესპუბლიკის გამორიცხვას რეგიონში მიმდინარე ენერგეტიკული პროცესებიდან. აშკარაა, რომ თურქეთს სურს ჩრდილოეთ კვიპროსის საერთაშორისო აღიარება, რათა გამოიყენოს იგი, როგორც პლაცდარმად, რომლითაც შეეძლება თავისუფალი ეკონომიკური ზონისა და რესურსების საძიებო სივრცის გაფართოება. ამაზე მეტყველებს 2019 წლის დეკემბერში ჩრდილოეთ კვიპროსში განთავსებული დრონები მისი საძიებო გემების დასაცავად.¹⁹⁶


უკმაყოფილების მეორე მიზეზი შეეხება აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის გაზის ფორუმიდან თურქეთის იზოლირებას. ფორუმი, რომელშიც გაერთიანებულნი არიან საბერძნეთი, კვიპროსი, იტალია, ისრაელი, ეგვიპტე, იორდანია, პალესტინა და საფრანგეთი, მიზნად ისახავს აღმოჩენილი საბადოების მილსადენით საბერძნეთ-იტალიასთან დაკავშირებას. თუმცა, თურქეთის მიერ კონკურენტი სახელმწიფოების გვერდით საფრანგეთისა და იტალიის ხილვამ გამოიწვია მისი გალიზიანება და მათთან ურთიერთობების მეტად გამწვავება.

საპასუხოდ, 2019 წლის ნოემბერში თურქეთმა ლიბიასთან ორ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი: უსაფრთხოებისა და სამხედრო თანამშრომლობის შესახებ და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ. ხელშეკრულება, რომელმაც გამოიწვია თურქეთის ჩარევა ლიბიის სამოქალაქო ომში, მიზნად ისახავს ხსენებულ ფორუმზე ზეგავლენის მოხდენას, იმისდა მიუხედავად, რომ ხელშეკრულება საერთაშორისო სამართლებრივად მყიფე ფუნდამენტზე დგას.

საბერძნეთმა და ეგვიპტემ დაგმეს მოცემული ხელშეკრულება და, საპასუხოდ, 2020 წლის 6 აგვისტოს თავადაც მოაწერეს ხელი მსგავს ხელშეკრულებას.

¹⁹⁶ ზაალ მარგველაშვილი. ხმელთაშუა და შავი ზღვების ენერგეტიკული რესურსები და საერთაშორისო თანამშრომლობა მათი მოძიებისა და მოპოვების საკითხებში. დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი. თბილისი. 2020, აგვისტო. 4-6. [ბმული](#).

სურ. 2. ვითარება აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში ¹⁹⁷



თურქეთ-საფრანგეთის ურთიერთობები: Pax Mediterranea v. Mavi Vatan

ხმელთაშუა ზღვაში საფრანგეთის გააქტიურება დაკავშირებულია მის გეოპოლიტიკურ ინტერესთან რეგიონში ამერიკის გავლენის შესუსტებასთან ერთად თავად განავრცოს გავლენის სფერო. თუმცა, მოცემული მიზნის მიღწევის ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს თურქეთი, რომლის გაძლიერება და მნიშვნელოვან ძალად გადაქცევა ეწინააღმდეგება საფრანგეთის მიზნებს. ამით აიხსნება საბერძნეთ-კვიპროსისთვის გაცხადებული მხარდაჭერა და თურქეთთან დაძაბული ურთიერთობები.

დაძაბულობის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ლიბიის მეორე სამოქალაქო ომში თურქეთის ჩართვა. პოლიტიკურ ისლამისტებსა და სამხედრო ნაციონალისტებს (ხალიფა ჰაფტარის ხელმძღვანელობით) შორის მიმდინარე კონფლიქტში თურქეთმა თავისუფალი ეკონომიკური ზონის გაფართოების, რეგიონულ ლიდერად ჩამოყალიბების მიზნით, კავშირი დაამყარა გაეროს მიერ აღიარებულ ტრიპოლის ხელისუფლებასთან და სამხე-

¹⁹⁷ რუკა ხელმისაწვდომია: [ბმული](#)

დრო თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში გაეროს მიერ იარაღზე დაწესებული ემბარგოს დარღვევით სამხედრო ტექნიკის გადასროლა დაიწყო ლიბიაში.

„ლეგიტიმური ხელისუფლების“ დაცვის მიუხედავად, მომხდარს მყისიერად მოჰყვა სიტყვიერი დაპირისპირება მაღალი რანგის წარმომადგენლებს შორის. მაკრონმა განაცხადა, რომ „ეს არის ისტორიული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იმ სახელმწიფოსთვის, რომელიც თავს ნატოს წევრად მიიჩნევს.“¹⁹⁸

მაკრონის ინტერესები ამ შემთხვევაში შეიძლება კონკეპტუალიზდეს შემდეგნაირად:

- საფრანგეთის მიზანია ჩრდილოეთ აფრიკაში გავლენის შენარჩუნება;
- საფრანგეთი მხარს უჭერს გენერალ ჰაფტარს, რამეთუ იგი პროფრანგულად განწყობილი პირია, ხოლო პარიზის მთავარი მიზანია ლიბიაში ამგვარი ორიენტაციის ძალების გამარჯვება;
- საფრანგეთს სურს ლიბიის ნახშირწყალბადოვან სექტორებში წილის შენარჩუნება;
- საფრანგეთის მიზანია პოლიტიკური ისლამის ევროპის სამხრეთ რეგიონში შეკავება.¹⁹⁹

ამგვარი გეოპოლიტიკური მდგომარეობა, საფრანგეთს აყენებს ისეთ ავტორიტარული ქვეყნების გვერდით, როგორცაა რუსეთი, საუდის არაბეთი, ეგვიპტე და ა.შ.

თურქეთის ჩარევა ლიბიის სამოქალაქო ომში ეწინააღმდეგება არა მხოლოდ საფრანგეთის, არამედ იტალიის ინტერესსაც. 2020 წლის იანვარს იტალიის პრემიერ-მინისტრი შეხვდა გენერალ ჰაფტარს, რადგან იტალიის მთავარ საზრუნავს იმიგრანტთა ნაკადის შეკავება წარმოადგენს. ამ პროცესში კი რომის ინტერესებშია ძლიერი ლიბიის არსებობა, რომელიც მიგრანტთა ნაკადთან ერთად, შეცვლის ისლამური ტერორიზმის გავრცელების ხელშეწყობ გადამო-პირობებს.²⁰⁰

ლიბიის გარშემო ვითარებამ დაძაბულობის პიკს 2020 წლის ივნისს მიაღწია, როდესაც, ევროკავშირის პროგრამის, „Eunafvor Med Irini“, ფარგლებში (შექმნილი ლიბიაზე იარაღის ემბარგოს უზრუნველყოფისთვის), საბერძნეთის გემებმა გადაწყვიტეს თურქულ სამხედრო გემების მიერ ესკორტირებული ტანზანიური გემის ტვირთი შეემონმებინათ. სამხედრო გემებმა ბერძნებს ამის საშუალება არ მისცეს, მათ შორის ფრანგულ გემსაც,

¹⁹⁸ Al Jazeera. France's Macron slams Turkey's 'criminal' role in Libya. 2020, June 30. [Link](#).

¹⁹⁹ Jana Jabbour. France vs. Turkey in the EastMed A Geopolitical Rivalry between a "Keeper" of the Old Order and a Challenging Emergent Power. Institut français des relations internationales. 2021, May 6. 5-7. [Link](#).

²⁰⁰ DW News. Libya war explained: Key players and affiliations. 2020, January 19. 4:35-5:05. [Link](#).

რასაც კონფრონტაცია მოჰყვა (საფრანგეთის ხელისუფლების ცნობით, თურქული გემები ცეცხლის გასახსნელად იყვნენ მზად).²⁰¹

Irini-ს ოპერაცია თურქეთმა დაგმო, რადგან იგი ცდილობდა მხოლოდ თურქეთის ხელშეშლას, იმ დროს როდესაც სამხედრო ტექნიკის ექსპორტს ლიბიაში რუსეთიც დიდი აქტიურობით ახორციელებდა.²⁰²

მოცემულმა დაპირისპირებამ ფაქტობრივად ჩამოაყალიბა ტენდენციური ნარატივი საფრანგეთ-თურქეთის ურთიერთობისა. აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში გამწვავებულ ვითარებას ემანუელ მაკრონი პასუხობს თურქეთის სანქციების აუცილებლობით. “Pax Mediterranea-ის” (ხმელთაშუა ზღვის ალიანსი) ეგიდის ქვეშ გაერთიანებული საბერძნეთი და კვიპროსი კი ცდილობენ რეგიონში ნატოს სხვა წევრების გადმომხრობას, რაც გამოიწვევს ალიანსში თურქეთის მეტად იზოლირებას.

დამატებით, მოცემული ვითარების (და ამავე პერიოდში დადებული AUKUS ხელშეკრულებიდან საფრანგეთის გამორიცხვის) შედეგია 2021 წლის სექტემბერში პირველი ინტრაორგანიზაციული (ნატოს კონტექსტში) თავდაცვითი ხელშეკრულების დადება საფრანგეთსა და საბერძნეთს შორის (რომელიც ითვალისწინებს 3 ფრანგული ფრეგატისა და Dassault-ის წარმოების 24 საბრძოლო თვითმფრინავის შესყიდვას), რამაც გააქტიურა მაკრონის ხისტი მოწოდებები ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე („არაევროპელებისგან ჩაურევლად“).²⁰³ ხელშეკრულების დადებას დიდი პროტესტი მოჰყვა თურქეთის მხრიდან, რომელიც პაქტს მის წინააღმდეგ ძალების მობილიზებად სახავს.

თურქეთ-რუსეთის ურთიერთობების ტენდენციური ანალიზი

დასავლეთთან ურთიერთობების გამწვავების პარალელურად, თურქეთი მეტად უახლოვდება რუსეთს, რომლის საგარეო პოლიტიკური იმპერატივების განხორციელების პროცესში ნატოს ინტრასუბიექტური ერთობის სისუსტე ხელშემწყობ ელემენტს წარმოადგენს.

ისტორიული რაკურსით, ერდოღანის ხელისუფლებას ურთიერთობების პოზიტიური დინამიკა ჰქონდა რუსეთთან. გამონაკლისად ჩაითვლება 2015 წლის 24 ნოემბერს სირიის საზღვართან თურქეთის საჰაერო ძალების მიერ ჩამოგდებული რუსული საბრძოლო


²⁰¹ Heather A. Conley & Rachel Ellehuus. How NATO Can Avoid a Strategic Decoupling in the Eastern Mediterranean. CSIS. 2020, July 17. [Link](#).

²⁰² Ibid.

²⁰³ John Irish. Macron tells Europe to 'stop being naive' after France signs defence deal with Greece. Reuters. 2021, September 28. [Link](#).

თვითმფრინავი. დიპლომატიურ კრიზისის გაჩენას მალევე მოჰყვა მოსკოვის მიერ დაწესებული სანქციები და ემბარგო თურქული პროდუქციის იმპორტზე. მეტიც, თურქეთის მოქალაქეებს აკრძალათ სამშენებლო და ტურისტულ სექტორებში დასაქმება. ამ შეზღუდვებმა თურქეთს დიდი ზიანი მიაყენა, თუმცა 2017 წლიდან ურთიერთობების დათბობის პროცესი დაიწყო, რუსეთმა დაწესებული სანქციები გააუქმა და თურქეთთან დაიწყო მოლაპარაკებები სირიის ომის რეზოლუციისთვის.²⁰⁴

დიაგ. 4. თურქეთის იმპორტი და ექსპორტი რუსეთში, 2011-2020 წწ.²⁰⁵



რუსეთთან დაახლოებას ერდოლანი ზემოქმედების ბერკეტად იყენებს დასავლეთზე და ამით ცდილობს დიდ ძალებზე დამოკიდებულების შესუსტებას. ერდოლანის აღქმით, რუსული წარმოების თავდაცვითი სისტემების, S-400-ების, შეძენა და სამხედრო წარმოების ზრდა მას აძლევს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობას. იმისდა მიუხედავად, რომ ანკარა რეგიონში არსებულ მრავალ ინტერესტთა კონფლიქტში მოსკოვის საწინააღმდეგო მხარეს დგას (შავი ზღვა, სირია და

²⁰⁴ BBC. Russia lifts sanctions on Turkish food in diplomatic thaw. 2017, June 2. [Link](#).

²⁰⁵ მონაცემები ხელმისაწვდომია: [ბმული](#)

ა.შ.), ამერიკის მიერ ხმელთაშუა ზღვაში გაჩენილი ძალის ვაკუუმი ქმნის შეზღუდული თანამშრომლობის შესაძლებლობას.²⁰⁶

ტაქტიკური მოკავშირეობის შესაძლებლობის არსებობის მიუხედავად, ბოლო პერიოდში უკრაინაში განვითარებული მოვლენები „იმედის მომცემი“ პროგნოზის (ამ მოკავშირეობისთვის) გაკეთების საშუალებას არ იძლევა. თურქეთი და უკრაინა ერთმანეთთან მტკიცედ თანამშრომლობენ და ამ ურთიერთობის ცენტრალური ელემენტია თურქული წარმოების უპილოტო საფრენი აპარატის, „Bayraktar TB2“, კიევის მიერ შესყიდვა. ბოლო პერიოდში ვითარების ესკალაციის საპასუხოდ, უკრაინამ დაიწყო ამ აპარატების გამოყენება სეპარატისტების წინააღმდეგ, რაც მათი სტრატეგიული მნიშვნელობისა და ეფექტურობის გათვალისწინებით, რუსეთისთვის ქმნის საფრთხეს რეგიონში ძალთა ბალანსის გადანაწილებისა.

დიმიტრი პესკოვის 27 ოქტომბრის განცხადებით, მიმდინარე სამხედრო ვაჭრობა ანკარასა და კიევს შორის ქმნის აღმოსავლეთ უკრაინაში ვითარების დესტაბილიზაციის საფრთხეს.²⁰⁷

თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობების ტენდენციური ანალიზი

თურქეთსა და აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორობის საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვთ. წლების განმავლობაში თურქეთი ამერიკისთვის წარმოადგენდა ერთგვარ პლაცდარმს, საიდანაც ახლო აღმოსავლეთში ამერიკული ინტერესების უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხდებოდა შესაძლებელი (ერაყში შესაჭრელად და რეგიონში დაგეგმილი სხვადასხვა ოპერაციებისთვის გამოიყენებოდა თურქეთის ტერიტორიაზე განლაგებული ამერიკული ბაზები (ინჯირლიქის სამხედრო-საჰაერო ბაზა), თურქეთის სამხედრო ინფრასტრუქტურა და ა.შ.). თუმცა ხელისუფლებაში „სამართლიანობისა და აღორძინების პარტიის“ მოსვლისა და ანკარის მიერ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების შემდეგ არსებული პარტნიორობის „ბუნება“ დიდად შეიცვალა.

თურქეთის ხელისუფლება აანალიზებს, რომ რეგიონიდან ამერიკის გასვლის პარალელურად, იქმნება ხელშემწყობი გარემო რუსეთის, ირანისა და არაბული სახელმწიფოების გავლენის სფეროს გასაფართოებლად, რასაც მხოლოდ თურქეთი ვერ დააბალანსებს. შესაბამისად, თურქეთის ამბიცია გახდეს რეგიონული ძალა გადის არა თუ ამ სახელმწიფოებისთვის წინააღმდეგობის განწევაზე, არამედ მათთან საერთო ენის გამონახვაზე.²⁰⁸

²⁰⁶ Heather A. Conley. U.S.-Russia Relations at a Crossroads. CSIS. 2020, October 29. [Link](#).

²⁰⁷ RFE/RL. Ukraine Uses Turkish Drone Against Russia-Backed Separatists For First Time. 2021, October 27. [Link](#).

²⁰⁸ ირინა არაბიძე. ამერიკა-თურქეთის კრიზისი: რა გავლენა აქვს საქართველოზე ორ ქვეყანას შორის დაპირისპირებას? ტაბულა. 2019, 30 ნოემბერი. [ბმული](#).

აქედან გამომდინარე, თურქეთის სწრაფვა რეგიონული ძლიერებისკენ გულისხმობს რეგიონში ამერიკული ინტერესების წინააღმდეგ წასვლას, რაც აქტორებს შორის ურთიერთობებს აუარესებს.

კერძოდ, ამერიკა-თურქეთს შორის ურთიერთობების გაუარესების სამი მთავარი მიზეზის გამოყოფაა შესაძლებელი:

1. 2016 წლის 15 ივლისის სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობაში ბრალდებული ისლამისტი სასულიერო ლიდერი ფეთულაჰ გულენი წლებია, რაც ამერიკაში ცხოვრობს. მრავალი მიმართვის მიუხედავად, მის ექსტრადირებაზე ვაშინგტონი უარს ამბობს.²⁰⁹

მეორე მხრივ, ამავე გადატრიალების მოწყობის ხელშეწყობაში თურქმა ძალოვნებმა დააკავეს ამერიკელი მოქალაქე, პასტორი ენდრიუ ბრანსონი, რასაც თურქეთის შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებზე სანქციების დადება მოჰყვა. ბრანსონის პარალელურად, დაპატიმრებულები იყვნენ აშშ-ის საელჩოს თურქი თანამშრომლები, რასაც ამერიკის მხრიდან დიდი პროტესტი მოჰყვა (დაკავებები შეფასდა „პოლიტიკურად მოტივირებულ“ ქმედებებად). საბოლოოდ, 2018 წელს თურქეთმა თანხმობა განაცხადა ბრანსონის ექსტრადირებაზე.²¹⁰

2. დაკავებების მიღმა უნდა აღინიშნოს აშშ-ის თანამშრომლობა ქურთებთან „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ. ამერიკა წლების განმავლობაში იარაღით ამარაგებდა „სახალხო დაცვის ნაწილებს“ (YPG), დაჭგუფებას, რომელიც თურქეთის მიერ ტერორისტულ ორგანიზაციადაა შერაცხული. ანკარაში დიდ უკმაყოფილებას გამოხატავენ დასავლეთის მიერ ქურთებისთვის გამოცხადებული მხარდაჭერის გამო, რადგან ამ ორგანიზაციის გაძლიერება თურქეთის შიდა პოლიტიკურ სტაბილურობას პოტენციურ საფრთხეს უქმნის. ამ საფრთხის ნეიტრალიზებისთვის 2019 წლის ოქტომბერს თურქეთმა შეტევითი ოპერაციები წამოიწყო სირიაში „სახალხო დაცვის ნაწილების“ წინააღმდეგ (ტრამპის მიერ ამერიკელი ჯარისკაცების სირიიდან გამოყვანის შემდეგ), რაც აშშ-ის მიერ სანქციების დაწესებისა და ერდოღანის ვაშინგტონში ოფიციალური ვიზიტის შემდეგ შეწყდა.

3. მესამე მიზეზი შეეხება 2017 წელს თურქეთის მიერ რუსეთთან გაფორმებულ მრავალმილიარდიან ხელშეკრულებას რუსული წარმოების საჰაერო თავდაცვითი სისტემის, S-400-ის, შეძენასთან დაკავშირებით. დასავლეთი ამ სისტემის შესყიდვას რამდენიმე მიზეზის გამო აპროტესტებს:

²⁰⁹ ზურაბ ბატიაშვილი. აშშ-თურქეთის დაძაბული ურთიერთობები და მისი შესაძლო გავლენა რეგიონულ უსაფრთხოებაზე. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. 2019. 3. [ბმული](#).
²¹⁰ Eric Tucker. US Pastor Detained in Turkey may soon be released. AP News. 2018, October 12. [Link](#).

- S-400 სისტემის ნატოს სამხედრო დანაყოფებთან შეუთავსებლობა. ნატოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ძალებს შორის კოოპერირების სიმარტივის ხარისხის უზრუნველყოფა. რუსული თავდაცვითი სისტემის შესყიდვა კი დიდად ასუსტებს ნატოს უნარს დააორგანიზოს ძალები სხვადასხვა ოპერაციების ჩასატარებლად;²¹¹
- ვაშინგტონის თქმით, ამ ბატარეების შესყიდვა რუსეთის მიერ ამერიკისა და ნატოს შეიარაღების შესახებ ინფრომაციის მოპოვების საფრთხეს ქმნის;
- მრავალ მილიარდიანი კონტრაქტის დადება რუსეთის სამხედრო ინდუსტრიის განვითარებას უწყობს ხელს.²¹²

პროტესტის მიუხედავად, თურქეთმა არ გააუქმა კონტრაქტი. შედეგად, ამერიკამ 2019 წლის ივლისს „F-35-ის პროგრამიდან“ ამოიღო თურქეთი და, 2017 წელს მიღებული „ამერიკის მოწინააღმდეგეებისთვის სანქციების შესახებ არსებული კანონის“ (Countering America’s Adversaries Through Sanctions Act - CAATSA) ფარგლებში, 2020 წლის დეკემბერს თურქეთზე დააწესა სანქციების მორიგი პაკეტი. ამ კანონით სანქცირება ამერიკის მოწინააღმდეგის სტატუსი შესძინა თურქეთს, რამაც ანკარაში დიდი აღშფოთება გამოიწვია.

„ჩვენ უარვყოფთ თურქეთის - ნატოს მოკავშირისა და აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორის - მოწინააღმდეგედ წოდებას. როგორაა ეს შესაძლებელი?“, - განაცხადა თურქეთის თავდაცვის მინისტრმა, ჰულუსი აკარმა.²¹³

თურქეთის ადგილი ნატოს მომავალში

არსებული მდგომარეობისა და რთული ურთიერთობების გამომწვევი მიზეზების შესწავლის შემდეგ, საჭიროა, განვიხილოთ, თუ რა როლს ითამაშებს თურქეთი ნატოს უსაფრთხოებაში. მრავალი ანალიტიკოსი სპეკულირებს, რომ დასავლეთთან გამწვავებული ურთიერთობები, შიდასახელმწიფოებრივ დონეზე დემოკრატიული ღირებულებების შესუსტებასთან ერთად, ქმნის თურქეთის ალიანსიდან იზოლირების საფუძველს. თუმცა, გეოპოლიტიკურ პერიპეტიებზე დაკვირვებით მსგავსის თქმა არამართებული იქნება, რამეთუ შავ ზღვაში ნატოს წარმომადგენლობის სიძლიერე

²¹¹ Tim Lister. Turkey bought Russian S-400 missiles designed to down NATO planes. For the US, that's a problem. CNN. 2019, July 13. [Link](#).

²¹² Umut Uras. Analysis: Turkey's new S-400 proposal offers olive branch to US. Al Jazeera. 2021, February 10. [Link](#).

²¹³ Ibid.

პირდაპირ კავშირშია თურქეთთან, რომელსაც თავისთავად არ გააჩნია ევროპის „ალტერნატივა“.

ტრადიციულად, თურქეთი შავ ზღვაში დასავლეთის დიდი წარმომადგენლობის წინააღმდეგი იყო. ამაზე მიუთითებს, თუნდაც, 1936 წელს მიღებული მონტროს კონვენცია და წარსულში თურქეთის მიერ ამ კონვენციით მინიჭებული უფლებების აქტიური გამოყენება.²¹⁴ თუმცა, რეგიონში რუსეთის მზარდი წარმომადგენლობის გათვალისწინებით, თურქეთი თანდათანობით იცვლის პოზიციას.

2016 წლის მაისში სტამბულში ჩატარებული „ბალკანეთის უსაფრთხოების კონფერენციაზე“ ერდოღანმა განაცხადა: „ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ ჩვენი კოორდინაცია და თანამშრომლობა შავ ზღვაში... მე ვუთხარი ნატოს გენერალურ მდივანს, რომ ორგანიზაცია არაა წარმოდგენილი შავ ზღვაში და ამიტომაც გადაიქცა იგი თითქმის რუსეთის ტბად.“²¹⁵

ცვალებად დამოკიდებულებაზე მიუთითებს 2021 წლის ივნისს გახსნილი სტამბულის არხის პროექტიც, რომელიც ბოსფორის სრუტის შემოვლით ფუნქციას შეასრულებს. იმისდა მიუხედავად, რომ სტამბულის არხზე არ გავრცელდება მონტროს კონვენცია, არხის დაგეგმილი სიღრმე (სულ რაღაც 21 მეტრი) დამაბრკოლებელი ფაქტორია შავ ზღვაში ნატოს სამხედრო წარმომადგენლობის გასაძლიერებლად. თუმცა, არხმა შესაძლოა გააჩინოს მონტროს კონვენციის გადახედვის საჭიროება (რამეთუ სტამბულის არხით სარგებლობა იქნება ფასიანი, რაც მის ეკონომიკურ სარგებლიანობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს იმ დროს, როდესაც ბოსფორის სრუტით სარგებლობა უფასოა), რაც იქნება შავ ზღვაში ძალთა ბალანსის შეცვლისკენ გადადგმული ფუნდამენტური ნაბიჯი.²¹⁶

თურქეთის სამომავლო როლზე სპეკულირება დამატებით შეგვიძლია ბელარუსში მიმდინარე მოვლენებზე დაკვირვებით. არსებულ მიგრანტთა კრიზისს და ლუკაშენკოს მიერ იმიგრანტთა პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებას (ევროკავშირის სანქციების გაუქმება) ბელარუს-პოლონეთის საზღვარზე დიდი დაძაბულობა მოჰყვა - პოლონეთის, ლიეტუვის არმიების მობილიზება და რუსეთ-ბელარუსის ერთობლივი საჰაერო წვრთნების ჩატარება (რუსეთის მხრიდან მონაწილეობდა ორი ბომბდამშენი).²¹⁷ კრიზისის მასშტაბის შესამცირებლად თურქეთმა სირიის, ერაყისა და იემენის მოქალაქეებისთვის მინსკის

²¹⁴ ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, როდესაც თურქეთმა უარი თქვა ჰუმანიტარული რესურსებით დატვირთული ამერიკული გემების გატარებაზე კონვენციასთან შეუსაბამო ტონაჟის მიზეზით.

²¹⁵ Joshua Kucera. Erdogan, In Plea To NATO, Says Black Sea Has Become "Russian Lake". Eurasianet. 2016, May 12. [Link.](#)

²¹⁶ გიორგი წიქარიშვილი. შავი ზღვის გეოპოლიტიკა და სტამბოლის არხი – დამოკლეს მახვილი მონტროს კონვენციის თავზე. ტაბულა. 2021, 9 ივნისი. [ბმული.](#)

²¹⁷ Vladimir Isachenkov. Russia sends nuclear-capable bombers on patrol over Belarus. AP News. 2021, November 12. [Link.](#)

მიმართულებით ფრენა აკრძალა, რასაც ბრიუსელიდან პოზიტიური განცხადებები მოჰყვა.²¹⁸

ნატოს სამომავლო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანია თურქეთის მიერ უკრაინისთვის განეული დახმარებაც. აქტორებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაზე მეტყველებს ოქტომბერში დადებული ხელშეკრულება, რომელიც მიზნად ისახავს “Bayraktar TB2”-ის უკრაინაში წარმოებას.²¹⁹

საერთაშორისო ასპექტების მიღმა, უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის სამომავლო განვითარება მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ევროპასთან ურთიერთობის „ბუნებაზე.“ 31 აგვისტოდან მოყოლებული თურქული ლირა 44.1%-ით გაუფასურდა, რომლის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზიც ქვეყნიდან დასავლური ინვესტიციების გადინებაა.²²⁰ შესაბამისად, ერდოღანის ადმინისტრაცია აანალიზებს, რომ ევროპას ზურგს ვერ შეაქცევს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგად მოიმკის ეკონომიკურ სტაგნაციას, გაუარესებულ სოციალურ პრობლემებს (რომელთაც მეტად ამძიმებს 5 მილიონი მიგრანტი), საზოგადოებაში მხარდაჭერის შემცირებასა და არჩევნებში წაგებას.

დასკვნა

ამრიგად, თურქეთის სწრაფვას დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოებისკენ მივყვავართ ხმელთაშუა ზღვისპირეთში მდგომარეობის გამწვავებასთან. დაპირისპირება საბერძნეთთან, მაკრონის ხისტი რიტორიკა, თურქეთის “Gunboat Diplomacy”, ლიბიაში განვითარებული მოვლენები, ენერგორესურსების აღმოჩენა ქმნის საშიშროებას ვითარების უკონტროლო ესკალაციისა.

ყოველივე ეს კი წარმოადგენს ამერიკის რეგიონიდან „გასვლის“ ბუნებრივ შედეგს. ხმელთაშუა ზღვაზე ფოკუსის შემცირებით სხვადასხვა სახელმწიფოები ცდილობენ ძალის ვაკუუმის შევსებასა და ძალთა ბალანსის შეცვლას მათთა სასარგებლოდ.

ამ აქტორებს განეკუთვნება თურქეთიც, რომლის გამწვავებული ურთიერთობები დასავლეთთან არ შეიძლება მივიჩნიოთ ნატოდან გამოსვლის საფუძვლად. როგორც ერთმა რუსმა დიპლომატმა აღნიშნა, „რუსეთის ინტერესებს ის უფრო ემსახურება, რომ

²¹⁸ Robin Emmott and Tuvan Gumrukcu. Turkey curbs flights to Belarus to ease migrant crisis. Reuters. 2021, November 13. [Link](#).

²¹⁹ Dorian Jones. Russia Warns Turkey After Ukraine Drone Strike. Voice of America. 2021, October 28. [Link](#).

²²⁰ ზურაბ ბატიაშვილი. რატომ უფასურდება თურქული ლირა? საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. თბილისი. 2021. [ბმული](#).

შეურაცხყოფილი თურქეთი ნატოს შიგნით დარჩეს და ალიანსის შესაძლებლობებს ზიანი მიაყენოს.²²¹

სწორედ, ესაა ხმელთაშუა ზღვისპირეთში არსებული დაძაბულობის უმთავრესი საფრთხე - განსხვავებული აღქმების ჩამოყალიბება საფრთხეთა კოლექტიურ აღქმაზე, რეაგირების მექანიზმების შესუსტება და გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმის დროში გახანგრძლივება.

თუმცა, ამ საფრთხეების მიუხედავად, „ევროპასთან“ დაპირისპირებული აქტორების ხისტი ქმედებები (რუსეთის აგრესია უკრაინის წინააღმდეგ, ბელარუსის მიერ გამოწვეული მიგრანტთა კრიზისი და ა.შ.) კვლავ ინარჩუნებენ ალიანსის წევრებს შორის გამაერთიანებლის ფუნქციას, ანუ მზარდი საფრთხის სახეს, რაც ქმნის შესაძლებლობას ნატოს ერთობის ხელახალი განმტკიცებისა. ამ მხრივ, მოსალოდნელია რეგიონში ევროპული ალიანსის მეტად გააქტიურება და ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებს შორის ოქროს შუალედის გამოძებნა („ენერგოფორუმში“ თურქეთის ჩართვა თუ სხვ.).

ნატოს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დიდ როლს თამაშობს თურქეთი (ზემოხსენებული რუსი დიპლომატის ხედვის საწინააღმდეგოდ), რომლის სამხედრო-თავდაცვითი განვითარება და გეოგრაფიული მდებარეობა ქმნის ერთგვარ ბასტიონს მზარდ რეგიონულ პრობლემებთან დასაპირისპირებლად. მაგალითისთვის, დასავლეთსა და რუსეთს შორის არსებული დაძაბულობის გაღრმავების გათვალისწინებით, თურქეთი წარმოადგენს ნატოს აღმოსავლეთ ფლანგის უმნიშვნელოვანეს დასაყრდენს, რაზედაც მეტყველებს მისი სამხედრო ძალების სიდიდე (ნატოს წევრებს შორის სიდიდით მეორე), პოლონეთ-უკრაინისთვის მიყიდული უპილოტო საფრენი აპარატები (ე.ი. უნარი აამაღლოს აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების სამხედრო მზადყოფნა და სიძლიერე) და მონტროს კონვენციის გადახედვის მოახლოებული საჭიროება (რომლის ინიცირების შემთხვევაში ევროპული ძალები აქტიურ მედიაციას გაუწევენ ნატოს საზღვაო ძალებს მიიღონ მეტი თავისუფლება შავ ზღვაში პატრულირებისას, რაზედაც დასაშვებია მოველოდოთ თურქეთის თანხმობას აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში წარმატებული მედიაციის შემთხვევაში). მოცემული მიზეზების გამო, თურქეთის წევრობა ნატოში საკმაოდ მტკიცეა და საგრძნობ სამომავლო პერსპექტივაში მას საფრთხე არ ემუქრება.

²²¹ ირინა არაბიძე. ამერიკა-თურქეთის კრიზისი: რა გავლენა აქვს საქართველოზე ორ ქვეყანას შორის დაპირისპირებას? ტაბულა. 2019, 30 ნოემბერი. [ბმული](#).

ბიბლიოგრაფია

- არაბიძე, ირინა. ამერიკა-თურქეთის კრიზისი: რა გავლენა აქვს საქართველოზე ორ ქვეყანას შორის დაპირისპირებას? ტაბულა. 2019, 30 ნოემბერი. [ბმული \(16.12.2021\)](#);
- ბატიაშვილი, ზურაბ. აშშ-თურქეთის დაძაბული ურთიერთობები და მისი შესაძლო გავლენა რეგიონულ უსაფრთხოებაზე. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. 2019. [ბმული \(16.12.2021\)](#);
- ბატიაშვილი, ზურაბ. რატომ უფასურდება თურქული ლირა? საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. თბილისი. 2021. [ბმული \(16.12.2021\)](#);
- მარგველაშვილი, ზაალ. ხმელთაშუა და შავი ზღვების ენერგეტიკული რესურსები და საერთაშორისო თანამშრომლობა მათი მოძიებისა და მოპოვების საკითხებში. დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი. თბილისი. 2020, აგვისტო. [ბმული \(16.12.2021\)](#);
- წიქარიშვილი, გიორგი. შავი ზღვის გეოპოლიტიკა და სტამბოლის არხი – დამოკლეს მახვილი მონტროს კონვენციის თავზე. ტაბულა. 2021, 9 ივნისი. [ბმული \(16.12.2021\)](#);
- Al Jazeera. France's Macron slams Turkey's 'criminal' role in Libya. 2020, June 30. [Link \(16.12.2021\)](#);
- Al Jazeera. Turkish navy orders Israeli ship out of Cyprus's waters. 2019, December, 15. [Link \(16.12.2021\)](#);
- Alterman, Jon. Erdogan's Middle East Policy, Guest: Ambassador James Jeffrey. Center for Strategic and International Studies. 2021, February 22. [Link \(16.12.2021\)](#);
- BBC. Russia lifts sanctions on Turkish food in diplomatic thaw. 2017, June 2. [Link \(16.12.2021\)](#);
- Conley, Heather A. U.S.-Russia Relations at a Crossroads. CSIS. 2020, October 29. [Link](#).
- Conley, Heather A., and Rachel Ellehuus. How NATO Can Avoid a Strategic Decoupling in the Eastern Mediterranean. CSIS. 2020, July 17. [Link \(16.12.2021\)](#);
- DW News. Libya war explained: Key players and affiliations. 2020, January 19. [Link \(16.12.2021\)](#);
- Emmott, Robin, and Tuvan Gumrukcu. Turkey curbs flights to Belarus to ease migrant crisis. Reuters. 2021, November 13. [Link \(16.12.2021\)](#);
- Energy Market Regulatory Authority. Natural Gas Market 2018 Sector Report. Ankara. 2019. [Link \(16.12.2021\)](#);
- Garamone, Jim. New Threats to NATO Demand Old Solution: Unity, Stoltenberg Says. U.S. Department of Defense. 2021, October 5. [Link \(16.12.2021\)](#);
- International Crisis Group. Turkey-Greece: From Maritime Brinkmanship to Dialogue. Europe Report N°263. Brussels. 2021, May 31. [Link \(16.12.2021\)](#);
- Irish, John. Macron tells Europe to 'stop being naive' after France signs defence deal with Greece. Reuters. 2021, September 28. [Link \(16.12.2021\)](#);
- Isachenkov, Vladimir. Russia sends nuclear-capable bombers on patrol over Belarus. AP News. 2021, November 12. [Link \(16.12.2021\)](#);
- Jabbour, Jana. France vs. Turkey in the EastMed A Geopolitical Rivalry between a "Keeper" of the Old Order and a Challenging Emergent Power. Institut français des relations internationales. 2021, May 6. [Link \(16.12.2021\)](#);

- Jones, Dorian. Russia Warns Turkey After Ukraine Drone Strike. Voice of America. 2021, October 28. [Link \(16.12.2021\);](#)
- Kambas, Michele. Standoff in high seas as Cyprus says Turkey blocks gas drill ship. Reuters. 2018, February 11. [Link \(16.12.2021\);](#)
- Kraemer, Richard. Diversify and expand: Turkey's drive towards natural gas security. MEI. 2020 April 16. [Link \(16.12.2021\);](#)
- Krastev, Ivan, and Mark Leonard. The Crisis of American Power: How Europeans see Biden's America. European Council on Foreign Relations. 2021, January. [Link \(16.12.2021\);](#)
- Kucera, Joshua. Erdogan, In Plea To NATO, Says Black Sea Has Become "Russian Lake". Eurasianet. 2016, May 12. [Link \(16.12.2021\);](#)
- Lister, Tim. Turkey bought Russian S-400 missiles designed to down NATO planes. For the US, that's a problem. CNN. 2019, July 13. [Link \(16.12.2021\);](#)
- RFE/RL. Ukraine Uses Turkish Drone Against Russia-Backed Separatists For First Time. 2021, October 27. [Link \(16.12.2021\);](#)
- Runge Olesen, Mikkel. Donald Trump and the battle of the two percent. Danish Institute for International Studies. 2020, October 20. [Link \(16.12.2021\);](#)
- The Economist. Emmanuel Macron warns Europe: NATO is becoming brain-dead. 2019, November 7. [Link \(16.12.2021\);](#)
- TRTWorld. Turkey kicks off largest military exercise. 2019, May 13. [Link \(16.12.2021\);](#)
- Tucker, Eric. US Pastor Detained in Turkey may soon be released. AP News. 2018, October 12. [Link \(16.12.2021\);](#)
- Uras, Umut. Analysis: Turkey's new S-400 proposal offers olive branch to US. Al Jazeera. 2021, February 10. [Link \(16.12.2021\).](#)



Embassy
of the Republic of Poland
in Tbilisi

NATO
Contact Point Embassy



ევროკავშირის უსაფრთხოება: ნატოსთან ერთად თუ ნატოს გარეშე?

სოსო ჩაჩანიძე



ევროკავშირის უსაფრთხოება: ნატოსთან ერთად თუ ნატოს გარეშე?

ისტორიული კონტექსტი

ევროკავშირი დღემდე რჩება ოდესღაც დაპირისპირებულ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობისა და მშვიდობის დამყარების ერთ-ერთ საუკეთესო მოდელად მსოფლიოში. უკანასკნელი შვიდი ათწლეულის განმავლობაში ამ ორგანიზაციამ წევრებს შორის ინტეგრაციისა და კონტინენტის სოციო-ეკონომიკური გაერთიანების თუ განვითარების ბევრისთვის წარმოუდგენელ დონეს მიაღწია. მიუხედავად ყოვლის-მომცველი ბუნების, მრავალშრიანი ორგანიზაციული სტრუქტურის და პრინციპულ საკითხებზე კონსენსუსის მიღწევის დიდხნიანი გამოცდილებისა, უსაფრთხოება დღემდე იმ მცირე სფეროთაგანია, რომლებშიც ევროკავშირის სამოქმედო მექანიზმი შედარებით სუსტია.

უკვე დიდი ხანია არსებობს მოსაზრება, რომ ევროკავშირი საკმარისად მდგრადი და გამოცდილი ორგანიზაციაა იმისთვის, რომ საკუთარი, სრულყოფილი თავდაცვითი სისტემა შექმნას. თავის მხრივ, ეს ნიშნავს მეორე, აშშ-ის ლიდერობით შექმნილი კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაციის, ნატოს, როლის შემცირებას ევროპის უსაფრთხოებაში. ეს მოსაზრება აქტუალური გახდა ცივი ომის შემდგომი პერიოდიდან, მას შემდეგ, რაც, ბევრის აზრით, ნატომ საკუთარი მისია შეასრულა და ფუნქცია დაკარგა. თუმცა, ალიანსმა მეტწილად მოახერხა საკუთარი მიზნებისა და სტრუქტურის უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევებზე მორგება და გაფართოებაც კი. რაც უფრო მნიშვნელოვანია, მცდელობების მიუხედავად, ევროკავშირმა ვერ შეძლო სრულყოფილი თავდაცვის მექანიზმის შემუშავება, რომელშიც ყველა წევრი სახელმწიფოს ინტერესები და შესაძლებლობები იქნებოდა ინტეგრირებული. რიგ მიზეზთა გამო, დღესაც აქტუალურ კითხვად რჩება, რამდენად რეალურია ნატოს გარეშე ევროკავშირისთვის საკუთარი უსაფრთხოების მექანიზმის შექმნის პერსპექტივა.

ცივი ომის დასრულების შემდეგ ევროკავშირის თავდაცვითი დამოუკიდებლობის საკითხის გააქტიურება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. ერთ-ერთი მათგანია უსაფრთხოების, როგორც კონცეფციის, ცვლილება და გაფართოება. თუ ტრადიციულად უსაფრთხოება უდიდესწილად სამხედრო რესურსისა და გამართული, მრავალრიცხოვანი არმიის ყოლას გულისხმობდა, თანამედროვე გაგებით ის ბევრად უფრო კომპლექსურია.

„რბილი ძალის“ ერაში ის, ასევე, მოიცავს ეკონომიკურ ბერკეტებს, კიბერუსაფრთხოებას, დეზინფორმაციასთან ბრძოლას და ფაქტორებს, რომლებთან სანინააღმდეგოდ, ან რომლის სათავისოდ გამოსაყენებლადაც ევროკავშირი საკმაოდ კარგად აღჭურვილია.²²² მეორე მხრივ, ნატო თავისი არსით პირველ რიგში სამხედრო ორგანიზაციაა, რომელიც საუკუნის დასაწყისისთვის უსაფრთხოების ტრადიციულ კონცეფციებზე უფრო იყო მორგებული. 2001 წლის 9 სექტემბრის ტერორისტულმა თავდასხმამ ცხადად გამოაჩინა ომის ახალი ფორმის ბუნება და თავდაცვის კონცეფციის გადააზრების აუცილებლობა, ისევე როგორც მასზე მორგების საჭიროება.²²³

21-ე საუკუნის დასაწყისისთვის ნატოსა და ევროკავშირისთვის ცხადი გახდა როგორც საკუთარი თავდაცვითი მექანიზმების გაძლიერების, ისე ახალ, არასახელმწიფოებრივ საფრთხეებთან ერთობლივად ბრძოლის მიზნით კოოპერაციის აუცილებლობა. სწორედ ამის შედეგი იყო 2002 წელს ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის შესახებ დეკლარაციის გაფორმება, რაც პირველი ფორმალური თანამშრომლობა იყო ამ ორ ორგანიზაციას შორის. დღეისათვის, როგორც ნატო განმარტავს, ევროკავშირი მასთან მრავალ საერთო ინტერესს იზიარებს და ორგანიზაციები თანამშრომლობენ სწორედ ისეთ საკითხებში, როგორებიცაა შესაძლებლობების განვითარება, კიბერუსაფრთხოება და ჰიბრიდულ საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლა.²²⁴ ისტორიულად, საერთო ინტერესების ერთობლივი ძალისხმევით მიღწევის ყველაზე კარგ გამოვლინებად შეგვიძლია მივიჩნიოთ აშშ-ისა და ევროკავშირის დახმარებით ყოფილი ვარშავის პაქტის წევრი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების ფაქტობრივად ერთდროული ინტეგრაცია ორივე ორგანიზაციაში.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების უსაფრთხოება დიდი ხნის განმავლობაში ეყრდნობოდა, ერთი მხრივ, ნატოს, ხოლო, მეორე მხრივ, ეგრეთ წოდებულ „ანბანის სუპს“: სხვადასხვა სახელისა და ბუნების სექტორულ თუ სტრატეგიულ თანამშრომლობას როგორც ევროკავშირის, ისე მთლიანად კონტინენტის ფარგლებში, რომლებიც საბოლოო ჯამში მყარი უსაფრთხოების მომტანზე მეტად პოლიტიკურ ფორმალობად შეიძლება ჩაგვეთვალა.²²⁵ შესაბამისად, ამ პირობებში ევროპის „უსაფრთხოებითი სუვერენიტეტი“ უფრო მეტად იდუა იყო, ვიდრე რეალობა.

ნატოს ევროპული ალტერნატივით ჩანაცვლების პირველ სერიოზულ მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ მე-20 საუკუნის ბოლოს ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის

²²² Federico Santopinto and Megan Price. National Visions of EU Defence Policy: Common Denominators and Misunderstandings. Centre for European Policy Studies (CEPS), Brussels, 2013.

²²³ Peter van Ham. Politics as Unusual: NATO and the EU after 9-11. Terrorism and Counterterrorism: Insights and Perspectives after September 11. Clingendael Institute, 2001.

²²⁴ NATO. Fact Sheet: NATO – EU Relations. July 2016. [Link](#).

²²⁵ Mathias Jopp and Hanna Ojanen. European Security Integration: Implications for Non-alignment and Alliances. Journal of Baltic Studies, 31, no.1 (2000).

პოლიტიკის (ESDP) შემუშავება. სხვა შეთანხმებებისგან განსხვავებით, ESDP-ს ზურგს უმაგრებდა მეტი ფინანსები, პოლიტიკური კონსენსუსი და შეზღუდული სამხედრო რესურსიც კი. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ასეთ პირობებშიც, არარეალისტურად მიიჩნეოდა ნატოს დაუყოვნებლივ და სრულად ჩანაცვლება ევროპული სტრუქტურით, თუნდაც, თეორიულად, ალიანსის დასუსტების პირობებში. ეს იმით იყო განპირობებული, რომ ნატოს, როგორც უშუალოდ თავდაცვითი ფუნქციის მქონე ორგანიზაციის, გამოცდილება და შესაძლებლობები ბევრად აღემატებოდა ESDP-ის პროექტში გათვალისწინებულ რესურსებს. შესაბამისად, ნატო ამ ეტაპზეც მიიჩნეოდა ევროპის თავდაცვითი ავტონომიის ერთგვარ მედიატორად ან მენტორად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ, საბოლოოდ, ამ სფეროში სრული დამოუკიდებლობა იქნებოდა მიღწეული²²⁶.

ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის (EEAS) კომპეტენციების ფარგლებში, ევროკავშირი დღესაც ახორციელებს სამოქალაქო (მათ შორისაა სადამკვირვებლო მისია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზზე) და, რაც მთავარია, სამხედრო მისიებს საკუთარ საზღვრებს გარეთ.²²⁷ თუმცა, ბუნებრივია, სამშვიდობო და სადამკვირვებლო მისიების ფარგლებში სამოქალაქო ან სამხედრო წარმომადგენლობის ყოლა არ ნიშნავს ევროკავშირის ტერიტორიაზე იმავე სახის უსაფრთხოებისა და კოლექტიური თავდაცვის გარანტიების ქონას, რასაც ნატოს ხელშეკრულების მეხუთე პუნქტი გულისხმობს.

ნატო-ევროკავშირის მიმდინარე ურთიერთობები

თეორიულად, ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთობა ორივე ორგანიზაციისთვის დიდი ბენეფიტების მომტანი უნდა იყოს, რადგან მათი რესურსების კომბინირება იდეალურ პასუხს ქმნის ჰიბრიდულ გამოწვევებთან გასამკლავებლად. როგორც ნატოს მიმოხილვაშია განმარტებული, კრიზისების მართვის „ყოვლისმომცველი მიდგომა“ სწორედ სამხედრო და სამოქალაქო ბერკეტების ერთობლივ მოქმედებას გულისხმობს. ე.წ. „ბერლინ პლუსის“ შეთანხმების ფარგლებში კი ევროკავშირს შეუძლია გამოიყენოს ნატოს რესურსები იმ ოპერაციებში, რომლებშიც უშუალოდ ალიანსი არ მონაწილეობს.

თეორიული თავსებადობის მიუხედავად, ნატოსა და ევროკავშირის ორგანიზაციულ დონეზე კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობას რამდენიმე ფაქტორი უშლის ხელს. ერთ-ერთი ასეთია ნატოს ზოგადი ურთიერთობა სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებთან. საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის პროცესში ახალი მოკავშირეების ყოლა ნატოს

²²⁶ Jeffery A. Wormington. NATO/EU Relations: The Changing Institutional Landscape. Central European University, Budapest, 2004.

²²⁷ European External Action Service. Military and civilian missions and operations. March 2019. [Link](#).

პოლიტიკის დიდი ნაწილი გახდა. 2010 წლის სტრატეგიის თანახმად, „კოოპერატიული თავდაცვის“ განვითარება ალიანსის სამ უმთავრეს მიზანს შორის შედიოდა. ამ კონცეფციის ფარგლებში ნატომ რამდენიმე რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციასთან დაამყარა ფორმალური კავშირი. თუმცა, როგორც ზოგადად, ისე კონკრეტულად ევროკავშირის შემთხვევაში პრობლემა ის იყო, რომ რამდენიმე შეთანხმებისა და იმედისმომცემი დასაწყისის შემდეგ, თანამშრომლობა უმეტესწილად ფორმალურ დონეზე გაგრძელდა და პრაქტიკული სარგებელი უფრო და უფრო შემცირდა²²⁸. ეს იმის მიუხედავად, რომ დღეისათვის ამ ორ ორგანიზაციას 21 საერთო წევრი ჰყავს.

ბუნებრივია, ევროკავშირსა და ნატოს შორის მოსალოდნელზე ნაკლები პრაქტიკული თანამშრომლობა მხოლოდ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ორგანიზაციული კულტურით არ არის გამოწვეული. ევროკავშირის ის წევრი ქვეყნები, რომლებიც ნატოს წევრები არ არიან ამ შემთხვევაში საკმაო პრობლემას ქმნიან. ეს ან სამხედრო თვალსაზრისით შედარებით ნეიტრალურად დარჩენის სურვილითაა გამოწვეული (მაგალითად, ავსტრია, რომელიც ცივი ომის დროსაც კი ნეიტრალურ, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის „ხიდის მშენებლად“ დარჩა და დღესაც არაა ნატოს წევრი), ან პოლიტიკური პრობლემებით. ამ უკანასკნელის ყველაზე ნათელი მაგალითია კვიპროსი, რომლის ბერძნული წარმომშობის კვიპროსელებით დაკომპლექტებულ მთავრობას არ აღიარებს ნატოს წევრი თურქეთი და უარს ამბობს ყველა ფორმატში თანამშრომლობაზე, სადაც კვიპროსია წარმოდგენილი. თავის მხრივ, ევროკავშირი არ ერთვება მინისტერიალებში, რომლებშიც მისი ყველა წევრი ქვეყანა არ იღებს მონაწილეობას. ასეთი დეტალები, რომლებიც ხელს უშლიან ორ ორგანიზაციას შორის ურთიერთობების გაღრმავებასა და კომპეტენციების გაზიარებას, კიდევ ერთხელ აჩვენებს კითხვას, თუ რამდენად უზრუნველყოფს ნატო ევროკავშირის, როგორც ერთიანი ორგანიზაციის, უსაფრთხოებას.

აშშ-ის როლი

ევროკავშირის უსაფრთხოებითი ავტონომიის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო პერიოდში აშშ-ის ქმედებების ფონზე. თუ ცივი ომის პერიოდში აშშ-ის როლსა და ევროპელი მოკავშირეების დაცვის გარანტიაზე კითხვები ნაკლებად არსებობდა, დღეისათვის ეს სცენარი შეცვლილია. გავრცელებული მოსაზრებით, ბოლო დეკადის განმავლობაში ამერიკა „პასიური ჰეგემონის“ როლს თამაშობს და ცდილობს, ნაკლები

²²⁸ Marten Zwanenburg. What's in a Word: Partnerships Between NATO and Other International Institutions and Some Issues of Shared Responsibility. *International Organizations Law Review*, 13 (2016), 100-125.

რესურსი და ძალისხმევა დახარჯოს გლობალურ სამხედრო ოპერაციებსა თუ პოლიტიკურ საკითხებზე. ამის ნათელი მაგალითი იყო 2011 წლის ნატოს ოპერაცია ლიბიაში, სადაც პირველად გაუღერდა აშშ-ის „უკნიდან ლიდერობის“ (leading from behind) იდეა. ამასთან, უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ შეერთებული შტატების ფოკუსი ინაცვლებს ჩინეთისკენ, რომელიც ამერიკული ჰეგემონიის მთავარ ე.წ. „ჩელენჯერად“ ითვლება. ამას ცხადყოფს ბრიტანეთთან და ავსტრალიასთან ერთად ახლახანს გაფორმებული AUKUS შეთანხმებაც, რომლის თანახმადაც, აშშ და დიდი ბრიტანეთი დაეხმარებიან ავსტრალიას ატომური წყალქვეშა ნავების შექმნაში. გარიგების მიზანი სწორედ რეგიონში ჩინეთის ძალის დაბალანსებაა. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, არც გარიგებაში და არც მოლაპარაკებებში არ მონაწილეობდა ევროკავშირის წევრი საფრანგეთი, რომელმაც ეს მოვლენა პარტნიორების მიერ ღალატად მიიჩნია და ავსტრალიისთვის წყალქვეშა ნავების მიყიდვის კონტრაქტის განყვეტის გარდა, ვაშინგტონიდან ელჩიც კი გაიწვია.²²⁹

აშშ-სა და ნატოს წევრ ევროპულ ქვეყნებს შორის დაძაბულობამ პიკს დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში მიაღწია. ტრამპს მიაჩნდა, რომ ამერიკა ზედმეტად დიდ ფინანსურ თუ ადამიანურ რესურსს ხარჯავდა საერთაშორისო ორგანიზაციების შენახვაზე მაშინ, როდესაც სხვა წევრების კონტრიბუცია ბევრად ნაკლები იყო და ისინი თითქმის უფასო ბენეფიტებს იღებდნენ. ნატოს შემთხვევაში ტრამპი კატეგორიულად მოითხოვდა წევრ ქვეყნებს თავდაცვის ბიუჯეტი მთლიანი შიდა პროდუქტის 2%-მდე გაეზარდათ. შემდგომ, მან 2%-იანი წესის 4%-მდე გაზრდის იდეაც კი გამოთქვა (რეალურად, ეს მარვენებელი თავად აშშ-საც კი არ ჰქონდა).²³⁰ მოგვიანებით, მან, ჯერ ამერიკულ თავდაცვის წრეებში, შემდეგ კი საჯაროდ არაერთხელ განაცხადა, რომ ველარ ხედავდა ნატოს ფუნქციას და ის ქვეყნის ინტერესების შემაფერხებელ ფაქტორად უფრო მიაჩნდა, რომელიც მცირე სარგებლის საპირწონედ, ევროპის დასაცავად ზედმეტად დიდ ამერიკულ რესურსს მოითხოვდა. ტრამპის ეს იდეა აშშ-ის სამხედრო და პოლიტიკურ წრეებში პოტენციურ საუკუნის შეცდომად, ამერიკის ინტერესების უდიდეს ზიანად, 70 წლიანი შრომისა და დახარჯული რესურსების წყალში გადაყრად და რაც მთავარია, რუსეთისთვის გლობალური ამბიციების გაჩენის ხელახალი შანსის მიცემად შეფასდა.²³¹ თავად ევროკავშირში კი, ბუნებრივია, ამ მოვლენას განგაშის ზარის ეფექტი ჰქონდა, რადგან ყოველგვარი ტრანზიციის გარეშე აშშ-ის მიერ ევროპის უსაფრთხოების გარანტიებზე უარის თქმა უდიდეს პოტენციურ საფრთხეს შეიცავდა დესტაბილიზაციისა თუ რუსეთის გაძლიერების რისკის სახით.

²²⁹ BBC. UK, US and Australia launch pact to counter China. September 16, 2021. [Link](#).

²³⁰ CNN. Trump Suggested NATO Countries Double their defense spending goal. July 11, 2018. [Link](#).

²³¹ The New York Times. Trump Discussed Pulling U.S. From NATO, Aides Say Amid New Concerns Over Russia. January 14, 2019. [Link](#).

ჯო ბაიდენის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ კვლავ გაჩნდა იმედი, რომ ევრო-ატლანტიკური ურთიერთობები ძველ ფორმასა და ხარისხს დაუბრუნდებოდა. ეს თავად ბაიდენის საარჩევნო პროგრამის ნაწილიც იყო, რაც შემდგომში მის გამოსვლებში და ნატოს შტაბ-ბინაში ვიზიტით გაგრძელდა, სადაც მან პირობა დადო, რომ აშშ კოლექტიური თავდაცვის პრინციპის ერთგული რჩება.²³² თუმცა, დაპირებების პრაქტიკაში ასახვა ჯერ ისევ პრობლემაა. ამის მაგალითებია ზემოთ ხსენებული AUKUS-ის გადანყვეტილება და ავღანეთიდან ჯარების გაყვანა, რაც, ერთი მხრივ, ამერიკის „ძველი მისიების“ დასრულების სურვილსა და საგარეო სამხედრო კონტინგენტის შემცირების ტენდენციას, მეორე მხრივ, კი ევროპის ტერორიზმის, საიმიგრაციო კრიზისისა და ნარკოტრეფიკის სერიოზულ საფრთხეში ჩაგდებას ნიშნავს.²³³ ევროპელმა ლიდერებმა უარყოფითად შეაფასეს ჯარების გაყვანის პროცესში პარტნიორებთან აშშ-ის კოორდინაციის ხარისხიც, რაც მოკავშირეთა მოქალაქეების სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებად მიიჩნიეს.²³⁴ ამასთან, აშშ-ის შიდა პოლიტიკური განხეთქილებისა და გადანყვეტილებების მიმღებ ორგანოებში მკვეთრი პოლარიზების ფონზე, ჯერ კიდევ ადრეა ბაიდენის ადმინისტრაციის მიერ მოკავშირეობის ძველი ხარისხის აღდგენაზე საუბარი.

დონალდ ტამპის მსგავსი რადიკალური მოსაზრებების გარეშეც, „უკნიდან ლიდერობის“ სტრატეგიის, AUKUS-ის, ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამხედრო კონტინგენტის შემცირების პოლიტიკისა და, რაც მთავარია, ჩინეთთან დაპირისპირებაზე აქცენტირებული საგარეო პოლიტიკის ფონზე, კიდევ უფრო საეჭვო ხდება აშშ-ის როლი ევროკავშირის უსაფრთხოებაში. საფრანგეთის პრეზიდენტმა, ემანუელ მაკრონმა, რომელიც დღესდღეობით ევროპის „სტრატეგიული სუვერენიტეტის“ იდეის მთავარი ინიციატორია, ჯერ კიდევ 2019 წელს განაცხადა, რომ ნატო „ტვინით მკვდარია“ და არ არსებობს იმის გარანტია, რომ საჭიროების შემთხვევაში ამერიკა მე-5 პუნქტის პროტოკოლის შესაბამისად იმოქმედებს. მისი თქმით, ევროკავშირმა უნდა გაიღვიძოს, საკუთარი ბედი თავად განსაზღვროს და იფიქროს, როგორც გეოპოლიტიკურმა ძალამ, რაც, რა თქმა უნდა, უსაფრთხოების საკუთარ თავზე აღებას და ამერიკაზე დამოკიდებულების შემცირებასაც გულისხმობს, რადგან აშშ (უფრო კონკრეტულად, მაშინდელი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი) „არ იზიარებს ევროპული პროექტის იდეას“ და ევროპას „ზურგი აქცია“.²³⁵

²³² Voice of America. Biden to Reassure NATO Allies of US Commitment to Mutual Defense Clause. June 13, 2021. [Link](#).

²³³ European Council on Foreign Relations. The fall of Afghan government and what it means for Europe. August 25, 2021. [Link](#).

²³⁴ BBC. Afghanistan crisis: How Europe's relationship with Joe Biden turned sour. September 3, 2021. [Link](#).

²³⁵ The Economist. Emmanuel Macron warns Europe: NATO is becoming brain-dead. November 7, 2019.

ევროკავშირის შიდა პრობლემები უსაფრთხოების სფეროში

ემანუელ მაკრონის იდეის სიციხადეში მოყვანას რამდენიმე ფაქტორი უდგას წინ. მოქმედი საგარეო ინსტრუმენტი, საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა (CFSP), სხვა სფეროებში არსებული მექანიზმებისგან განსხვავდება არა მხოლოდ შინაარსით, არამედ ლეგალური სტატუსისიტაც კი. არსებული ხელშეკრულებების თანახმად, ევროკავშირს, როგორც ორგანიზაციას, CFSP-სთან მიმართებაში ბევრად ნაკლები კომპეტენცია გააჩნია, ვიდრე სხვა სფეროებში.²³⁶ ის ფაქტი, რომ საერთო საგარეო გადაწყვეტილებების მიღებას 27-ვე წევრის თანხმობა სჭირდება, დიდ პრობლემას წარმოადგენს ევროკავშირის, როგორც გეოპოლიტიკური აქტორის პოზიციონირებისთვის. შესაბამისად, მაშინაც კი, როდესაც ევროკავშირის საგარეო და თავდაცვითი კომპეტენციები შეზღუდულია, არსებული მექანიზმის ეფექტურობის პრობლემას ვაწყდებით. ამ მხრივ, პრობლემაა ისიც, რომ წევრ ქვეყნებს საკუთარი სუვერენიტეტის დიდი ნაწილი ევროკავშირისთვის აქვთ დათმობილი. აქედან გამომდინარე, საგარეო პოლიტიკა, ფაქტობრივად, ბოლო დიდი სფეროა, რომელშიც მათ დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი გააჩნიათ. ეროვნულ ლიდერებს სურთ, საჭიროების შემთხვევაში, ამის ერთგვარ სამანიპულაციო და თუნდაც შიდასაარჩევნო ბერკეტად გამოიყენების შესაძლებლობა ჰქონდეთ.

იმ შემთხვევაშიც, თუ ყველა წევრი ქვეყანა შეთანხმდება რომ ევროკავშირმა საკუთარ უსაფრთხოებაზე დამოუკიდებლად უნდა იზრუნოს, რამდენიმე ისეთ პრობლემას ვაწყდებით, რაც ორგანიზაციის ისტორიაში სოციო-ეკონომიკურ საკითხებთან მიმართებაში უკვე გვინახავს. მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესია განსხვავებული პრიორიტეტების სახელმწიფოთა ჯგუფებს შორის ინტერესების კონფლიქტი. გავრცელებული მოსაზრებით, უსაფრთხოების საკითხებში ინტეგრაციის თვალსაზრისით, ევროკავშირი ე.წ. „უარყოფითი სანქისი წერტილის“ მდგომარეობაშია. ეს განპირობებულია იმით, რომ წევრ სახელმწიფოებს, თავიანთი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, უსაფრთხოების განსხვავებული პრიორიტეტები აქვთ (ატომური, საზღვაო, სახმელეთო, სამხედრო ინდუსტრიული, განსხვავებული მოკავშირეები და ა.შ.). აქედან გამომდინარე, დასაწყისისთვის ევროკავშირს პრიორიტეტებზე შეთანხმება დასჭირდება, რისთვისაც ჯერ ურთიერთდამოკიდებულებისა და უსაფრთხოების საკითხებში ინტეგრაციის ხარისხის ამაღლებაა საჭირო.²³⁷ შედარებისთვის, ნატო, როგორც თავდაცვაზე ორიენტირებული და 70 წლის გამოცდილების მქონე ორგანიზაცია, უსაფრთხოების

²³⁶ Christina Eckes. The CFSP and Other EU Policies: A Difference in Nature?. *European Foreign Affairs Review*, Vol. 20 (4), 2015.

²³⁷ Steven Blockmans and Dylan Macchiarini Crosson. PESCO: A Force for Positive Integration in EU Defence. *European Foreign Affairs Review* 26, Special Issue (2021): 87–110

ყველა პრიორიტეტულ არეაში ოპერირებს და თავდაცვითი ინტეგრაციის ხელახლა და უარყოფითი წერტილიდან დაწყების გამოწვევა არ აქვს.

კიდევ ერთი დიდი პრობლემა კონკრეტულად ევროკავშირის ორი წამყვანი სახელმწიფოს, საფრანგეთის და გერმანიის, განსხვავებული ხედვებია. როგორც ზემოთაა ნახსენები, საფრანგეთი, და კონკრეტულად ემანუელ მაკრონი, ევროპის დამოუკიდებლობას გარდაუვალ აუცილებლობად მიიჩნევს და ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმასაც ცდილობს. ასეთი იყო, მაგალითად, ახლახან ფრანგების მიერ დამამცირებლად აღქმული AUKUS-ის შეთანხმების შემდეგ, მაკრონსა და საბერძნეთის პრემიერ-მინისტრს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც საბერძნეთი 4 ფრანგულ საბროლო გემს მიიღებს. მაკრონმა განაცხადა, რომ ეს შეთანხმება საერთო სტრატეგიული ინტერესების დაცვას ემსახურება და იმედი გამოთქვა, რომ ეს პირველი ნაბიჯი იქნებოდა ევროპული „სტრატეგიული ავტონომიის“ მშენებლობისკენ.²³⁸ მეორე მხრივ, ჯერ კიდევ შარშან გერმანიის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ „ევროპის სტრატეგიული ავტონომიის ილუზია უნდა დამთავრდეს“, რასაც მაკრონმა ღიად უკმაყოფილო ტონით უპასუხა და დაამატა, რომ იმედოვნებდა, კანცლერი ამ მოსაზრებას არ ეთანხმებოდა.²³⁹ გერმანია იზიარებს ექსპერტთა იმ ნაწილის მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ევროპის საკუთარი თავდაცვის პოტენციალი არ არის საკმარისად მაღალი ხარისხის და „ანბანის სუპი“ ვერ ქმნის საკმარის ინტეგრაციასა და უსაფრთხოების გარანტიებს. შესაბამისად, ჯერ კიდევ ადრეა აშშ-ის გარეშე ევროკავშირის უსაფრთხოებაზე საუბარი.²⁴⁰ თუ სხვა სფეროებში გერმანიასა და საფრანგეთს შორის აზრთა სხვადასხვაობა ევროკავშირის ისტორიის განუყოფელი ნაწილია, თავდაცვის საკითხებში ეს დიდ პოტენციურ პრობლემას ქმნის.

„სტრატეგიულ ავტონომიაზე“ საუბრისას დიდი პრობლემაა ფინანსებიც. ნატოს გათვლებით, 2021 წლისთვის მთლიანი შიდა პროდუქტიდან თავდაცვისთვის გამოსაყოფ 2%-იან ზღვარს ალიანსისა და ევროკავშირის საერთო 21 წევრიდან მხოლოდ 8 აღწევს, წევრი ქვეყნების მთლიანი თავდაცვითი დანახარჯების 70%-ზე მეტი კი მხოლოდ აშშ-ზე მოდის.²⁴¹ ბუნებრივია, საკუთარი უსაფრთხოების სისტემის შექმნის შემთხვევაში, ეს ხარჯები ბევრად გაიზრდება და, სულ მინიმუმ, აშშ-ის მიერ ევროპის უსაფრთხოებაში დახარჯული ფინანსური რესურსის შევსებას მოითხოვს. ამას ემატება ევროპაში დისლოცირებული ამერიკული არმიის ნაწილების ჩანაცვლების აუცილებლობაც, რაც, მარტო გერმანიაში 35 ათას ჯარისკაცს გულისხმობს.²⁴² არანაკლებ მნიშვნელოვანია ყველა სახის მოწინავე სამხედრო ტექნიკა, რითაც აშშ პარტნიორებს ამარაგებს და

²³⁸ The Guardian. Greece to buy French warships in multibillion-euro defence deal. September 28, 2021. [Link](#).

²³⁹ The Economist. The imminent Biden presidency reawakens Europe's defence debate. November 26, 2020.

²⁴⁰ The Economist. Europe needs to defend itself better, but cannot do it without America. November 23, 2019.

²⁴¹ NATO. Defence Expenditure of NATO Countries (2014-2021). June 11, 2021. [Link](#).

²⁴² BBC. NATO summit: What does the US contribute?. June 14, 2021. [Link](#).

რომელთაც ევროპაში იმავე დონის ალტერნატივა არ აქვთ. ეს კარგად აისახება კოვიდ-19-ის კრიზისამდელ სტაბილურად მზარდ ევროპულ მოთხოვნაზე ამერიკულ შეიარაღებაზე, განსაკუთრებით რუსეთიდან მომავალი საფრთხის ფონზე.²⁴³ ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დღესდღეობით ევროკავშირს არ აქვს შესაბამისი ფინანსური, ადამიანური და ტექნოლოგიური რესურსი ნატოს სრულფასოვნად ჩასანაცვლებლად. ამასთან, არარეალურია, რომ მთავრობებმა გადაწყვიტონ თავდაცვის ხარჯები ბიუჯეტის სხვა ასპექტების შეკვეცის ხარჯზე გაზარდონ და ხელოვნურად შეიქმნან როგორც შიდა პოლიტიკური, ისე საგარეო საფრთხეები იმ პირობებში, როდესაც ნატოს დახმარებით მცირე ხარჯებთან შეფარდებით ბევრად მაღალი ხარისხის კოლექტიურ თავდაცვას და სამხედრო აღჭურვილობას იღებენ.

დასკვნა

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთობა დღეს უფრო დაბალ დონეზეა, ვიდრე ამის შესაძლებლობა და დოკუმენტებში დადასტურებული სურვილი არის. ამას ემატება კონკრეტულად აშშ-ის ფაქტორიც, რომლის სტატუსიც, როგორც ევროპის უსაფრთხოების გარანტორის, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. საბოლოო ჯამში, ევროპული ქვეყნები თანხმდებიან, როგორც მინიმუმ, თავდაცვის საკითხებში მეტი თავსებადობისა და უფრო ეფექტური ევროპული მექანიზმის ქონის აუცილებლობაზე. თავის მხრივ, არც აშშ არის წინააღმდეგი ევროკავშირის მეტი დამოუკიდებლობისა თუ შესაძლებლობების გაზრდის იდეის. თუმცა, ევროკავშირის თავდაცვითუნარიანობის გაზრდა აუცილებლად არ (და ამ ეტაპზე ვერ) გულისხმობს ნატოს სრულად ამოღებას ევროპული უსაფრთხოების განტოლებიდან. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ევროპის შიგნით „სტრატეგიული ავტონომიის“ იდეაზე სრული კონსენსუსი იქნება მიღწეული, სისტემის შენება უნდა დაიწყოს ნეგატიური წერტილიდან და ისეთი ინიციატივებიდან, როგორიცაა მუდმივი სტრუქტურული კოოპერაცია (PESCO), რომლის მიზანია, პირველ რიგში, ურთიერთდამოკიდებულების გაზრდა და ინტეგრაციის გაღრმავება. შესაბამისად, ევროკავშირს აქვს თავდაცვითი პოტენციალის ამაღლების გეგმები, თუმცა არსებული პოლიტიკური თუ ფინანსური მდგომარეობიდან და თავდაცვითი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ისინი უფრო გრძელვადიანია, ვიდრე, მაგალითად, ემანუელ მაკრონი ისურვებდა. უშუალოდ ევროკავშირისთვის უსაფრთხოების ელემენტის დამატება, ასევე, გულისხმობს იმ მექანიზმებისა და მიდგომების გადმოტანას, რაც ორგანიზაციას სხვა სფეროებთან მიმართებაში აქვს და რამაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება

²⁴³ Reuters. U.S. arms makers see booming demand as threats multiply. June23, 2019. [Link](#).

პროცესის შენელება გამოიწვიოს. აქედან გამომდინარე, როგორც მინიმუმ, დღევანდელ მოცემულობაში რთულია ევროკავშირის უსაფრთხოებაზე ფიქრი ნატოს გარეშე. ევროპელების თავდაცვითი პოტენციალის გაზრდისა და მეტი უსაფრთხოებითი დამოუკიდებლობის პროცესი თანმიმდევრულად უნდა წარიმართოს, ერთი მხრივ, სწორედ ნატოსა და აშშ-სთან თანამშრომლობით, ხოლო, მეორე მხრივ, კი კონსენსუსის ფონზე ევროკავშირში ქმედუნარიანი თავდაცვითი ელემენტის დამატებითა და მისი ეფექტურობის ეტაპობრივად გაზრდით.

ბიბლიოგრაფია:

- BBC. Afghanistan crisis: How Europe's relationship with Joe Biden turned sour. September 3, 2021. [Link \(01/12/2021\)](#);
- BBC. NATO summit: What does the US contribute?. June 14, 2021. [Link \(01/12/2021\)](#);
- BBC. UK, US and Australia launch pact to counter China. September 16, 2021. [Link \(01/12/2021\)](#);
- Blockmans, Steven, and Dylan Macchiarini Crosson. PESCO: A Force for Positive Integration in EU Defence. *European Foreign Affairs Review* 26, Special Issue (2021): 87–110;
- CNN. Trump Suggested NATO Countries Double their defense spending goal. July 11, 2018. [Link \(01/12/2021\)](#);
- Eckes, Christina. The CFSP and Other EU Policies: A Difference in Nature?. *European Foreign Affairs Review*, Vol. 20 (4), 2015;
- European Council on Foreign Relations. The fall of Afghan government and what it means for Europe. August 25, 2021. [Link \(01/12/2021\)](#);
- European External Action Service. Military and civilian missions and operations. March 2019. [Link \(01/12/2021\)](#);
- Ham, Peter van. Politics as Unusual: NATO and the EU after 9-11. Terrorism and Counterterrorism: Insights and Perspectives after September 11. Clingendael Institute, 2001;
- Jopp, Mathias, and Hanna Ojanen. European Security Integration: Implications for Non-alignment and Alliances. *Journal of Baltic Studies*, 31, no.1 (2000);
- NATO. Defence Expenditure of NATO Countries (2014-2021). June 11, 2021. [Link \(01/12/2021\)](#);
- NATO. Fact Sheet: NATO – EU Relations. July 2016. [Link \(01/12/2021\)](#);
- Reuters. U.S. arms makers see booming demand as threats multiply. June 23, 2019. [Link \(01/12/2021\)](#);
- Santopinto, Federico, and Megan Price. National Visions of EU Defence Policy: Common Denominators and Misunderstandings. Centre for European Policy Studies (CEPS), Brussels, 2013;
- The Economist. Emmanuel Macron warns Europe: NATO is becoming brain-dead. November 7, 2019;
- The Economist. Europe needs to defend itself better, but cannot do it without America. November 23, 2019;
- The Economist. The imminent Biden presidency reawakens Europe's defence debate. November 26, 2020;
- The Guardian. Greece to buy French warships in multibillion-euro defence deal. September 28, 2021. [Link \(01/12/2021\)](#);
- The New York Times. Trump Discussed Pulling U.S. From NATO, Aides Say Amid New Concerns Over Russia. January 14, 2019. [Link \(01/12/2021\)](#);
- Voice of America. Biden to Reassure NATO Allies of US Commitment to Mutual Defense Clause. June 13, 2021. [Link \(01/12/2021\)](#);
- Wormington, Jeffery A. NATO/EU Relations: The Changing Institutional Landscape. Central European University, Budapest, 2004;

- Zwanenburg, Marten. What's in a Word: Partnerships Between NATO and Other International Institutions and Some Issues of Shared Responsibility. *International Organizations Law Review*, 13 (2016), 100-125.

საქართველოს სტრატეგიის
და განვითარების ცენტრი

+032 2 222 667



gcsd@gcsd.org.ge



www.gcsd.org.ge

